ყოველკვირეული

ალია

N12/740/ 21-27 მარტი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


„ეს ხელისუფლება არის იმ სიძულვილის ღირსი, რასაც დღეს იღებს ხალხის მხრიდან“ 10



# არის თუ არა სამების ტაძარში გაჩენილი ხანძარი უბედურებების მომასწავებელი?!





2

რისთვის ჩამოდის სინამდვილეში აშშ-ს სახელმწიფო მდივანი?

რატომ ვერ დაამტკიცებს თავის სიმართლეს ალეკო ელისაშვილი?

6

რა წერია „ბოზების მანიფესტში“?



28

რატომ მისცა 31 მარტამდე დრო პოლიტიკოსებს ვიდეოტერორისტმა?

„უფრო შემზარავი კადრები გამოქვეყნდება!“

თუ ფარული კადრების სკანდალური საქმე ვერ გამოიძიეს, ვინ დატოვებს პოსტს?






14

„სუს-მა ურჩი დირექტორების „შავი სია“ შექმნა და მათ სამსახურებიდან ათავისუფლებენ!“



17

დავიჯეროთ, რომ ბესელია-კობახიძე ანგელოზები არიან და ელისაშვილი ქოსატყუილა ტარტაროზი?!

ერთი გამოსავალია — იმ „მაღალჩინოსანმა“ უნდა ამოიღოს ხმა!



20

# მძღოლები შსს-სა და მერიას უპირისპირდებიან 9





„შვილებს ვფიცავარ, ისე ვარ გამწარებული, რო, ხმას კი არა, ჩემს ფეხებს მივცემ ამათ, ამ მოღალატე მთავრობას!!!“ 22

ზურა ჯაფარიძე: „ლარი მომავალში კიდევ უფრო დასუსტდება“

„რუსეთის სპეცსამსახურს შესაძლოა, ჰქონდეს, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები და ამით დააშანტაჟონ პრემიერი ან ნებისმიერი უმაღლესი პირი“

12

„ალიას“ განათლების სამინისტროში „ჩანერგილი“ „ოდეერების“ სია მოაწოდეს!



19

მამა ელიზბარი: „რატომ დუმს საპატრიარქო? რატომ და სასულიერო პირების ფარული ჩანაწერებიც არსებობს, რომლის გამოაშკარავებისაც ჭირის დღესავით ეშინიათ!“



15

# რა უთხრა ისეთი ილია მეორემ, რის გამოც ლადო პაპავა სალოცავად წავიდა?!

რას უმხელს თსუ-ს რექტორი „ალიას“?



18

რატომ მოიკლა თავი 14 წლის გოგომ?



11

## მაქვს ინფორმაცია, რომ არის ისეთი კადრებიც, სადაც ხალხი პირდაპირ კადრში კვდება



– მე მაქვს ინფორმაცია, რომ პირდაპირ კადრში კვდება ხალხი წამებისგან, ასეთი კადრებიც არის, – ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ გენერალურმა მდივანმა ირმა ინაშვილმა ციხის კადრების თემაზე დასმული კითხვის კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, ციხის კადრები, რომელიც მათ გაავრცელეს 2012 წელს, იყო მაშინდელი ადმინისტრაციის მიერ დაწუნებული.

ინაშვილის ინფორმაციით, არსებობს ისეთი მასალებიც, რომელშიც ჩანს, როგორ ილუპება ადამიანი წამებისგან. (marshalpress.ge)

## ქართველი პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ფარული ჩანაწერები 8 ათას დოლარად იყიდება

უცხოურმა საიტებმა მაღალჩინოსანთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გაყიდვა დაიწყეს.

**mediacity.ge** სპეციალურად არ აქვეყნებს იმ საიტების მისამართს, სადაც შემდეგი ფასიანი სახის ინფორმაცია არის განთავსებული. სამაგიეროდ, პირველი, რაც გავაკეთეთ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას დავუკავშირდით.

წყაროს ცნობით (რომლის ლინკიც ორივე ინსტანციას გადავუგზავნეთ და ნებართვა ვითხოვეთ, ქვემომოყვანილი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე), ერთ-ერთ ონლაინსაიტზე პოლიტიკური შანტაჟის ქვეგანყოფილებაში, კერძო პირები ათავსებენ ვიდეომასალებს, რომლებსაც აქტუალობის მიხედვით უთითებენ შესაბამის ფასებს. ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ფარული ბრაუზერებიდან. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ძვირად ფასობს საქართველოს მაღალჩინოსანთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები – 20 **BTC**, ანუ 8 000 დოლარი.

ქვემოთ გთავაზობთ იმ ფარული ჩანაწერების ჩამონათვალს, რომელთა ნაწილის გასაჯაროებაც 31 მარტისთვის არის დაანონსებული. ჩამონათვალში იყიდება 38 საათიანი ციხის წამების კადრებიც.

**Georgian guards abusing prisoners (35 video total of 38:23 minutes) - 4 BTC**

**Georgian politicians private life (sex, oral, anal, orgy total of 12:42 minutes - 6 BTC**

**Georgian high profile politicians private life (GB, sex, oral, anal, orgy total of 2:30 minutes - 20 BTC**

**Georgian prewar planning 2008 August (audio footage, skype, mobile total of 34 minutes) - 3 BTC**

**1 TBC = $400**

შინაგან საქმეთა საქმეთა სამინისტრო მოკვლევას აწარმოებს. რაც შეეხება საქართველოს პროკურატურას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული უწყება თავს იკავებს კომენტარისგან. (mediacity.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# არის თუ არა სამების ტაძარში გაჩენილი ხანძარი უბედურებების მომასწავებელი?!

სამების საკათედრო ტაძარში გაჩენილი ხანძრის შედეგად, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, რადგან ტაძარში მყოფი ადამიანების ევაკუაცია დროულად მოხერხდა, თუმცა ხანძრის ლიკვიდაცია საკმაოდ გართულდა. როგორც ცნობილი გახდა, ცეცხლს ათი სახანძრო ბრიგადა ებრძოდა, თუმცა ეს პროცესი ძალიან გაჭიანურდა, რადგან მეხანძრეები ცეცხლის კერას ვერ აგნებდნენ. საბოლოოდ, ხანძრის ლიკვიდაცია მაინც მოხერხდა და მისი გაჩენის რამდენიმე ვერსიაც გახდა ცნობილი. სასულიერო პირების ვარაუდით, ცეცხლი, შესაძლოა, ელექტროკაბელებს გაუჩნდა, თუმცა არის ვერსიაც, რომ ხანძარი სამების ტაძრის სტამბაში გაჩნდა.





**დეკანოზი თეიმურაზი:.**

– საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ, ტაძარს მოულოდნელად შეუწყდა დენის მიწოდება. შეიძლება ეს გამოწვეული იყოს ამ ხანძრის გამო, თუმცა ზოგიერთი ამბობს, რომ შესაძლოა, თვითონვე გათიშეს ელექტროენერგია, რომ უფრო საშიში არ გამხდარიყო ხანძრის გავრცელება.

არქიმანდრიტ იოანეს თქმით კი, იმ სართულზე, სადაც ცეცხლი გაჩნდა, განთავსებულია „ახალგაზრდული ცენტრი“, ასევე, იქვეა მეორადი ტანსაცმლის საწყობი და სტამბა და, სავარაუდოდ, ცეცხლი სწორედ იქ გაჩნდა.

სამებაში გაჩენილმა ხანძარმა მოსახლეობის ნაწილში, შეიძლება ითქვას, პანიკა გამოიწვია – ეს, ალბათ, ცუდი ნიშანია, რაღაც უბედურება უნდა მოხდეს ჩვენს თავსო, წერენ სოციალურ ქსელში. აღნიშნული ფაქტი რისი ნიშანია და რისი არა, ამაზე საუბარი რთულია, თუმცა გადავწყვიტეთ, ფაქტი მიხეილ ცაგარელთან ასტროლოგიურ ჭრილში განგვეხილა და გაგვერკვია, შეიძლება თუ არა ეს რაიმე განსაკუთრებულ ასტროლოგიურ პერიოდს უკავშირდებოდეს და ზოგადად, უნდა ველოდოთ თუ არა მსგავს ფაქტებს უახლოეს მომავალში?

– რა მოხდა სამებაში და რატომ, ამაზე, ალბათ, მოძღვრებმა უნდა გასცენ კონკრეტული პასუხი, მაგრამ ასტროლოგიური კუთხით, 20 მარტს ჩვენ გვაქვს ახალი ასტროლოგიური წელიწადი – მზე შევიდა ვერძის, ყველაზე აგრესიულ ზოდიაქოში. წლის განმავლობაში ყველაზე აგრესიული პერიოდი სწორედ 20 მარტიდან იწყება, რადგან ვერძს მართავს მარსი, ომის მმართველი პლანეტა, ამიტომ თანდათან სულ უფრო მეტად, მათ შორის მსოფლიოში, მოიმატებს უფრო აგრესიულობისა და სხვადასხვა უსიამოვნებების ტენდენცია. მით უმეტეს, ჩვენ ახლა 22-23 მარტს გვაქვს სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება, უმძიმესი დღეები, რომლის დროსაც ყველა სახის კატაკლიზმებმა და პრობლემებმა შეიძლება იჩინოს თავი, როგორც ადამიანის შიდაფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, ასევე გარე მოვლენების კუთხით. ამიტომ უახლოესი რამდენიმე დღე ნამდვილად რთულია, ყურადღება ესაჭიროება ჯანმრთელობას, ტექნიკურ გამართულობას და ბევრ სხვა საკითხს, რამაც შეიძლება იჩინოს თავი ამ დღეების განმავლობაში. ამ მხრივ კი, ეს პერიოდი ნამდვილად საკმაოდ რთულია.

**— ანუ მსგავსი რაღაცები შესაძლოა, კიდევ მოხდეს ჩვენთან?**

– რასაკვირველია. კონფლიქტები, უსიამოვნებები, დაპირისპირებები, ემოციური გაღიზიანება, ჯანმრთელობის გაუარესება, ტექნოგენური და ეკოკატასტროფები – ყველაფერი მოსალოდნელია დაბნელებების დღეს. ეს არის ძალიან სერიოზული კოსმიური გამოცდების პერიოდი საერთოდ სამყაროსთვის.

**— რამდენ ხანს გასტანს ეს რთული პერიოდი?**

– დაახლოებით, 26-27-მდე, 25 მარტამდე მინიმუმ. ამის მერე დაბნელებების ზონა დასრულდება, მაგრამ ის, რომ წელიწადი მთლიანად რთულია და პრობლემური პერიოდები გვექნება მარტშიც, აპრილშიც, ეს უდავოა. მაისის შუა რიცხვებიდან ივნისის შუამდე უმძიმესი ერთი თვეა, აი, მანდ მოხდება რაც მოხდება. მანდ მთავარია, რუსებმა და თურქებმა არ დასცხონ ერთმანეთს და ბევრი სხვა უსიამოვნება არ მოხდეს. ასე რომ წინ გვაქვს ურთულესი პერიოდები, მერე აგვისტო-სექტემბერში მზისა და მთვარის დაბნელებებით. ამიტომ წელიწადი ყოველმხრივ საკმაოდ რთული და მძიმეა. ცეცხლოვანი მაიმუნია და როდის სად გადახტება, რას იზამს და რას იმაიმუნებს, კაცმა არ იცის. ყველა სახის პრობლემებისა თუ მაიმუნობისთვის მზად უნდა ვიყოთ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი ოქრუაშვილი სტალინის ახალი ძეგლის შექმნაზე ზურაბ წერეთელს ესაუბრა — დაბრუნდება თუ არა „ბელადი“ გორში



გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ირაკლი ოქრუაშვილი გორში სტალინის ძეგლის დაბრუნებას გეგმავს.

როგორც ოქრუაშვილმა ტელეკომპანია „დიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, თუ სტალინის ძეგლის უკან დაბრუნებას გორელები მოითხოვენ, მაშინ ძეგლი უკან დაბრუნდება.

ამასთანავე, ირაკლი ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ სტალინის ახალი ძეგლის შექმნაზე უკვე ესაუბრა ცნობილ ქართველ მხატვარ ზურაბ წერეთელს, რაშიც ქართველმა მხატვარმა 1,5 მილიონი აშშ დოლარი მოითხოვა.

გორის საკრებულოს თავმჯდომარის ახალი მრჩეველი ამბობს, რომ, თუ გორის ბიუჯეტი ამ თანხას გაიღებს, მაშინ გორელების მოთხოვნა სტალინის ძეგლის დაბრუნების შესახებ შესაძლებელი გახდება.

– იურიდიულად მე სტალინის ძეგლის დაბრუნების ბერკეტი არ გამაჩნია. ჩვენ ხალხს დავპირდით ამ ძეგლის დაბრუნებას, მაგრამ ნდობის მანდატი ვერ მივიღეთ, რადგან არჩევნებში ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ. გაიმარჯვა მოწინააღმდეგე ძალამ, რომელიც სანახევროდ ჰპირდებოდა ამ ძეგლის დაბრუნებას და თუ ვინმეს ამ ძეგლის დაბრუნების ან არდაბრუნების საკითხი აწუხებს, შეუძლიათ, მიმართონ მათ. თუ აღმოჩნდება, რომ ქალაქის დიდი ნაწილი ძეგლის უკან დაბრუნებას მოითხოვს, ჩვენ უნდა დავთვალოთ, რა დაუჯდება ქალაქს ამ ძეგლის დაბრუნება დღევანდელ პირობებში.

თავის დროზე, როდესაც ამაზე ვსაუბრობდი, საკმაოდ კარგად მქონდა ეს ყველაფერი გააზრებული და გაცილებით ადვილი იქნებოდა, ჩვენ ქალაქის მართვის სრულფასოვანი ბერკეტები გვქონოდა. ამ ყველაფრის გაკეთება დღეს ისე აღარ ჩანს და ვართ შემდეგი პრობლემის წინაშე. აღმოჩნდა, რომ სტალინის ძეგლი არის კულტურის სამინისტროს ბალანსზე. კულტურის სამინისტრო ამბობს, რომ არავითარ შემთხვევაში ამ ძეგლის დადგმას არ დაუშვებს.

გამოსავალი არის ის, რომ, თუ ქალაქი მოინდომებს ამ ძეგლის უკან დაბრუნებას, ახალი ძეგლი უნდა დამზადდეს. ახალი ძეგლის დამზადებისთვის, მე ერთხელ ზურაბ წერეთელს ვესაუბრე, პირადი ინტერესიდან გამომდინარე, და ვკითხე, რა დაჯდებოდა. მითხრა: მილიონ-ნახევარი დოლარიო. ეს თანხა გულისხმობს ჩამოტანის ხარჯებსაც. თუ ქალაქის ბიუჯეტი ამას აიტანს, მაშინ ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, მაშინ დააბრუნონ ძეგლი. ბოლოს რომ თავყრილობაზე ვიყავით, მხოლოდ 300 ადამიანი იყო იქ მოსული. თუ 300 ადამიანის ხუშტურზე ვართ, მიმაჩნია, რომ ძეგლი არ უნდა დაიდგას, თუ ნახევარი ქალაქი ითხოვს ამას, ძეგლის დადგმა შესაძლებელია, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა. (kvira.ge)

## „ის, რაც განვაცხადე, ისტორიული ჭეშმარიტებაა, ეს იყო დარტყმა ქართულ სახელმწიფოზე“ — პრეზიდენტი ფარულ ჩანაწერებზე



– ეს იყო დარტყმა როგორც საზოგადოებაზე, პოლიტიკურ პარტიებზე, ასევე, ქართულ სახელმწიფოზე, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში ფარულ ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა.

გიორგი მარგველაშვილმა მისი განცხადების განმარტებაც გააკეთა და აღნიშნა, რომ საზოგადოებამ კარგად უნდა გააანალიზოს, რა მოხდა ამ დღეებში და რა მიზანს ისახავდა ამ ტიპის შანტაჟი.

– ის, რაც განვაცხადე, არა მარტო ჩვენი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის და პირადად ჩემი მოწოდებაა, ეს არის ისტორიული ჭეშმარიტება, საქართველოში არასდროს გაუტანიათ ადამიანის შეშინება, მაშინაც კი როცა ჩვენ ვცხოვრობდით ტოტალიტარულ სახელმწიფოში, საქართველო იყო ყველაზე თავისუფალი ადამიანებით დასახლებული სახელმწიფო. იმისთვის, რომ ყველა შევებრძოლოთ ამ მზაკვრულ ჩანაფიქრს, პირველ რიგში ზუსტად უნდა გავაანალიზოთ, რაც მოხდა, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისი თქმით, მცდარია ის მოსაზრება, რომ ეს იყო დარტყმა კონკრეტულ პოლიტიკოსზე ან კონკრეტულ ადამიანებზე.

– ეს იყო თავდასხმა ქართულ სახელმწიფოზე, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს იყო პოლიტიკოსების ან კონკრეტული ადამიანების შანტაჟი, არასწორად აფასებს ამას. ეს იყო პირდაპირ მცდელობა რაღაც ინფორმაციის გაზიარებისა მთელი საზოგადოებისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ მე, ის, ვინც ამას ვაკეთებ, ვცდილობ, შეგაშინოთ თითოეული მოქალაქე – თუ ამას ვუკეთებ მაღალი თანამდებობის პირებს, შენ რას გიზამ, რიგით მოქალაქეს. ამიტომ როცა ეს პარლამენტის თავმჯდომარემ შეაფასა, როგორც ტერორი, სრულად დავეთანხმე, როცა პრემიერმა თქვა, რომ ეს არის ჩვენი ღირსების საქმე რომ ეს აღვკეთოთ, მე დავეთანხმე, ეს არის ტერორი ადამიანების მიმართ. ჩემი განცხადება იყო მიმართული მსხვერპლთა დასაცავად, რადგან თითოეული ჩვენგანი გავხდით სამიზნე, – განაცხადა პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

## ე.წ. მალაკნების ხიდთან მომხდარი ყაჩაღობის დროს მაღაზიის გამყიდველი დაჭრეს




დადიანის ქუჩაზე, ე.წ. მალაკნების ხიდთან მდებარე სასურსათო მაღაზია დააყაჩაღეს. რა რაოდენობის თანხაა წაღებული, უცნობია. მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მაღაზიას 2 პირი დაესხა თავს. წინააღმდეგობის გაწევის მომენტში დაიჭრა მაღაზიის გამყიდველი. მაღაზიაში მომუშავე სხვა პირების ინფორმაციით, ის საავადმყოფოში არ იმყოფება და სახლში გადის მკურნალობას. თავდამსხმელები ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული.

მომხდარს შსს-ში ადასტურებენ. უწყების განმარტებით, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე ძარცვის მუხლით. (ნიუპოსტი)

## შსს-მ ქეთევან იგნატოვას ოჯახის დაყაჩაღებაში ბრალდებული დააკავა



შსს-მ 1990 წელს დაბადებული რევაზ კ. ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რევაზ კ.-მ მიმდინარე წლის 14 მარტს, ღამით, თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე, ზაზა ც.-ს საცხოვრებელ სახლში უკანონოდ შეაღწია, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ქეთევან ი.-ს ოქროს ბეჭედი, 200 ლარი, 2 ძვირად ღირებული მობილური ტელეფონი, 2 ნოუთბუქი, 400 დოლარი და რარიტეტული მედლები ცივი იარაღის მუქარით გასტაცა. მან სახლში მყოფ 5 ადამიანს, მათ შორის, ერთ მცირეწლოვან ბავშვს, ერთ საათზე მეტი დროის განმავლობაში თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა.

ბოროტმოქმედთან სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებისას, ოჯახის უფროსს ზაზა ც.-ს და მის მეუღლეს ქეთევან ი.-ს დანით სხეულზე დაზიანებები მიადგათ. ბრალდებულმა ნაყაჩაღარ ნივთებთან ერთად მიმალვა მოახერხა. დაჭრილ ცოლ-ქმარს სამედიცინო დახმარება სტაციონარში ჩაუტარდათ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

სამართალდამცველებმა რევაზ კ. მომხდარიდან რამდენიმე დღეში თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – 2 დანა და 210 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პენტაგონის ანგარიში — რუსეთი აგრძელებს უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის სუვერენიტეტის დარღვევას



რუსეთი აგრძელებს უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის სუვერენიტეტის დარღვევას და საფრთხეს უქმნის ბალტიისპირელ მეზობლებს, – ამის შესახებ პენტაგონის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია საუბარი, რომელიც აშშ-ის თავდაცვის მდივნის, ეშტონ კარტერის ავტორობით მომზადდა.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ „ცივი ომის“ შემდეგ რუსეთსა და აშშ-ის შორის ურთიერთობის კუთხით პროგრესი შეინიშნებოდა, მოსკოვს ბოლო წლების განმავლობაში საერთაშორისო წესრიგის დარღვევა სურს. ანგარიშში ნახსენებია სირია და აღნიშნულია, რომ მოსკოვი ექსტრემიზმის გამწვავებას ცდილობს.

– ნათლად რომ განვმარტოთ, აშშ არ ცდილობს ცივ და ცხელ ომს რუსეთთან. ჩვენ არ გვსურს, რუსეთი იყოს მტერი. თუმცა, არ შეგეშალოთ – ჩვენ დავიცავთ ჩვენს ინტერესებს, მოკავშირეებს, საერთაშორისო წესრიგს და პოზიტიურ მომავალს, – ნათქვამია დოკუმენტში.

ანგარიშის მიხედვით, აშშ რუსეთის აგრესიის საპასუხოდ დაბალანსებულ და ძლიერ სტრატეგიულ მიდგომას იყენებს.

– რუსეთს ვაძლევთ შესაძლებლობას, თუ ის ამას აირჩევს, კვლავ შეუერთდეს საერთაშორისო საზოგადოებას და იმუშაოს ჩვენთან ერთად, სადაც ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, – წერია დოკუმენტში.

პენტაგონის ანგარიშში საუბარია ასევე რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიასა და ნატო-ს ძალების აღმოსავლეთ ევროპაში გაძლიერებაზე. დოკუმენტი აშშ-ის თავდაცვის მდივნის ოფიციალურ ვებგვერდზე გუშინ გამოქვეყნდა. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პაპუაშვილისთვის ნაჩუქარ ბინაში მცხოვრები მცირეწლოვანი ბავშვები ქუჩაში დარჩნენ“



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინფორმაციით, გიორგი პაპუაშვილმა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გასაოცარი საჩუქრები მიიღო.

თეა წულუკიანის თქმით, პაპუაშვილისთვის ნაჩუქარ ბინაში მცხოვრები მცირეწლოვანი ბავშვები ქუჩაში დარჩნენ.

მინისტრი განმარტავს, რომ გიორგი პაპუაშვილი პოსტზე სექტემბრის ბოლომდე რჩება და მის უფლებამოსილებას არაფერი ემუქრება.

– ადრე პაპუაშვილი მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული, რასაც დღევანდელ დღეზე ვერ იტყვის. მან, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, მაშინდელი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან და ხელმძღვანელისგან გასაოცარი საჩუქრები მიიღო, რის გამოც მისთვის ნაჩუქარ ბინაში მცხოვრები მცირეწლოვანი ბავშვები ქუჩაში დარჩნენ. მიუხედავად ამისა, პაპუაშვილი პოსტზე სექტემბრის ბოლომდე რჩება და მის უფლებამოსილებას არაფერი ემუქრება. ჩემი შეფასებები რეალურ ფაქტებზეა დამოკიდებული და არა იმაზე, მოვლენას პოსტფაქტუმ ვინ როგორ შეფასებას მისცემს, – აღნიშნა თეა წულუკიანმა „20/30“-ის პირდაპირ ეთერში. (pia.ge)

## თურქეთში კომენდანტის საათი გამოცხადდა



სტამბულის ტერაქტის შემდეგ თურქეთის 7 პროვინციაში 24-საათიანი კომენდანტის საათი გამოცხადდა. ქვეყნის შინაგან საქმეთა უწყებამ „ქურთების მუშათა პარტიის“ წინააღმდეგ ანტიტერორისტული ოპერაცია განაახლა. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებია მიღებული. ქალაქ იზმირში სამართალდამცველებმა უკვე 19 ადამიანი დააკავეს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დაკავებულები არეულობის მოწყობას ნოვრუზის დღესასწაულზე აპირებდნენ და ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და მოლოტოვის კოქტეილების გამოყენებისთვის ემზადებოდნენ. (ნიუპოსტი)

## აშშ-ში არასრულწლოვანი გოგონას გარყვნაში ბრალდებული ქართველი ბიზნესმენი გაათავისუფლეს



აშშ-ის შტატ კონექტიკუტის სასამართლომ ქუთაისში დაბადებული ბიზნესმენი შალვა ჩიგირინსკი გაათავისუფლა.

ის არასრულწლოვანი გოგონას გარყვნაში და მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების ბრალდებით დააკავეს.

ჩიგირინსკი 50 000 აშშ დოლარის ოდენობის გირაოს გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ბიზნესმენი ყველა ბრალდებას უარყოფდა და აცხადებდა, რომ უდანაშაულო იყო. (kvira.ge)

## წილკნელ-ურბნელი მიტროპოლიტყოფილი გაიოზი გარდაიცვალა



ჩაფიძის კარდიოლოგიურ კლინიკაში გულის ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა წილკნელ-ურბნელი მიტროპოლიტყოფილი გაიოზი (კერატიშვილი).

პანაშვიდები გაიმართება 21 მარტს მცხეთაში, სამთავროს მონასტერში, დაკრძალვა 22 მარტს, სამშაბათს, 14 საათზე სამთავროში. (ნიუპოსტი)

**„ალია“ მწუხარებას გამოთქვამს მიტროპოლიტის გარდაცვალების გამო!**

## რუსეთის ტრაგიკული შაბათი



„ფლაიდუბაის“ თვითმფრინავმა, რომელიც დუბაი-როსტოვის რეისს ასრულებდა, კატასტროფა დონის როსტოვში, მოსკოვიდან სამხრეთით, დაახლოებით 1000 კილომეტრში, ადგილობრივი დროით 03:50 საათზე, დაშვებისას განიცადა.

ბორტზე მყოფი 62-ივე ადამიანი – 55 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი კატასტროფის შედეგად დაიღუპა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყოჩაღ საგარეო საქმეთა სამინისტროს და ყოჩაღ ფრანგ „მეგობრებს“! დე ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკა საფრანგეთში ყოველწლიურ გამოფენაში „მსოფლიო ტურიზმის სალონი“ მონაწილეობს.



როგორც ოკუპირებული აფხაზეთის მედია წერს, გამოფენაზე განსაკუთრებული მოწონება აფხაზურმა აჯიკამ დაიმსახურა. აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო სამრეწველო პალატის ხელმძღვანელის გენადი გაგულიას თქმით, აფხაზეთის დელეგაციის მიმართ ინტერესი ფრანგულმა ტელევიზიებმა და პრესამაც გამოხატეს.

გამოფენაზე აფხაზეთის მონაწილეობის შესახებ წერს გაზეთი „ლე მონდი“ და „აფხაზეთის აღმოჩენას“ იმ 6 მიზეზს შორის ასახელებს, რომლის გამოც გამოფენაზე სტუმრობა ღირს.

– ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთიდან მოდის სიახლეები, ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორიც არის მისტიკური აფხაზეთი, შავი ზღვის სანაპიროდან. დასვენება ისტორიული მემკვიდრეობის, სანაპიროსა და ბუნების გარემოცვაში, – წერს ფრანგული გამოცემა.

აღნიშნულ გამოფენაში, 120-მდე ქვეყანა მონაწილეობს, აფხაზეთის სტენდის ნომერი ბი 024-ია. როგორ მოხვდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული დე ფაქტო რესპუბლიკის დელეგაცია აღნიშნულ ღონისძიებაზე, უცნობია. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში დე ფაქტო აფხაზეთის მონაწილეობის შესახებ საქართველოში პოსტფაქტუმ იგებენ. (ნიუპოსტი)

## „უვადო არის მარტო ღმერთი“ — პატრიარქი ხელისუფლებას უვადო პატიმრობის წესის გადახედვისკენ მოუწოდებს



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოს ხელისუფლებას უვადო პატიმრობის წესის გადახედვისკენ მოუწოდებს. განცხადება ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას გააკეთა. პატრიარქის თქმით, პარლამენტმა უნდა იფიქროს, რომ უვადო არაფერია ფიზიკურ სამყაროში და უვადო არის მხოლოდ ღმერთი. პატრიარქი ამბობს, რომ, თუ პატიმარი გამოსწორების გზას დაადგა, შრომობს და აკეთებს სიკეთეს, მას შესაძლებელია, შევუცვალოთ უვადო პატიმრობა.

– ჩვენ გვყავს პატიმრები, რომლებსაც უვადო პატიმრობა აქვთ შეფარდებული. მათ დაკარგული აქვთ ყოველგვარი იმედი, რომ ოდესმე გამოვლენ და დაუბრუნდებიან ოჯახს, საქმეს და სამშობლოს. ჩვენმა პარლამენტმა უნდა იფიქროს ამაზე, რომ უვადო არაფერია ფიზიკურ სამყაროში, უვადო არის მარტო ღმერთი. ესა თუ ის პატიმარი, თუ დაადგა გამოსწორების გზას, შრომობს და აკეთებს სიკეთეს, მას, შესაძლებელია, შევუცვალოთ უვადო პატიმრობა და დაუწესდეს გარკვეული ვადა, – ბრძანა პატრიარქმა. (პირველი რადიო)

## ესპანეთში მომხდარი ავარიის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა შორის ქართველები არ არიან



ესპანეთში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებულებსა და გარდაცვლილებს შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან, – ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ.

– ბარსელონაში საქართველოს საკონსულო ესპანელ სამართალდამცველებთან მუდმივ კომუნიკაციაშია. ამ ეტაპზე რა მონაცემებიც აქვთ ესპანელ სამართალდამცავებს, დაშავებულებს შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან. დამატებითი დეტალები ზუსტდება, – აცხადებენ სამინისტროში.

ესპანეთის პროვინცია ტარაგონში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, სულ მცირე, 14 სტუდენტი დაიღუპა. ავტომანქანას ავტობუსი შეეჯახა, რომელსაც ბარსელონაში 56 ადამიანი გადაჰყავდა.

დაღუპული სტუდენტების უმეტესობა უცხოელია. ესპანეთში ისინი „ერასმუსის“ სტუდენტური გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდნენ. (kvira.ge)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## ნინო ბაშარული თეა თუთბერიძეს „შიზოიდსა“ და „მუტანტს“ ეძახის და გათხოვებას ურჩევს



მომღერალი ნინო ბაშარული თეა თუთბერიძის „ფეისბუკ“ პოსტს ეხმიანება, სადაც თუთბერიძე წერს: „მე მიყვარს ჩემი გეიპატრიარქი“. მომღერალი საზოგადოებას სთხოვს, არ მოახდინონ თუთბერიძის აზრების ტირაჟირება და ნურც ლანძღვას დაუწყებენ, რადგან, მისი თქმით, თუთბერიძეს ეს ლანძღვა აბედნიერებს.

– ვინმე თეა თუთბერიძეს თუ გადაეჩეხებით სადმე, გადაეცით ჩემგან, რომ სასწრაფოდ გათხოვდეს, თუ გათხოვილი არაა! და გააჩინოს ბევრი შვილი! რაც იბოდიალა, ეს მისი ყურადღების ცენტრში მოქცევის წყურვილია, ჩვენ ეს ვიცით და ბოლოს და ბოლოს, მიხვდეს, რომ არც ნიჭიერება და არც სიბრძნე არ აქვს და ტყუილად ვარდება მენჯებიდან, რომ შევნიშნოთ... მაგას ჯობია, რაიმე ღირებული შექმნას! შვილი თუ არ ჰყავს, გააჩინოს, რა! ვინმეს გავურიგებთ როგორღაც და დავაჯერებთ, რომ თეა მზეთუნახავია... ალბათ, ძალიან ჩრდილშია, მიგდებულად გრძნობს თავს და ყველაფერს აკეთებს, კვლავ ყურადღების ცენტრში მოსახვედრად. მისი მისამართით კარგი სიტყვით თუ არა, იქნებ ცუდი სიტყვების კორიანტელით იგრძნოს თავი სრულფასოვნად... მე ვთხოვ ყველა ჟურნალისტსა და თანამოქალაქეს, რომ სოციალურ ქსელში ნუ ავრცელებთ მის მოჩმახულ დებილობებს პატრიარქზე, ნუ აღიზიანებთ ხალხს, რადგან მუტანტებზე აქცენტის კეთებით, გავავიწყდება მნიშვნელოვანი ჩვენს ქვეყანაში. პატრიარქს ბევრი ჰყავს თავისი მცველი, ხალხნო... თქვენი გინება-ლანძღვებით აბედნიერებთ ამ „შიზოიდს“... რაც უნდა, ის უთქვამს, დააიგნორეთ რა... ის არ არსებობს! მორჩა! – წერს ნინო ბაშარული „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (plus.kvira.ge)

## დეპუტატები ავარიაში მოყვნენ



სამი დეპუტატი – თემურ ფეიქრიშვილი, თემურ ხუბულური და მახირ დარზიევი ავტოავარიაში მოყვნენ. შემთხვევა ზესტაფონთან მოხდა.

პარლამენტარები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მკურნალი ექიმის განცხადებით, პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

– ჩემთან ორი პაციენტია გადმოყვანილი, ჩაუტარდათ მკურნალობა – მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სხვა დეტალზე საუბარი არ შემიძლია, რადგან ინფორმაცია კონფიდენციალურია, – განაცხადა გიორგი კუხიანიძემ. (pia.ge)

# დავით ნარმანია გამწვანების სამსახურის სრული შემადგენლობით დათხოვნას აპირებს

## რატომ აუნთო წითელი გამწვანების სამსახურს თბილისის მერმა





დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, თბილისში გამწვანების კუთხით მიმდინარე სამუშაოების უახლოეს დღეებში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, გამწვანების საქალაქო სამსახურს სრული შემადგენლობით დათხოვნას დაჰპირდა.

ნარმანიას მორიგი რისხვა გამწვანების სამსახურს დაატყდა თავს. კულუარებიდან გამოსული ინფორმაციით, გასულ კვირას მერიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე დავით ნარმანიამ „გამწვანების“ სამსახურის ხელმძღვანელობას „წითელი ბარათი“ აჩვენა და უკანსაკნელი გაფრთხილება მისცა.

ცნობილი ხდება, რომ მთავრობის სხდომაზე, რომელიც დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, ნარმანიამ მწვავედ გააკრიტიკა დედაქალაქის საგაზაფხულო გამწვანების გეგმა.

„ნარმანიამ სულ თითები უქნია გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელს და უკმაყოფილება გამოთქვა კურატორ ვიცე-მერის მიმართაც“, – აცხადებს მერიასთან დაახლოებული წყარო.

ნარმანიამ გამწვანების სამსახურისგან მეტი აქტიურობა, ხეების დარგვა, ალმაშენებლის ხეივნის მოწესრიგება და თბილისის ყველა უბნის სათანადოდ მიხედვა მოითხოვა.

მერმა, ასევე, უკმაყოფილება გამოთქვა იმ „უნიათობის გამო“ რასაც სამსახური იჩენს გამხმარი ხეების ჩანაცვლებისა და მწვანე მდელოების მოწესრიგების კუთხით.

„ასეთი განრისხებული და უკმაყოფილო მერი თითქმის არავის უნახავს. მან გამწვანების სამსახურის უფროსს კონკრეტულად განუცხადა, რომ, თუ უახლოეს დღეებში ვითარება არ გამოსწორდება, მთელი სამსახური დათხოვნილი იქნება“, – აცხადებს ინფორმაციის წყარო.

ვითარების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ნარმანია პირობას რომ შეასრულებს, ამის შესახებ მერიის კულუარებში საუბრობენ და არქიტექტურის სამსახურთან დაკავშირებულ ფაქტს იხსენებენ.

მან ანალოგიური პირობა უკვე შეუსრულა არქიტექტურის სამსახურს, რომელიც თბილისელებისთვის დიდ დაბრკოლებად და მერიის სტრუქტურაში ერთ-ერთ ყველაზე ბიუროკრატიულ სამსახურად იყო ჩამოყალიბებული. მერმა სამსახურიდან რამდენიმე პირი დაითხოვა და სტრუქტურის რეორგანიზაცია დაიყო, რომელიც უახლოეს დღეებში დასრულდება.

ნარმანია იმედოვნებს, რომ არქიტექტურის სამსახური დედაქალაქის მოსახლეობის ინტერესებს მაქსიმალურად გაითვალისწინებს და დიდ წვლილს შეიტანს თბილისის იერსახის მოწესრიგებასა და მასზე დაკისრებული სხვა მოვალეობების შესრულებაში. განსაკუთრებით კი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ბიუროკრატიული სქემები და მოქალაქეები მაქსიმალურად მოკლე ვადებში მიიღებენ სამსახურისგან პროფესიონალურად მომზადებულ პასუხებს.

**კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-**

## „ვიცი, ფარულ კადრებს ვინ სად ყიდდა და ვინ სად გაიტანა“



თავდაცვისა და შს ყოფილი მინისტრი, ახლა კი გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ირაკლი ოქრუაშვილი ირწმუნება, რომ წინა ხელისუფლებას ფარული კადრები თავისთვის ჰქონდა დანაწილებული.

ოქრუაშვილმა ტელეკომპანია „დიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მას აქვს ინფორმაცია, ფარულ კადრებს ვინ სად ყიდდა და ვინ სად გაიტანა.

– ერთ-ერთი საკითხია – ამ ხელისუფლებას შეეძლო თუ არა, აღეკვეთა ამ კადრების გადინება მას შემდეგ, რაც გადაიბარეს ხელისუფლება. ეს იყო პრაქტიკულად შეუძლებელი იმიტომ, რომ წინა ხელისუფლება არ იყო ხელისუფლება, ეს იყო გარკვეული ბანდა, რომელსაც თავისთვის ჰქონდა ეს კადრები დანაწილებული. ვიცი კიდეც, ვინ სად ყიდდა, ვინ რას სთავაზობდა, ვინ სად გაიტანა, ესეც ჩანდა. პატარა ქვეყანაა საქართველო, ბევრი ნაცნობი მყავს, ბევრი მეგობარი და არაფერი იმალება ამ ქვეყანაში. წაიღეს ახალაიებმა, წაიღეს სხვა ჯგუფებმა. ახლა უკვე ძნელი გასარკვევია, ეს საიდან მოდის, მაგრამ, თუ ისევ გამომძიებლის ინტუიციით მივუდგებით, მიზანია ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვა, ეს ყველაფერი კი აწყობს მას, ვინც ხელისუფლებას დისკომფორტს უქმნის. ჩემი აზრით, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ერთი ჯგუფი ან მთლიანი გუნდი.

მე რასაც შევესწარი, იყო ორი შემთხვევა, როდესაც ახალაიებმა დიდი სიხარულით ამცნეს სააკაშვილს, რომ ორი სასულიერო პირი ჰყავდათ ჩაწერილი და ამ ყველაფერს, მათთან ურთიერთობისთვის შემოინახავდნენ. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ჯერ კიდევ ახალი მოსულები ვიყავით ხელისუფლებაში, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა. (pia.ge)

## „ჩვენ გავიმარჯვებთ და დავიცავთ საჯიშე ბიჭებს გაპიდარასტებისგან“ – თამარ ჩერგოლეიშვილი



– დადგა რა ქართველი ერი გაპიდარასტების გარდაუვალი საფრთხის წინაშე, ბიძინა ივანიშვილმა, გიორგი კვირიკაშვილმა და ირაკლი ალასანიამ არ დაზოგეს ფალავნები და გამოიყვანეს ქართველ მამრთა ცდუნების აღსაკვეთად. ამ ფალავანთა სახელებს ოქროს ასოებით ჩაწერს ჟამთაალმწერელი საქართველოს ისტორიაში, მანამდე კი ჩემ კედელზე უნდა უკვდავვყო.

მანანა კობახიძე, გუბაზ სანიკიძე, გიორგი ვოლსკი, ეკა ბესელია, გიგა ბუკია, გოჩა ენუქიძე, კახა ოქრიაშვილი, გოგი თოფაძე, ზურაბ ტყემალაძე, გედევან ფოფხაძე, გიორგი ცაგარეიშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, ვაჟა აზარაშვილი (კომპოზიტორი), მერაბ თავაძე (კინორეჟისორი) და ნანა ჭილაძე (თსუ-ს კონსტიტუციური სამართლის პროფესორი).

ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ და დავიცავთ საჯიშე ბიჭებს გაპიდარასტებისგან, – წერს თამარ ჩერგოლეიშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (kutaisitoday.com)

## „ფეისბუკის“ ისტორიაში, ყველაზე მეტი გაზიარება დონალდ ტრამპზე დაწერილმა წერილმა დააგროვა



„ბიბისის“ ინფორმაციით, ღია წერილს ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატის, დონალდ ტრამპის მისამართით, „ფეისბუკის“ ისტორიაში, ყველაზე მეტი გაზიარება აქვს.

როგორც ირკვევა, 4 დღის განმავლობაში, ტექსტი მილიონზე მეტმა ადამიანმა გააზიარა, 65 ათასმა მომხმარებელმა კი კომენტარი დაწერა.

ტრამპის კრიტიკის შემცველი პოსტი **fotoblog Humans of New York**-ის გვერდზე დაიწერა. წერილის ავტორი ფოტოჟურნალისტი ბრენდონ სტენტონია, რომელიც წერს, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში ირანიდან, ერაყიდან და პაკისტანიდან დევნილ უამრავ ადამიანთან ჩაწერა ინტერვიუ, გაიცნო ბევრი მუსლიმანი ემიგრანტი. როგორც სტენტონი წერს, ეს გამოცდილება მას აძლევს საშუალებას, გააკეთოს დასკვნა, რომ ყველაზე ამაზრზენი და ზიზღით სავსე ადამიანი მსოფლიოში არის – დონალდ ტრამპი.

სტენტონი აკრიტიკებს იმ ფაქტს, რომ ტრამპი ხელს უწყობს ძალადობას, მოითხოვს ტერორისტთა ოჯახის წევრების წამებას და სიკვდილით დასჯას, მიგრანტებს „გველებად“ მოიხსენიებს და აცხადებს, რომ „ისლამს ვძულვართ“. (pia.ge)

## „კონსტიტუციაში შევიტანოთ მუხლი, რომ კაცმა ბებია არ უნდა სცემოს“



პარლამენტმა საკანონმდებლო ინიციატივა ქორწინების განსაზღვრებასთან დაკავშირებით დაამტკიცა. დადგენილების პროექტმა დეპუტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ნუგზარ წიკლაური აცხადებს, რომ ვერ წარმოუდგენია, თუ აღმოჩნდება ვინმე დარბაზში, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ ქორწინება მართლაც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი, სოციალური ერთობაა.

– თვით უმრავლესობის წარმომადგენელმაც კი ბრძანა, რომ 99% და კიდევ მეტი არის გამზიარებელი იმის, რაზეც ვსაუბრობთ. მაშ, რატომ დადგა საკითხი დღის წესრიგში?!. კონსტიტუციაში შევიტანოთ მუხლი, რომ კაცმა ბებია არ უნდა სცემოს. ესეც ხომ ყველამ ვიცით, რომ ასეთი რამ დაუშვებელია, რატომ არ არის უამრავი სხვა საკითხი კონსტიტუციაში შეტანილი? – აცხადებს წიკლაური. (pia.ge)

## „თუ ლარის კურსის ვარდნა სტაბილურ სახეს მიიღებს, ეს შეიძლება, ფასებზეც აისახოს“



ლარის გამყარების პარალელურად, რიგმა კომპანიებმა პროდუქტი გააიაფეს. ჯერჯერობით, ფასები შემცირდა მედიკამენტებსა და საწვავზე.

მოსალოდნელია თუ არა საკვებ პროდუქტებზე ფასების ცვლილება ლარის გამყარების პარალელურად?

ექსპერტი სოსო არჩვაძე აცხადებს, რომ სურსათზე ფასების ვარდნა გამორიცხული არ არის, თუმცა ლარის გამყარების პირობებში, გაძვირებულ იმპორტზე ქვეყნის მოსახლეობის გადახდისუნარიანობის გაზრდა უფრო მოსალოდნელია.

– ამ კითხვაზე ცნობილი ნათქვამი მახსენდება, რომელსაც პოლიტიკასა და დიპლომატიაში იყენებენ: არასოდეს თქვა – არასოდეს! რაიმე კატეგორიულის თქმა არ მიმართულებით არ შეიძლება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სურსათზე ფასების ფორმირება, დიდწილად, დამოკიდებულია იმპორტზე. ამიტომ მარტო ჩვენი შიდა ძალისხმევა ნამდვილად არ იქნება საკმარისი. თვალყური უნდა მივადევნოთ იმ ქვეყნებში ფასების დინამიკას და განსაკუთრებით, ეროვნული ვალუტის თანაფარდობას ამერიკულ დოლართან. ახლა დოლარის დასუსტების და სხვა ქვეყნების ვალუტების გამყარების ზოგადი ტენდენცია შეიმჩნევა. ასეთ პირობებში, თანაც ნავთობის გაძვირების პარალელურად, ჩვენი სავაჭრო პარტნიორის ვალუტა მყარდება დოლართან მიმართებაში და საქონლის იაფად შემოტანის პერსპექტივა საკმაოდ შეზღუდული გამოდის. ჩვენი ვალუტა მყარდება და ეს არის იმის საფუძველი, რომ შევიძინოთ არა გაიაფებული იმპორტი, არამედ გავზარდოთ ჩვენი მოსახლეობის გადახდისუნარიანობა. ამით გადავფაროთ სტაბილური, ან შედარებით, გაძვირებული საქონლის იმპორტი. ეს მდგომარეობა იქნება უახლოესი პერიოდისთვის დამახასიათებელი, – აცხადებს სოსო არჩვაძე.

ექსპერტ ლევან კალანდაძის განცხადებით, თუ ლარის კურსის ვარდნა სტაბილურ სახეს მიიღებს, შესაძლოა, ეს პირველადი მოხმარების საგნებისა და საკვები პროდუქტის ფასზეც აისახოს.

– ბუნებრივია, ლარის კურსი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საცალო ქსელში პროდუქციის ფასს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ეკონომიკა იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა. გარკვეული მოლოდინები ამ მიმართულებით, ბუნებრივია, არსებობს. ერთი საკითხია გასათვალისწინებელი – ის, რაც იყიდება, როგორც პირველადი მოხმარების პროდუქტები, ისე კვების პროდუქტები, მათგან დიდი რაოდენობა დაკონტრაქტებულია ლარის მაღალი კურსის პირობებში. შესაბამისად, ეს მარაგები უნდა გაიყიდოს და ახალი კურსით დაკონტრაქტებული საქონელი შემოვიდეს. როგორც წესი, ასეთი მარაგების გაწოვას, დაახლოებით, ორი თვე სჭირდება. იმისთვის, რომ ფასების ცვლილება ვიგრძნოთ, თავად ლარის სტაბილურობის ტენდენცია უნდა შენარჩუნდეს უახლოესი თვეების განმავლობაში. თუ ლარის კურსი აღნიშნულ ტენდენციას უახლოეს თვეებში შეინარჩუნებს, მოსალოდნელი იქნება, რომ ეს ფასებზეც აისახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოლოდინი არ გვექნება იმისა, რომ ფასები დაიწევს, – აცხადებს ექსპერტი. (pia.ge)

## „ქუთაისში თუ ასეთ აქციას მოვესწრებოდი, ნამდვილად არ მეგონა“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე, ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან „იდენტობის“ მიერ გამართულ აქციასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ დემონსტრაციასა და დროშების ქნევას არ მიესალმება.

ნიშნიანიძის თქმით, ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მსგავსი ტიპის აქცია ქუთაისში ოდესმე გაიმართებოდა.

– ეს აქცია მიუღებელია. ქუთაისში თუ ასეთ აქციას მოვესწრებოდი ნამდვილად არ მეგონა. მე უარყოფითად ვუყურებ ამ ყველაფერს. შეკრების თავისუფლება არის, ჩვენ ანტიდისკრიმინაციული კანონიც მივიღეთ. არაფერს არ ვუშავებთ მათ და ვიცავთ მათს უფლებებს, მაგრამ დემონსტრაციას, დროშების ქნევას და რაღაც-რაღაცების გამოფენას, ჩემს ქალაქში, ნამდვილად არ მივესალმები, – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაცია „იდენტობამ“ პარლამენტთან კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიცია გააპროტესტა. აქცია რამდენიმე წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. (pia.ge)

## „მაკა ასათიანი მოლაპარაკების მაგიდასთან არ დაჯდება“



ტელეკომპანია „მაესტროს“ ყოფილი დირექტორი, ბაია გადაბაძე აცხადებს, რომ მაკა ასათიანი ტელეკომპანიის თანადამფუძნებლებთან მოლაპარაკებებს კატეგორიულად გამორიცხავს.

– არ ვიცი, კარს უკან, ვინ სად ლაპარაკობს და ამით შეგნებულად არ ვინტერესდები. მე ვიხელმძღვანელებ იმით, რას იტყვის ყველა მხარე – ერთიც, მეორეც და მესამეც. მესამე მხარედ, ეკა აკობია და მამუკა ღლონტი გამოცხადდნენ, თუმცა არ მიმაჩნია, რომ ეს ასეა. ისინი ყველა ერთად არიან ტელევიზიის დამფუძნებლები. მიმაჩნია, რომ ყველას აქვს თავისი წვლილიც და შეცდომებიც შეტანილი, ამიტომ, სამივე მხარემ ერთად უნდა ილაპარაკოს და ჩიხიდან გამოსავალი იპოვოს. რაც შეეხება მოლაპარაკებებს – მაკა ასათიანს ველაპარაკე. მაკა ასათიანი მოლაპარაკებების მაგიდასთან არ დაჯდება და არც არავინ მიიღებს მოლაპარაკებებში მონაწილეობას მისი სახელით, – აღნიშნა ბაია გადაბაძემ. (pia.ge)

## „ქურდული სხოდკა“ იტალიაში — ქართველი „კანონიერი ქურდები“ ერთმანეთს „ტიტულს“ ართმევენ



„კანონიერმა ქურდმა“ 45 წლის გიორგი ვიბლიანმა (გიგა ტბილისსკი) იტალიაში გამართულ „სხოდკაზე“ ტიტული დაკარგა. მის წინააღმდეგ მთავარი ბრალდება ფინანსური არაკეთილსინდისიერება იყო, რასაც ქურდულ ჟარგონზე „კრისობას“ ეძახიან.

როგორც „პრაიმკრაიმი“ წერს, მას ბრალდება 39 თბილისელმა წლის კაკო ლანდიამ წაუყენა. როგორც ცნობილი გახდა, გიგამ ერთ-ერთი კომერსანტისგან აღებული ფული მიითვისა, რომელსაც პრობლემების მოგვარებაში არა მარტო ის, არამედ სხვა ქურდებიც ეხმარებოდნენ. კაკოს მიერ მოწვეულ შეკრებაზე მყოფებს აღარ დარჩენიათ არანაირი ეჭვი გიგას დანაშაულში და მის დაცვაზე თვით მისმა „ნათლიებმა“ – „დათო სვანმა“ და „ლევან პუქურამაც“ კი უარი თქვეს.

მას შემდეგ, რაც კაკო ლანდია უფრო და უფრო იხვეჭდა ავტორიტეტს ქურდულ სამყაროში, ბევრი წინასწარმეტყველებდა, რომ ვიბლიანის მზე მალე ჩაესვენებოდა. გიგას სხვა დანაშაულიც მიუძღოდა – მან მონაწილეობა მიიღო თბილისის №7 საპყრობილეში გია ქართველიშვილის კოლექტიურ ცემაში, რაშიც მათ, როგორც აცხადებენ, ციხის ადმინისტრაცია დაეხმარათ.

თავისუფლებაზე გამოსვლის შემდეგ გიგამ ერთ-ერთი ქურდული კლანის მხარე დაიჭირა და ყოველთვის იდგა ოპონენტების მხრიდან დარტყმის საფრთხის წინაშე... (ნიუპოსტი)

## „ბურთი რუსეთის მხარეს იყო და უკვე მივიღეთ პასუხი, რომ მათაც მიიღეს პრინციპული გადაწყვეტილება“

რუსეთთან ურთიერთობების საკითხში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რუსეთთან საბაჟო მონიტორინგის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები თითქმის დასრულებულია.

„რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას აბაშიძემ განაცხადა, რომ საქართველომ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად სამუშაოები დაასრულა. მისი თქმით, შესაბამისი გადაწყვეტილება რუსეთის მხრიდანაც მიღებულია, შესაბამისად, ორივე მხარე შვეიცარიულ კომპანიასთან უახლოეს პერიოდში მოაწერს ხელს.

– ხელშეკრულებას საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის 2011 წელს მოეწერა ხელი, რომელიც საბაჟო მონიტორინგის პროექტის ამოქმედებას და შვეიცარიული კომპანიის ჩართვას გულისხმობს. ჩვენი მხრიდან, ყველაფერი გაკეთდა – როგორც იტყვიან, ბურთი რუსეთის მხარეს იყო და მივიღეთ პასუხი, რომ მათაც მიიღეს პრინციპული გადაწყვეტილება. ალბათ, სამუშაო ჯგუფები შეხვდებიან ერთმანეთს შვეიცარიაში და მოსამზადებელ პერიოდს წერტილი დაესმება. შესაბამისი კონტრაქტები გაფორმდება ორივე მხრიდან შვეიცარიულ კომპანიასთან და აღნიშნული პროექტის რეალიზაცია დაიწყება, – აღნიშნა აბაშიძემ.

აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოდან რუსეთის მიმართულებით ტვირთების გადაადგილებაზე შვეიცარიული კომპანია საბაჟო მონიტორინგს 3 მიმართულებით მოახდენს: ერთი ე.წ. სავაჭრო კორიდორი გადის აფხაზეთზე, მეორე ცხინვალის რეგიონზე და მესამე ყაზბეგი-ლარსის მიმართულებით. (pia.ge)

## მგლებმა 55 წლის მამაკაცი შეჭამეს



დუშეთის რაიონის სოფელ კაწალხევში მგლებმა სოფელ ინოში მცხოვრები 55 წლის მამაკაცი შეჭამეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს მაღაროსკარში გამგებლის წარმომადგენელმა როლანდ ზურაბაშვილმა განუცხადა, სავარაუდოდ, მამაკაცს მგლების ხროვა თავს მაშინ დაესხა, როცა ის სახლში ბრუნდებოდა. მამაკაცის ცხედარი ტანსაცმლით ამოიცნეს.

გამგებლის წარმომადგენლის განცხადებით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მტაცებელი ცხოველები სოფელში თავისუფლად გადაადგილდებიან. მისივე თქმით, მგლების მოკვლის მიზნით მაღაროსკარის თემის მოსახლეობა მონადირეთა ჯგუფების გამოყოფას ითხოვს.

– მამაკაცის ცხედარი გზაზე ბავშვმა ნახა. შემდეგ დამიკავშირდნენ და ადგილზე მისულებს ტანსაცმელი და თავის ნაწილი დაგვხვდა. მგლების გამო, ხალხი სოფელში ტრანსპორტის გარეშე ვერ გამოდის. ზაფხული მოდის და შესაძლოა, ხალხი საქონლის გარეშე დარჩეს. მომხდარის შემდეგ დავურეკე დუშეთის გამგებელს და მონადირეთა ჯგუფის გამოყოფა ვთხოვე. საქმეს პოლიციაც სწავლობს, – განაცხადა როლანდ ზურაბაშვილმა. (exclusivenews.ge)

## გერმანიაში ქურთი ქალი გარიგებით ქორწინებაზე უარის თქმის გამო მოკლეს



21 წლის ეროვნებით ქურთი ქალი, რომელმაც უარი განაცხადა თავისივე ბიძაშვილთან გარიგებით ქორწინებაზე, მოკლეს. ინფორმაციას ამის შესახებ ბრიტანული „ტელეგრაფი“ ავრცელებს.

ფოტო, რომელშიც ქალი სისხლის გუბეში წევს, მოკლულის მამამ, 50 წლის გაზიმ სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა.

– დიდი მწუხარებითა და ტკივილით ვაცხადებ, რომ ქალიშვილი დავკარგე. ის მუხანათური ტრადიციის მსხვერპლია, – წერს ქალის მამა.

მისივე ინფორმაციით, მკვლელობა გერმანიაში, ჰანოვერში მოხდა, საქორწინო ცერემონიის დროს, როდესაც მან უარი განაცხადა 22 წლის ბიძაშვილ სეფინთან დაქორწინებაზე.

პოლიციას სეფინის დაკავების ორდერი უკვე აქვს.

როგორც გაზი ყვება, მისი ოჯახი გერმანიაში მაშინ ჩავიდა, როდესაც მისი ქალიშვილი შილანი 3 წლის იყო. გაზის განცხადებით, მან ოჯახი ძმას ჩააბარა, სანამ ის ერაყში სამუშაოდ იმყოფებოდა. სწორედ მისმა ძმამ გადაწყვიტა ქალ-ვაჟის გარიგებით დაქორწინება. (news.ge)

## „რუსეთი დაიწყებს ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას და მოსინჯავს, რამდენად შეიძლება სიტუაციის არევა“



საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის განცხადებებს ყურადღება არ უნდა მიაქციოს და სიმშვიდე შეინარჩუნოს.

ზურაბიშვილმა გადაცემა „20/30“-ში განაცხადა, რომ რუსეთი ეცდება, ქვეყანაში სიტუაცია არიოს.

– ამ ტიპის განცხადებები რუსეთისგან მოსალოდნელია, რადგან ჩვენ მივდივართ ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით. ეს არის ის პერიოდი, როდესაც ნათელია, რომ რუსეთი დაიწყებს ხმამაღალ განცხადებებს, რომ საზოგადოებაში მოსინჯოს, რამდენად მყარია ჩვენი გადაწყვეტილებები და რამდენადაა შესაძლებელი სიტუაციის არევა. აქ არ არის საჭირო განცხადებები, ყველაფერზე კარგი პასუხი იქნება სიმშვიდე და საქმის კეთება, – აღნიშნა ზურაბიშვილმა. (pia.ge)

## დიდი ბრიტანეთი უკრაინასთან სამხედრო შეთანხმების დამტკიცებას აპირებს



დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრ, მაიკლ ფელონის განცხადებით, ბრიტანეთი უკრაინასთან ახალი თავდაცვითი შეთანხმების პროექტის შემუშავებას გეგმავს.

აღნიშნულ ინფორმაციას გამოცემა „ტელეგრაფი“ ავრცელებს.

გამოცემის განმარტებით, სამხედრო შეთანხმება, რომელსაც ხელი 15 წლის ვადით მოეწერება, რუსეთისთვის წინააღმდეგობის გასაწევად უკრაინელი სამხედროების წვრთნასა და მომზადებაში მხარდაჭერას ითვალისწინებს.

– დიდი ბრიტანეთი მყარად იდგება უკრაინის გვერდით, რომელიც საკუთარი ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს, – აღნიშნა ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა. (pia.ge)

# მეუფე პრეზიდენტის ტერმინოლოგიას საროსკიპოს მენეჯერის ლაპარაკს ადარებს



სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი გიორგი მარგველაშვილს გაკეთებული განცხადებისთვის აკრიტიკებს:

– თქვენ, ალბათ, ნახეთ, გავრცელდა კადრები, ერთ-ერთი დიდი ყოფილი თანამდებობის პირისთვის რაღაც მრუშობის კადრები გადაუღიათ და ეს გავრცელდა სოციალურ ქსელებში. როგორც ჩანს, ბევრმა ნახა და ამაზე გაკეთდა შეფასებები. რა თქმა უნდა, ღმერთმა მიუტევოს იმ ადამიანს, ვინც ეს მრუშობა ჩაიდინა და მან დიდი სინანული უნდა აჩვენოს, იმიტომ, რომ ღვთის წინაშე არ არის კარები არასდროს დაკეტილი, მან აუცილებლად უნდა შეინანოს, რომ ღმერთმა ის ცოდვა აპატიოს, იმიტომ, რომ წერია, „ქორწილი არის წმიდა და საწოლი შეუგინებელი“ – ოჯახის ღალატი ეს არის უმძიმესი ცოდვა, რომელზეც ძალიან მძიმე ეპიტემიას იყენებს ეკლესია და კაცის კვლას უთანაბრებს. რა თქმა უნდა, ამ დედაკაცმა ეს უნდა შეინანოს, ღმერთმა მიუტევოს მას ეს და მისცეს სინანული, რომ ეს შეინანოს. მაგრამ როგორ შეფასდა ეს ყველაფერი? სამწუხაროდ, მასმედიაში, ხელისუფლების წევრის გამოსვლაში, ზოგიერთი პარლამენტარის გამოსვლაში სრულიად მოულოდნელი შეფასებები იყო. ისეთი, რომ კიდევ უფრო დიდი შიში დანერგა ჩვენში, დავინახეთ, რომ ჩვენი ერი გაცილებით მძიმედ არის ცოდვებში ჩაძირული... სახელმწიფოს მეთაური გამოდის ტელევიზორში და ამ ფაქტს ასეთ შეფასებას აძლევს, – იცით, რაო?! რა არის ამაში ცუდი, მე ძალიან მდიდარი სექსი მქონდაო, მაქვს და მექნებაო. არაფრით არ არის ეს სახელმწიფოს მეთაურის ლაპარაკი. ეს არის საროსკიპოს, ანუ ბორდელის მენეჯერის, სუტენიორის ლაპარაკი და მისი ტერმინოლოგია. ასეთ საშინელ და უბედურ დღეში ვართ ჩვენ – ასეთ ადამიანებს დღეს სახელმწიფოში თანამდებობები უჭირავთ. ხალხი უნდა გავაფრთხილოთ, რომ არ მოუსმინონ ასეთ სიბილწეს. გინდა პარლამენტარი იყოს, გინდა სახელმწიფოს მეთაური. კაცი, რომელიც ოჯახს ღალატობს, დედაკაცი, რომელიც ოჯახს ღალატობს, ორ შაურად გაყიდის თავის ქვეყანას. თავისი ოჯახი არ უყვარს და ქვეყანას შეიყვარებს?! სინანული კი არა, ტრაბახობს, ამაშია მთელი უბედურება. და სხვასაც მოუწოდებს, ასეთები იყავითო. უბედური! გარყვნილი! – ბრძანა ქადაგებისას მეუფე სპირიდონმა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რისთვის ჩამოდის სინამდვილეში

## რატომ ვერ დაამტკიცებს თავის





„ნაკლები საფუძველია პირდაპირ ვიფიქრო, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ გაკეთებული“



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

პოლიტიკოსების ე.წ. პორნოსკანდალი აქტუალობას არ კარგავს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ უცხოურმა საიტებმა ქართველ მაღალჩინოსანთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გაყიდვა დაიწყეს, ამ კადრების ფასი, საშუალოდ, 8000 დოლარია, რა თქმა უნდა, ეს ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინტერნეტპორტალი ავრცელებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა კი ამ ინფორმაციას არ უარყოფს. ყველაზე მთავარი კითხვა ძალაშია, თუ ვის ინტერესებში შედიოდა მორალური ტერორი და ამ კადრების ტირაჟირება. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ჯერჯერობით პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ იღებენ იმ ყველაფერზე, რამაც დღეს ეს ვანდალური შედეგი დააყენა, როცა მორალურად ადამიანებს ანადგურებენ. მაგალითად, გიგა ბოკერია აცხადებს, — თუ ჩვენ დროს ამ კადრების გადაღება ხდებოდა, ეს კადრები არ გამოგვიქვეყნებიაო. არაერთხელ მოგვისმენია გიორგი ვაშაძის კომენტარი, რომ ხელისუფლება არის დამნაშავე, რათა მან ვერ მოახერხა იმ დამნაშავე პირების დასჯა, ვინც ამ მანიაკურ და ყოვლად დაუშვებელ სიბინძურეს ეწეოდა. გამაოგნებელი ვითარებაა შექმნილი, „ნაციონალური მოძრაობა“ მომხდარზე პასუხისმგებლობას არ იღებს და ხელისუფლება, რომლის პირობებშიც ეს ხდება, უძლურია, საბოლოოდ შეაჩეროს მორალური ტერორი ქვეყანაში.

იურისტი **ვალერი გელბახიანი** „ალიას“ კითხვებს პასუხობს:

**— თქვენი აზრით, ვინ არის დაინტერესებული, რომ გაავრცელოს პოლიტიკური ფიგურების, გნებავთ, ჟურნალისტების ან საზოგადო მოღვაწეების პირადი ცხოვრების სკანდალური ფირები, ვის წისქვილზეასხამს ეს წყალს?**

– ეჭვის საფუძველი არსებობს ორივე მხარის მიმართ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სპეცსამსახურების მეშვეობით ჩაწერა პოლიტიკური ოპონენტებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოფირები იმ მიზნით, რომ ეს ყოფილიყო კომპრომატი და ამ კომპრომატს ჰქონოდა თავისი დანიშნულება. კომპრომატი არ უნდა გამოქვეყნებულიყო და არც გამოქვეყნებულა, რადგან მათ ეს ხალხი სჭირდებოდათ მეკავშირეებად, ინფორმატორებად, ეს კომპრომატები შანტაჟისა და მუქარის საუკეთესო საშუალება იყო. ამიტომ, როცა კომპრომატები გროვდება, მისი დანიშნულება გასაჯაროება არ არის. როდესაც ამოწურა ამა თუ იმ პიროვნებამ ინფორმატორის ფუნქცია, შემდეგ მას, მუქარის სახით, აუსრულებენ და გამოუქვეყნებენ. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ავტორი ამ კომპრომატების გამოქვეყნებისა, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ მიზანი, რომ ის ადამიანები, ვისზეც არის კომპრომატი, ჩამოშორდნენ პოლიტიკას და მოხდეს მათი დისკრედიტაცია. მოდით, ვთქვათ, ვინ არიან ადამიანები, ვისზეც კომპრომატები ვრცელდება. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ყოფილი მინისტრი, ხოლო მეორე – საპარლამენტო, ან პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელი. თუკი ამ უკანასკნელზე კომპრომატის გამოქვეყნების მიზანი არის ის, რომ ჩამოსცილდეს პოლიტიკას, მიზანი მიღწეულია და ეს ადამიანი ველარ მოხვდება „ქართული ოცნების“ სიით პარლამენტში. აი, ახლა უკვე მიჩნდება კითხვის ნიშანი... რაშილა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესი, როდესაც ამ კომპრომატების გამოქვეყნება დაიწყო. იყო ეს ანგარიშსწორება?.. პოლიტიკურად კომპრომატები ანგარიშსწორებაზე არ არის აგებული, ის ორიენტირებულია შედეგზე. ამიტომ ცოტა ნაკლები საფუძველია, პირდაპირ ვიფიქრო, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ გაკეთებული. თუმცა, არაფერს გამოვრიცხავ. ერთი ფაქტია, შედეგი იმისა, რაც ჰქონდა ამ კომპრომატების გამოქვეყნებას, არ მიდის „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებთან. ახლა განვიხილოთ, „ქართული ოცნებიდან“ აწყობთ თუ არა იმ ადამიანების პოლიტიკიდან ჩამოცილება, ვინც დღეს პოლიტიკაშია. ბუნებრივია, ეს ინტერესი უფრო „ქართულ ოცნებაშია“, რადგან იქ იწყება წინასაარჩევნოდ ძალიან მაღალი კონკურენცია. საპარლამენტო სიაში მოსახვედრად არის ძალიან დიდი დაპირისპირება. 2012 წლის შედეგებს „ქართული ოცნება“ ვერ დადებს, საპარლამენტო სიაზე უკვე გამოთქმულია აზრი, მათ შორის ბიძინა ივანიშვილისგან, რომ სია 80%-ით გადახალისდება და გარანტირებულად გამსვლელი იქნება 25 კაცი „ქართული ოცნების“ სიიდან. ბუნებრივია, კოალიციაში შემავალი თითოეული პარტიის სია შევიწროვდება, შემჭიდროვდება, აქედან გამომდინარე დაიწყო კომპრომატების ომი, ჩვენ ვნახეთ, მუქარის ტექსტში იყო, რომ 31 მარტის შემდეგ გამოქვეყნდება კონკრეტულ პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი ფირები, თუკი ისინი არ გადადგებიან დაკავებული თანამდებობიდან. ამ ჩამონათვალში გაჟღერებული იყო თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის გვარი და სახელი. მოდით, ვთქვათ, ვის აწყობს თინა ხიდაშელის ჩამოშორება. აწყობს იმას, ვინც კოალიციაში კონკურენციაშია „რესპუბლიკურ პარტიასთან“. ამიტომ შექმნილი ვითარება იძლევა იმის ვარაუდს, რომ კომპრომატების ომი წამოსულია „ქართული ოცნების“ წიაღიდან. მით უმეტეს, გაიხსენეთ ორი წლის წინანდელი სკანდალი, როცა ფარესიშვილზე გამოქვეყნდა პირადი ცხოვრების ამსახველი ფირები. ის გამოაქვეყნა ხელისუფლების ყოფილმა მაღალჩინოსანმა. მართალია, ხვედელიძე ხელისუფლებიდან ჩამოიშორეს, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ამ კადრების გამოქვეყნება ხელისუფლებაში შემავალ კონკრეტულ ჯგუფს აწყობდა. დღეს კი ეჭვი მაქვს, რომ ამ კომპრომატებით ჩამოიცილებენ „ქართული ოცნების“ არასასურველ ფიგურანტებს. პირველი კომპრომატი გამოქვეყნდა ყოფილ მაღალჩინოსანზე, ეს იყო მუქარა სხვების მისამართით, მე ვფიქრობ, კიდევ გამოქვეყნდება. მართალია, გამოძიება გრძელდება, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტულ კვალზე არ გასულან. მე გამოძიების მიმართ პრეტენზია არ მაქვს, პირიქით, მათ საკმაოდ აქტიურად დაიწყეს მუშაობა, ეს სხვებისთვის გაკვეთილი იქნება, მაგრამ თუ ფარული ტექნოლოგიებით მოხდება კადრების გავრცელება, ძალიან გართულდება დამნაშავეების გამოვლენა. თუ დავაკვირდებით, ვისი მისამართით ისმის მუქარა, ეს არის ერთი კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის მიმართ გამიზნული, ეს არის კოალიცია „ქართული ოცნება“, ტექნოლოგიურად სწორად არის ნაფიქრი.

**— ქართული მხარე ითხოვს, „ეფბიაი“ ჩაერიოს გამოძიებაში. ამხელა აჟიოტაჟი ატყდა და ის, ვინც ამ ბოროტებაზე მიდის, გაბედავს კი, გააგრძელოს კადრების გავრცელება?**

– რატომ ვერ გაბედავენ, რა შეუშლით ხელს? ჩვენ ვნახეთ, საზოგადოების რა მწვავე რეაქცია მოჰყვა პირველ კადრებს, რომელიც ნამდვილად შოკისმომგვრელი იყო, მაგრამ რამდენიმე დღეში მათ კვლავ გაბედეს და გამოაქვეყნეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, ახლა უკვე მუქარის ტექსტით. რა თქმა უნდა, დაუშვებელია პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების საჯარო გამოქვეყნება, ეს არის დასჯადი და კონსტიტუციიდან მოყოლებული სისხლის სამართლის საქმით დამთავრებული, კრძალავს ასეთ მოქმედებას. ამიტომ სახელმწიფოს ფუნქციაა, დამნაშავე გამოავლინოს და დასაჯოს ამ საშინელების ჩამდენი, მაგრამ ამას აქვს მეორე მხარე, 11 ათასი ფაილი არსებობდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების, გამოცხადდა, რომ ეს კადრები განადგურდა. როგორც ჩანს, მისი ასლები არ განადგურებულა. ბაბუაჩემისა და ბებიაჩემის საფლავის ქვქვას რომ არ დაიწყებდნენ, ფაქტია. იმ 11 ათას ფაილში ძირითადი ნაწილი მოდის მოქმედ პოლიტიკოსებზე, რომელთა პირადი ცხოვრებაც არის ჩაწერილი, ასევე, იმ ჟურნალისტების, რომლებიც ხელს უშლიდნენ მაშინდელ ხელისუფლებას. ის, რომ ყველა ხელისუფლება დაინტერესებულია, ჰქონდეს კომპრომატები ოპონენტებზე და მოქმედ პოლიტიკოსებზე, ეს საკითხი საკამათო არ არის და სპეცსამსახურებისთვის ეს აბსოლუტურად მისაღები თემაა. მოდით, ახლა ვივარაუდოთ, რომელიმე დაინტერესებული ქვეყნის სპეცსამსახურებს აქვთ ეს კადრები, გავიდა კავშირზე თანამდებობის პირთან, რომელზეც არის კომპრომატები და მას მოსთხოვა საიდუმლო სახელმწიფო ინფორმაცია. როგორ გგონიათ, თანამდებობის პირი ამ ინფორმაციას დაუმალავს და ასეთ ჩინოვნიკს უცხოეთის სპეცსამსახურები არ გამოიყენებენ?!. აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა, კადრების გამოქვეყნება დაუშვებელია, მაგრამ რატომ არ არის დასაშვები იმ პირთა სიის გამოქვეყნება, ვისაც სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობა უკავია და მათზე არსებობს კომპრომატები. მე ვთვლი, რომ უნდა მოხდეს ლუსტრირება, ვისზეც არსებობს ეს კადრები. ნამდვილად არ მაინტერესებს კადრების შინაარსი, ვინ კარტს თამაშობს, ვინ დომინოს და ვინ სექსითაა დაკავებული და ვინ ნარკოტიკს იკეთებს, მაგრამ დიახაც, საზოგადოებას აინტერესებს სია, ვისზეც არსებობს კომპრომატი, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ ნდობა და მათი დაშვება ისეთ საიდუმლო ინფორმაციებთან, რომელსაც ის ფლობს. ამიტომ, ასეთი კომპრომეტირებული ადამიანები არ შეიძლება იყვნენ თანამდებობებზე. უნდა ჩატარდეს დახურული სხდომა, სადაც გაიხსნება ფაილები და მერე გადაწყდება, ენდობა



### ექსპერტი

თუ არა სახელმწიფო შემდგომში ამ ადამიანს. ის, რომ ჩვენ მივედით კატასტროფულ მდგომარეობამდე, როცა 11 ათასი კომპრომატია, ეს არ გახლავთ პატარა ციფრი, მე ვთვლი, რომ აუცილებელია ლუსტრირება, გამოვლინდეს, ვინ თანამშრომლობს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან და ეს კომპრომატები პირდაპირი იარაღია ადამიანების „დასავერბოვკებლად“. სანამ არ დასახელებულან ის ადამიანები, ვისზეც არსებობს კომპრომატები, დამიჯერეთ, მანამდე ამ ქვეყანას საფრთხე ექნება და ყველა თანამდებობის პირი იქნება გაყიდული. დიახაც, ნომერ პირველი ამოცანაა, მოხდეს ლუსტრაცია და აღარ დაიკავონ იმ პირებმა თანამდებობები, ვისზეც არსებობს კომპრომატები.

**— „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია აცხადებს, მე რომ მცოდნოდა, ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს იღებდა „ნაციონალური მოძრაობა“, ჩემი ფეხი იმ ხელისუფლებაში არ იქნებოდაო. ყოფილმა პროკურორმა დაარღვია თუ არა თქვენი პირადი სივრცე, როცა გამოქვეყნდა კოდუასთან თქვენი საუბარი და ასევე, ბადრი პატარკაციშვილისა და კოდუას საუბრები, რასაც შემდგომ პატარკაციშვილის გარდაცვალება მოჰყვა?**

– მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ კანონში შეიტანა ცვლილება, რომ იურიდიულმა პირმა პასუხი უნდა აგოს, რაც მანამდე არ იყო. ვინაიდან „ნაცმოძრაობას“ უნდა წაეყენოს ბრალდება, როგორც იურიდიულ პირს, კონკრეტული დანაშაულების გამო. ეს რომ ხელისუფლებას თავის დროზე გაეკეთებინა, გაეთვალისწინებინა ზვიად გამსახურდიას პრეცედენტი, როცა მან მანდატი შეუწყვიტა კომუნისტური პარტიის წევრებს, დამიჯერეთ, არც ხმას ამოიღებდა ვინმე და არც აქამდე მივიდოდა საქმე. როცა მეკითხებით, დაირღვა თუ არა ჩემი პირადი სივრცე, როცა ინტერნეტსივრცეში აიტვირთა და ტელევიზიით გამოქვეყნდა ფარული ჩანაწერი, რა თქმა უნდა, დაირღვა. ჯერ ერთი, ეს იყო 8-საათიანი საუბრის მონტაჟი და დაიყვანეს 12 წუთამდე. ეს კანონით აკრძალული იყო და არ შეიძლებოდა. გაავრცელეს პირადი საუბრები და რაც ყველაზე მთავარია, მათ სანქცია არ ჰქონდათ სასამართლოსი ამ საუბრე-

ბის ჩაწერასა და დამუშავებაზე. პატარკაციშვილთან ფარული მოსმენა და ჩაწერა რომ განხორციელებულიყო, საჭირო იყო ინგლისის სასამართლოს ნებართვა. წარმოადგინონ, სად არის ინგლისის სასამართლოს ნებართვა. როცა კანონი ირღვევა, იქ სახელმწიფო მიდგომა აღარ არსებობს და მისი გამართლება არანაირად არ შეიძლება.

**— „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერმა ირმა ინაშვილმა დააანონსა, რომ არსებობს წამების ამსახველი „ნაციონალური" რეჟიმის დროს გადაღებული კადრები, სადაც ადამიანების სიკვდილია აღბეჭდილი. თუკი ასეთი კადრები გამოქვეყნდება, სადამდე მივალთ და როგორი არჩევნები ელოდება საქართველოს?..**

– ამ ტემპით შეიძლება ბი ალეკო ელისაშვილს, მაგრამ იქვე ვთქვი, ბრალს დამტკიცება სჭირდება, რაც ძალიან გაუჭირდებოდა ბატონ ელისაშვილს. მაშინ მე ბევრმა მითხრა, რომ გავაკეთე არაპოპულარული განცხადება, რითაც დავიცავი ბესელია და კობახიძე. არც ბესელიას და არც კობახიძის მიმართ არ გამაჩნია მორალური უფლება, ასევე პოლიტიკური უფლება, რომ დავიცვა, მაგრამ სამართალს სხვა კრიტერიუმები აქვს, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს. სხვათა შორის, იგივე ვთქვი გოგი თოფაძის მისამართით, როცა მან თინა ხიდაშელს წაუყენა ბრალი, რომ გააყალბა საგარეჯოს არჩევნები. ვთქვი, რომ თოფაძეს გაუჭირდება, დაუმტკიცოს ბრალი თინა ხიდაშელს. არჩევნების შედეგები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ცნო და ლეგიტიმაცია მისცა გამარჯვებულ კანდიდატს. მაშინ ეს გადაწყვეტილებები უნდა გაუქმდეს, რაც არ მოხდება. ახლა რომ მოუბრუნდეს „რესპუბლიკური პარტია" გოგი თოფაძეს და უთხრას, ცილი დაგვწამეო, დამერწმუნეთ, პროკურატურა ამ შემთხვევაში იტყვის, გაყალბებით არ ჩატარებულა არჩევნებიო, რა იქნება მერე? იდენტურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს ელისაშვილის შემთხვევაშია. მე ვფიქრობ, პოლიტიკოსებმა ცოტა მეტი უნდა იფიქრონ საკუთარ განცხადებებზე და გააანალიზონ, რა შედეგი მოჰყვება მათ ბრალდებებს. არ ვიცი, ელისაშვილი ბოდიშს მოიხდის თუ რას გააკეთებს, ყოველ შემთხვევაში პროკურატურის დასკვნა რომ საბოლოოა და არ შეიცვლება, ფაქტია.

**— თინა ხიდაშელის წინააღმდეგ კამპანია გოგი თოფაძემ დაიწყო, რასაც მოჰყვა კომპრომატების გამოქვეყნების მუქარა და „დააგვირგვინა" რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კარასინმა, როცა თქვა, რომ თინა ხიდაშელის განცხადებები უპატიებელი შეცდომაა და თავმოყვარე ქვეყანა ასეთ დროს სათანადოდ რეაგირებს, ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარიო. ხომ არ ფიქრობთ, რომ თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ ორკესტრირებული კამპანიაა?**

– თინა ხიდაშელი გამონაკლისი არ არის, როცა რუსეთი ასეთი ტიპის განცხადებას აკეთებს თავდაცვის მინისტრის მიმართ. გაიხსენეთ ირაკლი ოქრუაშვილი, როცა მან განაცხადა, რომ რუსეთში ფეკალიების რეალიზაციაც კი ხდებაო. მაშინაც ჰქონდა რუსეთს რეაქცია, მაგრამ საქართველოდან ხომ არ ყოფილა ვინმე დაკავშირებული რუსეთთან, რომ ორკესტრირებულად ეწარმოებინათ ოქრუაშვილის წინააღმდეგ კამპანია? ასეთ განცხადებებს მოჰყვა საომარი რიტორიკა, ოქრუაშვილის თანამდებობიდან გადაყენება და ომი. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება თავდაცვის მინისტრი, ხიდაშელი, გელბახიანი თუ ვინმე იქსი. როგორც კი ანტირუსულ განცხადებას გააკეთებს ამ პოსტზე მყოფი მინისტრი, მაშინვე მოჰყვება რუსეთის მყისიერი რეაგირება. თუმცა, თუკი არსებობს თავდაცვის მინისტრზე კომპრომატები, რატომ უნდა გამოვრიცხო, რომ ვინმე ვინმესთან იქნება დაკავშირებული.

**— როგორ ფიქრობთ, მოვლენების განვითარების ლოგიკა რას გკარნახობთ, არჩევნებამდე კოალიცია დაიშლება, მიღწეული იქნება პარტია „ქართული ოცნების" სურვილი, რომ „რესპუბლიკელები" თამაშგარე მდგომარეობაში დატოვონ?**

– კოალიციის დაშლის საფრთხე არსებობს, „რესპუბლიკელების" საკითხი არის კოალიციის შიგნით ყველას პრობლემა. „რესპუბლიკელების" კოალიციაში დარჩენა იმ 25-კაციან საპარლამენტო სიას, რომელიც არის გამსვლელი, შეავიწროებს. ამიტომ ყველას თავისი საკითხი აწუხებს, ხედავენ, რომ „რესპუბლიკელები" ყველაზე მეტ მანდატს აიღებენ, ახლა ატყდა ამბავი, როგორმე ისინი გააძევონ კოალიციიდან. მათთან დაპირისპირება არის ძალიან მერკანტილური საფუძველი. ის, ვინც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ჯერჯერობით დუმს. მე ვთვლი, რომ ივანიშვილი კოალიციის დაშლას არ დაუშვებს, რადგან ეს გამოიწვევს მთავრობის რღვევას და შეინარჩუნებს მანამდე, სანამ ამის საჭიროება არსებობს.

**— „რესპუბლიკური პარტია" მხარს არ უჭერს კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ეს გახდება თუ არა საფუძველი, რომ უარი თქვან „ოცნების" წევრებმა მათთან კოალიციაში ყოფნაზე?**

– ჩვენ გვაქვს სამოქალაქო კანონმდებლობა, სადაც წერია, რომ ქორწინებაში სახელმწიფო არეგისტრირებს ქალისა და მამაკაცის წყვილს. როცა არის კანონში ამის დეფინიცია, რატომ არის საჭირო ამის კონსტიტუციაში ჩაწერა და რატომ ვტეხთ ქარიშხალს ჭიქაში, არ მესმის. მაგრამ თქვენ იცით, რომ ევროპა და ამერიკა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინებას არ აკანონებენ, პრობლემას ხედავს მათთან ურთიერთობაში. პირველი რეაგირება დასავლეთიდან იყო, „ჰუმან რაიტს ვოთჩის" ჩანაწერებს გავეცანი, სადაც არის უარყოფითი შეფასება გაკეთებული, რომ საქართველოში ხდება დისკრიმინაცია და არ არის დემოკრატია. ჩვენ მივეცით დასავლეთს რეალური საბაბი, რომ თავს დაგვესხას. საკონსტიტუციო ცვლილებები რომ განვახორციელოთ, ამას სჭირდება ხმათა სამი-მეოთხედი, ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობა, რაც „ქართულ ოცნებას" არა აქვს, ამის შესწორების შემტანი ეს პარლამენტი რომ არ არის, ეს ხომ ყველამ ვიცით. ტაბლოზე დაფიქსირდა მომხრეთა 81 ხმა. ხმათა ეს რაოდენობა საკმარისი არ არის, რომ მიღებული იყოს კონსტიტუციაში ცვლილება. ამ

# აშშ-ს სახელმწიფო მდივანი?

# სიმართლეს ალეკო ელისაშვილი?

**„გაჟღერებული იყო თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის გვარი და სახელი. მოდით, ვთქვათ, ვის აწყობს თინა ხიდაშელის ჩამოშორება"**






დაუკრეფავში გადავიდეთ და არჩევნების ნაცვლად სამოქალაქო დაპირისპირება მივიღოთ. ყველაფერს სჭირდება სახელმწიფოებრივად მიდგომა და ანალიზის გაკეთება. თუ ასეთი კადრები არსებობს, რატომ არ არის არავინ დასჯილი? ყველაფერს აქვს იურიდიული ფორმა. თუ ადამიანი ვერ დაუმტკიცებს დანაშაულს, შეიძლება იქით შეუბრუნოს. ამის მაგალითს ვხედავთ, როცა ალეკო ელისაშვილმა ბრალი დასდო ეკა ბესელიას და მანანა კობახიძეს, პროკურატურამ ეს ადამიანები გაამართლა. იურიდიული პროცედურა სხვა რამეს ფიქრობს, ერთია საჯარო განცხადებები, მეორეა დამტკიცება.

**— თქვენი აზრით, რა ელოდება ალეკო ელისაშვილს, რომელმაც უმძიმეს დანაშაულში დასდო ბრალი კობახიძეს და ბესელიას ე.წ. კოკაინის და პოლიტპატიმრების საქმეზე. ფაქტობრივად, კორუფციაში ამხილა დეპუტატები, თუმცა პროკურატურამ დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინა. რა ელოდება ელისაშვილს, რომელსაც ეკა ბესელია ცილისწამებისთვის უჩივის?**

– ელისაშვილის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, ვთქვათ, მე ვარ პროკურორი და დაინტერესებული ვარ ამ ფაქტის გამოძიებით, გავხსენი ფაილები, სადაც მიუთითებს ელისაშვილი და არ აღმოჩნდა მსგავსი რამ, რაზეც საუბრობდა. დავკითხე ხალხი და დანაშაული არ დამიდასტურდა. რა ვქნა ასეთ შემთხვევაში?!. მტკიცებულება ობიექტურად არ შეგროვდა, რადგანაც მე თვითონ ვიყავი პროკურორი, სხვებზე მეტი მესმის, პროკურატურა ამაზე მეტს ვეღარაფერს გააკეთებდა. ამიტომ იყო, ამ საქმის დასაწყისში ვთქვი, კარგია რომ ადამიანი გულწრფელად გამოვიდა და საჯარო განცხადება გააკეთა, მივესალმეშელს. არჩევნების შედეგები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ცნო და ლეგიტიმაცია მისცა გამარჯვებულ კანდიდატს.

ინიციატივის ავტორმა თავშივე იცის, რომ ეს ცვლილება კონსტიტუციაში არ გავა. და თუ იცის ავტორმა ამის შესახებ, რატომ გახდა ამ საკითხის ინიციატორი? ეს ხდება პოპულისტობისთვის, საქართველოს მოსახლეობის გულს იგებს, მაგრამ შედეგს ვერ აღწევს. მერე გაასავსავებს ხელებს და იტყვის, პარლამენტში ეს კანონი იმიტომ ვერ გავიდა, რომ მოწინააღმდეგეები ჰყავსო. ცდილობენ, ამ საკითხით მოახდინონ წყალგამყოფის გავლება, ვინც ქალისა და მამაკაცის ქორწინების ჩაწერას კონსტიტუციაში მიემხრობა, ისინი მოახდენენ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობასთან იდენტიფიცირებას. დანარჩენებზე კი ეტყვიან მოსახლეობას, რომ ისინი არ არიან თქვენი ინტერესის გამტარებლები. ამ კანონის ინიციატორებმა იციან, რომ ეს საკითხი ჩავარდება. თავის დროზე „ქრისტიან-დემოკრატებსაც" ჰქონდათ ანალოგიური მოთხოვნა, მაგრამ არც კი განიხილეს. ჩვენ დასავლეთისგან მივიღებთ დარტყმას და ხალხი უკმაყოფილო დარჩება. ვსვამ კითხვას, – მაშინ, რა საჭიროა ის გზა, რომელიც ტაძრამდე არ მიგვიყვანს. ვის სჭირდება ამ ტიპის სპეკულაციები. ბავშვიც კი მიხვდება, რომ ეს არის პოპულისტური თამაში, რასაც ეწევა მმართველი ხელისუფლება. რუსეთის მსგავსად, თუ ამერიკა არ იმუქრება და მინიშნებებს არ აკეთებს, სამაგიეროდ, მოქმედებს. იგეგმება ჯონ ქერის საქართველოში ჩამოსვლა, როგორ გგონიათ, ის ტურისტულად მოდის საქართველოში? თუ მისი ჩამოსვლით ახლა ნატოში შევალთ? გაიხსენეთ, 2012 წელს, ზუსტად ამ დროს ვინ ჩამოვიდა საქართველოში?.. მაშინდელი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი

**ექსპერტი**



კლინტონის ვიზიტი მაისში შედგა. აშშ-ს დღევანდელი სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ზუსტად იმავე პერიოდში ჩამოდის, რა პერიოდშიც ჰილარი კლინტონი ჩამოვიდა. მაშინ კლინტონმა სააკაშვილს უთხრა, მშვიდობიანად გადაებარებინა ხელისუფლება და არჩევნებზე სისხლი არ დაეღვარა. ფასადურად მისი ვიზიტი ნატოს საკითხებს ეხებოდა, ჯონ ქერის რეალური ჩამოსვლის მიზეზი ზუსტად არჩევნები იქნება, ის შეხვდება როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას, თუკი ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს ამხელა ინტერესი საქართველოში მიმდინარე არჩევნებზე, რატომ გიკვირთ, რუსებიც დაინტერესებული იყვნენ საქართველოში არჩევნებით, მით უმეტეს, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა რუსეთი. მით უფრო, რომ რუსეთ-თურქეთს შორის არის სერიოზული დაძაბულობა და არავინ იცის, მათ შორის ურთიერთობა რა განვითარებას მიიღებს. ყველაზე მეტად რუსეთს სჭირდება საქართველოში ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებიც თურქეთისკენ არ გადაიხრებიან და რუსეთს დაუჭერენ მხარს. მე ვფიქრობ ეს არჩევნები იქნება საკმაოდ რთული, ჩემი გათვლით პარლამენტი 7-სუბიექტიანი იქნება. „ქართული ოცნება", „ნაციონალური მოძრაობა", ბარიერს გადალახავს – ბურჯანაძე, ალასანია, „პატრიოტთა ალიანსი", ალბათ, გააქტიურდება ბურჭულაძე და თუ პარტიად ჩამოყალიბდება, ბარიერს გადალახავს, ხოლო შალვა ნათელაშვილი არის ზღვარზე, შეიძლება გავიდეს, შეიძლება – ვერა... ივანიშვილის გამოჩენას ამ ეტაპზე ტყუილად ველით, ის გამოჩნდება მოგვიანებით, როცა უკვე გამოიკვეთება კონტურები და დაიდება რეიტინგები. ჩემი ინფორმაციით, ამჟამად არსებობს ათკაციანი სია, პარტია „ქართული ოცნება" აქცენტს აკეთებს პოლიტიკურად გამოუცდელ ახალგაზრდებზე, ამის გამო არის ძალიან დიდი ვნებათაღელვა, არავის აზრს არ ეკითხებიან და ჩუმად მიდის საკადრო სელექცია. მოქმედმა დეპუტატებმა არ იციან, რა ახალი გუნდი კეთდება და წარმოიდგინეთ, გუნდში რა ღვარძლი და ბოღმა დუღს. თუმცა ერთი რამ უნდა ითქვას, რომ გაითვალისწინონ – გამოუცდელი კადრების პოლიტიკაში მოყვანა კარგად არ მთავრდება.



## უცხოელი ვარსკვლავების კონცერტებზე ბილეთები სიმბოლურ ფასად გაიყიდება



– უცხოეთიდან ჩამოყვანილი ცნობილი არტისტების კონცერტებზე ბილეთები გაიყიდება, თუმცა სიმბოლურ ფასად, – ამის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც მიხეილ გიორგაძემ განმარტა, ვარსკვლავების მონაწილეობით ღონისძიებები, რისთვისაც შეიძლება საქართველოში ტურისტი ჩამოვიდეს, რეგიონებში ბევრი მიზეზის გამო ვერ გაიმართება, მათ შორის, მინისტრმა ტექნიკური აღჭურვილობა დაასახელა.

– ჩვენ არ ვარ მზად, რომ მთელ ქვეყანაში ამ დონის ღონისძიებები გავმართოთ და ეს ფინანსური თვალსაზრისითაც ძალიან ძვირი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ აქ ვგულისხმობთ იგივე ქართველი შემსრულებლების ძალიან მაღალ ჩართულობას. ეს ყველაფერი ტურისტულად უფრო მიმზიდველ იმიჯს კიდევ უფრო გაუმაგრებს საქართველოს და როდესაც „ა" კლასის ვარსკვლავების ჩამოყვანაზე ვსაუბრობთ, ეს კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი ქვეყნის ცნობადობას, რადგან ასეთ სახელებს საერთაშორისო მედიის ყურადღებაც მოჰყვება, – განაცხადა გიორგაძემ.

მისივე თქმით, სხვადასხვა არტისტის მოთხოვნიდან, თავად კონცერტის ფორმატიდან და შინაარსიდან გამომდინარე, სხვადასხვა ლოკაციები იქნება შერჩეული, თუმცა კონცერტების უმრავლესობა, ღია ცის ქვეშ გაიმართება.

კითხვაზე, უცხოელი ვარსკვლავების ჩამოყვანის გამო წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ და როგორი იყო მაშინ მისი პოზიცია, მიხეილ გიორგაძემ აღნიშნა, რომ ასეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით მისი პოზიცია არ შეცვლილა და ის ყოველთვის მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ ეს ნამდვილად ხელს უწყობს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

– ამ შემთხვევაში თვისობრივი განსხვავება იქნება ის, რომ დიდი საერთაშორისო ვარსკვლავების კონცერტების უმრავლესობაზე ბილეთები აუცილებლად გაიყიდება, ეს არ იქნება ღია ცის ქვეშ უფასო კონცერტები. ჩვენს ქვეყანაში უსაფრთხოების, მოწესრიგებულობის თვალსაზრისით გარკვეული სტანდარტები უნდა შევქმნათ, მაშინ როცა ვსაუბრობთ უცხოელი ტურისტების მოზიდვაზე, – განაცხადა გიორგაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## დილერები მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტის შეზღუდვაზე მიცემული ერთწლიანი ვადის მინიმუმ 2 წლამდე გაზრდას მოითხოვენ

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტიორი კომპანიები იმპორტის შეზღუდვაზე მათთვის მიცემული ერთწლიანი ვადის მინიმუმ 2 წლამდე გაზრდას მოითხოვენ.

როგორც ჯეი.ეფ.აი.სი-ს დირექტორმა ზვიად ზიზიაშვილმა განაცხადა, 1 წელი არ არის საკმარისი ვადა, რომ აღნიშნულ საქმიანობაში ჩადებული ინვესტიციების ამოღება მოხდეს.

– თავდაპირველად იყო შეხვედრა ბიზნესომბუდსმენთან და შს სამინისტროს წარმომადგენლებთან. სამინისტროს შემოთავაზება იყო ერთწლიან ვადაზე. ჩვენთვის ერთწლიანი ვადა არანაირ ამინდს არ ცვლის ბაზარზე და ეს საკმარისი არ არის. შეხვედრაზე ითქვა, რომ სანამ სამინისტრო საკომიტეტო მოსმენაზე გაიტანდა კანონპროექტს, კიდევ მოხდებოდა ჩვენთან შეხვედრა, თუმცა ჯერჯერობით ეს შეხვედრა არ მომხდარა, – განაცხადა ზვიად ზიზიაშვილმა.

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 1-წლიანი ვადის 2 წლამდე გახანგრძლივების მოთხოვნით შაბათს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების საპროტესტო აქცია იგეგმება, რომელიც დაიწყება დიდი დილიდან და დასრულდება შს სამინისტროსთან. **(bpn.ge)**

## სააკაშვილის აღიარება – ვის და რა მიზეზით სვამდა ექსპრეზიდენტი ციხეში

სააკაშვილმა უკრაინაში სიტყვით გამოსვლისას საზოგადოებას გაუმხილა, ვის და რატომ სვამდნენ საქართველოში ციხეში და მერე ათავისუფლებდნენ და როგორ ეხმარებოდა ეს ეკონომიკას.

– მოვედით ხელისუფლებაში და ფული საერთოდ არ გვაქვს, რა ვქნათ? მაგალითად, მე მჭირდებოდა, სასწრაფოდ ამეშენებინა გზა აეროპორტში, ვინაიდან გვინდოდა ტურიზმის განვითარება. აეროპორტიდან კი მხოლოდ ტრაქტორით ან ტანკით შეიძლებოდა ქალაქამდე მისვლა. ჩვენ დავაკავეთ ის ადამიანი, ვინც გზების დაგებაზე იყო პასუხისმგებელი ბოლო 20 წლის განმავლობაში. მან მაშინვე გადაიხადა, მგონი, 15 თუ 20 მილიონი დოლარი ექვსი საათის განმავლობაში და ჩვენ ორი დღის შემდეგ დავიწყეთ გზის დაგება და ერთ თვეში მოვრჩით. ან თუნდაც, ჩვენ არ გვქონდა სარკინიგზო სტრუქტურა, ყველა ვაგონი გაყიდული იყო. ჩვენ ციხეში ჩავსვით რკინიგზის მმართველი. მან ერთი კაცისთვის განკუთვნილ კამერაში 2-3 დღის ფიქრის შემდეგ საკმარისი თანხა მოგვცა, რათა შეგვეკეთებინა ვაგონები უკრაინიდან. თუ ამ პრეცედენტს უკრაინელ კორუფციონერებზეც გამოვიყენებთ, მაგრად დავიწყებთ ცხოვრებას და მე გარწმუნებთ, რომ ჩვენ ყველა გავათავისუფლეთ, ვინაიდან ფული გადაიხადეს, – ამბობს სააკაშვილი. **(palitratv.ge)**

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



რამდენიმე დღის წინ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი მოხალისე ჰაკერებთან დაკავშირებით, რომლებიც ყველა იმ პირს, ვისი პირადი, სოციალური სივრცე დარღვეულია, დახმარებას სთავაზობენ. ახალგაზრდების აღნიშნულმა ჯგუფმა საკუთარ თავს „ამბრელა“, ანუ ქოლგა დაარქვეს და გამახალისა. სწორედ ამ მიზეზით, თავად მოვძებნე ამ მიმოწერის მთავარი გმირი, „ფეისბუკ“-მომხმარებელი „ლუკი ლუკი“ და დავიმეგობრე, ვიფიქრე, ეს ბიჭი კიდევ დადებს ასეთ სახალისო რალაცებს და გავმხიარულდები-მეთქი. „ლუკი ლუკი“ აღმოჩნდა სწორედ ის ლუკა ფეიქრიშვილი, რომელიც ასე მონდომებით აპირებს სხვისი უფლებების დაცვას ინტერნეტსივრცეში და რომელიც დაეთანხმა ჩემს გაგზავნილ მოთხოვდამჭერი არ ვარო, მაგრამ მიშას და მისი ხელისუფლების „გაპრავება“ რომ გავუპროტესტე, სხვათა შორის, ძალიან კულტურული სიტყვებით (ამას თქვენც ხედავთ მოცემულ ფოტოებზე), ამის გამო ეს „კაცთმოყვარე“, „სხვისი, განსაკუთრებით კი ჟურნალისტების პირადი სივრცის მცველი“ ჰაკერი მუქარაზე გადავიდა.

– აი, მე კი ჰაკერი ვარ და ვიცი, რომ შენი ნომერი 33-ით მთავრდება, ვიცი, რომ მაილ.რუ-ზე ზიხარ და ვაბშე ჩემი გვერდი. უწყების პრესსამსახურის წარმომადგენელმა მითხრა, რომ მივსულიყავი ორთაჭალაში, გულუას ქუჩაზე და აუცილებლად შემახვედრებდა კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენლობას და უკვე მათთან გამეარა აღნიშნული საკითხი. მართლაც, ორშაბათს მივედი, ვესაუბრე კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირს, ავუხსენი საკითხი და მან უკვე ამავე დეპარტამენტის სა-

### ნუ იწყინებთ!

შესახებ, რომ თქვენი განცხადების საფუძველზე საქმე არ აღიძრაო. რატომ-მეთქი? იმიტომ, რომ დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავდა მიმოწერაო... აი, ესეც შენი ჟურნალისტის პირადი ინტერნეტსივრცისა და მონაცემების დაცვის საუკეთესო მაგალითი! სამაგიეროდ, გამოიჩნდა საფუძვლიანი ეჭვები, რომ ლუკასნაირი პიროვნებებისა და მისი ჯგუფის მსგავსი სხვა ჯგუფების ხელშეუხებლო-

# როგორ ემუქრებოდა „კეთილი“ ჰაკერების, „ამბრელას“ ჯგუფის დამფუძნებელი „ალიას“ ჟურნალისტს!

**„მე კი ჰაკერი ვარ და ვიცი, რომ შენი ნომერი 33-ით მთავრდება, ვიცი, რომ mail.ru-ზე ზიხარ და ვაბშე ყველაფერი ვიცი შენზეც და მართლა ისეთები ვიცი, რომ გაიგონ, გამსროკავენ(?) და რამდენს მესაუბრები ახლა“**




ინტერნეტსივრცის დასაცავად, მოქალაქეებს, ხშირ შემთხვევაში, უფასო ონლაინდახმარებას სთავაზობენ, აქაოდა, ჩვენ თავისუფალ სიტყვას ვიცავთო, დევიზად კი სამართლიანობისთვის ბრძოლა და ძალადობის ნებისმიერი ფორმის დაგმობა აქვთ. სავარაუდოდ, მათ მიმართ ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, რაც ინტერნეტში პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოები გავრცელდა. ისინი ამბობენ, რომ მსგავსი ვიდეოების ატვირთვას ხელს ვერ შეუშლიან, თუმცა მზად არიან, მოქალაქეები ახალი კომპრომატების შექმნისგან დაიცვან. უახლოეს მომავალში, ეს „კეთილი“ ჰაკერები ორგანიზაციად ჩამოყალიბებას და საქმიანობის სფეროს გაფართოებასაც გეგმავენ, თურმე...

„ამბრელას“ წევრები სიუჟეტშივე ამბობენ, რომ ჟურნალისტების „ფეისბუკ“-გვერდები სხვაზე უფრო ხშირად ხდება ჰაკერული თავდასხმის ობიექტი და მიაჩნიათ, რომ სხვისი თავისუფალი სიტყვის დაცვით, კანონს არ არღვევენ. ლუკა ფეიქრიშვილი, „ამბრელას“ დამფუძნებელი, სათნო სახით ამბობს, – ჩვენ არ გაგვიტეხია არავის ექაუნთი, გადართულები ვართ და ვემსახურებით მხოლოდ დაცვას, რომ თქვენ (ჟურნალისტს მიმართავს) და თუნდაც სხვა მოქალაქეები იყვნენ მშვიდად, რომ დაცულია მათი პირადი ინფორმაცია. ამისთვის ბრძოლაში მე კანონდარღვევას ვერ ვხედავო...

ახლა გეტყვით იმას, რაც თავს გადამხდა და რის გამოც შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებას ორიოდე კვირის წინ მივმართე: ამა წლის თებერვლის პირველ რიცხვებში, სოციალურ ქსელში გადავაწყდი ძალიან სახალისო პოსტს, უფრო სწორად – მიმოწერის სქრინშოთს (დიალოგის კონკრეტული მონაკვეთის სპეციალურად მოჭრილ ფოტოს), რამაც მართლა ძალიან ნას დამეგობრებაზე და ასე მომწერა (სტილი დაცულია):

– „ნინ, მგონი ჟურნალისტი ხარ და მე „ფრენდებში“ დაგამატე, ანუ შენ შეგიძლია ყველა პოსტის ნახვა. ნინ, გთხოვ, რა პოსტებსაც ნახავ ჰაკერობაზე და ვიდეოებს, რომელშიც ჩანს, თუ როგორ ტყდება რომელიმე გვერდი ან საიტი, უმორჩილესად გთხოვ, დარჩეს ჩვენში“.

ამაზე ვუპასუხე, – მე კი არსად ვიტყვი, მაგრამ რა „პონტია“ ეგ-მეთქი?

ლუკა მპასუხობს: „ანუ აგიხსნი. ეს არის ორგანიზაცია „ამბრელა“, რომლის დამაარსებელი ვარ მე. აქ გაერთიანებულები არიან ქართველი ჰაკერები და მცოდნეებიც, არამარტო ქართველები. ეს ორგანიზაცია ეხმარება მოქალაქეებს და ასწავლის კიბერ თავდაცვას უსასყიდლოდ, მაგრამ ზოგჯერ, თავისი პრინციპების გამო, ტეხავს სხვადასხვა გვერდებს, საიტებს და „ფეიჯებს“ (?) მაშინ, როდესაც ამას არაკანონიერად თვლის. ამიტომ არ ვამატებ ხოლმე არავის და შენ დაგამატე და დარჩეს ჩვენში“.

და მორჩა, აქ ჩვენი იმდროინდელი მიმოწერა მთავრდება, მე აღარაფერი მიპასუხია.

გადის სულ ორიოდე დღე. 13 თებერვალს ჩემს „ფეისბუკის“ გვერდზე დავდე ჩემივე ნათქვამი, რომელიც ერთ-ერთმა სააგენტომ ნიუსად წაიღო, სადაც ვამბობ: „სააკაშვილი ჩამოყალიბებულ, უბილეთო გიჟთან ასოცირდება“-მეთქი. აღნიშნულმა პოსტმა ლუკას გაღიზიანება გამოიწვია და იქვე დამიწერა შესაბამისი კომენტარი (შემდეგში წაშალა), რასაც ჩემი პასუხიც მოჰყვა, თუმცა სიტყვიერი შეურაცხყოფა ერთმანეთისთვის არ მიგვიყენებია. სამაგიეროდ, ასევე დააკომენტარა, მოდი შენ ერთი პმ-შიო, ანუ პერსონალურად ვისაუბროთო. მივწერე პირადში და ჩვენს შორის შემდეგი სახის დიალოგი გაიმართა, რასაც ახლა ფოტოებად გთავაზობთ.

ერთი სიტყვით, ლუკამ კი მომწერა, ნაციონალების მხარყველაფერი ვიცი შენზეც და მართლა ისეთები ვიცი, რომ გაიგონ, გამსროკავენ (?) და რამდენს მესაუბრები ახლა?“

ჩემს ნათქვამზე, – გინდა ახლა მაგ ინფორმაციის გამო ცუდ ამბავში გაეხვე-მეთქი? სიტყვასიტყვით ასე მწერს:

– სანამ რამეს ვიტყვი, უკვე გააზრებული მაქვს რას ვამბობ. ასე რომ ვერ გამხვევ, გპირდები. რომ შეეცადო, „ფეისბუკს“ კი არა, თავს მოიკლავ, დამიჯერე.

ამაზე საერთოდ გავგიჟდი. იჩივლე თუ გინდა, ეგ შენი მოქალაქეობრივი უფლებააო, კიდევ „ნაგლად მწერს“. ამას არ დავტოვებ ასე-მეთქი, მივწერე და ამაზე მპასუხობს:

– ომი გინდა? იქნება ომი. ახლა კარგად იყავი... შენს თავს დააბრალე ამ წამიდან! მთელი შენი მინაწერ-მონაწერებიანად!

ამ დიალოგის შემდეგ, ეს „კეთილი“, „სამართლიანობისთვის“ და „მოქალაქეების ინტერნეტუსაფრთხოებაზე მზრუნავი“ ჰაკერი მეგობრებიდან მშლის.

იმის გამო, რომ ვიცოდი, ჰაკერთან მქონდა საქმე და ვხედავდი, რამდენად გაღიზიანდა ჩემი პოზიციების გამო, ნამდვილად ვიფიქრე, რომ ლუკა ფეიქრიშვილს, შესაძლოა, მართლაც გაეტეხა ჩემი პირადი „ფეისბუკის“ გვერდი, მაშინვე დავუკავშირდი შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის მიზნით კი დღე-ნახევრის განმავლობაში საერთოდ გავაუქმე გამოძიებო უწყების ერთ-ერთ გამომძიებელთან გამიშვა. შევადგინე განცხადება, რომ „ლუკი ლუკის“, ანუ როგორც ახლახან გავიგე – ლუკა ფეიქრიშვილს, არაა გამორიცხული, მართლაც შეეძლო ჩემი „ფეისბუკის“ გვერდის გატეხა, რომ ის დამემუქრა, – „ამ წამიდან მთელი შენი მინაწერ-მონაწერებიანად“, „თავს მოგაკვლევინებო“ და მოვითხოვე, დაედგინათ ამ ადამიანის ვინაობა (იმ მომენტისთვის არ ვიცოდი მისი სრული სახელი და გვარი) და შესაბამისი რეაგირება მოეხდინათ, ჩემი პირადი ინტერნეტსივრცის და პერსონალური ინფორმაციების დასაცავად. გამომძიებელმა მითხრა, – ამ ყველაფერს პროკურორს გავაცნობ და ის გადაწყვეტს, აღძრას თუ არა საქმე ამ შემთხვევაზეო, შეიძლება, თქვენთვის „ლუკი ლუკის“ ნათქვამი მუქარად აღიქმება, მაგრამ პროკურატურამ ეს მუქარად არ აღიქვასო, ამიტომ აუცილებლად დაგირეკავთ და გაგაგებინებთ პასუხსო... სულ რამდენიმე დღის წინ მირეკავს გამომძიებელი და მეუბნება, – თქვენ მიერ მითითებულ საცხოვრებელ ადგილზე ამ დღეებში მოგივათ ოფიციალური წერილი ჩვენი უწყებიდან, იმის ბა, შესაძლოა, სწორედაც შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული უწყების ინტერესში შედიოდეს. რატომ? იმიტომ, რომ მოქალაქეებზე, სულაც ჟურნალისტებზე კიბერთავდასხმები, შესაძლოა, სწორედ ასეთი დაჯგუფებების მეშვეობით ხორციელდებოდეს, შსს კი ამ ყველაფერს ხელს აფარებდეს!

ამიტომ თუკი ვილაც (ან ვილაცები) გაავრცელებენ ჩემს ნებისმიერი სახის რომელიმე მიმოწერას, ან ინფორმაციას ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ, ამაში მე პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვადანაშაულებ, რადგან მათ არ მიიღეს შესაბამისი ზომები ჩემი ოფიციალური მიმართვის შემდეგ! და ასევე, ერთ-ერთ პირველს ვადანაშაულებ ჰაკერ ლუკა ფეიქრიშვილს და მის „ფეისბუკ“-დაჯგუფება „ამბრელას“, რადგან კაცმა არ იცის, რა სახის ინფორმაცია გაიტანა პერსონალურად ლუკამ ჩემი „ფეისბუკიდან“, ან რას გაიტანს მომავალში! მე სრულიად სამართლიანად მეპარება ეჭვი „ამბრელას“ პატიოსან საქმიანობაში, საკუთარი მაგალითიდან გამომდინარე, და ამიტომ ყველას მოგიწოდებთ, ნუ ენდობით, ზოგადად, ჰაკერებს!

### ხალხის აზრი

## „მე მომხრე ვარ გამოქვეყნების“

**გურამი, 65 წლის, პენსიონერი:**

– როდესაც უშიშროებას აქვს ინფორმაცია კომპრომატზე (არავინ არ თქვას, რომ არ იცოდა ეს უშიშროებამ) და ამას არ აწვდის პრემიერს, რომ ეს ადამიანი არ დანიშნონ საგარეო საქმეთა მინისტრად, ან ნებისმიერ მაღალ პოსტზე, რომელიც შეიძლება ამ კომპრომატის შიშით ამოქმედონ ქვეყნის საწინაალმდეგოდ, ასეთ ვითარებაში მე მომხრე ვარ გამოქვეყნების. ეს პრევენციულ ღონისძიებად უნდა განვიხილოთ. კონკრეტულად ამ შემთხვევაში რა ინფორმაცია დაფქვა ამ კომპრომატის სანაცვლოდ, ვინმემ იცის? მორალი და ზნეობა გასაგებია, მაგრამ ამ ქვეყანაში, სადაც არც ერთი უწყება თავის საქმეს არ აკეთებს. ასეთი რამე რალაც დოზით მისაღებია. ალასანია არ გაჰკიოდა, ბევრი რამე უნდა ეპატიოთ ნაციონალებსო. ახლა აეწვა, მას რომ შეეხო?

*მაკა დეკანოსიძე*

ქრონიკა!

# მძღოლები შსს-სა და მერიას უპირისპირდებიან

**„ჩვენ ამ უსამართლობას არ შევეგუეთ! ვიწყებთ ფართომასშტაბიან კამპანიას სახელმწიფოს წინააღმდეგ!“**







**„სამოქალაქო საზოგადოება გამოვდივართ ინიციატივით და რამდენი ორმო, თავახდილი საკანალიზაციო ჭა, გაუმართავი საგზაო ნიშანი და ინფრასტრუქტურული უწესივრობაა ქალაქში, იმდენი 200 ლარი დავაკისროთ თბილისის მერიას“**

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



19 მარტს, თბილისის, დიღმის ოლიმპიური დარბაზების პარკინგიდან, შს სამინისტრომდე აქცია-მსვლელობა გაიმართა, ლოზუნგით – **STOP** უკანონო ჯარიმებს!!! **STOP** უსამართლობას!!! მარჯვენივ საჭე ჩვენი უფლებაა!!! ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას!!!

რას აპროტესტებენ ორგანიზაციები? რა მოთხოვნები აქვთ მათ და რას გეგმავენ უახლოეს დღეებში?

**„ალიას“ ა/ო „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– ჩვენი აქციის მიზანი იყო, კიდევ ერთხელ სამოქალაქო საზოგადოების ხმა მიგვეტანა სახელმწიფოს მმართველებამდე და გაგვეპროტესტებინა ის უსამართლობა, რასაც დღეს ხელისუფლება სჩადის მოსახლეობის წინააღმდეგ. ჩვენ, დაანონსების დღიდან, ვაპროტესტებდით მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას, რასაც დაემატა მძღოლების უკანონოდ დაჯარიმება.

აღნიშნული ფაქტი არის უსამართლობა, ამ გადაწყვეტილებით იზღუდება საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება – არჩევანის თავისუფლება, ასევე, არ არის გათვალისწინებული იმპორტიორთა ინტერესები. ხელისუფლების გადაწყვეტილება ბიზნესს დიდ დარტყმას აყენებს. აქციაზე, ასევე, გავაპროტესტეთ 200 ლარით მძღოლთა უკანონოდ დაჯარიმება. როგორც ცნობილია შსს-მ აამოქმედა სადამსჯელო ღონისძიებები. აღნიშნული ჯარიმა, კანონის თანახმად, ეხება მძღოლს, რომელიც არასწორი პარკირების ადგილზე აჩერებს ავტომობილს და იწვევს საცობის შექმნას და დღეს ამ ბუნდოვანი ჩანაწერის გამო უსამართლოდ აჯარიმებენ ათასობით მძღოლს. ამ ყველაფერს დაემატა ავტოიმპორტიორების პროტესტი. ისინი აპროტესტებენ შსს-ს გადაწყვეტილებას. შს მინისტრის მოადგილის, შალვა ხუციშვილის განცხადებით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა 2016 წლის ბოლომდე გადავადდა და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბიზნესსექტორთან კონსულტაციის შედეგად, რაც ტყუილია. იმპორტიორები ადასტურებენ შეხვედრის ფაქტს, მაგრამ თარიღსა და ვადებზე არ შეთანხმებულან. მათი თხოვნა აღნიშნული პროცესის ორი წლით გადაწევა იყო, თან უნდა დანიშნულიყო კიდევ ერთი შეხვედრა, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. მათ გააკეთეს განცხადება, სადაც ავტოიმპორტიორები გაემიჯნენ სამინისტროს განცხადებას, ისინი გააგრძელებენ ბრძოლას საკუთარი უფლებების დასაცავად და შეუერთდნენ საპროტესტო აქციების ტალღას.

**— რა მოთხოვნები წამოაყენეთ აქციაზე?**

– ჩვენ, ყველამ, კარგად ვიცით, რა მოტივი ამოძრავებდა შსს-ს, როცა საგზაო მოძრაობის შესახებ ახალი საკანონმდებლო პაკეტი და კერძოდ, ის რეგულაციები შეიმუშავა, რასაც ჩვენ ვაპროტესტებთ. მათ სურდათ, თბილისის მერია გამოეყვანათ არსებული ჩიხიდან, რეგულაციების მეშვეობით შეემცირებინათ ექსპლუატაციაში მყოფი ავტომობილების რაოდენობა, რაც, მათი აზრით, თბილისს თავიდან არიდებდა მოსალოდნელ სატრანსპორტო კოლაფსს, რომელიც, რა თქმა უნდა, აბსურდული და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული გადაწყვეტილებაა. დღეს თბილისში ძალიან საგანგაშო ტენდენცია გამოიკვეთა, საპატრულო პოლიციამ აქტიურად დაიწყო 200-ლარიანი ჯარიმები. ჩვენ ამ უსამართლობას არ შევეგუეთ და დავიწყებთ ფართომასშტაბიანი კამპანია სახელმწიფოს წინააღმდეგ.

რაც შეეხებოდა ჩვენს მოთხოვნებს, ესენი იყო: საპატრულო პოლიციამ შეწყვიტოს უკანონო დაჯარიმებები; მოხდეს 2016 წლის განმავლობაში გამოწერილი 200-ლარიანი ჯარიმების (საცობის წარმოქმნის ბრალდებით დაწერილი) ამნისტირება და ბათილად გამოცხადება! არ აიკრძალოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია და სახელმწიფომ შეწყვიტოს ამ საკითხის განხილვა.

**— რა შედეგით დასრულდა აქცია?**

– ეს იყო ჩვენი გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია, ჩვენ გავუგზავნეთ შეტყობინება შსს-ს, შეწყვიტონ უსამართლო გადაწყვეტილებების მიღება, შეწყვიტონ მძღოლების უკანონოდ დაჯარიმება, შეწყვიტონ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა და მიხედონ საქმეს, საქმეს, რაც რეალურად ევალება ხელისუფლებას. ჩვენ ველოდებით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს შსს, ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ და უკან არ დავიხევთ არც ერთი ნაბიჯით. იმედს ვიტოვებთ, ჩვენს მოთხოვნებს ადეკვატურად აღიქვამენ სამინისტროში და საჯაროდ გვიპასუხებენ, რის შემდეგაც ჩვენ დავგეგმავთ შემდეგ ნაბიჯებს.

**— თუ გამოგეხმაურნენ შს სამინისტროდან?**

– ჯერჯერობით შსს-დან ოფიციალური გამოხმაურება არ ყოფილა, თუ ჩვენი მოთხოვნები პასუხგაუცემელი დარჩება, ჩვენი საპროტესტო აქციების ტალღა ბევრად ფართომასშტაბიანი გახდება და მივმართავთ პროტესტის რადიკალურ ზომებს. ერთხელ და სამუდამოდ ყველა ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ ადამიანების უსამართლოდ ჩაგვრა არავის შერჩება!

**— თქვენს ამ ბრძოლას ექნება შედეგი? რისი იმედი გაქვთ?**

– დღეს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია ნებადართულია და ეს ჩვენი დიდი ბრძოლის შედეგია. ასევე, ძალაში არ შესულა შსს-ს არც ერთი ინიციატივა, რომელიც ეხებოდა განბაჟების სისტემის შეცვლას, მართვის მოწმობებზე 100-ქულიანი სისტემის შემოღებას და სხვა.

ეს და სხვა მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივები, სწორედ იმიტომ ვერ შევიდა ძალაში, რომ ჩვენ ვაწარმოეთ საკმაოდ ფართომასშტაბიანი ადვოკატირების კამპანია, გავმართეთ არაერთი საპროტესტო აქცია და ამ ყველაფრის შედეგია ეს. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც დარწმუნებულები ვართ, ბრძოლა შედეგს გამოიღებს და ჩვენ ამ უსამართლობას დავამარცხებთ.

გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოება გამოვდივართ ინიციატივით და რამდენი ორმო, თავახდილი საკანალიზაციო ჭა, გაუმართავი საგზაო ნიშანი და ინფრასტრუქტურული უწესივრობაა ქალაქში, იმდენი 200 ლარი დავაკისროთ თბილისის მერიას. იმიტომ, რომ გაუმართავი ინფრასტრუქტურა ისეთივე მიზეზია საცობის წარმოქმნისა, როგორც ავტომობილის არასწორი პარკირება. შესაბამისად, ვიწყებთ სამოქალაქო კამპანიას, ვთხოვთ მოქალაქეებს, მოგვაწოდონ მსგავსი დარღვევების ფოტო ან ვიდეომასალა, ჩვენ ამას დავამუშავებთ, რის შემდეგაც გავმართავთ აქცია-პერფორმანსს თბილისის მერიასთან და მოვითხოვთ თბილისის მერიის დაჯარიმებას 200 ლარით ყველა იმ უწესობის გამო, რაც ქალაქშია და იწვევს საცობებს.

**— თუ მსგავსი აქციებით შედეგს ვერ მიიღებთ, მაშინ რას აპირებთ?**

– ადვოკატირების სამოქალაქო კამპანია არ შედგება მხოლოდ აქციებისგან, ჩვენ კანონით ნებადართულ ყველა ხერხს მივმართავთ, იმისთვის, რომ დავამარცხოთ ეს უსამართლობა. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

„ალია“ შს სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა. უწყება იმ მოთხოვნების საქმის კურსში ჩავაყენეთ, რომლებსაც ორგანიზაციები აყენებენ. პრესსამსახურმა, მათი ქმედებების შესახებ ახსნა-განმარტება გაგვიკეთა, რაც ლოგიკურად მიანიშნებს, რომ სამინისტრო არ აპირებს, აღნიშნულ საკითხებს გადახედოს.

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით განსაზღვრულია სატრანსპორტო საშუალების დგომა-გაჩერების წესები, რომლებიც მოიცავს როგორც „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ ამკრძალავ ნიშნებს, ასევე, დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს. კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების დგომა ნებადართულია ერთ რიგად, სავალი ნაწილის კიდის პარალელურად, ის უნდა იმყოფებოდეს სავალი ნაწილის კიდესთან რაც შეიძლება ახლოს და ა.შ.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევს ამკრძალავი ნიშნების „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე, დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა, რაც ითვალისწინებს ჯარიმას 10 ლარის ოდენობით.

მოქმედი კანონმდებლობით, უფრო მკაცრი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა დაწესებული, როდესაც ზემოაღნიშნული დგომა-გაჩერების წესების დარღვევას მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რამაც გამოიწვია საცობი. ეს ითვალისწინებს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, დამრღვევი შეიძლება განთავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობიდან და უფლებამოსილი პირი მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლოს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მძღოლთა მიერ დგომა-გაჩერების წესების უგულებელყოფის შემთხვევები, რაც გამოიხატება სატრანსპორტო საშუალების გზის სავალი ნაწილის სამოძრაო ზოლში გაჩერებით. იმ პირობებში, როდესაც ადგილი აქვს სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და, შესაბამისად, მოძრაობის ინტენსივობის ზრდას, ამგვარი შემთხვევები მნიშვნელოვნად აფერხებს საგზაო მოძრაობას და ქმნის მისი პარალიზების მაღალ რისკს. აღნიშნული გარემოებების გამო, შსს-ს საპატრულო პოლიცია, თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იძულებულია, გაამკაცროს ადმინისტრირება დგომა-გაჩერების ისეთ დარღვევებზე, რომლებიც იწვევს საგზაო მოძრაობის შეფერხებასა და ე.წ. საცობის შექმნას“. – განგვიმარტეს სამინისტროში.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლევან ბერძენიშვილი: ოკუპაციის კანონი გაუქმდება, როდესაც აღარ იქნება ოკუპაცია

– ოკუპაციის კანონი გაუქმდება, როდესაც აღარ იქნება ოკუპაცია, – ამის შესახებ პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

– ოკუპაციის კანონი გაუქმდება, როდესაც აღარ იქნება ოკუპაცია. კარასინის განცხადებებზე შეიძლება ბევრი ვისაუბროთ, თვით საქართველოს არსებობაც შეიძლება ბევრს არ მოსწონდეს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა, ჩვენი არჩევანი, – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი. (kvira.ge)

## დავით უსუფაშვილი — რუსეთი უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ

– რუსეთი უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ – სანქციები უმნიშვნელოვანესია და რაც უფრო ყოვლისმომცველი იქნება ისინი, მით უკეთესი, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი **Defence Matters**-სთან ინტერვიუში აცხადებს.

– კრემლთან ნებისმიერი სახით კომუნიკაციისას აუცილებელია, საერთაშორისო საზოგადოებამ გაგზავნოს მკაფიო მესიჯი, რა არის ცუდი ქცევა და რა – კარგი. ამის ნათელი მაგალითია ტერორიზმი. როდესაც საქმე ასეთ საერთო და დიდ პრობლემას ეხება, რუსეთს არ უნდა ვუთხრათ: „ეს შენი საქმე არ არის“. ამავდროულად, რუსეთს არ უნდა მივცეთ უფლება, აკეთოს ის, რასაც სირიაში აკეთებს. „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგო დასავლური კოალიციის მიწვევის გარეშე კონფლიქტში ჩართვით რუსებმა საკუთარი, განცალკევებული თამაში წამოიწყეს, – აცხადებს დავით უსუფაშვილი.

კითხვაზე, ხომ არ ფიქრობს, რომ რუსეთმა შეძლო, ყურადღება საქართველოდან უკრაინასა და სირიაზე გადაეტანა, უსუფაშვილი განმარტავს, რომ, ერთი მხრივ, საქართველოზე რუსეთის აშკარა ზეწოლა შემცირდა, რადგან ის სხვაგან, უკრაინასა თუ სირიაში გაიზარდა, მაგრამ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებულ პოლიტიკაში რაიმე ცვლილების დანახვა რთულია.

– მათ სტრატეგიულ მიმართულებებსა და მიზნებში თითქმის არაფერი შეცვლილა. რუსეთთან დაძაბულობის შემცირება მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული ძალისხმევის დამსახურებაა. მიუხედავად ამისა, ოკუპაცია ძალაშია, საფრთხე ისევ არსებობს. რუსეთს ვერ ვატყობთ, რომ ის აპირებს დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოს მსგავსად აღიაროს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა ქვეყანამ წარმატებას მიაღწიოს. ჩვენ აღარ გვსურს ახალი ომი ჩვენს ტერიტორიაზე. ჩვენ გვინდა ვიყოთ პრობლემების მოგვარების პროცესის ნაწილი და არა მათი წარმოშობის მიზეზი, – აცხადებს დავით უსუფაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზად არ არის — ევროკომისიის პრეზიდენტი



– თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზად არ არის, – ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან კლოდ იუნკერმა გამოცემა **Handelsblatt**-თან ინტერვიუში ისაუბრა.

– ვფიქრობ, რომ ეს მომდევნი 10 წლის განმავლობაში არ მოხდება, – განაცხადა იუნკერმა.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა კი ცოტა ხნის წინ აღნიშნა, რომ თურქეთმა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის გაცილებით მეტი უნდა გააკეთოს. (ნიუპოსტი)

## ცხრა ბავშვს თქვენი დახმარება სჭირდება!



გლდანში, ნაქირავებ ერთოთახიან ბინაში 11 ადამიანი ცხოვრობს. ოთახში ორი საწოლი და დივანია, იატაკზე ერთი ლეიბი დევს. პატარა ოთახში პატარა მაგიდაცაა, რომელზეც ოჯახის თერთმეტივე წევრი რიგრიგობით სადილობს. სადილი დღეში ერთხელ სოციალურად დაუცველთა სასადილოდან მოაქვთ. რძის პროდუქტი, ხორცი და ხილი ბავშვებს დიდი ხანია არც კი უნახავთ.

ასეთ მძიმე მდგომარეობაში უხდება ცხოვრება მირიანისა და ნინოს ოჯახს, სადაც 9 ბავშვი იზრდება, მაგრამ მათ მკაცრად ნუ განსჯით. შვილის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ გადაწყვიტეს, იმდენი შვილი გაეჩინათ, რამდენსაც ღმერთი მისცემდათ.

მართლაც, მათ არაჩვეულებრივი შვილები ჰყავთ. ერთი მეორეზე უკეთესები, ლამაზები და ჭკვიანები. უფროსები – გიორგი, ნათია და ვერიკო მშობლებს პატარა და-ძმების აღზრდაში ეხმარებიან. საბა შვიდი წლისაა, ის ყველაზე დამჯერი და ცნობისმოყვარეა. სკოლაში სულ ათიანებზე სწავლობს! მოუსვენარი ლიზი ხუთი წლისაა, ყველაზე კეთილი მარიამი – ოთხის, უშიშარი ნიკოლოზი – სამის, ბარბარე, რომელსაც ოჯახში სიყვარულით „პრინცესა ბარბის“ ეძახიან, ორი წლისაა. ოჯახის ყველაზე პატარა და მთავარი წევრი ჭიჭიკოა. ორ კვირაში ის ერთი წლის გახდება.

თუ გაქვთ საშუალება, ოჯახს ფინანსური დახმარება აღმოუჩინოთ, თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ ფონდის ანგარიშის ნომერზე **GE15TB7194336080100003** ან **GE64BG0000000470458000** (დანიშნულება: ჩიკვაიძეების ოჯახი) **(fsp.ge)**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ეს ხელისუფლება არის იმ სიძულვილის ღირსი, რასაც დღეს იღებს ხალხის მხრიდან“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ქართველ პოლიტიკოსებს მუხრუჭი ღალატობთ, — ამის შესახებ განცხადება გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა. მისი მუქარაშემცველი მესიჯები აშკარად ატარებდა საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩარევის ნიშნებს. მან ქართველ საზოგადოებას შეახსენა, რომ წინ გველის არჩევნები: „რუსეთში საქართველოს მთავრობის წევრების ანტირუსულ გამონათქვამებს მტკივნეულად აღიქვამენ, ისინი ცივილიზებულ სამყაროს მოუწოდებენ, გაერთიანდნენ **რუსეთის, როგორც საფრთხის, წინააღმდეგ. წინასაარჩევნო ციებცხელებისას ქართველი პოლიტიკოსები ხშირად აძლევენ საკუთარ თავს იმის თქმის უფლებას, რის უფლებასაც ჩვეულებრივ ვითარებაში არ მისცემდნენ. ზოგჯერ მათ მუხრუჭები ღალატობთ...“ კარასინმა განსაკუთრებულად გამოყო თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის ანტირუსული, აგრესიული განცხადებები და თქვა, რომ თავმოყვარე ქვეყანა ასეთ განცხადებებს სათანადოდ უპასუხებდა. „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი ლევან ბერძენიშვილი კარასინის განცხადებების შეფასებისას განმარტავს: „საქართველოში არის ხალხი, რომელთაც აქვთ ბუნებრივი მოთხოვნილება იმისა, რომ თავისი ქვეყნის ისტორიული არჩევანის წინააღმდეგ წავიდეს. კარასინი შეშფოთებულია, რომ დიდი მცდელობისა და დახარჯული თანხების მიუხედავად, პრორუსული პოლიტიკური ძალები დღეს საქართველოში არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ფაქტორს. ეს განცხადება შეიძლება შევაფასოთ ძალიან სუსტ მცდელობად, რამენაირად დაეხმაროს თავის პოლიტიკურ პარტნიორებს საქართველოში...“ ლევან ბერძენიშვილი იმ პოლიტიკური ლიდერების ვინაობას ასახელებს, ვინც, მისი აზრით, საქართველოში რუსეთის ინტერესებს ატარებენ. ის ლევან ვასაძეს რუსეთის იდეოლოგიის გამტარებლად მოიხსენიებს. ასევე, ირმა ინაშვილს („პატრიოტთა ალიანსი“), ნინო ბურჯანაძეს („გაერთიანებული დემოკრატები“) და კოალიციაში გოგი თოფაძეს. ბერძენიშვილის პათოსს** აძლიერებს „ნაციონალური მოძრაობა“. ამის დადასტურება იყო გადაცემა „პოლიტიკაში“ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერის, მაია ორჯონიკიძის ანალოგიური ბრალდება „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილისადმი. გადაცემის შემდეგ მაია ორჯონიკიძემ ირმა ინაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და გადაწყვიტა, რომ მობილურით გადაეღო ინაშვილის რეაქცია, მაგრამ ინაშვილს ნერვებმა არ უღალატა და მრისხანებაში მარტო დატოვა მაია ორჯონიკიძე.

„ალია“ გთავაზობთ ინტერვიუს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერთან **ირმა ინაშვილთან.**



„დღეს ხალხი გაბრაზებულია ხელისუფლებაზე ისევე, როგორც „ნაციონალურ მოძრაობაზე“, ხალხმა ხელისუფლებას ვერ აპატია იმედგაცრუება, სულში ჩაფურთხება“



– მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ, საქართველოში ბოლო ორი კვირის განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი რამე მოხდა, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება იყო არა მარტო სისხლის სამართლის დანაშაული, არამედ იყო დანაშაული ადამიანის და ადამიანურობის წინააღმდეგ. არაერთი კანონი არსებობს, რაც იცავს ადამიანის უფლებას. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, კანონის, კონსტიტუციის საერთაშორისო დეკლარაციის მიუხედავად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოწვევის პირობებში თითოეული ჩვენგანის უსაფრთხოება დაცული არ არის, მით უმეტეს არსებობს ათასობით ფაილი, რაც სააკაშვილმა ბოროტ მემკვიდრეობად დატოვა. ბოლო დღეების მანძილზე, როცა ეს კადრები გავრცელდა, ჩვენ ვნახეთ, მხოლოდ ცალ კარში მიდიოდა თამაში, ვრცელდებოდა მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაცია, რომ ამ კადრების გავრცელება მოხდა დღევანდელი ხელისუფლების პირობებში და ეს არ მომხდარა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს. რა მიზანი ჰქონდა ამ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გამოქვეყნებას და რეალურად ვინ ისარგებლა ამით, ამაზე მიდის მსჯელობა ბოლო დღეების მანძილზე. ჩემი აზრით, თუკი ვინმეს ინტერესში შეიძლება შედიოდეს, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“, სააკაშვილი, ადეიშვილი, ბოკერიას ფრთა, რომლებმაც პრაქტიკულად ამით ისარგებლეს. ისინი მუდმივად ცდილობენ, გადაფარონ მათ მიერ სისტემურად ჩადენილი დანაშაული. ბოკერია მუდმივად ხაზს უსვამს, რომ ჩვენ დროს ასეთი ტიპის გასაჯაროება არ მომხდარა, ამ დროს სააკაშვილის რეჟიმს ამ კადრების გასაჯაროება საერთოდ არ სჭირდებოდა, რადგან ნებისმიერ ამ კადრს ის იყენებდა უშუალოდ იმ კონკრეტული ადამიანის დისკრედიტაციისთვის, ვისზეც კომპრომატებს დებდნენ კონკრეტული პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ბიზნესმენების თუ საზოგადოებრივად აქტიური პირების დასაშანტაჟებლად. მათ იბარებდნენ კუდში, აჩვენებდნენ ამ კადრებს და აჩუმებდნენ, ან „ავერბოვკებდნენ“ და ასრულებინებდნენ მათთვის სასურველ დავალებებს. ამიტომ იყო, რომ საზოგადოების პროტესტი მასობრივ სახეს ვერ იძენდა. ამიტომ იყო, რომ პატიმართა წამების ფაქტები, ვიდრე კადრები არ გავრცელდა, რეზონანსს ვერ პოულობდა საზოგადოებაში და ბევრს არ სჯეროდა, რომ საქართველოს ციხეებში მსგავსი წამება ხდებოდა.

**— ინტერნეტსივრცეში გაჩნდა მუქარა პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებთან ერთად, სადაც ნათქვამია, რომ, თუკი 31 მარტამდე თანამდებობებიდან არ გადადგებიან კონკრეტული ადამიანები, მათ შორის თინა ხიდაშელი, მათზე გამოქვეყნდება კომპრომატი. ამ კონტექსტში როგორ ხსნით თავდაცვის მინისტრის სახელის გაჟღერებას?**

– არავინ იცის, გავრცელდება თუ არა დაანონსებულ პირებზე კადრები, ან ბუნებაში არსებობს თუ არა ეს კადრები. უბრალოდ, საზოგადოებამ ნახა ანონსი და დასახელებული გვარები, მათ შორის თავდაცვის მინისტრი, მაგრამ მე მეტს გეტყვით, მე ვფიქრობ, ეს კადრები რომ გავრცელდეს, იმ შემთხვევაში უფრო ვერ დაატოვებინებენ თანამდებობას თინა ხიდაშელს, ამ კადრების გავრცელებაში თავისებური დაცვის მექანიზმი არსებობს, რომ მან შეინარჩუნოს თავდაცვის მინისტრის პოსტი.

**— რა მექანიზმზე საუბრობთ?**

– ამ ყველაფერში ძალიან ბევრი მზაკვრობა და ხაფანგია ჩადებული დღევანდელი ხელისუფლებისთვის... და კიდევ ერთი მზაკვრობა, რაც ამ კადრების გავრცელებით იყო დასახული, გახლავთ ის, რომ ხალხი გაბრაზებულიყო ხელისუფლებაზე. ამ კადრების გამავრცელებელმა მიზანს ნამდვილად მიაღწია, ხალხი უკიდურესად აღშფოთდა და გაბრაზდა დღევანდელ ხელისუფლებაზე, ეს ხელისუფლება ამაზე უარესის ღირსია. ღირსია იმიტომ, რომ ფარული ჩანაწერების ორგანიზატორები და ამ კადრების გადამღებები დღემდე არიან ძალოვან სტრუქტურებში. ეს ხალხი არავის დაუსჯია ჩადენილი დანაშაულისთვის. სწორედ „რესპუბლიკური პარტიის“ ლობიზმით გამოცხადდა კოჰაბიტაცია, რის ნაყოფსაც დღეს ჩვენ ვიმკით. ამ კოჰაბიტაციის ნაყოფია სინამდვილეში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება.

**— თქვენი აზრით, რა არის გამოსავალი, რა პრევენციული ზომები უნდა გაატაროს ხელისუფლებამ?**

– დაგვიანებულია პრევენციული ზომების გატარება, გავიდა ოთხი წელი, დღევანდელმა ხელისუფლებამ ხალხის ნდობა დაკარგა, დღეს ხალხი გაბრაზებულია ხელისუფლებაზე ისევე, როგორც „ნაციონალურ მოძრაობაზე“, ხალხმა ხელისუფლებას ვერ აპატია იმედგაცრუება, სულში ჩაფურთხება, რომ „ნაციონალები“ დატოვეს პოლიტიკურ არენაზე ხელოვნურად და გადაარჩინეს. ეს მოხდა ალასანიას, უსუფაშვილისა და ლობისტების დახმარებით, რომლებმაც კოჰაბიტაცია თავს მოგვახვიეს.... და თუ თქვენ გაინტერესებთ, რა უნდა გაკეთდეს ტექნიკური კუთხით, უნდა შეიქმნას კიბერპოლიცია, მთლიანად უნდა შეიცვალოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, უნდა გამკაცრდეს სასჯელი, მკვლელობის ტოლფასი გახდეს ასეთი ტიპის დანაშაული, ვინც გაბედავს და პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს გაავრცელებს, მაგრამ პოლიტიკური ნებაა საჭირო, რომ დაიწყოს დამნაშავეების დასჯა. მაგრამ ჩვენ გვყავს მხდალი ხელისუფლება, რომელიც მძევლად ჰყავს აყვანილი თინა ხიდაშელს. ასეთი ხელისუფლება არ გვჭირდება, რომლის დირექ-

### პროვოკაცია

---

### ხალხის აზრი

## „წყალს წაუღია ეს მთავრობა და წინა მთავრობა — მეწყერს“

**ზურა, 56 წლის, არქიტექტორი:**

– მე მინდა გრიგოლიას ბოლოდროინდელ განცხადებებს და მას ვინც აჰყვა, იმათ გამოვეხმაურო, ჯერ ვის აინტერესებს, ვის როგორი სექსი აქვს და მეორე კიდევ, წყალს წაუღია ეს მთავრობა და წინა მთავრობა – მეწყერს, მაგრამ ის მთავრობა „შიზიკას“ დაკვეთით კადრებს გიღებდათ და გაშანტაჟებდათ და პასუხს ამ მთავრობას სთხოვთ? ისე, რომ წინა მთავრობას ვითომც არაფერი დაუშავებია? რა ლოგიკა გაქვთ? რითი ფიქრობთ და აზროვნებთ? მერე გწყინთ, როცა სიმართლეს პირში გეუბნებიან, აბა, ახლა რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ? თქვენსავით წინა სულწაწყმედილ მთავრობასთან შეხმატკბილებით უნისონში ვაგინოთ ამ უბედურ დღევანდელ ხელისუფლებას? რატომ? ამიხსენით ვინმემ. ეს კადრები ხომ მშვენივრად იცით, ვინც გადაღო და ვინც ავრცელებს, იმათ მოსთხოვეთ პასუხი, ვინც ეს გააკეთა, რა გჭირთ, ხალხო, ჟურნალისტები ხართ, ჭურნალისტები ხომ არა, დაფიქრდით რას წერთ და რას ითხოვთ, ან ვის სთხოვთ და რას სთხოვთ. თუ მართლა მარტო პიარი გინდათ, ეგ სხვა თემაა...

ტორიც არის თინა ხიდაშელი.

**— თუმცა, ლევან ბერძენიშვილი თქვენ, ნინო ბურჯანაძესა და გოგი თოფაძეს რუსეთის ინტერესების გამტარებლად მოგიხსენიებენ საქართველოში. არის ძალიან დიდი მცდელობა, რომ რუსული იარლიყი მოგაწებონ, პრორუსული ძალის სახელი დაგიმკვიდრონ. რას უპასუხებთ ოპონენტებს?**

– მე ვფიქრობ, საზოგადოებამ გაშიფრა იარლიყების თემა, იმდენად გაუფასურდა, რომ აღარ ჭრის ამ იარლიყების მიწებება. უნდა ითქვას, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადება თინა ხიდაშელზე, ეს არის მხოლოდ ხიდაშელის მხარდამჭერი განცხადება სინამდვილეში. როცა შენი ქვეყნის მიწების ოკუპანტი საფრთხედ მოიხსენიებს შენი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს, არის მცდელობა, რომ მას გაეზარდოს წონა. კარასინი არ არის გამოუცდელი პოლიტიკოსი და უნდა ხვდებოდეს, როცა თინა ხიდაშელს მოიხსენიებს საფრთხედ, ის ამით ხაზს უსვამს, რომ თინა ხიდაშელი არის პროდასავლური ძალა და რუსეთისთვის არის საფრთხე. მოდით, რეალურად ვთქვათ, რუსეთისთვის ხიდაშელი რა საფრთხეა? არავითარი, მაგრამ ეს რაც ხდება, არის ხიდაშელის კიდევ ერთხელ გადარჩენის მცდელობა.

**— თქვენ ახლა შეთქმულების თეორიებზე საუბრობთ...**

– შეიძლება ბევრი ასე ფიქრობს, მაგრამ გეტყვით, რომ სააკაშვილი ეხმარება თინა ხიდაშელს გადარჩენაში, კარასინის განცხადებაც არ იყო შემთხვევითი. კარასინს რომ ეს განცხადება გაეკეთებინა, ამისთვის ილვაწა სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანიამ, დამსახურებულმა „კაგებეშნიკმა“, დიახ, ამისთვის ილვაწა, რომ თინა ხიდაშელი მოეხსენიებინა საფრთხედ. ამით ე.წ.





მისი პროდასავლური იმიჯი გამტკიცებულიყო. სინამდვილეში არავითარი პროდასავლური ძალა არ ყოფილა არც სააკაშვილი და არც თინა ხიდაშელი არ არის. ის, რომ „რესპუბლიკური პარტია“ და „ნაცმოძრაობა“ არის ერთად, კიდევ ერთხელ გამოჩნდა „იმედის“ ეთერში გადაცემა „პოლიტიკაში“, სადაც მაია ორჯონიკიძემ მთელი სამყარო რუსეთის აგენტად გამოაცხადა, გარდა თინა ხიდაშელისა და „რესპუბლიკური პარტიისა“. მუდმივად უსვამდა ხაზს, რომ მას მოსწონს თინა ხიდაშელი და „რესპუბლიკური პარტია“. სინამდვილეში, სააკაშვილზე დიდი აგენტი რუსეთს ბოლო ათწლეულების განმავლობაში არ ჰყოლია, რუსეთს ემუქრებოდა და ოკუპანტს უძახდა, მაგრამ ჩვენი მიწების 22% რუსეთს ჩააბარა. ეს ის ხალხია, რომელიც პროდასავლურობაში იმას გულისხმობს, რომ პატიმრები უნდა აწამონ.

**— ამბობენ, „ნაცმოძრაობას“ ახალი მესიჯბოქსი აქვს, თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია რუსეთის აგენტებად უნდა მონათლონ. ასევე, მათ აქვთ მიღებული დავალება, რომ პირდაპირ ეთერში ოპონენტი მდგომარეობიდან გამოიყვანონ, ამის მაგალითი ჩვენ ვნახეთ ტელევიზია „პირველში“, როცა ირაკლი ბათიაშვილმა „ნაცმოძრაობის“ წევრს დებატებში წყლით სავსე ჭიქა ესროლა, როცა მან „კაგებეს“ აგენტი უწოდა, ხოლო „იმედის“ ეთერით ვნახეთ მძაფრი დაპირისპირება თქვენი და მაია ორჯონიკიძის... რატომ სხდებით დებატებში „ნაციონალებთან“?**

– მათ დარჩენილი აქვთ ერთადერთი, პროვოკაციების გზა, ეს არის ყველა ოპონენტისთვის რუსეთის აგენტის იარლიყის მიკერება. ეს მოხდა ირაკლი ბათიაშვილთან და ჩემთან მიმართებაში. რასაც შევესწარი პირდაპირ ეთერში, ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია, გადაცემა „პოლიტიკაში“ მიწვეული ვიყავით მთავარ თემაზე სასაუბროდ და არა იმისთვის, რომ 20 წუთის მანძილზე მესმინა სერგო ორჯონიკიძის მემკვიდრისთვის. საოცარი რა არის, იცით? ეს ნათელცისკროვანი მაია ორჯონიკიძე, რომელიც იცავს ნათელცისკროვან მიხეილ სააკაშვილს, ჩვენ გვაბრალებს რუსეთის აგენტობას და ხაზს უსვამს თავის ე.წ. პროდასავლურობას. ეს არის ნიღაბი, არავითარი პროდასავლურები ისინი არ არიან. პროდასავლურად ყიდდა სერგო ორჯონიკიძე საქართველოს, პროდასავლურად ყიდდა სააკაშვილი საქართველოს და ახლა ყიდის უკრაინას და პროდასავლურად სჩადიოდნენ იმ ბოროტებებს, რასაც სჩადიოდნენ. ის, რომ ჩვენ არ უნდა დავსხდეთ დებატებში „ნაციონალების“ წარმომადგენლებთან, ამ პოზიციას არ ვემხრობი, დიახაც,

### პროვოკაცია

უნდა დავსხდეთ მათთან დებატებში, მაგრამ ამ დებატს უნდა ჰქონდეს კორექტულობის სახე და გადაცემამ გადაცემის შინაარსი არ უნდა დაკარგოს. მე ვფიქრობ, გადაცემა „პოლიტიკა“ გათვლილი იყო იმაზე, რომ წონასწორობა დამეკარგა, წამყვანებმა და ასევე, რესპონდენტებმა იციან, რომ ვარ ემოციური ადამიანი, გათვლილი იყო, მიმტყუნებდა ნერვები და ფიზიკურად შევეხებოდი ორჯონიკიძეს. ამას გადაიღებდნენ, „იუთუბიზე“ ატვირთავდნენ და იტყოდნენ, რომ ეს არის პოლიტიკური პარტიის სახე, მაგრამ მე მოვითმინე და არ წამიგია. უკვე ჩანს, რომ ეს არჩევნები იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, იკვეთება, თუ რა ხასიათს შეიძენს წინასაარჩევნო პროცესი, ასევე, იკვეთება უზარმაზარი პოლიტიკური ინტერესები... ეს არჩევნები იქნება აგებული პროვოკაციებსა და შანტაჟზე.

**— „ქართულ ოცნებას“, რომელიც 4 წელია, ხელისუფლებაშია, არ აკისრებთ პასუხისმგებლობას?**

– დიახ, მინდა გითხრათ, რომ, რაც ხდება ამ ქვეყანაში, პასუხისმგებლობას მარტო „ნაცმოძრაობას“ კი არ ვაკისრებ, არამედ დღევანდელ ხელისუფლებასაც, რადგან ეს ხელისუფლება არის იმ სიძულვილის ღირსი, რასაც დღეს იღებს ხალხის მხრიდან. როგორც ხალხს მოექცა ამ ოთხი წლის მანძილზე, იმ დამოკიდებულებას ავლენს ხალხი ხელისუფლების მიმართ.

## საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის სავარაუდო გამარჯვება 10 გლობალურ საფრთხეში შეიტანეს



**Economist Intelligence Unit** ვერსიით, 10 ყველაზე მნიშვნელოვან გლობალურ საფრთხეში აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის სავარაუდო გამარჯვება შედის.

ყოველწლიური რეიტინგის ავტორები ფიქრობენ, რომ ხელისუფლებაში ტრამპის მოსვლა მსოფლიო ეკონომიკას შეარყევს, ასევე, აშშ-ში პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში რისკებს გაზრდის.

**EIU**-ში, აგრეთვე, ფიქრობენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპი ჰილარი კლინტონს ვერ მოუგებს, რომელიც დემოკრატების მხრიდან ყველაზე აშკარა კანდიდატად მიიჩნევა.

რეიტინგის შექმნისას **Economist Intelligence Unit** ანალიტიკოსები საფრთხის სერიოზულობას 25-ქულიანი სისტემით აფასებდნენ. ტრამპის, სავარაუდოდ, გაპრეზიდენტებას მათ 12 ქულა მიანიჭეს. ამდენივე ქულით შეაფასეს ჯიჰადისტებისგან მზარდი საფრთხე, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას სერიოზულად ემუქრება.

სიის სათავეშია ჩინეთის ეკონომიკის კლების საფრთხე, რომელიც 20 ქულითაა შეფასებული. შემდეგ მოდის რუსეთის სამხედრო ინტერვენცია უკრაინასა და სირიაში, რომელსაც შეუძლია, მსოფლიო ახალ ცივ ომამდე მიიყვანოს (16 ქულა).

ანალიტიკოსების აზრით, ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გამოსვლა და შეიარაღებული დაპირისპირება სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლა.

გლობალური საფრთხეები ათეული ასეთია:

– ჩინეთის ეკონომიკის შენელება;

– უკრაინასა და სირიაში რუსეთის ჩარევას ახალი ცივი ომი მოჰყვება;

– განვითარებად ბაზრებზე სავალუტო არასტაბილურობით გამოწვეული კორპორაციული ვალების კრიზისი;

– გარე და შიდა ფაქტორების გავლენით ევროკავშირის დაშლა;

– ევროზონიდან საბერძნეთის გამოსვლა, რასაც ევროკავშირის დაშლა მოყვება;

– აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვება;

– ისლამური ექსტრემიზმის საფრთხის ზრდა, რაც მსოფლიო ეკონომიკის დესტაბილიზაციას გამოიწვევს;

– დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გამოსვლას უჭერს მხარს;

– ჩრდილოეთ კორეის ექსპანსია სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში შეიარაღებულ დაპირისპირებას გამოიწვევს;

– ნავთობის მრეწველობაში ინვესტიციების ჩადების შეწყვეტა ნავთობის ფასის კლებას გამოიწვევს. (ლიბერალი)

ნანა სულავა
599 07-01-89



# რატომ მოიკლა თავი 14 წლის გოგომ?



პარასკევს, 18 მარტს, შებინდებისას, საღამოს 7 საათზე ნინო ჟვანიას ქუჩის №10-ში 9-სართულიანი კორპუსის მე-2 სართულზე მცხოვრები 14 წლის ნინა ჯაფარიძე მე-8 სართულზე ავიდა და სადარბაზოს აივნიდან გადმოხტა. ის ადგილზევე დაიღუპა. რატომ? რისთვის? – ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია კითხვები... სუიციდი ჩვენი ყოველდღიური უბედურება გახდა, უკვე მერამდენე ფაქტი დაფიქსირდა არასრულწლოვნის თვითმკვლელობისა, ვინ და რამ მიიყვანა ისინი ამ ნაბიჯამდე, ეს ვის ეხება?! ამაზე არავინ ფიქრობს და ამ თემას არავინ აპროტესტებს. მომხდართან დაკავშირებით დეტალების გასარკვევად შემთხვევის ადგილზე ვარაზისხევიდან ავდივარ, აღმართზე მიმავალს ერთი მამაკაცი დამემგზავრა და მეუბნება, – გამორჩეული გოგო იყო, მარტოხელა დედა ზრდიდა, ხედავთ, რა დღეშია ოჯახები?!. ამ დროს რაღაც მოძრაობებია დედაქალაქის ცენტრში, არასამთავრობოებმა წინასწარ, პერიფერიებშიც კი დააანონსეს ასეთი ღონისძიებები. „ლგბტ“ თავისას აწვება, ხალხის გაუბედურებას არავინ აპროტესტებს, – გაცხარებული მესაუბრება მამაკაცი.

ვუახლოვდები გარდაცვლილი გოგონას კორპუსს, უამრავი ხალხია... ყველა ერთს ლაპარაკობს, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე და კარგი მოსწავლე იყო, მისთვის არაფერი შეგვიმჩნევია საამისო. ჩვენ თბილისის №1 ექსპერიმენტული სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები ვართ, ნინა ჩვენი კლასელი იყო, ლამაზი... გაოგნებული მიყურებენ ბავშვები, თითქოს ჩემგან მოითხოვენ პასუხს, რატომ ხდება ქვეყანაში ასეთი უბედურებები?!. 35 წლის გამწარებული დედა დატოვა.

სადარბაზოსთან 14-15 წლის გოგო-ბიჭები ჩემკენ მოემართებიან, ასეთი სიტყვები ახალგაზრდებისგან არასდროს მომისმენია: იქნებ თქვენ, ჟურნალისტები, მაინც დაგვეხმაროთ და გადავრჩეთო...

**ლამარა, გარდაცვლილის მეზობელი:**

– ნინა ძალიან გაწონასწორებული ბავშვი იყო, ხალისიანი, რას წარმოვიდგენდით, თუ რაიმე პრობლემა ჰქონდა,

### ტრაგედია

ვერაფერს შეატყობდი. ასეთი ბავშვი, თანაც 14 წლის ასაკში სუიციდის მსხვერპლი რატომ გახდა, ვინმე დაინტერესებულა?!. ეს ისეთი ასაკია, რომლის დროსაც ბავშვის ფსიქიკა ყალიბდება. ქვეყანაში საშინელი გაჭირვებაა... ამ გაჭირვებამ ხალხის ფსიქიკა მთლიანად შეარყია. ხუთშაბათს ჩემი ახლობლის დასაფლავებაზე გახლდით, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ ზაზა მიქავამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ამბობენ, უამრავი ვალი ჰქონდაო... იმის ნაცვლად, რომ განგაშის ზარი შემოჰკრას ხელისუფლებამ, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას რაღაც ფორმით შეუმსუბუქოს ყოფითი პრობლემები, სამარცხვინო თემებზე აკეთებენ აპელირებას. საპატრიარქოს დუმილიც ცუდად მენიშნება, დროა, მათაც რამე იღონონ და ქმედითი ნაბიჯები გადადგან, თორემ ასე თვალსა და ხელს შუა ხელიდან გვეცლება ახალგაზრდობა.

**მომხდართან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ შსს-ს პრესცენტრს. შორენა ჯახუა:**

– გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**„მეგის ქარდავა თავისუფალია და ვიღაც ჯამალაშვილებს იჭერენ, საცოდავებს ციხეში, ვაშა დემოკრატიას! ვაშა სამართლიანობას!!!“**

**ნანი, 37 წლის, უმუშევარი:**

– მეგის ქარდავა თავისუფალია და ვიღაც ჯამალაშვილებს იჭერენ, საცოდავებს ციხეში, ვაშა დემოკრატიას! ვაშა სამართლიანობას!!!

ეჰ, მონდომება იყოს და გამოიკვლევენ, ვინ არის ამ „ფეისბუკს“ ამოფარებული პიროვნება. არ არის რთული ამისი პოვნა, მით უმეტეს,

### ხალხის აზრი

გამავრცელებლის „ფეისბუქექაუნთი“ კარგახანს არსებობდა, როგორც ვიცი. უკვე ძალიან მომაბეზრებელია ეს თემა, ყველგან სექსზე ლაპარაკობენ, ავტობუსში, ტელევიზორში, ეზოში. ვის როგორი აქვს, ახლა გამოდიან და საჯაროდ იძახიან, სირცხვილია, რამ გადარიათ?! ერთია, რომ გავრცელდა და მორალური ზიანი მიაყენეს ადამიანს, მაგრამ ამდენი ხანი კიდევ ამის საჯაროდ განხილვა, მგონი, არანაკლებად დააზიანებს მორალურად, ამაზე ფიქრობს ვინმე?

*მაკა დეკანოსიძე*

## გიორგი კვირიკაშვილი კარასინის განცხადებას პასუხობს



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას უპასუხა.

– საქართველოში არსებული განწყობების შესახებ საუბრისას რუსმა პოლიტიკოსებმა, ალბათ, პირველ რიგში, საკუთარ მიდგომებს უნდა მიაქციონ ყურადღება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის საფუძველზე აწყობილი ურთიერთობა იქნება ის, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ურთიერთობების სრული ნორმალიზაცია, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. (marshalpress.ge)

## კიდევ ერთხელ და ათასჯერ — მივმართავ მამაჩემის მკვლელობის თვითმხილველებს



აკადემიკოს გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე მამის მკვლელობის თვითმხილველებს და იმ ადამიანებს მიმართავს, ვისაც შესაძლოა, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდეთ.

– კიდევ ერთხელ და ათასჯერ – მივმართავ მამაჩემის მკვლელობის თვითმხილველებს, რომლებიც ასეული თუ არა, ათეულობით მაინც არიან: მელიქიშვილზე, მკვლელობის შემსწრენი; შანიძის, ხორავას, პეტრიაშვილის ქუჩების, პეტრიაშვილის ჩიხის მაცხოვრებლები; ფეხით მოსიარულეები და აგრეთვე, ისინი, ვინც ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ – თქვენ ყველამ ნამდვილი მკვლელები ნახეთ და მათ იცნობთ სახეზე.

ის მაინც იცით დანამდვილებით, რომ მამაჩემის მკვლელებიდან არც ერთი არ იყო გიორგი ბარათელი. მივმართავ, აგრეთვე, სხვა მოწმეებს, რომლებიც იმ დროს სხვადასხვა ძალოვან უწყებაში მუშაობდნენ და დღეს ფლობენ მნიშვნელოვან ინფორმაციებს, ან სულაც, რაღაც ფორმით, მონაწილეობაც აქვთ მიღებული თუნდაც, იმით, რომ აქამდე დუმილს ინარჩუნებენ – ყველას უმორჩილესად გთხოვთ, ითანამშრომლეთ გამოძიებასთან, გნებავთ, კონფიდენციალურად, გნებავთ, დაცვით ისარგებლეთ. ჩემი მხრიდან, გავაკეთებ თქვენთვის ყველაფერს, რაც შემიძლია.

თან არ მინდა ვინმე გავანაწყენო, მაგრამ არ გრცხვენიათ, კაცო? რა გაძინებთ ღამე? მიშას დროს ხომ არ გთხოვდით არაფერს?! – აცხადებს რუსუდან შარაძე. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



*მაკა დეკანოსიძე*

*551 99-18-19*

# ზურა ჯაფარიძე: „ლარი მომავალში კიდევ უფრო დასუსტდება“

**„რუსეთის სპეცსამსახურს შესაძლოა, ჰქონდეს, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები და ამით დააშანტაჟონ პრემიერი ან ნებისმიერი უმაღლესი პირი“**

„მაქვს მოლოდინი, რომ სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება“, — ამ განცხადებას აკეთებს „ალიასთან“ „ახალი პოლიტიკური ცენტრის — „გირჩის“ დამფუძნებელი, პარლამენტარი **ზურა ჯაფარიძე.**

**— ბატონო ზურა, ლარი მნიშვნელოვნად გამყარდა, რა ხდება? ეკონომიკაშია რაიმე სასიკეთო ძვრები, თუ ხელოვნური პროცესებია?**

– დავიწყებ იმით, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი შეიცვალა, თუმცა ამას არანაირი კავშირი არ აქვს ეროვნული ვალუტის გამყარება-დასუსტებასთან. ეროვნული ბანკის მხრიდან არაფერი განსაკუთრებული არ შეცვლილა, რასაც მოუწოდებდნენ მაშინ ეროვნულ ბანკს, რომ მეტი დოლარი გაეყიდა ლარის კურსის დასაჭერად, ახლა ვხედავთ პირიქით, რომ რამდენიმე დღის წინ 50 ათასი დოლარი შეისყიდა. რაც შეხება მიზეზებს, ერთი მიზეზი, რაც ძალიან ცალსახად ჩანს, არის ის, რომ დოლარის გამყარება მოხდა ეროვნულ ვალუტებთან მიმართებაში ბევრ ქვეყანაში. სხვა მიზეზები რაც შეიძლება იყოს, არის სეზონურობის ამბავიც, დათბა და ნაკლები ფული გადის საქართველოდან ენერგომატარებლებზე, გაუმჯობესება შეიძლება იყოს სხვა თვალსაზრისითაც, დოლარის შემოდინების კუთხით. კომპლექსებია მიზეზების, რის გამოც ეს მოხდა, თუმცა შეცდომაში არ უნდა შევიდეთ და არ უნდა ჩავთვალოთ, რომ საქართველოს ეკონომიკაში რაიმე გარდამტეხი მოხდა და ეს აისახა ქართულ ვალუტაზე, სამწუხაროდ, ეს ასე არაა, ქვეყნის ეკონომიკა გაჩერებულია. მე მაინცდამაინც ოპტიმისტურად განწყობილი არ ვარ, რომ ეს სიმყარე შენარჩუნდება, მგონია, რომ ლარი მომავალში კიდევ უფრო დასუსტდება, იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკაში ფუნდამენტური პრობლემები გვაქვს და მისი გაუმჯობესების მიმართულებით, კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა, მხოლოდ განცხადებები გვესმის ახალი პრემიერისგან. ამ ეტაპზე სხვა რამის თქმა არ შემიძლია.

**— ვრცელდება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რომელიც გადაღებულია, როგორც პროკურატურა ამბობს, წინა ხელისუფლების დროს. ვის ინტერესშია დღეს სიტუაციის არევა, პოლიტიკური ბრძოლის ეს გზა და თუ გაქვთ მოლოდინი, რომ ნამდვილ დამნაშავეებს დასჯიან? მეზობელი ქვეყნის ინტერესსაც ხედავენ ამ კადრების გავრცელებაში და რამდენად ახლოსაა რეალობასთან?**

– ცხადია, გამიჭირდება გადაჭრით იმის თქმა, პრორუსული ძალების გაკეთებულია თუ ხელისუფლების და ა.შ. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ტემპერატურის აწევა და სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირება, ცხადია, მათთვის ხელსაყრელია. რაც შეეხება კადრების გამოძიებას, ამის პოლიტიკური ნება ხელისუფლებას რომ ჰქონოდა, ძალიან მარტივი იქნებოდა, რადგან ამას აკეთებენ კონკრეტული ადამიანები, რომელთაც აქვთ ტექნიკური აღჭურვილობა, ვიღაც აძლევდათ დავალებებს, წასულიყვნენ, გადაეღოთ, დაემონტაჟებინათ, ამას ვერ გააკეთებდა შსს-ს რიგითი თანამშრომელი, ან სხვა უწყების.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ხელისუფლების დროსაა გადაღებული?**

– ეს კონკრეტული სკანდალური ვიდეო არ ვიცი, ვისი გადაღებულია, ფაქტია, რომ წინა ხელისუფლების დროსაც იღებდნენ და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ახლაც გრძელდება. რადგან კონკრეტული ფაქტები იყო და შემიძლია, ეს გავიხსენო, მათ შორის როგორ ხდებოდა უკანონო ფარული მიყურადება, მაგრამ არავინ არ გამოიძია ბოლომდე და მკაცრად არ დასჯილან ამისთვის. ესაა მიზეზი იმისა, რომ დაუსჯელობის სინდრომი იმდენად მაღალია, ვისაც რა მოუნდება, ავრცელებს. მეორე არის ის, რომ, როდესაც საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ამ ხელისუფლების პირობებში, რეალურად ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ბერკეტები, უკანონო ფარული მიყურადების, ისევ დაეტოვებინა შსს-ს. ნებისმიერ დროს შეიძლება გააკეთონ იგივე რამე, ისე რომ პერსონალური დაცვის ინსპექტორი ვერ გაიგებს ვერაფერს. მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ მთავარი რაც არის, კონკრეტული ადამიანები უნდა დაისაჯონ ამისთვის, ვინც იღებდა, ვინც გასცემდა დავალებას, ვინც გაავრცელა, ვინც ატვირთა და ა.შ. თუ არ დაისჯებიან, კვლავ იარსებებს საფრთხე, ჩაწერისაც და გავრცელებისაც... მე ვამბობ მარტივ რამეს, კონკრეტულ სამართალდამცავ სტრუქტურებში კონკრეტული განყოფილებები იყო, რომელნიც აღჭურვილი იყვნენ იმისთვის, რომ მსგავსი რაღაცები გადაეღოთ, კონკრეტული ადამიანები მუშაობდნენ იქ და თუ ამის ნება არის პოლიტიკური, რთული არაა ამ ადამიანების იდენტიფიცირება, შემდეგ გარკვევა, ვინ აძლევდა მათ ასეთ დავლებებს და ა.შ. ამ ჯაჭვის გამოძიება არის ძალიან მარტივი და ის, რომ მეოთხე წელი დაიწყო და მსგავსი რამ ხელისუფლებამ არ გააკეთა, უფრო ამძაფრებს ეჭვს, რომ ამის ნება არ არის.



**„კონკრეტული ადამიანები უნდა დაისაჯონ ამისთვის, ვინც იღებდა, ვინც გასცემდა დავალებას, ვინც გაავრცელა, ვინც ატვირთა“**



**„კომპრომატები შესაძლოა, იყოს ჩემზეც, არ ვარ დაზღვეული“**

**— და გამორიცხავთ, რომ ამის გავრცელებითაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს დაინტერესებული? მათთვისაც ხელსაყრელია ხელისუფლებას დაჰბრალდეს და შედეგად პოლიტიკურ ოპონენტთან ბინძური ხერხით ბრძოლა დასწამონ... თქვენ ყოფილი ხელისუფლების გუნდის წევრი იყავით და მათ ერთგვარ სტრატეგიულ ხრიკებს უნდა იცნობდეთ...**

– მე, ჯერ ერთი, არ ვარ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი, არ ვყოფილვარ „ნაციონალურ მოძრაობაში“, როცა ის ხელისუფლებაში იყო... ეგრე შესაძლოა, ბევრ ვინმეს აწყობდეს ამ კადრების გავრცელება, მათ შორის „ნაციონალებსაც“, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, არსებითი არის ის, რომ პასუხისმგებლობა არის იმაზე, ვინც არის ხელისუფლებაში და დღეს ესენი არიან, რომელთაც ჰქონდათ საკმარისზე მეტი დრო, ეს საქმეები გამოეძიებინათ, ვინც არ უნდა იყვნენ და რომელ პოლიტიკურ გუნდშიც.

**— არჩევნების მოახლოებასთან ერთად შესაძლოა, უფრო დიდი რაოდენობით „გამოიყაროს“ ფარული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები, რამაც შესაძლოა, უმართავი პროცესიც კი გამოიწვიოს, თქვენც გრძნობთ ამ საფრთხეს? თუ იცით, თქვენზეც ხომ არ არსებობს მაკომპრომეტირებელი კადრები?**

– იმის მოლოდინი, რომ სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება, ნამდვილად მაქვს. შეეცდებიან პოლიტიკური ტემპერატურის აწევას და ეს შედეგი, შესაძლოა, ბევრი ვიღაცის ინტერესებში შედიოდეს. რუსეთის ინტერესებში, შესაძლოა, „ოცნების“ რაღაცა ნაწილის ინტერესებში, რადგან კოალიციის შიგნით სრული ბალაგანია. შეიძლება სხვა პოლიტიკური ძალის ინტერესშიც, მე არ ვიცი, მაგრამ მთავარი პრობლემა არის ის, რომ, როგორც ჩანს, არსებობს ძალიან დიდი რაოდენობით პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, მათ შორის შესაძლოა, იყოს ჩემზეც, არ ვარ დაზღვეული. არანაირი გარანტია არაა იმის, რომ ასეთი კადრები არ არსებობს ყველა საჯარო პირზე. ასევე, უმნიშვნელოვანესია, რომ დიდი ალბათობით, ეს კადრები უკვე არსებობს რუსული სპეცსამსახურების ხელში, რაც აჩენს დიდ საფრთხეს, და ეს მდგომარეობს იმაში, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში ერთი წლის, ხუთი წლის შემდეგ, პრემიერი იქნება თუ პრეზიდენტი, მასზე რუსეთის სპეცსამსახურს შესაძლოა, ჰქონდეს, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები და დააშანტაჟონ პრემიერი ან ნებისმიერი უმაღლესი პირი. იმდენად გაიბნა ეს კადრები, ვინც ავრცელებს, იმასაც კი შეუძლია, როგორც სხვებს აწოდებს, მიაწოდოს რუსეთის სპეცსამსახურებსაც.

### ვინ გვიშველის?!

**— თქვენი ყოფილი თანაგუნდელები „ნაციონალური მოძრაობიდან“ თქვენი გუნდის მისამართით არცთუ კეთილგანწყობილები არიან და ხელისუფლებასთან კავშირს გაბრალებენ, თქვენ იდეების მოპარვაში ამხილეთ. შესაძლოა, კიდევ უფრო გამწვავება?**

– როგორც ჩანს, თვლიან, რომ ჩვენი ძალა არის მათი კონკურენტი, საფრთხეს წარმოვადგენთ მათთვის და აქედან გამომდინარე, გააკეთეს სრულიად უკონტექსტო განცხადებები, რომ თითქოს გარიგებაში ვართ ხელისუფლებასთან. ეს დაუკავშირეს კვირიკაშვილის განცხადებას, რომ ის აპირებს ჩვენთან შეხვედრას და ამას მოჰყვა ისტერია, თუმცა ეს შეხვედრა არც შემდგარა. იდეების მოპარვაც არახალია, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, ამ იდეებმა გაიმარჯვოს და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გააკეთებს რეალურად, უბრალოდ, პრობლემას იმაში ვხედავთ, რომ ამას პიარისთვის იყენებენ და არავინ ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს არ დგამს.

**— იგეგმება კვირიკაშვილთან შეხვედრა თუ „გადაგაგდოთ? ისე, საინტერესოა, თქვენს საკანონმდებლო წინადადებებს რა ბედი ეწია, იზიარებს ხელისუფლება რაიმე ინიციატივას?**

– სურვილის შემთხვევაში ყველას შევხვდებით, პრემიერსაც და ვისაც აინტერესებს ჩვენი ხედვა. ჩვენ ვართ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც აქვს ზუსტი ხედვა, რა ნაბიჯებია გადასადგმელი ქვეყნის ეკონომიკის ჩიხიდან გამოსაყვანად, რასაც ვასაბუთებთ მათემატიკურად.

**„ამ ჯაჭვის გამოძიება ძალიან მარტივია და ის, რომ მეოთხე წელი დაიწყო და ხელისუფლებამ მსგავსი რამ არ გააკეთა, კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვს, რომ ამის ნება არ არის“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



2016 წლის 14 მარტს, ანუ წინა ორშაბათს, გამოვიდა „ყოველკვირეული ალიას" მე-11 ნომერი, სადაც გამოვაქვეყნეთ სტატია სათაურით: „რა თქვა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც რამდენიმე დღის წინ გავრცელებული სკანდალური ვიდეოჩანაწერი აჩვენეს"? სტატიაში ბევრი მნიშვნელოვანი დეტალის გარდა, იყო ასეთი ფრაგმენტი:

„გავიდა სამი წელიწადი, უჩალიჩებდნენ".

როგორც წესი, ჩვენმა საინფორმაციო სააგენტოებმა (უკლებლივ ყველამ) ეს ფრაგმენტი თავიანთებურად გაასკანდალეს, ანუ სიტყვები – „ამბობენ", „კულუარული ინფორმაციის თანახმად", „წყაროს ინფორმაციით", ამოყარეს და ტექსტს მისცეს მტკიცებულებითი ფორმა. ბუნებრივია, ამის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ „ალიას" ჰქონდა უტყუარი ინფორმაცია მორიგი ვიდეოს შესახებ, სადაც ასახული იქნებოდა ერთ-ერთი ჩართვებით ხშირად გვმოძლვრავს ხოლმე ქართველ ჟურნალისტებს. ის დიდი აზროვნებითა და ორიგინალობით არ გამოირჩევა, მაგრამ, რაკი გარკვეულ წრეებში მაგრად სჭირდებათ, ალაპარაკებენ. მოკლედ, ბატონმა პაატამ თავისი „ფეისბუკის" გვერდზე ასეთი რამ დაწერა (სტილი დაცულია):

„გულწრფელად მაინტერესებს, ეს ჩვენი მინისტრები რომ დაეტაკნენ „ინტერპრესნიუსის" მთავარ რედაქტორს სრულიად გაუგებარი მოტივით და ჯვარს აცვეს, ამ საუბროთ-მეთქი. შეიძლება ბატონმა პაატამ არ იკადრა ჩემთან გასაუბრება, ის უფრო მაღალ მატერიებზე მსჯელობს ხოლმე, მაგრამ, ჩემი აზრით, დამემალა. თქვენ გგონიათ, ქურდაძეს ან „ინტერპერსნიუსი" აინტერესებს, ან კიდევ სამართლიანობის აღდგენაზე ოცნებობს? არა, ის 2015 წლის 26 აპრილს „ჯიდიესის" (გადაცემა „20/30") ეთერში პარიზიდან გადმოდგა და ქართული პრესის მიფარჩაკება მოინდომა. მეტიც, მაშინ ისეთი ისტორიული ფრაზა თქვა, ველარ მოვითმინეთ

### ქრონიკა

წრეებსა თუ ნაცნობ-მეგობრებში ყველამ იცის და ყველა იმას ამტკიცებს, რომ ვიდეოების ამტვირთავი (თუ ამტვირთავები) ამაზე არ გაჩერდებიან. მეტიც, მე გამომძიებელს ვუთხარი, ჩემი ვარაუდი თუ კულუარული ინფორმაციის სიზუსტე იმავე დღეს გამოქვეყნებულმა ვიდეოანონსმაც დაადასტურა-მეთქი. ბუნებრივია, გამოძიებას აინტერესებდა, ხომ არ გვყავს ინფორმაციის ისეთი წყარო, რომელსაც ეცოდინება

# საიდან იცოდა „ალიამ", მორიგი ფარული სექსვიდეოები მოქმედ მინისტრ ქალბატონებს რომ ეხებათ?!

**ამის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ „ალიას" ჰქონდა უტყუარი ინფორმაცია მორიგი ვიდეოს შესახებ, სადაც ასახული იქნებოდა ერთ-ერთი მოქმედი მინისტრის სექსუალური ცხოვრება**







ცოტა მეტი, მოახლოვდა მორიგი არჩევნები, ისევ გამოჩნდა ის ფირები, ამჯერად ვის ხელშია, რამდენის ხელშია და ვინ როდის გამოიყენებს, არავინ იცის. უკვე ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, რომ უახლოეს ხანში სოციალური ქსელების მეშვეობით საზოგადოება იხილავს მეორე, უფრო „მძაფრსიუჟეტიან" ვიდეოს და ამას მოჰყვება რამდენიმე მინისტრის გადადგომა. ისე, სადაც სამართალია, ეს მინისტრები თავადვე უნდა წერდნენ განცხადებებს, მაგრამ საქართველოში ასე იშვიათად ხდება, სანამ სკამიდან არ ააგლეჯენ, თავისით არავინ მიდის. როგორც ინკოგნიტო წყარო უყვება „ალიას", მორიგი ვიდეო ერთ-ერთი მოქმედი მაღალჩინოსნის სექსუალურ აქტივობას ეხება და უფრო მძაფრია, ვიდრე აქამდე გამოქვეყნებული. იგივე წყაროს ინფორმაციით, ხელისუფლებაში 2012 წლის შემდეგაც დარჩა ძალა, რომელმაც ძველი ჩვეულება არ მოიშალა და ისევ განაგრძო კომპრომატების კეთება ახლა უკვე მოქმედ ჩინოვნიკებზე. სხვათა შორის, სანამ ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობას დატოვებდა, ავი ენები უკვე აქტიურად ლაპარაკობდნენ კულუარებში, რომ მასაც შეუგზავნეს ერთი მეტად სექსუალური გარეგნობის ქალბატონი, უნდოდათ, ირაკლი როგორმე „შეეცდინათ" და კომპრომატი გადაეღოთ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ჯერ ერთი, ღარიბაშვილმა დროულად „მოწვა", რომ რაღაცას მოქმედი მინისტრის სექსუალური ცხოვრება. დიახ, ჩვენ გვქონდა კულუარული ინფორმაცია რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით, მაგრამ ამის შესახებ მაინც არ დაგვიწერია მტკიცებულებით ფორმაში, რათა ვინმესთვის არ მიგვეცა ზედმეტი ბრალდებების საფუძველი და არ დაგვერღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია. თუმცა ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია რომ უტყუარი იყო, ეს იმავე დღეს, 14 მარტს, ორშაბათს დადასტურდა, როცა ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ე.წ. ვიდეოანონსი, სადაც უჩინარი პიროვნება იმუქრებოდა, თუ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი და განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე 31 მარტამდე არ გადადგებიან, მათი სექსუალური ცხოვრების სკანდალური კადრები გამოქვეყნდებაო. აქვე იყო ნახსენები ჟურნალისტი ინგა გრიგოლია, მას ემუქრებოდნენ, თუ არ დატოვებ (სავარაუდოდ, ქვეყანას), შენზეც გვაქვს კომპრომატიო.

როდესაც საინფორმაციო სააგენტოებმა ჩვენი სტატიის ეს ფრაგმენტი საერთო კონტექსტიდან ამოგლიჯეს და გაავრცელეს, საზოგადოებაში ატყდა ერთი ამბავი, ზოგმა არ დაიჯერა, ზოგმა სერიოზულად მიიღო, ზოგი გაღიზიანდა, ზოგი კი უკიდურესად აღშფოთდა: როგორ, პროკურატურა სხვებს თუ იბარებს დაკითხვაზე, „ალია" არ უნდა დაკითხონო? ერთ-ერთი ასეთი გახლდათ პარიზში მორჭმით მჯდომი პაატა ქურდაძე, რომელიც დისტანციური საიტის და განსაკუთრებით „ალიას" არავინ არაფერს ეკითხება, თუ ამისთვის აღარ ცალიათ ქალბატონ მინისტრებს? რას ნიშნავს ინკოგნიტო წყარო, როდესაც დაეშის ტერორისტებს უტოლებენ საქართველოში ამ ვიდეოების გამავრცელებლებს? მაინცადამაინც გამოქვეყნებას ელოდებიან განცხადებების გასაკეთებლად? „ინკოგნიტო" წყარო „ალიას" უყვება მომდევნო ვიდეო ერთ-ერთი მოქმედი მაღალჩინოსნის სექსუალურ აქტივობას ეხება და ის უფრო მძაფრია ვიდრე აქამდე გამოქვეყნებულა. ეს ყველაზე მაგრია: „სხვათა შორის სანამ ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრი იყო, ავი ენები აქტიურად ლაპარაკობენ, რომ მასაც შეუგზავნეს სექსუალური გარეგნობის ქალბატონი, რომელსაც ევალებოდა პრემიერის შეცდენა, თუმცა ბატონმა ირაკლიმ ამის შესახებ დროულად გაიგო, რომ რაღაცას უმზადებდნენ. წყარო: „ალია". სექსუალური გარეგნობის ქალბატონი! ღმერთო მიშველე".

ვინაიდან ბატონი პაატა უფრო აკადემიური სტილის პუბლიცისტ-მკვლევარია და ხშირად თვითონაც არ იცის ხოლმე, რას ლაპარაკობს, ვცადე, პირადად ამეხსნა, რას ნიშნავს „ინკოგნიტო წყარო", რას ნიშნავს „კულუარული ინფორმაცია" და რაც მთავარია, რას ნიშნავს „სექსუალური გარეგნობის ქალბატონი". მე მას პირადად მივწერე, აგერ ვარ „ალიაც", ამ სტატიის ავტორიც, თუ რამე პრობლემები გაქვთ, მკითხეთ, გავიდა მაშინვე „მივაკრიტიკეთ":

„მედია არის საშუალება, რომელიც გვაძლევს საშუალებას, ვიყოთ ინფორმირებულები, ჩვენ გვაქვს უფლება, რომ ვიყოთ ინფორმირებულები".

ნუ, ახლა ამ აზროვნების ადამიანმა რომ არ იცოდეს, რას ნიშნავს სექსუალური გარეგნობის ქალი, გიკვირთ? მე არ მიკვირს! მოკლედ, არ დაივიწყა ბატონმა პაატამ წყენა და როგორც კი მომენტი ნახა, პროკურატურას მოუწოდა, „ალია" დაკითხეთ, მაგათ ეცოდინებათ, ვიდეოებს ვინ ავრცელებს, ეგრევე ჩაგიკაკლავენო. კი, რა თქმა უნდა, ვიცით, ესენი არიან: მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია, ზურაბ ადეიშვილი, გიგა ბოკერია. მთავარი დამამზადებელ-შემსრულებელი გახლავთ მეგის ქარდავა. მეტიც, ამათ აწამეს უამრავი ადამიანი არა მხოლოდ ციხეში, გარეთაც. ამათ მოკლეს არაერთი ადამიანი, მათ შორის, ბუტა რობაქიძე და სხვები. რა გინდათ მეტი? ხელს ვადებთ, ჩვენებასაც მივცემთ პროკურატურას, დაიჭირეთ, დასაჯეთ!

ერთი სიტყვით, 19 მარტს, დღის 3 საათზე „ალია", ანუ სტატიის ავტორი, მე, გელა ზედელაშვილი მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე დამიბარეს. რასაკვირველია, დროულად გამოვცხადდი და მივეცი იგივე ჩვენება, რაც სტატიაში წერია. რაც შეეხება ინკოგნიტო წყაროს, ან წყაროებს, ბუნებრივია, არავინ დამისახელებია და არც არის ამის საჭიროება, არც არავის დაუძალებია. დღეს გარკვეულ ამტვირთავთა ვინაობა. არა, ჩვენ ასეთი წყარო ნამდვილად არ გვყავს... რომ ვიცოდეთ, ვინ აკეთებს ამას, არ დავმალავდით და გამოვაქვეყნებდით. აქ საუბარია კონკრეტულ შემსრულებელზე, თორემ ვინ გადაიღო და ეს ყველაფერი ვისი შემოქმედებაა, ისინი უკვე დავასახელეთ. თუმცა ნუ გამოვრიცხავთ, რომ ამტვირთავებიც ესენი იყვნენ. ჩემი იქ ყოფნის დროს გამოძიებამ ასევე ამოიღო „თავისუფალი თაობის" ხელმძღვანელის, ლადო სადღობელაშვილის სტატუსი, რომელიც მან 15 მარტს დაწერა „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე, სადაც საუბარია ვინმე „X" ქალბატონზე. სადღობელაშვილის მტკიცებით, რომელიღაც მოქმედ მინისტრ ქალბატონს სექსუალური კავშირი ჰქონია ცხოველებთან, არის ზოოფილი და მოუწოდებს, თავად გააკეთოს განცხადება. გამოძიებამ ჩათვალა, რომ ეს მოწოდებაც ამყარებს ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის სისწორეს და გადაწყდა, რომ სადღობელაშვილსაც დაკითხავენ. თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, მისი სტატუსი ცალკე გარკვევის საგანია და არანაირად არ ეხება „ალიაში" გამოქვეყნებულ სტატიას. დაკითხვის ბოლოს შევთანხმდით, რომ, თუ ამ კუთხით რამე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩაგვივარდება ხელში, აუცილებლად გადავცემთ. აი, სულ ესაა, რის თქმაც ამჯერად შეიძლება და პაატა ქურდაძეს თუ მისთანებს სრული უფლება აქვთ, შვებით ამოისუნთქონ და სამუდამოდ დამშვიდდნენ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოსკოვი აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით გაცემაზე მუშაობს



მოსკოვი სოხუმის მარიონეტულ რეჟიმთან აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით გაცემაზე იმსჯელებს.

„რია ნოვოსტის" ინფორმაციით, შესაბამის საკითხს 18 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აფხაზ „კოლეგასთან" ვიაჩესლავ ჩირიკბასთან მოსკოვში დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილავს.

ჩირიკბას განმარტებით, მოლაპარაკებების დროს იგეგმება მსჯელობა ჟენევის დისკუსიების მსვლელობაზე, ე.წ. რუსულ-აფხაზური საზღვრის გადაკვეთის კომფორტული რეჟიმის შექმნასა და სხვა საკითხებზე. (ინტერპრესნიუსი)

## ზვიად კვაჭანტირაძე არ გამორიცხავს, რომ ქართულმა მხარემ აბაშიძე-კარასინის ფორმატის „ხარისხობრივი ცვლილების" საკითხი დააყენოს

– თუ კარასინი კვლავ აპირებს ასეთი ტონით ლაპარაკს, ამ ფორმატში კარასინი არ გამოგვადგება, რადგან ეს ფორმატი მიმართულია სულ სხვა მიზნებისთვის, – ამის შესახებ ჟურნალისტებს უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ განუცხადა.

– ვფიქრობ, ჩვენ გარკვეული მესიჯიც მივიღეთ კარასინის პირით და მოდით, ვაღიაროთ, რომ ის მარტო საკუთარ აზრს, ალბათ, არ ახმოვანებდა, როდესაც ასე თითის დაქნევით გველაპარაკა. ვფიქრობ, ერთი მხრივ, ეს სასარგებლოა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ზუსტად ვიცით, რასთან გვაქვს საქმე. თუ კარასინი კვლავ აპირებს ასეთი ტონით ლაპარაკს, ამ ფორმატში კარასინი არ გამოგვადგება, რადგან ეს ფორმატი მიმართულია სულ სხვა მიზნებისთვის, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

მისივე თქმით, აბაშიძე-კარასინის ბოლო შეხვედრისგან გაცილებით მეტი ინფორმაციის მოსმენაა საჭირო.

– აბაშიძე-კარასინის ბოლო შეხვედრისგან ჩვენ გაცილებით მეტ ინფორმაციას მოვითხოვთ. ბატონ ზურაბს მოვიწვევთ და აუცილებლად ვკითხავთ მას ყველა დეტალს. ბევრი შეფასება გაკეთდა კარასინის გამონათქვამებთან დაკავშირებით. მიხარია, რომ მთელი პოლიტიკური სპექტრი იყო ერთსულოვანი განცხადებებში. ერთმნიშვნელოვნად ამ განცხადებას ცინიკურის მეტს ვერაფერს ვუწოდებ. მე ვფიქრობ, რომ ბატონი კარასინი ამ განცხადებაში გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, ვიდრე ამას წარმოვიდგენდით, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## აი, მესმის თანამდებობების შეცვლააა!..



სურსათის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ზაზა დოლიძე ფეხბურთის განვითარების ფონდს ჩაუდგა სათავეში.

ზაზა დოლიძის ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელმძღვანელად გადასვლის შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაადასტურეს.

ზაზა დოლიძე სურსათის ეროვნულ სააგენტოს 2016 წლის 1-ელ მარტამდე ხელმძღვანელობდა. იგი თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრის ბრძანების საფუძველზე განთავისუფლდა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, ზაზა დოლიძემ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა და უკვე ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში" განაგრძობს მუშაობას. (bpn.ge)

## რამდენად ბედნიერია საქართველო

საქართველომ ბედნიერების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს 156 ქვეყანას შორის 126-ე ადგილი დაიკავა. შესაბამისი ანგარიში გაეროს „მდგრადი განვითარების გადაწყვეტის ქსელმა" გამოაქვეყნა.

კვლევის თანახმად, 2015 წელთან შედარებით საქართველო ბედნიერების ინდექსის მიხედვით დაწინაურდა და პოზიცია 4 პუნქტით გაიუმჯობესა.

2016 წლის ბედნიერების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა დანიაა. ამ მხრივ, მეორე ადგილი შვეიცარიამ დაიკავა. ხუთეულში, ასევე, შევიდნენ ისლანდია, ნორვეგია და ფინეთი. ათეულში კი კანადა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ავსტრალია და შვედეთი. რაც შეეხება აშშ-ს, იგი მე-13 პოზიციას იკავებს წელს, გერმანია კი მე-16 ადგილზეა.

კვლევის მიხედვით, ყველაზე ნაკლებად ბედნიერი ქვეყანა ბურუნდი აღმოჩნდა, რომელიც მწვავე პოლიტიკურ კრიზისს განიცდის.

მას მოჰყვება სირია, სადაც სამოქალაქო ომი უკვე 5 წელია მიმდინარეობს.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, ყველა მათგანი ბედნიერების ინდექსის მიხედვით საქართველოს რეიტინგში უსწრებს. კერძოდ, 2016 წლის კვლევის მიხედვით, რუსეთი 56-ე, თურქეთი 78-ე, აზერბაიჯანი 81-ე, ხოლო სომხეთი 121-ე ადგილზე გავიდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მოლდოვა – 55-ე, ხოლო უკრაინა 123-ე ადგილზეა.

ბედნიერების ინდექსს თითოეული ქვეყნიდან 1 000 გამოკითხულის პასუხების მიხედვით ადგენენ. კვლევაში მონაწილე პირებს სთხოვენ, შეაფასონ თავიანთი ცხოვრებისა და ბედნიერების დონე 0-დან 10 ქულამდე.

კვლევაში გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, სოციალური მხარდაჭერა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, თავისუფლება, კორუფციის აღქმა და ასე შემდეგ. (allnews.ge)

### ტერორიზმი

## რატომ მისცა 31 მარტამდე დრო პოლიტიკოსებს ვიდეოტერორისტმა?

# „უფრო შემზარავი კადრები გამოქვეყნდება!"

## თუ ფარული კადრების სკანდალური საქმე ვერ გამოიძიეს, ვინ დატოვებს პოსტს?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების გამოქვეყნების შემდეგ, პროკურატურამ სს საქმე 157-ე მუხლით აღძრა, რაც პირადი ცხოვრების ხელყოფას გულისხმობს. ჯერჯერობით, გამოძიებას ხელმოსაჭიდი არაფერი არ უნდა ჰქონდეს, რადგან, წინსვლა რომ იყოს ამ საქმეში, გაასაჯაროებდა. არაერთი ქართველი და უცხოელი ექსპერტის ინტერვიუსა და ანალიტიკურ წერილს გავცნობივარ კიბერდანაშაულის სპეციფიკის შესახებ და ყველა ერთსა და იმავეს ირწმუნება – ამ სახის დანაშაულის გამოძიება ერთ-ერთი უძნელესი, ურთულესი საქმეა ნებისმიერი ქვეყნის საგამოძიებო უწყებებისთვისო. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს დანაშაული გამოუძიებელი უნდა დარჩეს, თუმცა ამის ალბათობა ძალიან დიდია. დავუშვათ და, ვერ გამოიძიეს ეს დანაშაული ჩვენმა სამართალდამცავებმა, მერე რა ხდება? ვინ უნდა აგოს პასუხი ამის გამო? ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და დავუშვათ, ვინ უნდა დატოვოს პოსტი? კანონი არავის ავალდებულებს, რომ ამგვარი საქმის გამოუძიებლობის შემთხვევაში, ვინმემ თანამდებობა აუცილებლად უნდა დატოვოს, მაგრამ რადგანაც საზოგადოების ინტერესი ძალიან მაღალია ამ საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, არასამთავრობოები აქციას აქციაზე აწყობენ და გაჩერებას არ აპირებენ, შესაძლოა, მათ კონკრეტული თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დასვან. ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, ცხადია, იმ უწყების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ვისაც უშუალოდ ევალება გამოძიება. ვინაიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ერთდროულად სამ უწყებას – მთავარ პროკურატურას, შს სამინისტროსა და სუს-ს დაავალა ამ საქმის გამოძიება, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამივე უწყების ხელმძღვანელი ერთნაირად არის პასუხისმგებელი შედეგებზე. შესაბამისად, თუ საქმე გამოუძიებელი დარჩა, მაშინ ერთდროულად უნდა გადადგნენ ირაკლი შოთაძე, გიორგი მღებრიშვილი და ვახტანგ გომელაური... არასამთავრობო ორგანიზაციები მცირე ხნით მოცდას აპირებენ, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრს სწორედ ამ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელთა გადადგომას მოსთხოვენ და პირველ რიგში, სწორედ მთავარი პროკურორისას. თუმცა, ამ არასამთავრობო სექტორის შესახებაც მინდა ვთქვა. არასამთავრობოთა კოალიცია „ეს შენ გეხება" აქციებს აწყობს, დანაშაულის დაუყოვნებლივ გამოძიებას, დამნაშავეთა დასჯას ითხოვს. ასევე, ეს კოალიცია ხელისუფლებისგან ითხოვს, დაუყოვნებლივ შეწყდეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნება, რაც სხვა არაფერია, თუ არა კონკრეტული პოლიტიკოსების ან საზოგადოებისთვის ნაცნობი, პოპულარული ადამიანების სექსუალური ცხოვრების ვიდეოების გამოქვეყნება. 2013 წელს, როცა ე.წ. სამეგრელოს კასრებში უამრავი ფაილი აღმოაჩინეს, სადაც ასახული იყო, როგორც ადამიანების მასობრივი წამება-გაუპატიურების, ასევე, სექსუალური ხასიათის ამსახველი კადრები, მაშინ, 404 სიდი-დისკი და მათში მოთავსებული 26 000 ფაილი განადგურდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, თამარ ქალდანის განცხადებით, 26 ათასი ფარული ჩანაწერიდან პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული აუდიო-ვიდეოფაილი 144 იყო. ეს 144 ფაილი 110 დისკში იყო გადანაწილებული და, საერთო ჯამში, 181-საათიანი ხანგრძლივობის ფარულ ჩანაწერს მოიცავდა. ძირითადად, ფაილები ჩაწერილი იყო 2007 წლიდან 2012 წლის ივლისის ჩათვლით... ეს 181-საათიანი ჩანაწერები სწორედ არასამთავრობოთა კონტროლქვეშ გაანადგურა შს იმჟამინდელმა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და არასამთავრობოთაგან, სწორედ „ეს შენ გეხება" იყო ამის ყველაზე მთავარი მაკონტროლებელი. ამ კოალიციის წევრები, ლაშა ტუღუში და ეკა გიგაური იმ კომისიის წევრებიც იყვნენ, რომელმაც ეს ფაილები გაანადგურა. მაშინ, შეგახსენებთ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლის, თომას ჰამერბერგის კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ ეს ჩანაწერები განადგურებულიყო. არასამთავრობო სექტორიც დაუფიქრებლად შეუერთდა მის მოთხოვნას. ახლა ვნახოთ, რა მოხდა. 2013 წელს, „ეს შენ გეხება"-ს მოთხოვნითა და კონტროლით, განადგურდა დანაშაულის მტკიცებულებები, როგორც წამება-გაუპატიურების, ასევე, სექსუალური ხასიათის უკანონოდ მოპოვებული კადრები. დღეს „ეს შენ გეხება" აქციებს აწყობს და ხელისუფლებას იმ დანაშაულების გამოძიებას სთხოვს, რომლის ფაქტობრივი მტკიცებულებებიც საკუთარი ხელით გაანადგურეს. ახლა კი არ უნდა ითხოვდნენ ამ დანაშაულთა გამოძიებას, 2013 წელს უნდა მოეთხოვათ და არ უნდა გაენადგურებინათ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოძიებას ძალიან ბევრ ინფორმაციას მისცემდა. დიახ, დანაშაულები გამოუძიებელი რომ არის, ამაში არასამთავრობო სექტორიც დამნაშავეა და ახლა, ტყუილად ცდილობენ, მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას აჰკიდონ. არა, ხელისუფლება თავის წილ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძოდ, „ეს შენ გეხებას" საკუთარი მიქარულის აღიარება არ სურს, სირაქლემის პოზაში არიან და ხალხის გაბრიყვებას ცდილობენ, არ უნდათ იმის აღიარება, რომ თავად შეუწყვეს ხელი, რომ ეს დანაშაულები გამოუძიებელი დარჩენილიყო და დანაშაულთა უტყუარი მტკიცებულებები განადგურებულიყო...




**პარადოქსია — 2013 წელს, „ეს შენ გეხება"-ს მოთხოვნითა და კონტროლით, განადგურდა დანაშაულის მტკიცებულებები, როგორც წამება-გაუპატიურების, ასევე სექსუალური ხასიათის უკანონოდ მოპოვებული კადრები. დღეს „ეს შენ გეხება" აქციებს აწყობს და ხელისუფლებას იმ დანაშაულების გამოძიებას სთხოვს, რომლის ფაქტობრივი მტკიცებულებებიც საკუთარი ხელით გაანადგურეს!**




ბოლოს გამოქვეყნებულ ფარულ ვიდეოჩანაწერში, სადაც ლამის მონაწილეებიც კი ვერ იცნობდნენ საკუთარ თავს, ვიდეოტერორისტმა, გარდა იმისა, რომ მომდევნო მსხვერპლთა ვინაობა დააანონსა – ინგა გრიგოლია, თამარ სანიკიძე, თინა ხიდაშელი... ძალოვნებს მნიშვნელოვანი გამოწვევაც გაუკეთა – დათქვა კონკრეტული თარიღი, 31 მარტი. სწორედ ამ დროს აძლევდა ის „მსხვერპლებს", რომ დატოვონ პოსტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალ კადრებს გამოაქვეყნებს. ეს გზავნილი მიმართულია ძალოვნებისკენაც, მათ საქმის გასახსნელად ორიოდე კვირა დარჩათ. და მაინც, რატომ 31 მარტი? საზოგადოების ერთი ნაწილი ხელს იშვერს, ამ ყველაფრის უკან ეროვნული ძალების სახელით მოქმედი ჯგუფი დგასო. ვინც ამ ვერსიას ემხრობა, მათ მყარი არგუმენტი აქვთ – სწორედ ამ დღეს არის დაბადებული ზვიად გამსახურდია და სწორედ 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი. თუმცა, აქვე არის ერთი მნიშვნელოვანი „მაგრამ". თუ ვიდეოტერორისტი თუ ტერორისტები ჭკვიანები არიან, სწორედ ისე გააკეთებენ ყველაფერს, რომ სრულიად სხვა მიმართულებას დაჰბრალდეს და კვალი არასწორად წავიდეს... თუმცა, შესაძლოა, დასახელებულ თარიღში ბანალური მიზეზიც იმალებოდეს – 31 მარტი თვის ბოლო დღეა, ადამიანთა უმეტესობა ყველა წამოწყებას ორშაბათს ან თვის პირველ რიცხვში გეგმავს. ვიდეოტერორისტმაც თვის ბოლო, შესაძლოა, ამიტომ დაასახელა. არის კიდევ ერთი ახსნა. კადრების გამოქვეყნების დაანონსებული დღე, პრაქტიკულად 1-ლი აპრილი, ტყუილის საერთაშორისო დღე გამოდის და შესაძლოა, ამ კადრების გამავრცელებელი ამით მინიშნებასაც აკეთებს, რომ ეს ხალხი ამ შანტაჟის გამო ქვეყანას დიდ ტყუილში აცხოვრებდა...

**„ალია" გავრცელებული ვიდეოების გამოძიების პასუხისმგებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი**

### „მსგავსი კადრები ათეულობით დაიყრება სექტემბერ-ოქტომბერში"

### ხალხის აზრი

**ვახო, 28 წლის, პროგრამისტი:**

– წინ არჩევნებია, შესაბამისად, მსგავსი კადრები ათეულობით დაიყრება სექტემბერ-ოქტომბერში, „მეგის ქარდავა პიქჩერს პრეზენტ" და რამე. რაც შეეხება პროკურატურას, მას „პოსტფაქტუმ" შეუძლია მუშაობა. პრევენცია კი სხვა უწყებებს ეხება. ვიმეორებ, სექტემბერ-ოქტომბერში რომ არ მოხდეს მსგავსი რამ, ამაზე სხვა სტრუქტურებმა უნდა იზრუნონ. ამაზრზენი კადრების გავრცელება თუ მოხდა, ეს პირდაპირ აისახება არჩევნების შედეგებზე, რადგან ყველა ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს.

*მაკა დეკანოსიძე*

### „ვასაძისნაირ ვითომ მორალის დამცველებსაც შესაძლოა, ჰქონდეთ სურვილი, რომ პოლიტიკოსების ნამდვილი სახე გააშიშვლონ"

### ხალხის აზრი

**მაიკო, 42 წლის, მუსიკოსი:**

– ისე, დავიჯერო, ყველას გადაუღეს და ყველა 2 ცხოვრებით ცხოვრობს? თუ ასეა, გამოვიდნენ და თქვან, ესაა ჩემი ცხოვრება და მორჩა. მე პირადად არჩევისას სულაც არ გავითვალისწინებ ამას, მთავარი ქვეყნისთვის საქმის კეთებაა, დანარჩენი არავის საქმე არ არის. რაც შეეხება გავრცელებას, რა თქმა უნდა, „კაგებეს" ხელია... აბა, ყველა დავფიქრდეთ, არავის ეს ღორობა, რუსეთელების გარდა, არ აწყობს.... ვასაძისნაირი ვითომ მორალის დამცველებსაც შესაძლოა, ჰქონდეთ სურვილი, რომ პოლიტიკოსების ნამდვილი სახე გააშიშვლონ, პირადში ხელის ფათურით, რო ახლა მთავრობაში მყოფების თუ ძველი კადრების ნდობა დაკარგოს ხალხმა.

ნახავთ თქვენ, თუ არ გამოჩნდება მალე პოლიტიკური ძალა, რომელიც ფსევდომორალზე იქნება დაფუძნებული და რუსეთისკენ მიმართული

ვერ ხედავთ, როგორ აღელვებთ რუსეთში წინასაარჩევნოდ ჩვენი მდგომარეობა? რუსეთს არ უნდა საქართველოს დათმობა და ამისთვის ყველა აკრძალულ ხერხს გამოიყენებს კიდეც.

*მაკა დეკანოსიძე*

**საკითხების შესახებ, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ზაზა ხატიაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ზაზა, თუ ვერ გამოიძია ხელისუფლებამ ამ სექსუალური ვიდეოების გავრცელების საქმე, ხელისუფლებიდან ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს? ვინ უნდა გადადგეს?**

– ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება შეკრულია სააკაშვილისდროინდელ მოსამართლეებთან, პროკურორებთან, პოლიციელებთან და სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან. ეს ხელისუფლება მთლიანად უნდა მოშორდეს ამ ქვეყანას. ერთი ან რამდენიმე ადამიანის გადადგომა არ შველის საქმეს, ყველანი უნდა წავიდნენ. დღევანდელმა ხელისუფლებამ დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის სავარაუდო დამაშავეებთან თანამშრომლობა და ეს გავრცელებული ვიდეოებიც ამის შედეგია.

> **„ეს ხელისუფლება მთლიანად უნდა მოშორდეს ამ ქვეყანას. ერთი ან რამდენიმე ადამიანის გადადგომა არ შველის საქმეს, ყველანი უნდა წავიდნენ!“**

**— პრემიერ-მინისტრმა საქმის გამოძიება ერთდროულად 3 უწყებას დაავალა — შსს-ს, მთავარ პროკურატურასა და სუს-ს. თუ ეს დანაშაული ვერ გამოიძიეს, ამ უწყებათა ხელმძღვანელთა გადადგომა საკმარისი იქნება?**

– არა, ვიმეორებ, ერთი ან რამდენიმე მინისტრისა და სხვა თანამდებობის პირის გადადგომა საკმარისი არ არის, მთელი ხელისუფლება უნდა მოშორდეს, ბიძინა ივანიშვილის თამადობით. ჩვენ ვიცოდით, რომ წინასაარჩევნოდ იქნებოდა მძიმე ფონი, იქნებოდა შანტაჟისა და სხვა ფაქტები, მაგრამ ამაზე თუ წავიდოდა ხელისუფლება, ეს მართლა წარმოუდგენელი იყო, მართლა უკადრებელი იკადრეს, ეს სააკაშვილსა და მის რეჟიმსაც არ უკადრებია.

**— სააკაშვილისა და მისი გუნდის გადაღებულია ეს სექსუალური ცხოვრების ამსახველი ვიდეოები, მართალია, ისინი არ აქვეყნებდნენ, მაგრამ დანაშაულის სათავეში იყვნენ, კონკრეტულ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს აშანტაჟებდნენ ამ ვიდეოებით.**

– კი, ეგრე იყო, სააკაშვილს ხელს ვინ აფარებს მერე? სწორედ ამ ვიდეოების უკანონოდ გადამღებების, ამ უკანონო გადაღებების დამკვეთების დასჯით უნდა დაიწყოს ეს პროცესი და შემდეგ, უკვე გამავრცელებლებს უნდა მოეკითხოთ, ყველას უნდა მოეკითხოს, ვინც ჩართული იყო და არის ამ სიბინძურეში ძველი თუ ახალი ხელისუფლებიდან. სავარაუდოდ, დღევანდელ ხელისუფლებას სწორედ სააკაშვილის ხალხმა მიაწოდა ეს ვიდეოები. ამის საფასურად კი ბიძინა ივანიშვილმა ეს ხალხი არათუ დასაჯა, პირიქით, დააწინაურა. ჩვენ ხომ მრავლად ვიცით ისეთი ადამიანები ძალოვანი უწყებიდან, რომელთაც, სავარაუდოდ, შეხება ჰქონდათ ამ ფარულ და უკანონო გადაღებებთან, თვალთვალთან, მოსმენებთან, მაგრამ ეს ხალხი დღეს ისევ ძალოვან უწყებებშია, ბევრი დააწინაურეს, იმის ნაცვლად, საქმე გამოეძიებინათ და ეს ხალხი დაესაჯათ. სრულიად ლოგიკურია ჩემი ვარაუდი, რომ ამ ხალხმა ხელშეუხებლობის გარანტია სწორედ ამგვარი ჩანაწერების ივანიშვილისთვის გადაცემისთვის მიიღეს.

**— ხომ შეიძლება, ამ კადრებს „ნაციონალები“ ავრცელებდნენ და არა ივანიშვილი?**

– ჩემი აზრით, ერთად აკეთებენ ამას „ნაციონალები“ და ივანიშვილი. კაცო, ივანიშვილი არ იყო, ლევან მურუსიძე წინა ხელისუფლების მსხვერპლად რომ შერაცხა? არ გამიკვირდება ახლა გამოვიდეს და თქვას, ვინც ამ სიბინძურეს იღებდა, ის ხალხიც მსხვერპლია სააკაშვილის რეჟიმისო.

**— დღეს ეს დანაშაულები გამოუძიებელი რომ არის, ამაზე არასამთავრობო სექტორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა? ჭამება-გაუპატიურებისა და პირადი ცხოვრების ამსახველი ათასობით აუდიო-ვიდეოფაილი გაანადგურეს, ანუ დანაშაულის მტკიცებულებები. გამოძიებას საქმეების გამოძიების საშუალება მოუსპეს.**

– კი, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, ამ მტკიცებულებების განადგურება არ შეიძლებოდა, ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო, ყველა ამგვარ ჩანაწერზე გამოძიება უნდა დაწყებულიყო. თუმცა, ახლა ამაზე უკვე გვიანია ლაპარაკი, ფაქტია, ეს ჩანაწერები ვრცელდება და კიდევ გავრცელდება. გამოდის, რომ 2013 წელს ის ფაილები კი განადგურდა, მაგრამ ვიღაცებს მათი ასლები ჰქონდათ და დღეს უხვად ამარაგებენ ბიძინა ივანიშვილს ამ ჩანაწერებით. მაშინ, როცა ჩანაწერები განადგურდა, პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი იყო. სახეზე იყო აშკარა სისტემური დანაშაული და მტკიცებულებები ხელში ეჭირით. ვინც ამ სისტემის სათავეში იყო და სავარაუდოდ, ვინც ამ ყველაფერს უკვეთდა, ის კაცი დაკითხეს? ვანო მერაბიშვილი ამ საქმეზე დაკითხეს? არა, არ დაუკითხავთ, იმ ფირების განადგურებამდე არ შეეძლოთ, რომ დაეკითხათ და გამოძიება დაეწყოთ? მაგრამ, ეტყობა, ივანიშვილს იმთავითვე არ აწყობდა ამ საქმეების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა, რადგან ეს სავარაუდო დამნაშავენი, დღეს მისი პარტნიორები არიან პოლიტიკურ ბრძოლაში, ჯერ სადა ხართ, არჩევნებამდე რაც უფრო ნაკლები დრო დარჩება, მით უფრო შემზარავი კადრები გამოქვეყნდება. ახლა ნახეთ, როგორი ტრაგიკომიკური სიტუაცია შეიქმნა. არასამთავრობო სექ-

### ტერორიზმი

ტორმა მოაწყო აქცია პირადი ცხოვრების ფარული ჩანაწერების გამოძიების, მათი განადგურებისა და მათი არგამოქვეყნების პრევენციის მოთხოვნით. ამ აქციაზე, ამ ჩანაწერების შემოქმედნი, „ნაციონალები“ იყვნენ. რამდენად გულწრფელნი არიან „ნაციონალები“, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ამ აქციას „ქართული ოცნებიდან“ არავინ შეუერთდა. შენ წარმოიდგენდი 2013 წელს, როცა ის კადრები აღმოაჩინეს, რომ ამ ჩანაწერების განადგურების მომხრეები „ნაციონალები“ იქნებოდნენ და „ქართული ოცნების“ ერთი დეპუტატი მაინც არ მივიდოდა ამ აქციაზე? ეს იმიტომ ხდება, რომ ესენი, „ქართული ოცნების“ დეპუტატები, ვერც ფეხს დგამენ ივანიშვილის ნებართვის გარეშე სადმე და ვერც კრინტს ძრავენ მასთან შეუთანხმებლად. ივანიშვილს კი არც ამ საქმეების გამოძიება აწყობს და არც კადრების განადგურება და მათი არგამოქვეყნება, რადგან ამ ყველაფერს თავად აკეთებს პოლიტიკური ოპოზიციისა თუ არასასურველი ჟურნალისტების დასაშინებლად, შანტაჟისა და მათი მორალურად განადგურების მიზნით.

ვიდრე ბიძინა ივანიშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი არ მოშორდება ამ ქვეყანას, მანამდე მშვიდად ცხოვრება არ გვიწერია. ესენი უნდა წავიდნენ და რაც შეიძლება მალე.

## „ბენზინი დაასხა და ცეცხლი წაუკიდა, გაზიც გაუშვია, უბედური შემთხვევის იმიტაცია უნდოდა“ — ჯარისკაცის მკვლელობის დეტალები




გორში მომხდარმა სასტიკმა მკვლელობამ საზოგადოება შეძრა. 39 წლის რომან ბედიანაშვილი საკუთარ სახლში გარდაცვლილი მიმდინარე წლის 7 მარტს იპოვეს.

კომბინატის დასახლებაში ე.წ. ნარკოლოგიურის შენობაში მცხოვრებლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცი გაიგუდა. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანაშაულისთვის 19 წლის გოგონა დააკავა.

გარდაცვლილის მეზობლების განცხადებით, გვამის ექსპერტიზის შედეგად გაირკვა, რომ ჯარისკაცს დამაძინებელი მედიკამენტები მიაღებინეს, შემდეგ კი მის ოთახში ბენზინი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

– თავიდან ჭორის დონეზე გავრცელდა, რომ ამ გოგომ წამლები დაალევინა გაქურდვის მიზნით, მაგრამ, როგორც შემდეგ სამართალდამცავებისთვის უთქვამს, ჩემზე ძალადობდა და იძულებული ვიყავი, გამეგუდაო... ჯერ გაზი გაუშვია, იმიტაცია შექმნა, ვითომ გაზის გაჟონვით იყო გარდაცვლილი, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდა, შემდეგ ბენზინი დაასხა და ცეცხლი წაუკიდა. სახლიდან კვამლის გამოსვლის შემდეგ მეზობლებმა სახანძროც მალევე გამოიძახეს, – აცხადებს გარდაცვლილის მეზობელი ფიქრია მარუაშვილი. ქალბატონი ჯარისკაცს დადებითად ახასიათებს. მისი თქმით, რომან ბედიანაშვილი დედასთან და 5 შვილთან ერთად სოფელ ფხვენისში ცხოვრობდა.

– სამსახურიდან გამომდინარე, კომბინატის დასახლებაში ხშირად რჩებოდა. მეუღლეს დაშორებული იყო, – ამბობენ მეზობლები.

დაკავებულის დედა ნინო ბაშარული აცხადებს, რომ მის ქალიშვილს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

– ჩემთან არ ჰქონდა კონტაქტი, არც კი მოვუკითხივარ ნორმალურად. რაღაცნაირად. თავისებური ბავშვია, მაგრამ ეს ნაბიჯი რატომ გადადგა, ნამდვილად არ ვიცი. მე რწმუნებულმა მითხრა, თქვენმა შვილმა ჩაიდინა მკვლელობაო და თვითონ ჩაბარდა პოლიციასო. რა მოხდა, როგორ მოხდა, მე არაფერი ვიცი. არ ვიცი, ვინ იყო ის პიროვნება საერთოდ. ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, მკვლელობა რამ გაარისკვინა, არ ვიცი. საკუთარ თავში ჩაკეტილი ბავშვია, ადრე შხამი დალია, წავიყვანეთ თბილისში, გადასხმები გავუკეთეთ, რომ გამოკეთდა გაგვეპარა ისევ, – აცხადებს მკვლელობაში ბრალდებულის დედა. (ნიუპოსტი)

### ცოდვა-ბრალი



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


## მამა ელიზბარი: „რატომ დუმს საპატრიარქო? რატომ და სასულიერო პირების ფარული ჩანაწერებიც არსებობს, რომლის გამოაშკარავებისაც ჭირის დღესავით ეშინიათ!“

> **„ის, რომ ამ კადრების გავრცელება სწორედ ყველაზე მძიმე კვირაში მოხდა, მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში სატანა ბობოქრობს, სატანის მიმდევრებს კი ამ ყველაფრის გამო ზეიმი აქვთ გამართული“**



**გასულ კვირაში გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოკადრებს ქვეყანაში საზოგადოების თითქმის ყველა ფენა გამოეხმაურა, გარდა საპატრიარქოსი. რატომ დუმს საპატრიარქო და როგორ აფასებენ სასულიერო პირები განვითარებულ მოვლენებს?**

**„ალიას“ მამა ელიზბარი (დიაკონიძე) ესაუბრა:**

– ის, რომ ამ კადრების გავრცელება, სწორედ ყველაზე მძიმე კვირაში მოხდა, მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში სატანა ბობოქრობს, სატანის მიმდევრებს კი ამ ყველაფრის გამო ზეიმი აქვთ გამართული.

ყველაზე დიდი დანაშაული უკვე ჩადენილია, მაშინ როცა ეს კადრები გადაიღეს, ეს არის გაუგონარი სიბილწის მატარებელი ადამიანის ჩადენილი. შემდეგ, ამას რა საერო აჟიოტაჟიც მოჰყვა, არც ეს იყო გამართლებული – ვინ მისცა ადამიანებს სხვისი ცოდვა-ბრალის განკითხვის უფლება, გარდა უფლისა?! ყოველთვის ვამბობდი, რომ ყველა დანაშაული არის ცოდვა, მაგრამ ყველა ცოდვა არ არის დანაშაული. ეს კი ისეთი საკითხია, რომელიც ერთდროულად ცოდვაც არის და დანაშაულიც, დანაშაული, რომელიც ისჯება, როგორც სჯულის კანონით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით.

რაც შეეხება სახელმწიფო მოხელეების გამოხმაურებას ამ საკითხზე – უნდა გამოვყო საქართველოს პრეზიდენტის გამოხმაურება, რომ, თურმე, როგორი უზღვავი ფანტაზია ჰქონია და რა მდიდარი პირადი სექსუალური ცხოვრება. როგორც აღმოჩნდა, ყოვლად უნიჭო და უსახური პრეზიდენტი, გარდა იმისა, რომ, როცა წინდა გაეხევა, თავადვე ქსოვს, რაღაცით მაინც გამოირჩევა სხვებისგან და რაღაცით მაინც ყოფილა მდიდარი. თურმე, ამ საკითხით მაინც ყოფილა გალაღებული. ამ ადამიანზე ვსაუბრობ, როგორც პრეზიდენტზე და არა მოქალაქეზე. საერთო ჯამში, პრეზიდენტის განცხადება იყო უზნეობის ერთი ჩვეულებრივი მაგალითი. ამ ფონზე, ბევრად უმნიშვნელოა სხვა ქალბატონების, სხვადასხვა ტოქშოუების წამყვანების განცხადებები და გამოხტომები. მე, როგორც სასულიერო პირი, პრეზიდენტს კი არ ვუშლი, არამედ მოვუწოდებ, ვასწავლი, რომ რაზეც ის საუბრობს, არის საეკლესიო სამართლით შეგინებული და შეჩვენებული და არ არის სასარგებლო, არც მისთვის, არც მომავლისთვის.

ამ კადრების გავრცელებისას, მაშინვე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დაჟინებული მცდელობა გამახსენდა, რომ მომავალი წლიდან, თურმე სკოლებში სახელმძღვანელო „მე და საზოგადოება“ უნდა შევიდეს. ის, რა ამბებიც ახლა ატყდა, უშუალო კავშირშია ამ ყველაფერთან. უკვე აჩვევენ საზოგადოებას, რომ ის, რაც იმ სახელმძღვანელოთი უნდა ასწავლონ, არის ძალიან ჩვეულებრივი ამბავი. უნდათ, რომ საზოგადოება თავისუფალი კი არა, ანარქიამდე თავისუფალი იყოს ყოველგვარი სიწმინდისგან.

ის ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, ჩვენივე ბრალია, ჩვენი, იმ ადამიანების, რომლებიც ამ ქვეყნის მოქალაქეებად მივიჩნევთ თავს. უნდა გამოხვიდეთ და ყველა, ვინც იმ ქმედებებს „აპრავებს“, რაც ამ კადრებს უკავშირდება, ერთი კარგად, მამაპაპურად უნდა მიუნაყოთ ცხვირ-პირი. ახლა იტყვიან, მომთმენი უნდა იყოო - როგორ შეიძლება, ხედავდე, რომ შენი ქვეყნის მომავლის დეგრადაციას ცდილობდნენ და შენ მომთმენი იყო?!

**— მართალია, თითქმის არავინ დარჩა, ვინც ამ საკითხს არ გამოეხმაურა, მაგრამ ამ ყველაფერს არ გამოხმაურებია საპატრიარქო. რატომ?**

– სამწუხაროა, რომ ეკლესია არ ილაშქრებს ასეთი უზნეობების წინააღმდეგ. ისევე, როგორც ყოფილი, თუ არსებული პოლიტიკოსების წინააღმდეგ, სასულიერო პირების ფარული ჩანაწერებიც არსებობს, რომლის გამოაშკარავებისაც ეშინიათ ჭირის დღესავით.

სააკაშვილის ხელისუფლების დროს, ჩვენი მღვდელთმთავრების უმეტესობას ჯიპები უსახსოვრეს, რომლებშიც ჩამონტაჟებული იყო სხვადასხვა ტიპის აუდიო და ვიდეოჩამწერები. ყველაფერი იწერებოდა, ვინ როგორ „მოღვაწეობდა“, ვინ როგორ იხმარდა მითვისებულ ქონებას და ვინ რა სიბილწეს ეწეოდა მანქანებში თუ მის გარეთ. ეს ფირები სადღაც დევს და უფრთხიან ამას. მიმიფურთხებია ასეთი ქვეყნისთვის, ასეთი კაცობისა და პარლამენტისთვის, სადაც კაცის წინაშე უფრო აქვთ შიში, ვიდრე უფლის მიმართ. სხვას დღეს მე ვერაფერს ვიტყვი!

# „ღალატი ბოზობაზე მეტია — ქართველი ქალის მანდილი სიბინძურით შეილახა!“



„თქვენ წინაშეა ამერიკის შეერთებული შტატების ოთხვარსკვლავიანი გენერალი დევიდ პეტრეუსი, მეტსახელად „მეფე დავითი“, საკუთარი ქვეყნის თავდადებული პატრიოტი და სამხედრო საქმის უბადლო მცოდნე, ნამდვილი პროფესიონალი. 1985 წელს გახდა მაგისტრი სახელმწიფოს მართვის სფეროში, 1987 წელს გახდა ფილოსოფიის დოქტორი. მისი სამხედრო დამსახურებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. 2003 წელს ამერიკელების ერაყში შეჭრის დროს, ხელმძღვანელობდა 101 საჰაერო სადესანტო დივიზიას, 2007 წლის 10 თებერვლიდან 2008 წლის 16 თებერვლამდე ხელმძღვანელობდა მრავალეროვნულ კოალიციურ ჯარებს ერაყში. ქართველების მიმართ განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. მას ეკუთვნის ფრაზა: „ქართველ ჯარისკაცებში არის ის, რაღაც განსხვავებული მუხტი, რაც სხვა არც ერთი ქვეყნის ჯარისკაცებში არაა“.

ერაყის მისიის შემდეგ, მსახურობდა ავღანეთის მისიაში ცენტრალურ შტაბში. შემდეგ იყო ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს დირექტორი. აქ დასრულდა მისი სამხედრო კარიერა, ვინაიდან ოჯახის გარეთ ფარულ რომანში ამხილეს.

ამერიკული სამხედრო წესდებით, სამხედრო პირი, რომელიც, ოჯახს ულალატებს, სჩადის დანაშაულს და უნდა წარდგეს ტრიბუნალის წინაშე, რადგან ოჯახის მოღალატე ადამიანი სამშობლოსაც ულალატებს. ასეთია კანონმდებლის ლოგიკა. სასამართლომ გაითვალისწინა პეტრეუსის დამსახურება სამშობლოს მიმართ და ბრალის აღიარების სანაცვლოდ, 40,000-დოლარიანი ჯარიმა და 2-წლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯა. ისიც, გულწრფელი აღიარებისა და თავის დამნაშავედ ცნობის შემდეგ.

ერთმა, არ აქვს მნიშვნელობა, როგორმა ქალმა, ლეგენდარული გენერლის 37-წლიანი აღმავალი სამხედრო კარიერა სამუდამოდ დაასამარა.

ახლა კი მინდა მივუბრუნდე ამ ჩვენი პოლიტიკანების პორნოსკანდალს — ხალხს, რომელსაც ქვეყნისთვის არათუ რამე უკეთებია, პირიქით, წურბელებივით წოვდნენ და წოვენ სისხლს. ვერ ძღებოდნენ პრემიებით, ხელფასებით, დანამატებით, მივლინებებით და ა.შ.

მათ ათასობით დამცველი გამოუჩნდათ ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და თავად პრეზიდენტის სახით. არც ერთს უხსენებია ის, რომ ქართველი ქალის მანდილი, რომელიც ამ ტრადიციულ ქრისტიანულ ქვეყანაში უწმინდესად ითვლებოდა ყოველთვის, ღალატის სიბინძურით შეილახა, როგორც ქალისა და როგორც დედის. „ღალატი კი მართლაც ბოზობაზე მეტია“.

**P.S.** დავუკვირდეთ, აბა, გარყვნილი ამერიკის წესებს, კანონებს, დამოკიდებულებას ოჯახისა და ქვეყნის მიმართ. შემდეგ კი ჩვენი ტრადიციული კავკასიური ქვეყნის დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ. პასუხი ერთია — „გავაბითურეთ ქვეყანა, მართლაც სამოთხის სადარი, სხვა საქართველო კი არა, თვით საქართველო სად არის“, — ამ განცხადებას თავის გვერდზე სამხედრო მოხელე ერმილე ნემსაძე აქვეყნებს. **(mediacity.ge)**



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# როგორ გადანაწილდნენ ჟურნალისტები და სხვა თანამშრომლები ორ „მაესტროზე“

## ამ ტელეკომპანიაში ზუსტად ის მოხდა, რაც „ალიამ“ წინა ნომრებში იწინასწარმეტყველა

ტელეკომპანია „მაესტროზე“ კვლავ გაურკვეველი ვითარებაა. საქალაქო სასამართლომ ჯერ იყო და „მაესტროს“ ლოგოსა და სახელწოდების მფლობელად ილია(ბაჩო) კიკაბიძე გამოაცხადა, რადგან მას 2007 წელს ეს ლოგო და სახელწოდება „მაესტრო“ „საქპატენტში“ ჰქონდა დაპატენტებული და დარეგისტრირებული, როგორც მისი კერძო, ექსკლუზიური საკუთრება. შესაბამისად, მისი გამოყენება სხვას, ამ შემთხვევაში, „მაესტროს“ მოდავესა და შპს „სტუდია მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელს, გია გაჩეჩილაძეს აეკრძალა. თუმცა, რამდენიმე დღეში, იმავე საქალაქო სასახელწოდების გარეშე მაუწყებლობა, ეს ჯერ არავინ იცის. ერთადერთი, ის არის ცნობილი, რომ ლევან და გია გაჩეჩილაძეებს მალე მოუწევთ მაკა ასათიანის შენობის დატოვება და სავარაუდოდ, მაუწყებლობას მე-9 არხის ყოფილი ოფისიდან გააგრძელებენ.

თუმცა, გია და ლევან გაჩეჩილაძეები დანებებას არ აპირებენ, ცდილობენ, თავიანთ „მაესტროს“ დაუბრუნონ ლოგოც და სახელწოდებაც. საბოლოოდ გაირკვა, რომ გაჩეჩილაძეების „მაესტროს“ ლოგო და სახელწოდება კომპანია „მ-ინვესტმა“ მოუხსნა. ეს კომპანია კი მაკა ასათიანს ეკუთვნის. გაჩეჩილაძეები აცხადებენ, რომ „მ-ინვესტს“ ამის უფლება არ ჰქონდა და ეს კანონდარღვევაა.

პარალელურად, „ტვ-11“-ის ასევე, ჟურნალისტთა უფლებადამცველ ორგანიზაციებს მიმართა. ბაია გადაბაძე უარყოფს, რომ მათზე რაიმე სახის ზეწოლა განხორციელდა, თუმცა, დასამალი არავისთვის არ არის, რომ ბაია გადაბაძემ კრება მოიწვია და თანამშრომლებს განუცხადა, ვისაც გია გაჩეჩილაძის „მაესტროზე“, ანუ „სტუდია მაესტროში“ დარჩენა გსურთ, ეს გადაწყვეტილება სასწრაფოდ მიიღეთ, დროზე წადით იქ, ჩვენ თავი დაგვანებეთო. გარდა ამისა, მან გასცა ბრძანება, შენობაში არ შეეშვათ ის თანამშრომლები, ვინც ლევან გაჩეჩილაძეს შეხვდა და მასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა მის უსახელო ტელეკომპანიაში გადასვლაზე. ამის შესახებ ჟურნალისტები კულუარულად საუბრობენ. ფაქტი კი ის არის, რომ ლევან გაჩეჩილაძესთან მპანიის ფეხზე დასაყენებლად გაირჯება, რომელიც იმ „მაესტროს“ კონკურენტია, სადაც წილი აქვს. ჩამოდის, რომ საკუთარი ბიზნესის ჩასაძირად ირჯება. მამუკა ღლონტი აცხადებს, რომ მას „მ-24“-ში არანაირი ფინანსური ინტერესი არ გააჩნია და მხოლოდ უხელფასო, უშტატო კონსულტანტად იმუშავებს. ეს ყველაფერი, ცოტა არ იყოს, ალოგიკურია, მაგრამ ფაქტია.

მოვლენები ისე ვითარდება, რომ არ არის გამორიცხული, გია გაჩეჩილაძე, ანუ პატარკაციშვილები საერთოდ თუნდაც ამ უსახელო და ულოგოო „მაესტროს“ გარეშე დარჩნენ. შეგახსენებთ, რომ გია გაჩეჩილაძე შპს „სტუდია მაესტროს“ 25%-ს ფლობდა, შემდეგ, პატარკაციშვილების ოჯახის ბიზნესის განმკარგავისგან, ირაკლი რუხაძისგან ისესხა 2.5 მილიონი

### რა მოხდება?!

რომელმაც, სავარაუდოდ, გია გაჩეჩილაძესთან „სტუდია მაესტროს“ 25%-იანი წილის ყიდვაზე ხელშეკრულება გაუფორმა და სავარაუდოდ, ფულიც გადაუხადა. თუ სასამართლოზე ამ უცნობმა პიროვნებამ ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგინა, ისიც დაამტკიცა, რომ გია გაჩეჩილაძეს ფული გადაუხადა და კუთვნილი 25%-იც მოსთხოვა, მაშინ სასამართლოს სხვა გზა აღარ დარჩება, გია გაჩეჩილაძეს ამ 25%-ს ჩამოართმევს და კანონიერ მეპატრონეს დაუბრუნებს. „უცნობს“ მხოლოდ ახლახან ნაყიდი 30% დარჩება და შესაბამისად, „სტუდია მაესტროს“ საკონტროლო პაკეტს დაკარგავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამფუძნებელთა ახალი კრების მოწვევა გახდება საჭირო და











„მ-24“-ზე მივიდა ვასიკო ოდიშვილი თავისი „აბებით“

მართლომ, სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო — ბაჩო კიკაბიძეს ჩამოართვა „მაესტროს“ ლოგოსა და სახელწოდების ექსკლუზიურად გამოყენების უფლება, ოღონდ ისე, რომ მისი გამოყენების უფლება არც „სტუდია მაესტროს“ მისცა. მოკლედ, „მაესტროს“ ლოგო და სახელწოდება ამ ეტაპზე ჰაერში კიდია, ვერც ერთი მხარე ვერ სარგებლობს. სავარაუდოდ, მისი მფლობელის თუ მისი გამოყენების ავტორის გარკვევა კვლავ გახდება სასამართლო დავის საგანი.

მიუხედავად იმისა, რომ „მაესტროს“ შენობა მაკა ასათიანს ეკუთვნის და არხის ახალ გენდირექტორს, ლევან გაჩეჩილაძეს შენობაში შესვლას უკრძალავდნენ, გაჩეჩილაძე ახლა სწორედ ამ შენობაში და არხის გენდირექტორის კაბინეტშიც ზის. ძმები გაჩეჩილაძეების, ანუ რეალურად პატარკაციშვილების ოჯახის კუთვნილი „მაესტრო“ სწორედ ამ შენობიდან მაუწყებლობს, ძველი სიხშირით. დამატებით განვმარტავ, რომ ეს არის ძველი „მაესტრო“, ძველ სიხშირეზე, რომელსაც დღემდე ვუყურებდით. იმის გამო, რომ სასამართლომ „მაესტროს“ ლოგოს, და სახელწოდების გამოყენების უფლება არც გია გაჩეჩილაძეს, ანუ „სტუდია მაესტროს“ მისცა, დღეს ეს არხი, ლოგოსა და სახელწოდების გარეშე მაუწყებლობს. კი, ყველამ იცის, რომ ეს ტელეკომპანია „მაესტროა“, მაგრამ ეკრანზე ეს არსად აწერია. მოკლედ, „მაესტროს“ პირველად რომ უყურებდეს კაცი, ვერ მიხვდება, რომელ არხს უყურებს. სადამდე გაგრძელდება ამ არხის ლოგოსა და სიხშირეზე მაუწყებლობს მეორე „მაესტრო“ „მ-24“-ის სახელწოდებით. „ტვ-11“-ის მფლობელი ბაჩო კიკაბიძეა და მოვლენათა ამგვარი განვითარება „ალიამ“ წინა ნომერში იწინასწარმეტყველა. ჩვენ ვწერდით, რომ „მაესტროს“ ძველ გუნდს სხვა გზა აღარ რჩებოდა, გარდა იმისა, რომ „ტვ-11“-ის ბაზაზე ახალი ტელეკომპანია ჩამოეყალიბებინა. ერთადერთი, ის ვერ გავთვალეთ, რომ საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებას შეცვლიდა და ბაჩო კიკაბიძეს უკვე მიკუთვნებული „მაესტროს“ ლოგოსა და სახელწოდების გამოყენებას აუკრძალავდა. ვწერდით, რომ საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ, ერთის ნაცვლად, 2 „მაესტროს“ მივიღებდით და ასეც მოხდა.

მართალია, ბაია გადაბაძე მოხსნეს ამ ულოგოო და უსახელწოდებო „მაესტროს“ გენერალური დირექტორის თანამდებობიდან ავტომატურად, რადგან საჯარო რეესტრმა დამფუძნებელთა კრების ახალი ოქმი გაატარა და შესაბამისად, ლევან გაჩეჩილაძე გახდა დირექტორი, თუმცა, მცირე ხნით დირექტორის მოვალეობის შესრულება განაგრძო. ბაია გადაბაძისა და ბაჩო კიკაბიძის „მაესტროდან“ არაერთი თანამშრომელი წამოვიდა და ისინი ლევან გაჩეჩილაძის უსახელო „მაესტროში“ აპირებენ წასვლას. ისინი აცხადებენ, რომ ბაია გადაბაძემ მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მათზე ზეწოლას ახორციელებდა და ტელეკომპანიის შენობაში შესვლას უკრძალავდა. ამ ხალხმა დახმარებისთვის დიპლომატიურ კორპუსსა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ბევრი ჟურნალისტი და ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელი წავიდა, ანუ იმ შპს-ში დარჩა, სადაც აქამდე მუშაობდა, რადგან მისი ტელეკომპანია შეუფერხებლად მაუწყებლობს.

რაც შეეხება ახალ „მაესტროს“, ანუ „მ-24“-ს. ბაჩო კიკაბიძის განცხადებით, ის რამდენიმე დღეში გავა ეთერში. ჟურნალისტთა და სხვა თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა მასთან გადასვლა არჩია და ადამიანური რესურსის პრობლემა „მ-24“-ს ეთერში გასასვლელად არ ექნება. თავდაპირველად მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები გავა და მერე, ნელ-ნელა აეწყობიან. „მ-24“-ზე მივიდა ვასიკო ოდიშვილი თავისი „აბებით“ და ამის შესახებ მან უკვე განაცხადა.

„მ-24“-ის ხელმძღვანელმა, ბაჩო კიკაბიძემ კონსულტანტის თანამდებობა შესთავაზა „მაესტროს“ ყოფილ გენდირექტორს, მამუკა ღლონტს. ქართული ტელემედიის ერთ-ერთ საუკეთესო მენეჯერს წაქცეული „მაესტრო“ არაერთხელ დაუყენებია ფეხზე, არაერთი ბრძოლა მოუგია და არხის დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებია. იმედია, ამჯერადაც შეძლებს ახალ სიხშირეზე გადასული „მ24“-ის ფეხზე დაყენებას. აქ უცნაური მხოლოდ ის არის, რომ მამუკა ღლონტი „სტუდია მაესტროს“ 15%-იანი წილის მფლობელია, ანუ შპს-ი, რომელიც უსახელო, ანუ გია გაჩეჩილაძის „მაესტროს“ დამფუძნებელია. შესაბამისად, გია გაჩეჩილაძის „მაესტროს“ თანადამფუძნებელი მამუკა ღლონტია. ამ დროს, მამუკა ღლონტი იმ ტელეკომდოლარი და ამავე შპს-ს 30% იყიდა ორი დამფუძნებლისგან. შესაბამისად, 55%-იან წილს მოუყარა თავი და „სტუდია მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა. ამ ახალ შენაძენს, 30%-ს არავინ ედავება გია გაჩეჩილაძეს, სადავო მისი ძველი წილი, 25% გახდა. მამუკა ღლონტი დიდი ხანია აცხადებს, რომ გია გაჩეჩილაძემ ეს 25% წილი კონკრეტულ პიროვნებას მიჰყიდა, არსებობს ამის დამადასტურებელი ნასყიდობის ხელშეკრულება. მამუკა ღლონტის თქმით, გაჩეჩილაძემ, სავარაუდოდ, ამ 25%-ის საფასურიც აიღო, მაგრამ ბოლო მომენტში, წილი აღარ გადაუფორმა ახალ მფლობელს. ღლონტი არ ასახელებს იმ პიროვნებას, ვინც, ასევე სავარაუდოდ, გია გაჩეჩილაძის წილი იყიდა და მას ამის საფასურიც გადაუხადა. გია გაჩეჩილაძის ამ 25%-იანი წილის კანონიერების შესახებ, მამუკა ღლონტმა და „სტუდია მაესტროს“ კიდევ ერთმა დამფუძნებელმა, ეკა აკობიამ სასამართლოს მიმართეს და სასამართლომ წარმოებაში მიიღო მათი სარჩელი. ეკა აკობია აცხადებს, რომ სასამართლო პროცესზე გამოჩნდება ის პიროვნება, რომელმაც გია გაჩეჩილაძის წილი მიჰყიდა. საინტერესოა, თუ მავანმა გია გაჩეჩილაძის წილი იყიდა, რატომ აღარ გადაიფორმა ეს წილი? გია გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ მას ფული არავისგან აუღია და ამ 25%-ს კანონიერად ფლობს. მოკლედ, აქაც გაურკვეველი ვითარებაა. ამ გაურკვევლობას კი ნათელი, შესაძლოა, იმ ინკოგნიტო პიროვნებამ მოჰფინოს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ლევან გაჩეჩილაძის გენდირექტორობის საკითხი. საქმე მერე ის იქნება, იმ 30%-იანი წილის მფლობელი რა პოზიციას დაიკავებს, ვის მხარს დაიჭერს, ძმები გაჩეჩილაძეებისას თუ „სტუდია მაესტროს“ სხვა დამფუძნებლებისას, რომლებიც ამ ძმებს ებრძვიან. თუმცა, ჯერჯერობით შეგვიძლია, მხოლოდ ვიმკითხაოთ, რა მოხდება. კაცმა არ იცის, მართლა გამოჩნდება სასამართლო პროცესზე ეს ინკოგნიტო პიროვნება და წარმოადგენს თუ არა, ამჟამად გია გაჩეჩილაძის კუთვნილი 25%-იანი წილის კანონიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ლევან გაჩეჩილაძემ ბაჩო კიკაბიძეს ქურდი და სხვისი ქონების უკანონოდ მიმთვისებელი უწოდა. მოგეხსენებათ, ბაჩო კიკაბიძეს სიხშირე აქვს და „მ-24“ ახლა ამ სიხშირეზე გადის, მაგრამ მას საკუთარი აპარატურა არ გააჩნია. „სტუდია მაესტროს“ კუთვნილი აპარატურით გადის ეთერში, რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელიც გია გაჩეჩილაძეა. გამოდის, რომ ბაჩო კიკაბიძე მართლა სხვის ტექნიკა-აპარატურას იყენებს და თანაც, დაუკითხავად. ეს კი, შესაძლოა, კიდევ ერთი სასამართლო დავის საგანი გახდეს. გია გაჩეჩილაძეს ამჟამად სრული უფლება აქვს, „მ-24“-ს „სტუდია მაესტროს“ კუთვნილი აპარატურა ჩამოართვას, მინიმუმ, სასამართლოს გზით დაუყადაღოს და „მ-24“ მაუწყებლობას შეწყვეტს. არ არის გამორიცხული, გაჩეჩილაძეებმა ამ გზასაც მიმართონ...



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

# „სუს-მა ურჩი დირექტორების „შავი სია“ შექმნა და მათ სამსახურებიდან ათავისუფლებენ!“

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– რამდენიმე თვის წინ, ჩვენ, თქვენი გაზეთის მეშვეობით, ვაანონსებდით, რომ მალე საბავშვო ბაღებში პოლიტიკური ნიშნით დაიწყებოდა თანამშრომლების განთავისუფლება და მათ ადგილებზე პარტიული აქტივის დანიშვნა. ჩვენი ინფორმაცია დადასტურდა იმით, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, თბილისის ბაგა-ბაღებიდან უკვე დათხოვნილია 50-ზე მეტი თანამშრომელი.

საკადრო ცვლილებები უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენს და ათავისუფლებენ არამარტო ბაღების გამგეებს, ასევე, ათავისუფლებენ რიგით თანამშრომლებსაც, რომლებსაც 20-30 წლის მუშაობის სტაჟი აქვთ.

**— რის საფუძველზე ხდება ეს განთავისუფლებები?**

– ამ ადამიანებს ათავისუფლებენ პოლიტიკური ნიშნით. მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერია ესა თუ ის კადრი, მათთვის მთავარი საზომია - არის თუ არა ესა თუ ის პიროვნება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და თუ არ არის, მაშინ ხდება მათი განთავისუფლება. ასევე, დაუყოვნებლივ ათავისუფლებენ ისეთ დირექტორებს, რომლებიც ჩვენთან კონტაქტობენ.

**— რას გულისხმობთ თქვენთან კონტაქტში?**

– ბაღების გარკვეულ დირექტორებს ავალებდნენ სხვადასხვა თანამშრომლების უკანონო განთავისუფლებას, რაზეც ბევრმა დირექტორმა უარი თქვა და ამაზე ღიად განაცხადა. ამის მერე მოხდა მათი თანამდებობებიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

თბილისის ბაღების სააგენტოს უფროსს, თემურ თორდინავას აქვს სპეციალური სქემა, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს „საკადრო წმენდას“. თორდინავას სუს-მა მიაწოდა იმ ადამიანების გრძელი სია, რომლებიც არ არიან „ქართული ოცნების“ აქტივისტები. შემდეგ, ამ სიებს, თორდინავა უნაწილებს კონკრეტული ბაღების დირექტორებს და ეს დირექტორები ათავისუფლებენ თანამშრომლებს, ხოლო რომელი დირექტორიც არ ათავისუფლებს, შემდეგ ასეთ ურჩებს ითხოვენ.

განთავისუფლებები ხდება ძირითადად კვების ბლოკში არსებული დარღვევების საფუძველზე, რომ ერთი ტაფა თევზი დაიწვა, ან ერთი კარტოფილით მეტი აღმოჩნდა სამზარეულოში, ან იყო უხარისხო პროდუქცია – ფქვილი, ხორცი, ან სხვა რომელიმე. ეს ხდება მაშინ, როდესაც ტენდერს აცხადებს თავად თორდინავა, თავადვე ავლენს გამარჯვებულ კომპანიასაც, თავადვე უფორმებს ამ კომპანიებს ხელშეკრულებებს თორდინავა და შემდეგ, იმ კომპანიებს, რომელთაც თავადვე გაუფორმა ხელშეკრულებები და ამ კომპანიებს შემოაქვთ უხარისხო პროდუქტები, ამის გამო ათავისუფლებენ დირექტორებს. ამ სქემით, თორდინავა, თან ახლობლებს აგებინებს ტენდერებს, თან ფულს შოულობს და პოლიტიკურ დაკვეთებსაც არაჩვეულებრივად ასრულებს – ათავისუფლებს ადგილებს პარტიული აქტივისთვის. ჩვენს ნათქვამს 169-ე ბაგა-ბაღის დირექტორის საკითხიც ადასტურებს. ვგულისხმობ შემდეგს – როდესაც ძველი დირექტორი გაუშვეს იმის გამო, რომ მან არ შეასრულა დავალება კადრების განთავისუფლებებზე, მის ნაცვლად მოიყვანეს ახალი დირექტორი, რომელიც ია მაკასარაშვილის კადრია. ამ ქალბატონმა, ამ მოკლე ხანში, ამავე ბაღიდან, უკვე გაათავისუფლა 6 თანამშრომელი და იმდენიც კი იკადრა, რომ იმ ფონზე, როდესაც მის მიმართ უამრავი საჩივარი შევიდა უხარისხო საკვების შესახებ, მან საკუთრ თავს მადლობის წერილი დაუწერა და პედაგოგების მეშვეობით მშობლებს აიძულებდა, ამ წერილზე ხელი მოეწერათ. სხვათა შორის, თორდინავამ ეს წერილი ჩაიბარა. ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში იგეგმება თემურ თორდინავას თანამდებობიდან განთავისუფლება და მის ნაცვლად, ჯაბა სამუშიას მეუღლის, ნინო გრძელიძის დანიშვნას. ეს ქალბატონი გახლდათ ყველა განთავისუფლების სულისჩამდგმელი, რუხი კარდინალი, მაგრამ შეგნებულად არ ჩანდა და ყველა ასეთ ქმედებას ხელს აწერდა თემურ თორდინავა. თორდინავა „მოასუფთავებს ველს“ და შემდეგ ჩაენაცვლება მას ქალბატონი გრძელიძე. შესაბამისად, თემურ თორდინავა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს, სანამ არის თანამდებობაზე და ამას მოწმობს ის, რომ ბატონმა თორდინავამ, გასული წლის ბოლოს, 5 025 ლარის პრემია-დანამატი აიღო. ამას თუ დავამატებთ ხელფასსაც, გამოდის, რომ მან მხოლოდ ერთ თვეში მიიღო 8 000 ლარი. ეს იმხელა თანხაა, რომ პედაგოგმა, რომელიც 45 ბავშვთან ერთად მუშაობს მთელი დღის განმავლობაში, სამი წელი უნდა იმუშაოს, ეს თანხა რომ დააგროვოს. ვინაიდან პრემია-დანამატების თემას შევეხეთ, აქვე უნდა დავამატო მერიის ორი დაქვემდებარებული ორგანიზაციის საკითხი. საუბარია მთავარ ბიბლიოთეკაზე და ტექნოლოგიური განვითარების ფონდზე. ტექნოლოგიური განვითარების ფონდი საკმაოდ საინტერესო შემთხვევაა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ფონდი რომ მართლა რამეს აკეთებდეს, ამას უნდა ვგრძნობდეთ. საქმიანობაში უწერიათ, რომ ქალაქში ინოვაციური ტექნოლოგიები უნდა შექმნან, მაგრამ, რამდენად ინოვაციურია ორმოები ქალაქში და პუშკინზე ჩავარდნილი გზა, ეს მკითხველმა შეაფასოს. მარტო ტექნოლოგიური განვითარების ფონდში, დეკემბერ-იანვარ-თებერვალში, მარტო პრემია და დანამატი გაიცა ასეთნაირად. მარტო დანამატი – დაახლოებით 57 ათასი ლარი, ხოლო პრემია – დაახლოებით 44 ათასი ლარი. დაახლოებით 104 ათასი ლარის ოდენობის პრემია-დანამატი გაიცა ამ ფონდში მხოლოდ სამი თვის განმავლობაში – ხაზს ვუსვამ, აქ არ არის საუბარი ხელფასებზე. არ ეკუთვნით და ისეა გაცემული, თორემ, რომ ეკუთვნოდეთ, ვინ მამაძაღლი ამოიღებდა ხმას. ეს თანხები, როგორც ხდება ხოლმე, გაცემულია არა რიგით თანამშრომლებზე, არამედ ზედა

**ფინალი!**

რგოლზე. მარტო დეკემბერში, ხელმძღვანელ პირს აღებული აქვს 6600 ლარი, ხოლო იანვარ-თებერვალში, მისმა ანაზღაურებამ 4 ათას ლარს გადააჭარბა. იგივე შეიძლება ითქვას მის რამდენიმე მოადგილეზეც. ფაქტობრივად, ფონდის ხელმძღვანელს მინისტრის ხელფასი აქვს, ხოლო მის მოადგილეებს – მინისტრის მოადგილის ოდენობის. მაგალითისთვის, 5 720 ლარი აქვს აღებული მარტო ერთ მოადგილეს დეკემბერში. ეს არის ფონდი, რომელსაც ერთი გამგეობის ოდენობის საშტატო ერთეული აქვს, რაც საკმაოზე მეტად გაბერილია და ამასთანავე, ბუნდოვანია მათი საქმიანობა. ამ 104 ათასი ლარით, ამ თვეში, იმ 994 ბენეფიციარის გამოკვება იქნებოდა შესაძლებელი, რომლებიც რიგში დგანან და ელიან, როდის დადგება დრო, რომ მათაც მოუწიოთ რიგმა. ეს ხდება მაშინ, როდესაც ქალაქის მერია იმ მოსახლეობას უმცირებს 20-ლარიან ვაუჩერებს, რომელთა ქულები 200 000-ზე მეტია, იმ მოტივით, რომ ბიუჯეტში ფული არ არის. მოკლედ რომ ვთქვათ, ქალაქის მერიას ყველაფერზე შეუძლია გააკეთოს შეღავათები, ოღონდაც მათ ჯიბეს არ დააკლდეს. ასევე, მოვითხოვეთ ინფორმაცია დეპუტატების მოსახლეობასთან შეხვედრების შესახებ, რაზეც მივიღეთ პასუხი, რომ საკრებულოს წევრების ყველა აქტივობა დევს მათ ოფიციალურ საიტზე და იქ შეგვეძლო, გვენახა. აღმოჩნდა, რომ ბატონი ტყემალაძე 2 თვის განმავლობაში მოქალაქეებს მხოლოდ ერთხელ, 18 იანვარს დიდუბის რაიონში შეხვდა და ასევე, ამ დროის მანძილზე დაესწრო ღონისძიებას სპორტის სასახლეში – 6 იანვარს. ჯაბა სამუშიაც მხოლოდ ერთხელ შეხვდა მოქალაქეებს 25 თებერვალს კერძო სკოლას ესტუმრა. ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ ამ ორი ადამიანის საქმიანობა უკავშირდება მხოლოდ საკრებულოს შენობას და საინტერესოა, სახლიდან საკრებულომდე და პირიქით, როგორ ახერხებენ ყოველდღიურად 27 ლიტრი საწვავის მოხმარებას და მინიმუმ 220 კილომეტრის გავლას.

**„განთავისუფლებები ხდება ძირითადად კვების ბლოკში არსებული დარღვევების საფუძველზე, რომ ერთი ტაფა თევზი დაიწვა, ან ერთი კარტოფილით მეტი აღმოჩნდა სამზარეულოში, ან იყო უხარისხო პროდუქცია — ფქვილი, ხორცი, ან სხვა რომელიმე. ეს ხდება მაშინ, როდესაც ტენდერს აცხადებს თავად თორდინავა, თავადვე ავლენს გამარჯვებულ კომპანიასაც“**







# ზურაბ ჯაფარიძე: ქვეყნის უსაფრთხოებას დედა აღარ ჰყავს



– ქვეყნის უსაფრთხოება რეალურად არის მოშლილი – დედა აღარ ჰყავს! – ამის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა.

ჯაფარიძის შეფასებით, არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები ოკუპანტი სახელმწიფოს სპეცსამსახურების ხელშია.

– ჩვენ ორ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკს ვხედავთ, რომლებიც ერთმანეთს ადებენ ხელს – ერთი აბრალებს მეორეს, რომ ასეთი ვიდეოების გადაღება მის დროს ხდებოდა, მეორე ამბობს, რომ ასეთი გადაღება ახლაც ხდება და ასევე, ხდება მისი გამოქვეყნება. საბოლოოდ, ეს თემა პოლიტიკური დაპირისპირების საგნად იქცა, სადაც ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთის მაქსიმალურად გაშავებას ცდილობს. ცოტა თუ საუბრობს იმის შესახებ, რამხელა საფრთხეა ეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის. არსებობს თუ არა იმის მაღალი ალბათობა, რომ ასეთი ტიპის ჩანაწერები შეიძლება არსებობდეს აბსოლუტურად ყველაზე, ვინც ამ ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში პოლიტიკას გაკარებია? მგონია, რომ არსებობს! არსებობს თუ არა საკმარისად მაღალი ალბათობა იმისა, რომ ეს ჩანაწერები უკვე დიდი ხნის განმავლობაში რუსული სპეცსამსახურების ხელშია? სავარაუდოდ, ასეთი მაღალი ალბათობა არსებობს! არსებობს თუ არა მაღალი ალბათობა იმისა, რომ საქართველოში წელს, მომავალ წელს, ხუთი წლის მერე, მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე შეიძლება მოვიდეს ადამიანი, რომლის შესახებაც ასეთი ჩანაწერები არსებობს და ეს ჩანაწერები შეიძლება იყოს ოკუპანტი სახელმწიფოს სპეცსამსახურების ხელში?! – სამწუხაროდ, ასეთი ალბათობა არსებობს და ძალიან მაღალი! მწარე რეალობა არის ის, რომ ქვეყნის უსაფრთხოება რეალურად არის მოშლილი – რეალურად დედა აღარ ჰყავს! ამ შემთხვევაში პოლიტიკური პასუხისმგებლობა არის ორივე მხარეს. რა ეკონომიკა უნდა განვითარდეს ქვეყანაში, როცა ამ მხრივ არის სრული ბარდაგი, – განაცხადა ჯაფარიძემ. (ინტერპრესნიუსი)



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გრიგორი კარასინი საქართველოზე — „ჯერ თავს ვიკავებთ, მაგრამ ვშიშობ, რომ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი“



გრიგორი კარასინმა ქართველ ჟურნალისტებთან პრაღაში საქართველოსთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოება და პროვოკაციული ანტირუსული რიტორიკის გაზრდაა.

– ახლა მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოება და პროვოკაციული ანტირუსული რიტორიკის გაზრდაა, რომელიც ისმის საერთაშორისო არენაზე, ისმის საზოგადო მოღვაწეთა მხრიდანაც. ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ ეს ისმის ოფიციალური წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, მინისტრებისა და პრეზიდენტის მხრიდანაც კი. ჩვენ თავისთავად ამას ვაქცევთ ყურადღებას, ვცდილობთ, ყველაფერს არ ვუპასუხოთ, მაგრამ ჩვენთვის დასკვნებს ვაკეთებთ და აი, ახლა სწორედ ის წყალგამყოფია, რომელიც უნდა გავიაროთ. ჩვენ ან ვუბრუნდებით კონფრონტაციას, იმ სიუჟეტების ძიებაში, რომელსაც შეუძლია, კვლავ წაგვაკამათოს, ან დავალაგებთ ნორმალურ, პატივსაცემ ურთიერთობებს და ამ კონტექსტში გადავჭრით ჩვენს ორმხრივ ამოცანებს, – განაცხადა კარასინმა.

გრიგორი კარასინმა საქართველოს თავდაცვის მინისტრზეც გააკეთა კომენტარი.



– ყველა პოლიტიკოსს უნდა გაამძაფროს თავისი პოზიცია, რათა აჩვენონ, რომ ყველაზე მეტი პატრიოტები, მკაცრები და შეურიგებლები არიან ე.წ. რუსული ექსპანსიისა და მუქარის წინააღმდეგ. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ისიც კი თქვა, რომ ცივილიზებული სამყარო უნდა გაერთიანდეს რუსული აგრესიის წინააღმდეგ. წესიერ საზოგადოებაში, როგორც წესი, ასეთ განცხადებებს არ პატიობენ. ჩვენ ჯერ თავს ვიკავებთ, მაგრამ ვშიშობ, რომ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი, – აღნიშნავს კარასინი. (timesnews.ge)

# რა უთხრა ისეთი ილია მეორემ, რის გამოც ლადო პაპავა სალოცავად წავიდა?!

## რას უმხელს თსუ-ს რექტორი „ალიას“?




გელა ზედელაშვილი

555 48-48-61


თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითქოს სიტუაცია ჩაცხრა, მაგრამ, როგორც უნივერსიტეტის რექტორი, ლადო პაპავა ამბობს „ალიასთან“, მდგომარეობა კვლავ დაძაბული რჩება. მას შემდეგ, რაც თვითმმართველობის წევრებს განათლების მინისტრი შეხვდა, აქციები შეწყდა და იგივე თვითმმართველობამ გამოაცხადა, ჩვენ გავიმარჯვეთ, სამივე მოთხოვნა დაკმაყოფილებულიაო. შეგახსენებთ, რომ სტუდენტების ერთი ნაწილი უკვე კარგახანია ითხოვს ლადო პაპავას გადაყენებას, ე.წ. „ოდეერის“ საქმის გამოძიებას და აკადემიური საბჭოს დაშლას. პრინციპში, ჯერჯერობით არც ერთი მოთხოვნა არ არის შესრულებული, მაგრამ, როგორც ჩანს, სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ უახლოეს ხანში შესრულდება. ბატონი ლადო კი „ალიასთან“ მოვლენებს ასე აფასებს:

– უნივერსიტეტის შენობიდან სტუდენტები გავიდნენ, აქციები აღარ მიმდინარეობს, მაგრამ ორივე ჯგუფი მაინც აყენებს თავის მოთხოვნებს, თვითმმართველობა ისევ ითხოვს, რომ რექტორმა დატოვოს თანამდებობა, ხოლო მეორე ჯგუფი აცხადებს, უახლოეს ხანში ჩამოვყალიბდებითო. ისინი კი ითხოვენ, მაგრამ მე კიდევ ერთხელ ვაცხადებ: გადადგომას არ ვაპირებ, მე ვაცნობიერებ პასუხისმგებლობას, რომელიც მაკისრია, დარჩენილი მაქვს კიდევ წელიწადი და 5 თვე პირველი ვადის დასრულებამდე და ამ დროში კიდევ მაქვს განსახორციელებელი არაერთი პროექტი. თქვენ იცით, რომ რამდენიმე პროფესორმა ქალბატონმა ჩემს მხარდასაჭერად შიმშილობაც გამოაცხადა, მე მათ თავიდანვე მივმართე, შიმშილობა არ დაეწყოთ, მერე ვთხოვე, რომ შეეწყვიტათ და როგორც კი უნივერსიტეტიდან საპროტესტო ჯგუფები გამოვიდა, შეწყვიტეს.

**— ბატონო ლადო, საუბარია იმაზეც, რომ თვითმმართველობას დახარჯული აქვს ათეულობით მილიონი ლარი, რა ხდება, სტუდენტებს საიდან ამდენი თანხები? ახლა ჩნდება ინფორმაცია, რომ თითქოს ეს თვითმმართველობები საერთოდ უნდა გაუქმდეს.**

– თვითმმართველობა არსებობს „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ საფუძველზე. რაც შეეხება თანხებს, ეს არის შიდასაუნივერსიტეტო რეგულაცია, ადრე თვითმმართველობისთვის ფული გამოყოფილი იყო ბიუჯეტიდან, ბოლო რამდენიმე წელიწადია, ასე აღარ არის, გაუქმდა და გაიცემა მხოლოდ პროექტებზე. ასევე, სტუდენტებზე გაიცემა სტიპენდიები.

**— ამჟამად თვითმმართველობისთვის კონკრეტული თანხა არ არის გამოყოფილი?**

– არა, ამჟამად არანაირი თანხა არ არის გამოყოფილი.

**— თქვენ პატრიარქთან იყავით, მერე განათლების მინისტრთან შეხვედრა რომ იყო, სხდომა 10 წუთში დატოვეთ და მცხეთაში წახვედით სალოცავად. საზოგადოებამ ისე გაიგო, თითქოს მინისტრს პროტესტი გამოუცხადეთ.**

– არაფერი პროტესტი არ ყოფილა, დღის პირველ საათზე ვიყავი მისული მის უწმინდესობასთან, ის დაინტერესდა, რა სიტუაცია იყო უნივერსიტეტში. სულ 10 წუთით შევხვდი. მომისმინა და მოგვიწოდა ლოცვისკენ. მითხრა, საღამოს 6 საათზე სვეტიცხოველში მოდიო, რაზეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ჩემთვის ეს დიდი პატივია, პატრიარქმა მიმიწვია. 5 საათზე დაინიშნა შეხვედრა მინისტრთან. მე წინასწარ ვუთხარი ქალბატონ თამარს და ასევე, გავაფრთხილე აკადემიური საბჭოს წევრებიც, მის უწმინდესობასთან უნდა წავიდე მცხეთაში-მეთქი. ამიტომ იქ რაიმე განსაკუთრებული ინტრიგა არ ყოფილა. ვიყავი მცხეთაში პატრიარქის მიწვევით და მასთან ერთად ვილოცე.

**— რა ხდება აკადემიურ საბჭოში? როგორც ვიცი, ორმა წევრმა დატოვა საბჭო, ეს თქვენ გამოგიცხადეს პროტესტი თუ სხვა მიზეზი ჰქონდათ?**

– საკმაოდ რთული დღეები იყო, ფსიქოლოგიურადაც ძალიან ძნელი გადასატანი გახლდათ და ამიტომ ქალბატონმა მარიამ გერსამიამ თვითონ მიიღო გადაწყვეტილება, არანაირი ზეწოლა მასზე არ ყოფილა. რა თქმა უნდა, როცა აკადემიური საბჭოს წევრი მიდის, ეს კარგი არ არის, მაგრამ მაინც მისი პირადი გადასაწყვეტი იყო. მეორე დღეს, ასევე, განცხადება შემოიტანა ბატონმა გიორგი გოქსაძემ და დატოვა საბჭო. უნივერსიტეტის წესდების თანახმად, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს მოუწევს ახალი არჩევნების ჩატარება და იქნება 2 ახალი წევრი.

**— წასვლის მოტივად რა დაასახელეს?**

– მე მიჭირს ამ თემაზე საუბარი, პროტესტი გაუჩნდათ და წავიდნენ. ეს მათი პოზიციაა და მე არ მინდა, რამე შეცდომა დავუშვა.

**— გამოდის, თუ თქვენ არ გადადგებით, სიტუაცია ისევ დაიძაბება?**

– მე მქონდა შეხვედრა თვითმმართველობის სტუდენტებთან, ეს იყო საქმიანი საუბარი. მათი მოთხოვნა უცვლელია ჩემს გადაყენებასთან დაკავშირებით. აკადემიურ საბჭოს კი პოზიცია აქვს ასეთი: უნდა მოხდეს პრობლემების შესწავლა, რაც აქვთ სტუდენტებს, თუ რამე დადასტურება, მერე ოფიციალურად დაიწყება იმპიჩმენტის პროცედურა. თუ ნებით არ გადავდგები, აკადემიური საბჭო იმსჯელებს იმპიჩმენტზე.







**„თუ ნებით არ გადავდგები, აკადემიური საბჭო იმსჯელებს იმპიჩმენტზე“**

**— კონკრეტულად თქვენ მიმართ რა პრეტენზიებია, რა პრობლემები უნდა შეისწავლოს აკადემიურმა საბჭომ და რა დანაშაული შეიძლება დაგიმტკიცდეთ?**

– მათ აქვთ რამდენიმე პრეტენზია: მაგალითად, თითქოს მე ვერ უზრუნველვყავი სენატის სხდომის ჩატარება, „ოდეერის“ საკითხზე უფრო ადრე რატომ არ ვთქვი და ასე შემდეგ.

**— ჯერ ერთი, „ოდეერის“ თემა ასეთი იოლი გასარკვევი არ არის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აცხადებს, რომ განათლების ობიექტებში „ოდეერის“ ინსტიტუტი არ არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ოფიციალურად გეცოდინებოდათ. თუ ვინმე არაოფიციალურად იყო და არის, მაშინ ის არალეგალური აგენტი ყოფილა.**

– როდესაც მთელმა უნივერსიტეტმა გაიგო, ვინ ვინ იყო, ჩემთვის ამის შემდეგ გახდა ცნობილი. ეს იცოდნენ სტუდენტებმაც, ეს იცოდნენ პროფესორებმაც და ბუნებრივია, ამის შემდეგ მეც გავიგე. თვითონ სიტყვა „ოდეერიც“ აღარ არსებობს, ეს პირობითი დასახელებაა... ეს გახლავთ კონკრეტული პიროვნება.

**— ამ პიროვნებას რა ელოდება, უნივერსიტეტიდან გაუშვებთ?**

– რა უნდა ელოდებოდეს? წესით, მისი ადგილი უნივერსიტეტში არ არის, სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— ამჟამად ჩვეულებრივად მუშაობს?**

– ის არის კანცლერის თანაშემწე... მე მქონდა საკმაოდ სერიოზული საუბარი კანცლერის მოვალეობის შემსრულებელთან და ამ კვირაში ყველაფერი გაირკვევა.

**— თქვენ არ ფიქრობთ, რომ შეცდომები გაქვთ დაშვებული?**

– რა თქმა უნდა, ვფიქრობ... შეიძლება ადამიანური შეცდომები მეც დავუშვი.

**— შეგიძლიათ, მითხრათ, რა შეცდომები გაქვთ დაშვებული?**

– მოდი, რადგან ასეთი სიტუაციაა და მოკვლევა მიმდინარეობს, ცოტა ხანს დაველოდები. თუ რამე ისეთს დადებენ, რაც ჩემი შეცდომის გამო მოხდა, ამას ვაღიარებ. თუ არ დავეთანხმები, მერე ამასაც ავხსნი, რატომ არ არის ჩემი შეცდომა. უშეცდომო ვინ არის ამ ქვეყანაზე, რომ მე ვიყო?

**— მოვლენები უკან რომ „გადავახვიოთ“, რას გამოასწორებდით?**

– შეიძლება მეტი კომუნიკაცია მჭირდებოდა ფაკულტეტებთან... აი, ამას არ გამოვრიცხავ. მეტი შეთანხმება და საუბრები იყო, ალბათ, საჭირო ფაკულტეტებთან, როცა კანცლერის საკითხი იხილებოდა. მართალია, ეს არსად წერია, რომ ამ საკითხების გარკვევა მევალებოდა, მაგრამ ადამიანური თვალსაზრისით უფრო დაახლოებული უნდა ვყოფილიყავი ფაკულტეტების ხელმძღვანელებთან.

**— ვფიქრობ, თქვენ ბევრ საკითხში არ ჩაერიეთ იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს ქვეყანაში გაგანია დემოკრატიაა.**

– მე უპირველესად გამოვდივარ უნივერსიტეტის კანონიდან, უმაღლესი განათლების კანონიდან და არ მინდა, გადავაჭარბო ჩემს უფლება-მოვალეობებს, რათა არ დამბრალდეს, რექტორი გადაწყვეტილებების მიღებაში ერევაო.

**— როგორც ჩანს, ცოტა ჩარევა მაინც საჭირო ყოფილა.**

– გეთანხმებით, საჭიროა, ამიტომ ეს კანონში უნდა დაფიქსირდეს და რექტორს უფლებები გაეზარდოს. აქ უკვე პარლამენტმა უნდა შეიტანოს კანონმდებლობაში ცვლილებები. ამ შემთხვევაში ან მთავრობა უნდა შეგიდეს ინიციატივით, ან პარლამენტმა გააკეთოს პირდაპირ.

**— რაც თავი მახსოვს, სულ ამ უნივერსიტეტის ავტონომიაზეა ლაპარაკი, მაგრამ დღემდე არ ხერხდება, ათას ვიღაცას აქვს თავისი ინტერესები.**

– ეს იქნება მუდმივი თემა და მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა ქვეყანა სრულად დემოკრატიული იქნება.

**— განათლების სამინისტრო რამდენადაა უფლებამოსილი, რომ უნივერსიტეტის შიდა საქმეებში ჩაერიოს?**

– მიმაჩნია, რომ განათლების სამინისტრო არ ჩარეულა. კანონის მიხედვით, ჩვენ ვართ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ჩვენი ზემდგომი და მაკონტროლებელი არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამ კონკრეტულ ვითარებაში ის თავისი ჩარჩოებიდან არ გამოსულა.

**— თუ ჩვენ გავიხსენებთ მთავრობის წევრებისა და პარლამენტარების განცხადებებს, რომლებიც ერთსულოვნად დადგნენ სტუდენტების მხარეს, თქვენ არ გეჩვენებათ, რომ ხელისუფლება მხარს არ გიჭერთ? თუნდაც პრემიერ-მინისტრის განცხადება გავიხსენოთ.**

– არა, მე ასე არც მეჩვენება და არც მინდა, რომ ასე ვიფიქრო.

**— აბა, მაშინ რატომ აკეთებდნენ ასეთ განცხადებებს და არ უჭერდნენ მხარს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას?**

– ვერ გეტყვით, ჩემთან ეს განცხადებები არავის არ შეუთანხმებია, ყველას საკუთარი აზრი აქვს. ნამდვილად არ ვარ საქმის კურსში, რატომ აკეთებდნენ ასეთ განცხადებებს.

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, თამარ სანიკიძის განცხადებას, რომ უწყებაში ე.წ. ოდეერები არ ჰყავთ, ორგანიზაცია „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი, დავით ფერაძე „ალიას“ საშუალებით ეხმაურება და აცხადებს: „თამარ სანიკიძე კიდევ ერთხელ ცრუობს!“**

**დავით ფერაძე:**

– თქვენთან არაერთხელ დროს იყო ამავე აუდიტის სამსახურის უფროსი, მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსად.

ჩვენ შიდა აუდიტის დეპარტამენტი არაერთხელ ვამხილეთ. ამ სამსახურზე აღარ გავაგრძელებ, რადგან ის სავსეა ადამიანებით, რომლებიც სანიკიძემდეც და ახლაც ასრულებენ სპეცდავალებებს, ქმნიან ყალბ „ფეისბუკებს“, თხზავენ ე.წ. მართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, დაინიშნა 2014 წელს, სანიკიძის მინისტრობის დროს, კარიერას იწყებს შევარდნაძის ეპოქაში, 2001 წელს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების სპეციალისტობით, თუმცა გამოკვეთილია სააკაშვილის პერიოდიდან, 2004 წლიდან, როდესაც დანიშნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ოლოდ ხელმძღვანელი პირები, თუმცა „ჩანერგილები“ არიან ყველა რესურსცენტრში, ყველა საჯარო სკოლასა და სკოლის მანდატურებში.

**— რა მიზანს ემსახურება ამ სიის გამოქვეყნება?**

– კატეგორიულად ვითხოვ, დაიწყოს გამოძიება ამ პირებთან დაკავშირებით და გაეცეს პასუხი შეკითხვებს, რატომ არიან ისინი განათლების სისტემაში და რატომ აფარებს ხელს მათ მინისტრი.

**— საიდან მოიპოვეთ ეს ინ-**

*ექსკლუზივი*

დასაქმებულები იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, უშიშროების სამსახურებში და ა.შ.

**— რომ გიჩივლონ, როგორ დაიცავთ თავს?**

– მათივე ბიოგრაფიებით, რომლებიც ხელთ მაქვს. მე ამით ვმსჯელობ. თუმცა, მტკიცებულების ტვირთი მათ დაეკისრებათ და მათ დამატებით მოუწევთ დოკუმენტების წარმოდგენაც. ამ ინფორმაცი-

# „ალიას“ განათლების სამინისტროში „ჩანერგილი“ „ოდეერების“ სია მოაწოდეს!

**„სანიკიძემ ურცხვად მოიტყუა, რომ „ოდეერები“ არ გვყავს სამინისტროშიო, გადავწყვიტე, ფაქტები და დოკუმენტები დამედო და აი, ისინიც“**






**„ჩვენ დაგისახელეთ მხოლოდ ხელმძღვანელი პირები, თუმცა „ჩანერგილები“ არიან ყველა რესურსცენტრში, ყველა საჯარო სკოლასა და სკოლის მანდატურებში“**

ვისაუბრე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი რომ ე.წ. „კგბ“-შნიკებითაა სავსე და სამინისტროში სიტუაციას სწორედ ონოფრიშვილი მართავს. მას შემდეგ, რაც სანიკიძემ ურცხვად მოიტყუა, „ოდეერები“ არ გვყავს სამინისტროშიო, გადავწყვიტე, ფაქტები და დოკუმენტები დამედო და აი, ისინიც. ფაქტობრივად, ეს ინფორმაცია არის ბომბი სანიკიძისთვის. წესით, ის ამას უნდა გადაყვეს და გააფთრებით იბრძვიან.

აი, ეს არის ძალოვანი უწყებების წარმომადგენელთა, ე.წ. „ოდეერების“ ბრიგადა განათლების სისტემაში:

**1. ალექსანდრე ონოფრიშვილი** – სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი 2013 წლიდან, დანიშნა თამარ სანიკიძემ. არის საგანმანათლებლო სისტემის „ოდეერების“ ბრიგადის არაოფიციალური შეფი. ზედმეტი სახელი „კრასავჩიკი“. ის ჩვენ არერთხელ ვამხილეთ.

**2. გიორგი ქოჩიშვილი** – სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სააკაშვილის ანონიმკებს და ა.შ

**3. გიორგი კილაძე** – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, 2013 წელს დანიშნა მინისტრმა სანიკიძემ. მისი „ძალოვანი“ კარიერა დაიწყო შევარდნაძის დროს, 1994 წელს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის რიგითიდან – განყოფილების უფროსამდე.

**4. ნატალია ჭრელაშვილი** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი. დაინიშნა მინისტრ სანიკიძის დროს. 2012 წლიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საპროტოკოლო განყოფილების უფროსად.

**5. ნიკოლოზ წოწონავა** – სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სააღსრულებო პოლიციის სამმართველოს თბილისის მოკვლევის განყოფილების მომკვლევად.

**6. ზაზა მეტრეველი** – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის, მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. დაინიშნა სანიკიძის დროს 2014 წელს. კარიერა დაიწყო შევარდნაძის დროს, 1999 წლიდან, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შსს სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფის ინსპექტორის თანამდებობით.

**7. ლაშა ვერულავა** – განათლების მართვის საინფორმაციო სამსახურის უფროსი, დანიშნა სანიკიძემ. კარიერა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციის მთავარი სამმართველოს პირველი განყოფილების სპეციალისტობით. იყო ამავე განყოფილების უფროსიც.

ჩვენ დაგისახელეთ მხ-

**ფორმაცია და რით ადასტურებთ?**

– შიდა აუდიტზე თვეების წინათ გამოვითხოვე სამინისტროდან და მომცეს. რაც შეეხება დანარჩენ უწყებას, ისინი არც მალავენ თავიანთ ბიოგრაფიას და ხელმისაწვდომია. იმდენად გაპარპაშდნენ, რომ ვებგვერდზეც კი უდევთ. მათ მონაცემებში შავით თეთრზე წერია, რომ ისინი სხვადასხვა დროს იყვნენ კუდის და ა.შ. ძალოვანი უწყებების თანამშრომლები.

**— და მათი „ბეგრაუნდი“ აპრიორი ნიშნავს იმას, რომ ოდეერები არიან?**

– „ოდეერი“, როგორც ასეთი, ოფიციალურად აღარ არსებობს. ეს არის მხოლოდ აბრევიატურა და სახელმწიფო სტრუქტურებში კაბინეტებზე მიწებებულს ვერ ნახავთ წარწერას – „ოდეერი“. აგენტი რისი აგენტია, თუ ოფიციალურად ერქმევა ასე. ამიტომ მათი ბიოგრაფიით უნდა ვიმსჯელოთ. ისინი არიან სხვა თანამდებობებს ამოფარებული, თუმცაღა ამ ბიოგრაფიებში ნათლად ჩანს, რომ ეს ადამიანები სწორედაც რომ ის გასაჯაროების მერე, არ გამოვრიცხავ ჩემ მიმართ გარკვეულ პროვოკაციებსა და თავდასხმებს, თუმცა უკან დახევას არ ვაპირებ.

**„ალია“ გათლებისა და მეცნიერების პრესსამსახურს დაუკავშირდა. უწყება ფერაძის თემის საქმის კურსში ჩავაყენეთ:**

„ოდეერი“ ეს არ არის ის თემა, რომელიც ამ ხელისუფლების მოგონილია. ეს ინსტიტუტი ძალიან დიდი ხნის წინათ არსებობდა. ახალი კანონის მიხედვით, არსებობს ჩამონათვალი იმ სახელმწიფო უწყებებისა, რომელსაც აქვს განსაკუთრებული საფრთხეები და სადაც შეიძლება არსებობდეს ასეთი შტატი. თუმცა, თუ ასეთი შტატი არსებობს, უნდა იყოს კონტრაქტი, არსებობდეს შეთანხმება სპეცსამსახურებს შორის და იმ უწყებებს შორის, სადაც არის განთავსებული ასეთი კადრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის დასახელებული, რადგან მაღალი რისკები ამ დაწესებულებაში არ არის“. - განმარტავენ სამინისტროში.

## საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლას 15 ივლისიდან შეძლებენ




საქართველოსთან სავიზო ლიბერალიზაციის მინიჭებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპული საბჭო და ევროპარლამენტი 23-24 ივნისის პლენარულ სხდომაზე ცალ-ცალკე განიხილავენ. როგორც მოსალოდნელია, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ევროპული საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (ევროპარლამენტისა და საბჭოს №539 რეგულაციაში ცვლილების შეტანა) ძალაში შევა გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში, თუ სპეციალურად სხვა თარიღი არ იქნა დადგენილი. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლას ყველაზე ადრე 15 ივლისიდან შეძლებენ.



კითხვაზე – შეიძლება თუ არა რაიმემ ხელი შეუშალოს ამ პროცესს, წყარო აღნიშნავს, რომ არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს აღნიშნულ პერიოდში საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ, 17-18 მარტის ევროპული საბჭოს სხდომა, რომელმაც ევროთურქული შეთანხმება უნდა დაამტკიცოს, ასევე, ევროკომისიის მიერ გამოცხადებული შენგენის აღდგენის „საგზაო რუკა“, რომლის ძირითადი ნაწილის წარმატებით განხორციელება ივნისამდე უნდა დასრულდეს. გარკვეული გავლენა ევროპული საბჭოსა და ევროპარლამენტის სხდომების დღის წესრიგზე შეიძლება იქონიოს 23 ივნისს ბრიტანეთში დანიშნულმა რეფერენდუმმა, რომელზეც გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში დარჩენის საკითხი უნდა გადაწყდეს.



– არ არის გამორიცხული, რომ საბჭოს მიერ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების წლის ბოლოსთვის გადადების მოტივად შემოდგომაზე საქართველოში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველყოფა დასახელდეს, თუმცა იმედია, რომ საქმე აქამდე არ მივა, – განაცხადა წყარომ. (euronews.ge)

## ღლონტი ოქრუაშვილზე: „მაგი წავიდეს და გორში შიშველ ქალებს გადაუღოს ვიდეოები“



მამუკა ღლონტი ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას აფასებს, რომლის მიხედვითაც „მაესტროში“ გოგელიას წილების ნახევარი სწორედ მას ეკუთვნის.

– ცირკის მსახიობებზე ვერ გავაკეთებ კომენტარს. არც კი მსურს კომენტარის გაკეთება. მაგი წავიდეს გორში და ისევ შიშველ ქალებს დაუწყოს ვიდეოების გადაღება, – აცხადებს მამუკა ღლონტი. (primetimenews.ge)

## ნუკრი ქანთარია – როგორც ჩანს, წინასაარჩევნოდ უკვე დაიწყო პოლიტიკური ქვეწარმავლების სეზონი

– როგორ ჩანს, დაიწყო უკვე წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქვეწარმავლების სეზონი, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

დეპუტატი პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელების ფაქტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს მიმართული იყო სახელმწიფოს, ხელისუფლების, საზოგადოების წინააღმდეგ და პოლიტიკურად ანგაჟირებული ბევრი იმ ჯგუფის წარმოსაჩენად, რომლებიც ხელისუფლებას უპირისპირდებიან.

– როგორც ჩანს, დაიწყო უკვე წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქვეწარმავლების სეზონი. სხვანაირად არ შემიძლია ვთქვა იმ კამპანიაზე, რომელიც ორიოდე დღის წინ მოხდა, ვგულისხმობ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს. ეს, რა თქმა უნდა, მიმართული იყო სახელმწიფოს, ხელისუფლების, საზოგადოების წინააღმდეგ და პოლიტიკურად ანგაჟირებული ბევრი იმ ჯგუფის წარმოსაჩენად, რომლებიც ახლა ხელისუფლებას უპირისპირდებიან. ამავე დროს, იმ პოზიტივის გადასაფარად, რომელიც ხდება. კერძოდ, ლარის გამყარება, თუ ვიზალიბერალიზაციის საქმე. პირველი კითხვაა ის, ვის აწყობდა ეს. საინტერესოა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს პასუხი აქვთ ამ კითხვაზე – თურმე, ეს აწყობდა და ეს ჩადენილი აქვს ერთ ადამიანს. თურმე, ეს ადამიანი ერთი ხელით ეკლესია-მონასტრებს აშენებდა, თეატრებს, შენობებს და მეორე ხელით იღებდა ამ ჩანაწერებს და თავისავე შექმნილ კოალიციას თურმე ამ ჩანაწერებით უპირისპირდება. ერთ-ერთი ლიდერი დაჟინებით, ნერვიულად საზოგადოებას აძალებდა, სწორედ ეს არის ბიძინა ივანიშვილიო. მიჩნდება სავსებით გონივრული ეჭვი, რომ გიგა ბოკერია შენ ხომ არ ხარ მართლა ამ საქმეში გახვეული შენს ოდესელ შეფთან ერთად?! – განაცხადა ქანთარიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

# დავიჯეროთ, რომ ბესელია-კობახიძე ანგელოზები არიან და ელისაშვილი ქოსატყუილა ტარტაროზი?!

## ერთი გამოსავალია – იმ „მაღალჩინოსანმა“ უნდა ამოიღოს ხმა!







შარშია



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

ე.წ. შეწყალების კომისიის საქმეზე მთავარმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა და განცხადებაც გააკეთა: „საქმეზე ჩატარებული გამოძიებით არ დადასტურდა ე.წ. „კოკაინის საქმეზე“ მსჯავრდადებულ პირებსა და ალექსანდრე ელისაშვილის მიერ დასახელებულ პოლიტიკოსებს შორის შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით კორუფციული გარიგების ფაქტი, რის გამოც საქართველოს პროკურატურამ საქმეზე შეწყვიტა გამოძიება“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ალეკო ელისაშვილის ბრალდებები ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძის მიმართ ოფიციალურად არ დადასტურდა.

ორიოდე სიტყვით შეგახსენებთ, რომ დეკემბერში, ალეკო ელისაშვილმა კორუფციაში ღიად დასდო ბრალი ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძეს, ის ამტკიცებდა, რომ „ქართული ოცნების“ ორივე დეპუტატი მისგან დაჟინებით მოითხოვდა, რომ შეწყალება „კოკაინის საქმეზე“ გასამართლებულ პირებს შეხებოდათ. ელისაშვილის თქმით, თავდაპირველად, მაღალი თანამდებობის პირმა მას კონფიდენციალურად აცნობა, რომ კობახიძესა და ბესელიას წინასწარ აღებული ჰქონდათ 200 000 დოლარი და კიდევ შვიდჯერ მეტ თანხას მიიღებდნენ, თუ „კოკაინის საქმეზე“ მსჯავრდადებული პირები ციხეს დატოვებდნენ. შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ამბობს, რომ ეს ინფორმაცია მაშინვე მიაწოდა ჯერ პრეზიდენტს, შემდეგ მთავარ პროკურორს, თუმცა რეაგირება არ მომხდარა. „კონკრეტული თანამდებობის პირი შემხვდა და მომაწოდა ინფორმაცია, რომ ბესელიასა და კობახიძეს ამ საქმესთან დაკავშირებით აღებული ჰქონდათ 200 000 დოლარი და მათ 1 500 000 დოლარს დაჰპირდნენ, თუკი ისინი მოახერხებდნენ, შეწყალების გზით, მსჯავრდადებულების განთავისუფლებას“, – ამის შემდეგ, ელისაშვილის თქმით, მას ბესელიამ და კობახიძემ პირადად დაურეკეს და სთხოვეს „კოკაინის საქმეზე“ დაკავებული პირების შეწყალება. მეტიც, მას ამ თხოვნით სმს-ის საშუალებითაც მიმართა ორივე დეპუტატმა. იმის დასტურად, რომ ბესელიამ და კობახიძემ მართლა დაურეკეს და სმს-ები მისწერეს, ელისაშვილმა პროკურატურას საკუთარი მობილური ტელეფონი გადასცა, სადაც, მისი თქმით, მყარ დისკზე ინახებოდა ეს ზარები და შეტყობინებები. შეგახსენებთ, რომ „კოკაინის საქმის“ მონაწილე პირებს ფოთის სასამართლომ, 2010 წლის ბოლოს, შემდეგი სასჯელები შეუფარდა: ანასტასია ზაუტაშვილს, ჩეჩელაშვილსა და მუსემიანს – 30-30 წლით, სვანიძეს – 24 წლით, გავაშელიშვილის – 16 წლით პატიმრობა, თუმცა ერთი წლის შემდეგ, გავაშელიშვილთან, აღიარების სანაცვლოდ, საპროცესო გაფორმდა და სასჯელი 2 წლამდე შეუმცირდა), საბერძნეთის მოქალაქე ნუგზარ ბოჭორიშვილს კი ქუთაისის სასამართლომ დაუსწრებლად უვადო პატიმრობა მიუსაჯა. მოკლედ, ელისაშვილი აცხადებდა, რომ ნარკოტიკების რეალიზაციისთვის მსჯავრდადებული ამ პირების შეწყალების სანაცვლოდ, ბესელიამ და კობახიძემ ფული აიღეს და 7 ამდენი კიდევ უნდა აეღოთ, თუ მათ შევიწყალებდიო. მოკლედ, პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა „ზეგავლენით ვაჭრობის“ მუხლით, რადგან დანაშაულში ეჭვმიტანილები დეპუტატები, მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ და შესაბამისად, პროკურატურას ჰქონდა საფუძველი, ევარაუდა, რომ კობახიძემ და ბესელიამ გავლენის მოხდენა სცადეს შეწყალების კომისიის თავმჯდომარეზე, ალეკო ელისაშვილზე.

ალეკო ელისაშვილის სასარგებლოდ, პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ შემდეგი განცხადება გააკეთა: „ალეკოს გაკეთებული განცხადების შემდეგ, მე დავინტერესდი ამ თემით და საქართველოს პრეზიდენტმა დამიდასტურა, რომ ასეთი შეხვედრა შედგა, ანუ ალეკო ამ კუთხით მართალს ამბობს, მართალს ამბობს იმასაც, რომ ნამდვილად წააკითხა მესიჯები, მაგრამ, ცხადია, მე არ ვიცი ამ მესიჯების შინაარსი და მართალია ალეკო იმ ნაწილშიც, როდესაც ის ამბობს, რომ ის ესაუბრა არა მხოლოდ პრეზიდენტს, არამედ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს. ახლა მე გეუბნებით უშუალოდ პრეზიდენტის ნათქვამს“.

ელისაშვილი პარლამენტში სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა ამ საქმის გამოსაძიებლად, აცხადებდა, რომ პროკურატურას არ ენდობოდა, რომელიც მაღალჩინოსნებს ხელს დააფარებდა და მათ არავითარ შემთხვევაში არ დასჯიდა. პარლამენტმა საგამოძიებო კომისიის შექმნაზე უარი განაცხადა. რაც შეეხება ელისაშვილის ბრალდებებს, მათში არის სიმართლის მარცვალი. მანანა კობახიძე პარლამენტის ვიცე-სპიკერია, ეს თავისთავად მაღალი თანამდებობაა და შესაბამისად, გარკვეული გავლენაც უნდა ჰქონდეს, თუნდაც პროკურატურაზე. აქვე ისიც დავამატოთ, რომ კობახიძე ბიძინა ივანიშვილის ნდობით სარგებლობს, ივანიშვილი კი ამ ქვეყნად ყველაფრის, მათ შორის მთავარი პროკურორის მმართველიც არის. ეკა ბესელია კი საპროკურორო საბჭოს წევრია, მან მხარი დაუჭირა ირაკლი შოთაძის კანდიდატურას და სწორედ საპროკურორო საბჭოს მიერ მხარდაჭერილი შოთაძე წარუდგინეს პარლამენტს დასამტკიცებლად. მართალია, ამჟამად ბესელიას რაიმე პირდაპირი ბერკეტები პროკურატურაზე ზემოქმედებისა არ გააჩნია, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ, მინიმუმ, ირაკლი შოთაძე მისგან დიდად დავალებულია.

როცა ალეკო ელისაშვილმა პირველად განაცხადა, რომ ეკა ბესელია და მანანა კობახიძე კორუფციაში იყვნენ ეჭვმიტანილნი, ეს თემა სკანდალად იქცა, კარგა ხანს არ ჩამოდიოდა წამყვანი საინფორმაციო საშუალებების ტოპნიუსებიდან ყველა ის ინფორმაცია, რომლებიც ამ საკითხს ეხებოდა. მოკლედ, საქმე სკანდალით დაიწყო და ბევრი ელოდა, რომ ასევე სკანდალურად დასრულდებოდა, ბევრს სჯეროდა, რომ ალეკო ელისაშვილის მუქარა ახდებოდა. ელისაშვილი აცხადებდა, რომ მექრთამე ბესელიასა და კობახიძეს თავად მიაცილებდა „მატროსოვის“ ციხემდე. თუმცა, ბევრისთვის მოულოდნელად პროკურატურამ დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინა ამ საქმეში და გამოძიება შეწყდა.

შეწყალების კომისიაში სხვადასხვა დროს ფული რომ კეთდებოდა და პატიმრებს სოლიდური ქრთამის საფასურად იწყალებდნენ, ამის შესახებ ხმები მუდამ დადიოდა, თუმცა, კონკრეტული მტკიცებულებები არ დადებულა. ამიტომაც იყო, საზოგადოების დიდმა ნაწილმა ირწმუნა, რომ სუფთა ბეგრაუნდის მქონე ელისაშვილი არ იტყუებოდა, კობახიძესა და ბესელიას ქრთამის აღება დაუმტკიცდებოდათ და დღე-დღეზე დაერხეოდათ. ბევრი ამბობს, რომ ელისაშვილმა მთელი ეს ამბავი „ნაცმოძრაობის“ დაკვეთით წამოიწყო და ამას ორი მიზანი ჰქონდა. ერთი, რომ „ნაცმოძრაობის“ ოპონენტებს „ქართული ოცნებიდან“ ბესელიასა და კობახიძეს სახელი შელახვოდათ, მეორეც, თუ ეჭვი გაჩნდებოდა, რომ ფულის საფასურად ხდებოდა პატიმრების შეწყალება, მაშინ ისიც დასაშვები იქნებოდა, რომ ფულით ხდებოდა პოლიტიკური პატიმრები სტატუსის მინიჭება. ამ ვერსიას ისიც გააძლიერებდა, რომ იმ კომისიაში, რომელიც კონკრეტულ პატიმრებს პოლიტიკური პატიმრის სტატუსს ანიჭებდა, ბესელიაც იყო და კობახიძეც. „ნაციონალებს“ რომ ვერ მოუნელებიათ „ქართული ოცნების“ მიერ მათი

### „გადაღებაც და გავრცელებაც „მიშისტების“ ნახელავია“

ხალხის აზრი

**იასე ცინცაძე, რეჟისორი, ჟურნალისტი:**

– ყველა რევოლუციის ფორმას მოვესწარი ცხოვრების მანძილზე, ვატყობ სექსუალურსაც მოვესწრები. რა თქმა უნდა, მიმაჩნია, რომ გადაღებაც და გავრცელებაც „მიშისტების“ ნახელავია, მაგრამ ამ ხელისუფლების პირობებში გამოძიება ბოლომდე არ მივა, რადგან დაკომპრომატებული ჰყავთ, მათ შორის პროკურატურაც და არამარტო.

*მაკა დეკანოსიძე*

### „ვიცოდი, რომ ბიძოს ჰქონდა ალასას სექსუალური ხასიათის კადრები“

ხალხის აზრი

**სანდრო, 30 წლის, კერძო სექტორში დასაქმებული, მარკეტოლოგი:**

– ერთი წამითაც არ მჯერა, რომ ნამდვილ დამკვეთს გამოავლენს და დასჯის პროკურატურა, ხალხის დასანახად შესაძლოა, ვიღაცებს შეუთითხნონ საქმე, როგორც ახლა ხდება.

სავარაუდოდ, ეს თავად ხელისუფლებას ამოფარებულმა ძალებმა ქნეს, რომ აი, ვითომ ასეთი ევროპელები ვართ. ერთი რაღაც ადრე მქონდა ძაან ისეთი წრიდან გაგებული – ალასანია რომ არ ევასებათ და მაგათგან ვიცოდი, რომ ბიძოს ჰქონდა ალასას სექსუალური ხასიათის კადრები, ალარ დავაკონკრეტებ, კონკრეტულად რა.

წინასაარჩევნოდ ბევრ ასეთ კადრს გამოიყენებენ, ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამის უკან ღარიბაშვილი დგას, თუმცა ბიძინას ნებართვის გარეშე რომ ვერ იმოქმედებს, ფაქტია.

ასე ადვილად არ წავიდოდა ღარიბაშვილი, არევენ ახლა საკმაოდ სიტუაციას, კომპრომატებს დაუდებენ ოპოზიციურ პარტიებს და არჩევნების მერე გამოჩნდება ისევ ღარიბაშვილი, ვითომ სუფთა და ამ ამბებზეც ვერავინ შეიწმენდს ხელს.

*მაკა დეკანოსიძე*

მმართველობისას დაჭერილი 200 კაცის პოლიტპატიმრად აღიარება, ეს ფაქტია. შესაბამისად, საფუძვლიანი ეჭვის გაჩენაც კი, რომ მავანთ ფულის საფასურად ანიჭებდნენ პოლიტპატიმრის სტატუსს, „ნაციონალთათვის“ ესეც დიდი საქმე იყო. ისე, ამ ორ მიზანს გარკვეულწილად კი მიაღწიეს „ნაციონალებმა“, მაგრამ რამდენად იყო კავშირში მათთან ელისაშვილი და მოქმედებდნენ თუ არა შეთანხმებულად, ამის დამტკიცებას ვერავინ შეძლებს.

„ალია“ ალეკო ელისაშვილთან დაკავშირებას შეეცადა, პირადად ვესაუბრე და სატელეფონო ინტერვიუზეც შევუთანხმდი, მაგრამ შემდეგ 2 დღე ვურეკავდი და ჩემს ზარებს არ პასუხობდა. თუმცა, რა კითხვებიც მისთვის უნდა დამესვა, მათ აქ დავსვამ და თუ ელისაშვილი ჩათვლის, რომ მათ უნდა უპასუხოს, მზად ვარ, ნებისმიერ დროს ჩავწერო მასთან ინტერვიუ. პროკურატურა აცხადებს, რომ ელისაშვილი ოთხჯერ დაკითხეს, მაგრამ მან არც ერთხელ არ დაასახელა იმ მაღალი თანამდებობის პირის ვინაობა, ვინც თავდაპირველად განუცხადა, რომ კობახიძესა და ბესელიას „კოკაინის საქმეზე“ 200 000 აქვთ აღებული და თუ ამ საქმეზე მსჯავრდადებულებს ციხიდან გამოიყვანდნენ, 7 ამდენს კიდევ მიიღებდნენო. თუ ალეკო ელისაშვილს საქმის გახსნა სურდა, რატომ არ დაასახელა ეს მაღალჩინოსანი? იქნებ იმ ინფორმაციის გარდა, რაც მან ელისაშვილს განუცხადა, სხვა მტკიცებულებებსაც ფლობდა, ისეთს, რომ ბესელიასა და კობახიძეს პირდაპირ ციხეში ისტუმრებდა? ასეთ შემთხვევაში, ლოგიკურად, მხოლოდ 2 ვერსია დაგვებადება. ან მოწმე საერთოდ არ არსებობს, ან მან არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ელისაშვილს და იმიტომ არ გამოაჩინა ეს მაღალი თანამდებობის პირი ელისაშვილმა, რომლის ნათქვამს მთელი ეს სკანდალი და აურზაური მოჰყვა.

**ელისაშვილი აცხადებდა, რომ მექრთამე ბესელიასა და კობახიძეს თავად მიაცილებდა „მატროსოვის“ ციხემდე**

პროკურატურა აცხადებს, რომ ალეკო ელისაშვილის მობილურ ტელეფონს 3 ექსპერტიზა ჩაუტარა, მაგრამ მასში არ აღმოჩნდა ეკა ბესელიას არც ზარი და არც ერთი სმს-ი. მანანა კობახიძის შემავალი ზარი კი აღმოჩნდა ელისაშვილის მობილურში, მაგრამ ამ დროს ის უკვე აღარ იყო შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, ლოგიკურად, მას ვერც ვინმეს შეწყალებას სთხოვდა კობახიძე, რადგან ამის გაკეთება უკვე აღარ შეეძლო. ამ დროს, ექსპერტიზის შედეგად, ელისაშვილის მობილურში აღმოჩნდა 1600 შეტყობინება და ყველა მშვენივრად იყო შენახული. ახლა ერთი მეტად ლოგიკური კითხვა მინდა დავსვა. ალეკო ელისაშვილს შვიდი თვის განმავლობაში, 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის ივლისამდე ეკავა შეწყალების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა. შესაბამისად, ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძის შეტყობინებები და ზარები ამ პერიოდში უნდა შესულიყო მის ტელეფონში. ისეთმა გამოცდილმა ჟურნალისტმა, როგორიც ალეკო ელისაშვილია, რატომ დაუშვა მიუტევებელი შეცდომა და შეტყობინებების მიღებისთანავე, რატომ არ გადაიტანა ისინი კომპიუტერში ან სხვა მობილურ ტელეფონში? რატომ ჩატოვა იმ ტელეფონში, რომელსაც აღარ ხმარობდა და სადაც, შესაძლოა, ეს შეტყობინებები წაშლილიყო? ამ კითხვას, თავად ელისაშვილის გარდა, ვერავინ გასცემს პასუხს.

პროკურატურის მიერ საქმის შეწყვეტის შემდეგ, ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ ეს მისი ღირსების საქმეა, მას ბოლომდე მიიყვანს და „მატროსოვზე“ არა მხოლოდ მექრთამეებს, ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძეს გაამწესებს, მათ ამ საქმის გამომძიებელს, გიორგი მუჯირსაც მოუსვამს გვერდით. ელისაშვილი დარწმუნებულია, რომ ტელეფონში დეპუტატების მიერ მისთვის სმს-ები გამოგზავნილი იყო და ისინი პროკურატურამ წაშალა. თუმცალა, ამის დამტკიცება ახლა შეუძლებელი იქნება. ელისაშვილის შეცდომა ისიც იყო, რომ, სანამ პროკურატურას მიმართავდა, მას უნდა მიემართა რომელიმე დამოუკიდებელი უცხოური საექსპერტო ბიუროსთვის, რომელიც დადებდა დასკვნას, რომ მის მობილურში სმს-ები და სატელეფონო ზარები ნამდვილად ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძის სატელეფონო ნომრებიდან იყო შესული. ამის შემდეგ კი თავი ქუდში ექნებოდა. პროკურატურა ვერც ველარაფერს წაშლიდა მისი მობილურიდან, როგორც თავად აცხადებს და სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს, სხვა რა გზა ექნებოდა, უცხოური ექსპერტიზის ანალოგიურ დასკვნას დადებდა. რატომ არ მიაკითხა უცხოელ ექსპერტებს, ამის პასუხიც მხოლოდ ელისაშვილმა იცის.

ახლა ბოლოსკენ წავიდეთ. ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძეს დანაშაული არ დაუმტკიცდათ, ამ ეტაპზე კობახიძე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა, ეკა ბესელია არ ჩერდება და აცხადებს, რომ მას ცილი დასწამეს, შეთითხნილი ვითომდანაშაული ვერ დაუმტკიცეს და ამას არავის აპატიებს. შესაბამისად, ალეკო ელისაშვილმა ცრუ დასმენისთვის და ცრუ ჩვენების მიცემისთვის უნდა აგოს პასუხიო. მოკლედ, საქმე შემობრუნდა და თუ ადრე ციხე ბესელიასა და კობახიძეს ემუქრებოდათ, ახლა ელისაშვილია შარში და არ არის გამორიცხული, თუ ბესელიამ და კობახიძემ მიმართეს პროკურატურას, მის წინააღმდეგ ან ამ ორივე მუხლით აღიძრას საქმე, ან ერთ-ერთით მაინც. თუმცა, შესაძლოა, ეს

**შენიშვნა**

პროკურატურამ ბესელია-კობახიძის მიმართვის გარეშეც გააკეთოს, რადგან ამის ვალდებულება კანონით აქვს.

ცრუ დასმენა სსკ კოდექსის 373-ე მუხლია და 2-დან 4 წლამდე ციხეს ითვალისწინებს. ცრუ ჩვენების მიცემა კი სსკ კოდექსის 370-ე მუხლია და 3-დან 5 წლამდე ციხეს ითვალისწინებს, ხოლო, თუ დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ და განსაკუთრებით მძიმე ბრალდება ახლდა, ანუ ცრუ ჩვენება განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულს ეხებოდა, მაშინ 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**და მაინც, რა უნდა ქნას ელისაშვილმა, როგორ უნდა დაამტკიცოს სიმართლე? თუ დავიჯეროთ, რომ ბესელია-კობახიძე ანგელოზები არიან და ელისაშვილი ქოსატყუილა ტარტაროზი. საზოგადოების დიდ ნაწილს ამის არ სჯერა და სწორედ ამიტომაც ელისაშვილს დიდი მხარდაჭერაც ჰქონდა და ბევრი გულშემატკივრობდა. ფაქტია, რომ პროკურატურამ არ ან ვერ ნახა მტკიცებულებები. ახლა მხოლოდ ერთი გამოსავალია — იმ „მაღალჩინოსანმა“ უნდა ამოიღოს ხმა. სამწუხაროდ, მხოლოდ მის კეთილსინდისიერებაზეა ახლა დამოკიდებული, გავიგებთ თუ არა ოდესმე სიმართლეს და შეხვდება თუ არა ელისაშვილი არჩევნებს ციხეში?**

**საზოგადოების დიდმა ნაწილმა ირწმუნა, რომ სუფთა ბეგრაუნდის მქონე ელისაშვილი არ იტყუებოდა, კობახიძესა და ბესელიას ქრთამის აღება დაუმტკიცდებოდათ და დღე-დღეზე დაერხეოდათ**

---

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



სტუდენტების ერთკვირიანი მწვავე და უწყვეტი პროტესტი ამ ეტაპზე შედეგიანად დასრულდა, აუდიტორია №115-ელებმა, რამდენიმედღიანი მოლაპარაკების შემდეგ, განათლების სამინისტროსგან და პრემიერისგან მიიღეს პირობა, რომ მათი მოთხოვნები შესრულდება და განათლების სისტემისა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებები შევა. ამის შემდეგ, სტუდენტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაეტოვებინათ პეტრე მელიქიშვილის სახელობის თვითნებურად დაკავებული აუდიტორია... 16 დეკემბერს, ღამის თერთმეტ საათზე, მას შემდეგ, რაც სტუდენტებმა 115-ე აუდიტორია დატოვეს, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კიბეზე გამოცხადდა მანიფესტი, რომლის მიხედვითაც, შეიქმნა ახალი სტუდენტური მოძრაობა, „აუდიტორია №115“. მანიფესტის ტექსტი ასეთია:

# რა მოხდება 16 აპრილს, თუ სტუდენტებს მოთხოვნებს არ შეუსრულებენ?



**„მანიფესტი №115**

**დღეს, 16 მარტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და ლექტორები, ასევე, პროტესტის სხვა წევრები, რომლებიც 6 დღის განმავლობაში სრულ მხარდაჭერას გვიცხადებდნენ, ვაარსებთ მოძრაობას „აუდიტორია №115“, რომელიც განათლების სისტემის რეფორმის ფუნდამენტური ნაწილი გახდება.**

**„აუდიტორია №115“ შექმნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფორმირების საბჭოს, რომელშიც ფართოდ იქნებიან წარმოდგენილნი სტუდენტები და ლექტორები „აუდიტორია №115“-დან. სტუდენტების მოთხოვნა უნივერსიტეტის ავტონომიურობის შესახებ გულისხმობს, მართვის სისტემის დემოკრატიზაციას, თითოეული სტუდენტისა და პროფესორის მაქსიმალური მონაწილეობით.**

**ძირეული ცვლილებების გატარება შეუძლებელია კლანების მიერ მართულ უნივერსიტეტში.**

**ამიტომ ამ დროისთვის ჩვენი მთავარი, რადიკალური მოთხოვნაა: არა ცალკეული თანამდებობის პირების გადაყენება, არამედ მთლიანად აკადემიური საბჭოს დაშლა, მისი სტრუქტურისა და არჩევის წესის რეორგანიზება, როგორც ფუნდამენტური და პროგრესული ცვლილებების უპირველესი წინაპირობა.**

**ჩვენი დანარჩენი მოთხოვნები ძალაში რჩება: მოხდეს თვითმმართველობის სასწრაფო რეორგანიზაცია, განათლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანის გზით; საკანონმდებლო ცვლილებები, აკადემიური საბჭოს გარდა, უნდა შეეხოს რექტორისა და სენატის ინსტიტუტებს.**

**ამასთანავე, ჩვენ ვითხოვთ საგანმანათლებლო სივრცის სრულ განთავისუფლებას ე.წ. „ოდეერებისგან“.**

**„აუდიტორია №115“ მიზნად ისახავს გრძელვადიან თანამონაწილეობას განათლების სისტემის რეფორმის პროცესში. ამ მიზნით, უახლოეს დროში, შემუშავებული იქნება დეტალური ხელშეკრულება — კონსენსუსზე დაფუძნებული შეთანხმება მთავრობასა და ახალგაზრდებს შორის. ეს ხელშეკრულება არ უნდა ეფუძნებოდეს პარტიულ კონიუნქტურას და არ უნდა ექვემდებარებოდეს გადახედვას.**

**ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, უნივერსიტეტის რექტორი და წარმომადგენელი პირი მოძრაობიდან „აუდიტორია №115“. №115 აუდიტორიაში მუშაობას დროებით ვწყვეტთ სასწავლო პროცესის აღდგენის მიზნით და ამასთანავე, მოვუწოდებთ კონტრდემონსტრაციის მონაწილეებს, პატივი სცენ საგანმანათლებლო პროცესს. 19 მარტს, 18:00 საათზე, ვბრუნდებით აუდიტორია №115-ში. თუ 16 აპრილამდე ვერ მოხერხდება ნახსენები ხელშეკრულების გაფორმება, ვიტოვებთ საერთო სტუდენტური გაფიცვის ორგანიზების უფლებას.**

**ყველა სტუდენტი და პროფესორი თანასწორია!“**

---

## „რისი ღირსია ახლა ეს „კუკარაჩა“ — ინგა გრიგოლია ქეთი დოლიძეს უპირისპირდება



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია რეჟისორ ქეთი დოლიძეს უპირისპირდება და სოციალურ ქსელში საკუთარ და მის სტატუსს აქვეყნებს, რომელიც ფარული კადრებით შანტაჟის თემას უკავშირდება.

– რისი ღირსია ეხლა ეს „კუკარაჩა“. აი, ამან უნდა თქვას, ქალი ვარ და ლეჩაქი მხურავსო... ჯერ თითო სოფელს რომ ხუთი მილიონი მისცეს, ის



დაითვალოს... მერე – მერიიდან და კულტურის სამინისტროდან სულ ახლახან მიღებული თანხები თავისი გაუგებარი ფესტივალისთვის და მერე ითვალოს სხვისი ხელფასი... ჩვენ ამხელა მორალურ ტერორზე ვსაუბრობთ, ვუპირისპირდებით და ეს ქალი-კუკარაჩა რეებს წერს, უნდა ნახოს ყველამ... აი, ესაა „გაპრავების“ პიკი და საზოგადოების იმ ერთიანობასთან ღია დაპირისპირება, რასაც ბოლო დღეებშია, ყველა ერთად ვუპირისპირდებით... მაშ ასე, გაიცანით – კენი დოლიძე ფარული კადრებით შანტაჟზე დაკოპირებული ჩამიგდეს მისი სტატუსი, რომელიც მე მეძლვნება, – წერს ინგა გრიგოლია და ქეთი დოლიძის სტატუსს აქვეყნებს:

– ყველაზე ამაზრზენია ეს გაუთავებელი კომენტარები და გარჩევები. ამ ამაზრზენი კომპანიის მსხვერპლს სწორედ ისინი არ უფრთხილდებიან და იყენებენ თავისი პოპულისტური ხავილისთვის. იმის მაგივრად, რომ ენა ჩაიგდონ და აღარ არჩიონ ეს ფაქტი საჯაროდ! ამაზე არ გიფიქრიათ? და ის დავიჯერო, რომ თვითონ რომ მაღალზე მაღალი ხელფასი გაქვს, შენ გეცოდება სირია და თურქეთის ტერაქტის მსხვერპლნი? გაათავეთ ეს საზიზღარი პოპულიზმი! გინდათ, გამოიკვლიოთ? ამას ამდენი წივილი რად ჭირდება ღია ეთერში!!!! მიდით და გამოიკვლიეთ! ბაზრობაზე მდგარი და კრედიტის გადამხდელები გიგლეჯენ გულს? გაუყავით თქვენი ხელფასი და მორჩით ამ წივილ-კივილს... არავის თქვენი კივილის არ ეშინია!!!! მორჩა! – ეს სტატუსი კი რეჟისორ ქეთი დოლიძეს ეკუთვნის, რომელსაც ინგა გრიგოლია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე პასუხობს:

– პ.ს. ერთი რამ ვერ გავიგე მე, არავის თქვენი კივილის არ ეშინიაო, რომ წერს, რატომ მიილო საკუთარ თავზე ჩემი მუქარა და აღშფოთება კადრების გამავრცელებლებზე??? (ნიუპოსტი)

## „სამღვდელო პირს რეანიმაციაში ხელიდან წყალი დაექცა, რის გამოც მართებულად შესრულა დამაბოლოებელი წყლის დასხმა მოსანათლზე



შემოქმედის ეპარქია მღვდელ-მონაზონ მოსე ახრახაძის ვიდეო-მიმართვას ეხმაურება. შეგახსენებთ, მღვდელ-მონაზონმა აღიარა, რომ ის სხვა მღვდლებთან ერთად ბავშვებს თბილისსა თუ რეგიონებში მშობლების ნებართვის გარეშე, დარღვევით ნათლავდა:

– უკანასკნელ დღეებში ინტერნეტსივრცეში გავრცელდა მღვდელ-მონაზონ მოსე ახრახაძის მიმართვა საზოგადოებისადმი. მღვდელ-მონაზონი მოსე მიმართვაში აცხადებს, რომ იგი, რამდენიმე სხვა სამღვდელო პირთან ერთად, რეანიმაციულ განყოფილებებში მყოფ ბავშვებს უტარებდა არასწორ ნათლობებს. ამ საკითხის გასარკვევად მღვდელ-მონაზონმა მიმართა რამდენიმე სასულიერო და საერო პირს, მათთან საუბრები უნებართვოდ გადაიღო ფარული კამერით და განათავსა სოციალურ ქსელში.

საქართველოს საპატრიარქოში შეიკრიბა სპეციალური კომისია, სადაც მიწვეულ იქნა თვით მღვდელ-მონაზონი მოსეც, თუმცა იგი, მიუხედავად მრავალგზის მოწოდებისა, კომისიის შეკრებაზე არ გამოცხადდა. აღნიშნულმა კომისიამ შეისწავლა წარმოქმნილი პრობლემა და გაარკვია, რომ მღვდელ-მონაზონ მოსეს მიერ ნახსენები სამღვდელო პირი, რომელიც თითქოსდა ოთხჯერადი შთაფვლა-დასხმით ნათლავდა ბავშვებს საავადმყოფოში, სინამდვილეში ასრულებდა არა ოთხჯერად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამჯერად დასხმას, ხოლო ე.წ. მეოთხე დასხმა, სინამდვილეში იყო მესამე, ნამოქმედები იმ რამდენიმე კერძო შემთხვევაში, როდესაც ხსენებულ სამღვდელო პირს, ნათლობისთვის უჩვეულო პირობებში (რეანიმაციაში) არსებული სირთულიდან გამომდინარე, ხელიდან წყალი დაექცა და ვერ დაასხა იგი მოსანათლ ბავშვს, რის გამოც სავსებით მართებულად შეასრულა დამაბოლოებელი (მესამე) წყლის დასხმა მოსანათლზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა მხოლოდ ორგზის დასხმას, რაც ნათლობად ვერ ჩაითვლებოდა (ეს ყოველივე სავსებით ცხადია თუნდაც იმ ფარული ვიდეოდან, რაც მღვდელ-მონაზონმა მოსემ გაავრცელა ხსენებულ სამღვდელო პირთან დაკავშირებით).

დაბოლოს, რაც შეეხება საკუთრივ მღვდელ-მონაზონ მოსეს მიერ ოთხჯერადი დასხმით (როგორც თვითონ ამბობს) მონათლულ ბავშვებს, მათთან დაკავშირებით კომისიამ განაცხადა: ყველას, ვისაც კი მოეპოვება რაიმე ინფორმაცია ამ სახით „მონათლულ" რომელიმე ბავშვზე (პირველ რიგში, ცხადია, თვით მღვდელ-მონაზონ მოსეს), აქვს აუცილებელი სულიერი ვალდებულება ღვთის წინაშე, რომ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ მიმართოს საქართველოს საპატრიარქოს, – წერია განცხადებაში. (news.ge)

ლაურა აბრამია
591 97-67-09



17 მარტს ზუგდიდში საპროტესტო აქცია – „არა მონოპოლიას" გაიმართა. ავტობუსის მძღოლები იმ ადგილას შეიკრიბნენ, საიდანაც სატრანსპორტო კომპანია „მეტრო ჯორჯიას" სწორედ ამ დღეს ზუგდიდი-თბილისის მიმართულებით პირველი რეისი უნდა შეესრულებინა. შეკრებილები ამ უცხოური კომპანიის ზუგდიდში შემოსვლას აპროტესტებდნენ. აქციის მონაწილეები ირწმუნებიან, ეს ამბავი დაახლოებით ორი თვის წინ დაიწყო და ამ პრობლემის წინაშე მარტონი აღმოვჩნდით, კაციშვილს ჩვენი ბედი არ აინტერესებსო. რას აპროტესტებენ მძღოლები და რისი ეშინიათ? – მათი თქმით, ამ კომპანიის ამუშავების შემთხვევაში, კონკურენციას ვერ გაუძლებენ და 200-ზე მეტი მძღოლი უმუშევრად დარჩება, არადა ჩვენი ოჯახების შემოსავალი ეს არის და შიმშილისთვის გვიმეტებენო. აქციაზე მძღოლი ბესო თაქთაქიშვილი გზაზეც გაწვა პროტესტის ნიშნად, პოლიციის მოთხოვნას, ამდგარიყო, არ დაემორჩილა და დააკავეს. მოგვიანებით, როგორც „ალიას" შსს-ში განუმარტეს, ბესო თაქთაქიშვილი სამართალდამცველებმა ადმინისტრაციული წესით, 173-ე მუხლით დააკავეს, რაც პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს(!).

**„ალია" კომენტარისთვის დაუკავშირდა აქციის მხარდამჭერ, არასამთავრობო ორგანიზაცია „გაერთიანებული საზოგადოების" ხელმძღვანელს ანი დარსალიას...**

**— მძღოლები ითხოვენ ხელისუფლების დახმარებას და ამ უცხო კომპანიის ბაზარზე არშემოშვებას... რაში ეხმარებით მძღოლებს, როგორ უნდა შეუშალოს ხელისუფლებამ ხელი უცხო კომპანიის შემოსვლას?**

— ჩვენ ამ მძღოლებმა დახმარებისთვის დაახლოებით ორი თვის წინ მოგვმართეს... რაც შეეხება თურქულ კომპანია „მეტროს", მათ, ჩვენი ინფორმაციით, უკვე გააკოტრეს ბათუმი-თბილისის ხაზი. მათი ტაქტიკა ასეთია, ანუ ბათუმის შემთხვევაში მათ თითქმის გაანახევრეს მგზავრობის ფასი და 10 ლარამდე დაწიეს, როცა კლიენტი მიიზიდეს და სხვა რეისებს მგზავრი წაართვეს, შემდეგ ისევ აწიეს ფასი და 30 ლარი გახადეს... ამ თურქულმა კომპანიამ საერთოდ გააპარტახა თბილისი-ბათუმის ხაზი და სრული მონოპოლია მოიპოვა. ახლა ზუსტად იგივე ემართება თბილისი-ზუგდიდის ხაზს, ზუგდიდის სადგურიდან ბოლო ხანებში ისედაც ნახევრად ცარიელი ავტობუსები ახორციელებენ რეისებს, ისინი საწვავის საფასურსაც ვერ ინაზღაურებენ, ახლა შემოდის ამ ბაზარზე კომპანია „მეტრო".

**— და რა კავშირი აქვს ამასთან ზუგდიდის მერიას?**

– ეს კომპანია 2010 წელსაა საქართველოში შემოსული, წინა ხელისუფლების დიდი პატრონაჟით. როგორც ჩანს, ახლანდელებიც „კრიშავენ", ასე ვთქვათ. მათ ზუგდიდში გახსნეს სადგური, რომელიც ვერანაირ პირობებს ვერ აკმაყოფილებს. არც ანტიმონოპოლიური სამსახური გვყავს რეალურად, არც მარეგულირებელი საბჭო და სახელმწიფოც ვერ არეგულირებს მსგავს სიტუაციას. ქალაქ ზუგდიდის მძღოლებმა ჩვენ მოგვმართეს მხარდაჭერისთვის, მათ ჩვენთან ერთად უნდოდათ, ჩვეულებრივ, ცივილიზებულად მოგვარებულიყო ეს პრობლემა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ძალიან დაიძაბა სიტუაცია. თქვენ ნახეთ, რა ხდებოდა 17 მარტს ზუგდიდში,

**მინდა დაგიკონკრეტოთ, რომ კომპანია „მეტროს" გამო ბათუმი-თბილისის ხაზზე 125 ოჯახი დარჩა მშიერი, ზუგდიდში კი 350 ოჯახს ემუქრება ლუკმაპურის გარეშე დარჩენა.**

**— ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში რა უნდა მოიმოქმედოს?**

– არანაირ პრივილეგიებს არ ანიჭებს სახელმწიფო ქართველ ინდმეწარმეებს და ეს მათ ძალიან ცუდად მოუბრუნდებათ, ყველას გვახსოვს, „ქართული ოცნების" პირველი დაპირება სწორედ სამუშაო ადგილების შექმნა იყო, ისინი ჰპირდებოდნენ ქართველ ამომრჩევლებს, რომ სწორედ ქართულ ბიზნესს შეეწყობოდა ხელი და რა მივიღეთ?

**— და ამ წინასაარჩევნოდ ისედაც გამწარებული ხალხის უარესად განაწყენება რაში უნდა აწყობდეთ?**

– სავარაუდოდ, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ძალიან ბევრ თანხას ურიცხავენ ეს უცხო კომპანიები მათ ბიუჯეტში და მერე ეს თანხები დანამატების სახით სახლებში მიაქვთ.

### პროლოგი

**— როგორც გავიგეთ, სალამოს მძღოლებთან მოსალაპარაკებლად ქალაქ ფოთის მერის ძმა იყო მისული, ის რა შუაშია?**

– როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, კომპანია „მეტროს" მიმართ ფოთის მერსა და მის ძმას ბიზნესინტერესიც აქვთ...

**— რას აპირებენ ეს მძღოლები და თქვენ, მათი მხარდამჭერები?**

– ჩვენ, „გაერთიანებულმა საზოგადოებამ", წამოვიწყეთ კამპანია სახელწოდებით „არა მონოპოლიას" საქართველოში და ვნახოთ, რა მასშტაბებს შეიძენს ეს ბრძოლა, უახლოეს დღეებში მორიგი აქციაა დაგეგმილი.

**— რადგან კონკურენციაზე ვსაუბრობთ, ისიც თქვით, როგორ არის ამ მხრივ საქმე? როგორც ამბობენ, ქართველი მძღოლები „მეტროს" მომსახურებით ვერ უწევენ კონკურენციას და მგზავრიც იმიტომ არ ჰყავთ... თან თურქების ავტობუსებით მგზავრობა იაფია.**

– დავიწყებ იმით, რომ „მეტროს" ავტობუსები უფრო გაუმართავი და ძველია, ვიდრე ჩვენი მძღოლებისა. კომპანია „მეტროს" ავტობუსები ადრე რომ მიშამ ყვითელი ავტობუსები ჩამოიყვანა, იმ ტიპის და სიძველისაა, უბრალოდ, თეთრადაა შეღებილი, მე ვნახე და დავათვალიერე ჩვენების ტრანსპორტი. მათი უმეტესი ნაწილი უახლესია მთელი აღჭურვილობით, ამ ადამიანებმა სახლები ჩადეს, იპოთეკით დატვირთეს და ა.შ. და ისე ჩამოიყვანეს კრედიტე-

# მძღოლები ახალი საპროტესტო აქციისთვის

# „შვილებს ვფიცავარ, ისე ვარ არა, ჩემს ფეხებს მივცემ ამათ,

**„მეტროს" მეპატრონე თაღლითი და მილიონერია, როგორც გაგებული მაქვს, ის ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს კიდეც საზღვარზე, თურმე თურქეთში არის ძებნაში, კრიმინალია ვიღაც"**






**„აი, რას გეტყვით, მისწრაფება რომ გვაქვს, რომ ვიყოთ ევროპული, განვითარებული ქვეყანა, მაშინ უნდა ვეცადოთ, იმ ქვეყნებისგან გადმოვიღოთ მეთოდები. როცა ქვეყანაში შედის უცხო ქვეყნის კომპანია, მას ავალდებულებენ, რომ იმაზე უფრო ძვირი დააფასოს თავისი პროდუქცია, ვიდრე იმ ქვეყანაში ადგილობრივია, ჩვენს შემთხვევაში, ანუ ფასი უნდა იყოს 50 პროცენტზე მეტი, ჩვენთან ეს კანონი არ არის, აი, ასეთი კანონია მისაღები სასწრაფოდ და აი, მაშინ იქნება ჯანსაღი კონკურენცია"**

ბით ეს ტრანსპორტი და თქვენ წარმოგიდგენიათ, რა სიტუაციაში აღმოჩნდებიან? რაც შეეხება მგზავრებს, მოდით, ასე ვიტყვი,

**ხუთი ლარის განსხვავების გამო, იქნებ ისევ საკუთარ ხალხს ვცეთ პატივი? რეალურად მონოპოლია ისე მტკივნეულად მოქმედებს ყოველ ქართულ ოჯახზე, ჩვენი ხელისუფლება ამდენს ვერ საზღვრავს და სწორედ ამიტომ მათი დღეები დათვლილია.**

ბულია, სახლი ჩადო ამ ავტობუსის საყიდლადო.

**ბეჟან შერგელაშვილი:**

– ეს დაზარალებული მძღოლები აქციაზე ისევ პოლიციამ დააკავა, ესაა სამართალი? კაცი ცუდად გახდა, ჯერ საავადმყოფოში წაიყვანეს და მერე დააკავეს და 500 ლარით დააჯარიმეს! რას შვრებიან საერთოდ ესენი?! ამაზე ცალკე გვინდა საქმის აღძვრა ჩვენ.

**— საუბარი იმაზეცაა, რომ იყოს ჯანსაღი კონკურენცია და ილზე ტრიალებდეს?**

მაგრამ, ალბათ, ამ ხელისუფლებასაც ამდიდრებს ეს მომენტი. რაც შეეხება კონკურენციას, ოთხი ავტოსადგური არის მარტო დიდუბეში, არის ორთაჭალაში, ასევე, გლდანში, ასევე, მიკროავტობუსების ავტოსადგურებია სხვადასხვა ადგილებში. ასე რომ, ჩვენ ისედაც ვერ ვუძლებთ ადგილობრივ კონკურენციას იმ თვალსაზრისით, რომ მგზავრთა რაოდენობა არაა ამდენი... ავტობუსები ხშირად ნახევრად

**აღშფოთებულები საუბრობდნენ პრობლემაზე.**

**ზურა, 51 წლის:**

– რა უნდა ვთქვა, თავს შევაკლავ ამ ამბავს, არაფრით არ დავთმობთ, სად წავიდეთ ჩვენ, ისედაც ცუდ დღეში ვართ, ყოფილა შემთხვევა 5 მგზავრით გავსულვარ, იმ იმედით, რომ გზაში იქნებ ამეყვანა ვინმე, შვილები კი არა, შვილიშვილებიც მყავს და ამით ვცხოვრობ მე, მთავრობა რას მიკეთებს? არავინ არ დაგვიდგა გვერდში, „ნაციონა-

### პროცესი

უბედურებას გავუძელით, ყველაფერი გამოვიარეთ, საწვავის გასაჭირი და ვინ იცის, კიდევ რა. მე ოთხი შვილი მყავს, არ დავთმობ, რა დავთმო, სხვა რა ვიცი, რო ვაკეთო და ვკვებო ოჯახი? იმ კვირაში განახლდება აქცია და ბოლომდე იქ დავდგებით, მეტი გზა არ გვაქვს, მთავრობა არა ისა, ამ ქვეყანას და ჩემნაირ გაჭირვებულს პატრონი არ ჰყავს, ესენი მარტო არჩევნების დროს ფიქრობენ

# ემზადებიან და „ოცნების“ მთავრობას ემუქრებიან!

# გამწარებული, რო, ხმას კი ამ მოღალატე მთავრობას!!!“

**„ოთხი შვილი მყავს, არ დავთმობ, რა დავთმო, სხვა რა ვიცი, რო ვაკეთო და ვკვებო ოჯახი?“**





**„ამით ვცხოვრობ მე, მთავრობა რას მიკეთებს? არავინ არ დაგვიდგა გვერდში, „ნაციონალები“ იყვნენ მოსულები და იმათ ჩვენ გვერდით როგორ გავაჭაჭანებდით, მაგრამ არც ახლანდელები არიან მაგათზე უკეთესები, რის გამო უნდა მივცეთ ამათ ხმა? ეს არის, ადგილობრივი ბიზნესი იქნება დაცულიო?“**

ჩვენ, ახალგაზრდები, და ჩვენ უკან ძალიან დიდი გუნდი დგას, არ დავუშვებთ არანაირი სახის მონოპოლიას ჩვენს ქვეყანაში.

ამის შემდეგ თავად გადავწყვიტე აქაური მძღოლების ავტობუსების ნახვა და თბილისის ცენტრალური ვაგზლის ავტოსადგურზე წავედი. 12 თანამედროვე სტანდარტის ავტობუსი დავათვალიერე, საკმაოდ კომფორტულად გამოიყურებოდა, ფოტოებიც გადავიღე. როგორც ამიხსნეს, ესენი ახლად ჩამოყვანილი სპრინტერები და „მერსედესის“ მარკის საუკეთესო ავტობუსებია. ვესაუბრე ზუგდიდელ მძღოლებსაც, რომლებიც 17 მარტის აქციაში მონაწილეობდნენ. მაჩვენეს, ასევე, ამ აქციაზე დაკავებული ბესო თაქთაქიშვილის კუთვნილი ავტობუსი, რომელიც უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში, თვითმკვლელობით იმუქრებოდა... თურმე, ამ ადამიანს ნამდვილად ჰქონია გამწარების მიზეზი, მისი ავტობუსი ყველაზე ახალი და ძვირადღირე-

**მგზავრმა თავად გადაწყვიტოს, ვისთან იმგზავროს, ამაზე რას იტყვით?**

– ჩვენ გასაგებად ავუხსენით ყველას, რომ კონკურენცია შეიძლება იყოს იქ, სადაც არ არის საკმარისზე მეტი კონკურენტი, ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ გადაჭარბებული კონკურენციის რეჟიმში ვართ ისედაც,

**მათ უნდათ, ისე გააკეთონ, როგორც ბათუმის ხაზზე გააკეთეს. სწორედაც არაა ეს ჯანსაღი კონკურენცია. ისინი თავიდანვე არაპარტნიორულად, მუხანათურად მოიქცნენ, ფასები ძალიან დაბლა დაწიეს, ამ გზით ადგილობრივებს მგზავრები წაართვეს, რეისები კარგად რომააწყვეს, შემდეგ ფასი აწიეს, თავი დაიფუძნეს... მისი მეპატრონე თაღლითი და მილიონერია. როგორც გაგებული მაქვს, ის ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს კიდეც საზღვარზე, თურმე თურქეთში არის ძებნაში, კრიმინალია ვილაც. ქვეყნისთვის არის ეს საზიანო, როდესაც უცხოური კომპანია საქართველოს ბაზარზე მოიპოვებს ადგილს, ფულს მოხვეტს და ქვეყნიდან გაიტანს. უკეთესი არაა, ეს ფული ადგ-**

ცარიელები ასრულებენ რეისს და ესენი რომ ბათუმის მსგავსად დაიმკვიდრებენ თავს ბაზარზე და ჩვენ ამოგვაგდებენ ჩვენი რეჟიმიდან, მართლა სად წავიდეთ?

**— რა არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი? ხელისუფლებისგან რას მოითხოვთ?**

– აი, რას გეტყვით, მისწრაფება რომ გვაქვს, რომ ვიყოთ ევროპული, განვითარებული ქვეყანა, მაშინ უნდა ვეცადოთ, იმ ქვეყნებისგან გადმოვიღოთ მეთოდები. როცა ქვეყანაში შედის უცხო ქვეყნის კომპანია, მას ავალდებულებენ, რომ იმაზე უფრო ძვირი დააფასოს თავისი პროდუქცია, ვიდრე იმ ქვეყანაში ადგილობრივია, ჩვენს შემთხვევაში, ანუ ფასი უნდა იყოს 50 პროცენტზე მეტი, ჩვენთან ეს კანონი არ არის, აი, ასეთი კანონია მისაღები სასწრაფოდ და აი, მაშინ იქნება ჯანსაღი კონკურენცია. შემოსული ადგილობრივს რომ არ განდევნის...

**ამ საუბარში სხვა მძღოლები შემოგვეხვივნენ გარს, ისინი**

ლები“ იყვნენ მოსულები და იმათ ჩვენ გვერდით როგორ გავაჭაჭანებდით, მაგრამ არც ახლანდელები არიან მაგათზე უკეთესები, რის გამო უნდა მივცეთ ამათ ხმა? ეს არის, ადგილობრივი ბიზნესი იქნება დაცულიო?

**ფოთის მერის ძმას რა უნდოდა, იცით? მაგათ აჭმევენ ის თურქები, თურქეთში ვინ გაგაჭაჭანებს, აბა, სცადოს ვინმემ, თავს წაგაჭრიან და ჩვენ რატომ უნდა დავუთმოთ მათ ჩვენი ლუკმაპური?! თქვენ თქვით, მგზავრები უკმაყოფილოები არიანო, ამობრძანდით და გაჩვენებთ ჩვენი „კულტურული“ მგზავრები რას უშვრებიან სკამებს, სადაც სხედან, „ჟუვაჩკას“ რომ ზედ აწებებენ და რასაც ჭამენ და სვამენ, ზედ რომ არის სკამებზე მისხმული...**

**ზაური, 49 წლის:**

– 20 წელია, ამ საქმეზე ვმუშაობ მეც და არიან ისეთები, ჩემზე მეტი სტაჟი რომ აქვთ, „მხედრიონობას“ და ჩვენს ხმებზე, თავიანთთვის ოღონდ. ასე რომ, შვილებს ვფიცავარ, ისე ვარ გამწარებული, რო, ხმას კი არა, ჩემს ფეხებს მივცემ ამათ, ამ მოღალატე მთავრობას!

**ბოლოს მგზავრსაც გავესაუბრეთ. აი, რას ამბობს ზუგდიდელი ქალბატონი:**

**— იქნებ ჩვენთვის, მგზავრებისთვისაც, ეკითხათ აზრი? ჩვენ თვითონ ავირჩევთ, რით ვიმგზავროთ, ხშირად მიწევს მგზავრობა, იქნებ მეტი მინდა გადავიხადო, რომ აუტანელ სიცხეში კონდიცირება იყოს ტრანსპორტში ელემენტარულად და ზამთარში სითბო? უფრო მეტი კომფორტი და მომსახურების დონე უფრო კარგია... და არა ძალიან ხშირად უსუფთაო ტრანსპორტით რამდენიმესაათიანი მგზავრობა, მაპატიეთ და, ფეხის და სიგარეტის სუნგამჯდარი სალონი....**

**ვნახოთ, რა მოხდება ამ კვირაში....**

## „ბაბაიას დაძახების“ შედეგი — თორნიკე შარაშენიძე კარასინის განცხადებას გამოეხმაურა



– გრიგორი კარასინის განცხადება „ბაბაიას დაძახების“ შედეგია – ამის შესახებ ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე აცხადებს.

მისი თქმით, კრემლი ხედავს რომ საქართველოში პრობლემებია, ამიტომაც კეთდება მათი მხრიდან მუქარის შემცველი განცხადებები.

– რუსეთს რაც მეტს გააბედვინებ, მერე უფრო მეტი მოუნდება. რუსეთში ხედავენ, რომ სუსტები ვართ. ისინი პირდაპირ გეუბნებიან არჩევნების წინ, არ გაბედოთ და ანტირუსული წმენდა არ განახორციელოთო – ეს იყო კარასინის მთავარი მესიჯი. თან იმუქრება, რომ პარლამენტში თუ არ მოვლენ პრორუსული ძალები, ამას არ მოვითმენთო. ნუ გვაიძულებთ, რომ ჯარები შემოვიყვანოთო. ამას ნიშნავს, როდესაც ვამბობ, რომ რაც მეტს გააბედვინებ რუსეთს, მეტი მოუნდება. ეს არის რუსეთის პრინციპი.

სპეცსამსახურებმა ბრძოლა უნდა გამოუცხადონ რუსული პოლიტიკის გატარებას. მათ შორის უნდა მიხედონ ჯაშუშებს, გავლენის აგენტებს. ხელისუფლება არ უნდა იყოს დაკავებული პოლიტიკური ოპონენტების დევნით. სახელმწიფო უნდა მოძლიერდეს, – ამბობს შარაშენიძე. (ნიუპოსტი)

## „კარასინმა სახიფათო განცხადება გააკეთა, რუსეთთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს“ — ელენე ხოშტარია

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ხელმძღვანელი ელენე ხოშტარია გრიგორი კარასინის მიერ საქართველოს მიმართულებით გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება და ამბობს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადება საშიშია.

– რუსეთთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს. ოკუპანტ ქვეყანასთან ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობამ არაფერი მოგვცა. იმედია, საქართველოს ხელისუფლება მიხვდება ამას. კარასინის მხრიდან გაკეთდა ძალიან სახიფათო განცხადება, როცა საქართველოში მოახლოებულ არჩევნებზე გაამახვილა ყურადღება. ეს იყო ერთგვარი მინიშნება პრორუსული ძალებისთვის. მთავარია, ამ განცხადებაზე მოვბილიზდეთ და ვიმსჯელოთ მასზე ჩვენს საერთაშორისო მეგობრებთან ერთად. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ხელი არ შევუწყოთ რუსეთის გეგმას ქვეყნის შიგნით მიმდინარე ქაოსური სიტუაციით – ფარული კადრების გამოქვეყნებას და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს ვგულისხმობ, – აცხადებს ელენე ხოშტარია. (ნიუპოსტი)

## მიხეილ სააკაშვილი: პოროშენკოს პარტიაში შესვლაზე უარი ვთქვი



ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი გერმანულ გამოცემა **Die Zeit**-თან ინტერვიუში უკრაინის პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს შესახებ საუბრობს. მისი თქმით, მან პოროშენკოს პარტიაში შესვლაზე უარი თქვა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, „რატომ აკრიტიკებთ პრემიერ-მინისტრს ასე, ხოლო პრეზიდენტის შესახებ ასეთ კრიტიკას თქვენგან ვერ მოისმენ“, სააკაშვილი პასუხობს:

– ეს ასე არაა. მე სახალხოდ გამიკრიტიკებია როგორც იაცენიუკი, ასევე, პოროშენკო. უბრალოდ, ასე აშკარად პოროშენკოს თავს არასდროს დავსხმივარ.

მე უკვე დიდი ხანია, მოვითხოვ, რომ პოროშენკომ გენერალური პროკურორი ვიქტორ შოკინი თანამდებობიდან გადააყენოს. გარდა ამისა, არიან დეპუტატები, რომლებიც პრეზიდენტის გუნდს ეკუთვნიან, თუმცა პარლამენტში არ უნდა იყვნენ, რადგან ძველ გვარდიას მიეკუთვნებიან. ოდესაში, პოროშენკოს პარტიის წევრები, რეფორმების ეფექტიანად განხორციელებაში მეწინააღმდეგებიან. დაბოლოს, მე უარი ვთქვი პოროშენკოს პარტიის წევრობაზე, – აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი. (ipress.ge)

## „კარასინი გონიერი კაცია... ელოდეთ შიდა შეტევებს თავდაცვის მინისტრისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ“



ჟურნალისტი ირაკლი ტაბლიაშვილი გრიგორი კარასინის ხმაურიან განცხადებებს „ფეისბუკის“ საშუალებით ეხმაურება და წერს:

– კარასინი გონიერი კაცია... და უფრო გონიერი, უფრო ზუსტად, მზაკვარი კაცი უკან ჰყავს – თბილისელი რომ გგონიათ, ის ლავროვი, სწორედ.

ჰოდა, ამ მზაკვართა გათვლა ასეთია – ჩვენ თუ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა გვსურს, მაშინ უნდა შევწყვიტოთ ანტირუსული რიტორიკა...

ეს გზავნილია არა ჩვენი – საზოგადოების მისამართით, არამედ მათთვის, ვინც გადაწყვეტილებას იღებს.

ელოდეთ შიდა შეტევებს თავდაცვის მინისტრისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ დამოუკიდებლად იმისა, მოგწონთ თუ არა (ან აღიარებთ თუ არა) მათ პროდასავლელ ლიდერებად, – წერს ტაბლიაშვილი. (პირველი რადიო)

## რას გულისხმობს კარასინი მოთმინების ფიალის

# „შენ რა გგონია, ბიძინა ივანიშვილი

„დღეს ქართულ პოლიტიკაში არ არის ძალა, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი მაინც ენდობა“



„კარასინმა რომ თამარ ხიდაშელის ნათქვამი გაიგოს, ხომ ჩაექცევა სისხლი?“



„როგორც სკამზე ამოშვერილი ლურსმანი, დღეს რუსეთს ისე უნდა საქართველოსთან კონფრონტაცია. იმიტომ კი არა, რომ გვუყვარგვართ, რუსეთს დღეს უამრავი პრობლემა აქვს და აღარ უნდა ზედმეტი თავის ტკივილი. ხომ შეიძლება, ჩვენ ეს მაინც გამოვიყენოთ?“



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


რა გვილის?

გაცოფდა გრიგორი კარასინი, ეს იმას ნიშნავს, რომ გაცოფდა ვლადიმერ პუტინი. როგორც უკვე იცით, პრაღაში ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრისას კარასინმა თითქმის ულტიმატუმი წამოგვიყენა, ცოტა ჭკვიანად იყავით, თორემ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარიო:

„ახლა მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოება და ანტირუსული პროვოკაციული რიტორიკის აშკარა ზრდაა, რომელიც ისმის თბილისშიც და საერთაშორისო არენაზეც, ისმის საზოგადო მოღვაწეთა მხრიდანაც. ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ ეს ისმის ოფიციალური წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, მინისტრებისა და პრეზიდენტის მხრიდანაც კი. რასაკვირველია, ჩვენ ამას ვაქცევთ ყურადღებას, ვცდილობთ, არ ვუპასუხოთ ყველა ჩხვლეტას, მაგრამ საკუთარ დასკვნებს ვაკეთებთ. ახლა სწორედ იმ წყალგამყოფის წინაშე ვართ, რომელიც უნდა გავიაროთ. ჩვენ ან კონფრონტაციის პერიოდს და იმ სიუჟეტების ძებნას ვუბრუნდებით, რომელიც ისევ წაგვაჩხუბებს ან თანდათან დავალაგებთ ნორმალურ, პატივისცემაზე აგებულ ურთიერთობას და სწორედ ამ კონტექსტში გადავწყვეტთ ორმხრივ ამოცანებს. ყველა პოლიტიკოსს უნდა, გაამკაცროს თავისი პოზიცია და აჩვენოს, რომ ის ყველაზე დიდი პატრიოტია, ხისტი და შეურიგებელი მებრძოლია ე.წ. რუსული ექსპანსიის და საფრთხეების წინააღმდეგ. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ისიც კი თქვა, რომ ცივილიზებული სამყარო უნდა გაერთიანდეს რუსული საფრთხის წინააღმდეგ. მოწესრიგებულ საზოგადოებაში, როგორც წესი, ასეთ განცხადებებს არ პატიობენ. ჩვენ ჯერ თავს ვიკავებთ, მაგრამ ვშიშობ, ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი“.

**პრინციპში, კაცი იძახის, აღარ ვიჩხუბოთ, დავილაპარაკოთ, მისვლა-მოსვლა გვქონდეს, ტერიტორიებს ვერ დაგიბრუნებთ, მაგრამ ბაზარს ბოლომდე გაგიხსნით, სავიზო რეჟიმსაც გაგიუქმებთო. ბარემაც ბევრს უნდა საქართველოში რუსებთან ჩახუტება და დალაპარაკება, მაგრამ შიში ოხერია, „ნაციონალი“ გიორგი კანდელაკი ეგრევე გაგზავნის ვაშინგტონში დეპეშას, არიქა, თბილისის თავზე რუსული დროშა ფრიალებს, საქართველომ ევროპული ორიენტაციიდან გადაუხვიაო. 16 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთი საქართველოსთვის რიგით მეორე ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია, რუსულ მხარეს სურს ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება, მაგრამ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან ბოლო პერიოდში გახშირებული არამეგობრული განცხადებები ეწინააღმდეგება კონსტრუქციული ურთიერთობის გაზრდილ ტენდენციას. რას გულისხმობს კარასინი მოთმინების ფიალის ავსებაში და რა შეიძლება დაგვატეხოს თავს გაავებულმა რუსეთმა? ამაზე „ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**

– ჩვენ ვერ ჩამოვყალიბდით ერთ რამეში – მართლა გვინდა თუ არა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება? ამჯერად ლაპარაკი არ არის დსთ-ში შესვლაზე, ევრაზიულ კავშირში შესვლაზე და ასე შემდეგ, ლაპარაკია ელემენტარულ ნორმალიზაციაზე, რაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა პოლიტიკაში მოსვლისას. ეტყობა, ამ ქვეყანაში არავინ არ იცის, როგორია რუსის ფსიქიკა, ის არ არის ევროპელი და არც თმენის დიდი რესურსი გააჩნია. თან არჩევნები მოდის, უკვე ეტყობა, რომ ანტირუსული რიტორიკით ვიღაცები აპირებენ პარლამენტში შესვლას. კარასინმა ნაჯახისებური დიპლომატიით თქვა: გაგვაგებინეთ, რა ხდება თქვენთან, ხელისუფლება ამბობს, რომ გინდათ სიტუაციის ნორმალიზაცია, ამ დროს თქვენი თავდაცვის მინისტრი ევროპასა და ამერიკას ეხვეწება, მოდით, ერთად შევუტიოთ რუსეთსო. ესე იგი, ჩვენ გვატყუებთ თუ დასავლეთს ატყუებთ? აგვიხსენით, რა ხდება, ჯერ თვითონ გაერკვიეთ, რა გინდათ. მართალია ეს კაცი, გადის წლები და ვერ გავერკვიეთ, რა გვინდა, ვერ დაველაპარაკეთ რუსებს, რომ საბოლოოდ გავიგოთ, რას დათმობენ და რას არ დათმობენ.

**— რას ნიშნავს კარასინის განცხადება: „ჩვენს მოთმინებასაც საზღვარი აქვს“, კი, ბატონო, აქვს, მაგრამ, თუ ჩვენ არ ვიქნებით „ჭკვიანად“, რა ხდება ამის შემდეგ, გვბომბავს, ქართველებს გამოყრიან რუსეთიდან თუ სხვა რამეს მოიფიქრებენ?**

– ომი არ დაიწყება, ეს გამორიცხულია, თუმცა, მინიმუმ მავთულხლართები ჩამოვა გორამდე. ხომ ხედავ, უკვე რა ხდება? იქ სოფლებში ვაშლის ბაღებს ჩეხენ, გზა გაჰყავთ. არადა, ეს გზა არ სჭირდებათ, უბრალოდ, პროვოკაციაზე მოდიან. კარასინი-აბაშიძის ფორმატმა თავისი რესურსი უკვე ამოწურა, ახლა ლაპარაკია ოკუპაციის კანონიდან იმ მუხლის ამოღებაზე, რომელიც ითვალისწინებს ციხეს, თუ აფხაზეთსა და ცხინვალში ვინმე შემოვა ჩვენი ნებართვის გარეშე. ასეთები ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე როგორც კი შემოვლენ, დააპატიმრებენ. აქ ძირითადად პოლიტიკოსებზეა საუბარი, თორემ იქ ვინ შედის და ვინ გადის, ცოტა ძნელი გასარკვევია, თუმცა ამის გაკონტროლებაც შეიძლება. ასეთი კანონები მსოფლიო პრაქტიკაში არსებობდა, კვიპროსში ცოტა ხნის წინ გააუქმეს. პოლიტიკოსებზე, სპორტსმენებსა თუ ჟურნალისტებზე, რომლებიც თურქეთის მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთ კვიპროსში ჩავიდოდნენ, ცხადდებოდა ძებნა. ასევე, იყო თავის დროზე ორად გაყოფილ გერმანიაში, მაგრამ ისიც გაუქმდა, არ გაამართლა. ახლა პაატა ზაქარეიშვილის პოზიცია განხილვას მაინც იმსახურებს. ის ამბობს, რატომ შევინახოთ ვიღაც რუსი ჩვენთან ციხეში, ჯარიმა დავაკისროთ და გავუშვათო, ბიუჯეტი მაინც შეივსება. აი, ამანაც გამოიწვია რუსეთთან მიმართებაში პრობლემები. ჩვენთან, ამ მხრივ, მოქმედებენ სხვადასხვა ძალები, შენ არ გეგონოს, მარტო „ნაციონალები“ მოქმედებენ, რუსეთის გაგონება რომ არ უნდათ. ესენი გაიძახიან, რუსებთან ლაპარაკს აზრი არ აქვს, მაინც მოგვატყუებენო. არიან სხვა ძალებიც, ამას წინათ ტელევიზორში ვუყურე, ვიღაც პატარაია ყოფილა, ორგანიზაცია ჰქონია – „დაბრუნება“, ეს ადამიანი თმას იგლეჯდა, შემეშინდა, ამ საწყალს, სისხლი არ ჩაექცეს-მეთქი. ძარღვები დაეჭიმა, სახე გაუწითლდა... ახლა, როცა მთელი მსოფლიო ჩვენს გვერდით არის და შანსი გვაქვს აფხაზეთის დაბრუნების, ახლა დავიწყოთ რუსეთთან მოლაპარაკებაო? ეს არის სრული ბოდვა!

**— აი, სწორედ ახლა გამოქვეყნდა ამერიკის თავდაცვის მდივნის, ეშტონ კარტერის მიერ მომზადებული დასკვნა, სადაც წერია, რომ რუსეთი აგრძელებს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის სუვერენიტეტის დარღვევას. თურმე საფრთხეს უქმნის ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ამაზე თინა ხიდაშელი ტაშს უკრავს, ნახეთ, მარტო მე კი არა, ამერიკელებიც ასე ფიქრობენო.**

– კი, მაგრამ თინა ხიდაშელმა უნდა იცოდეს, რომ ეს დასკვნა დასკვნად დარჩება, სანქციები სანქციებად დარჩება და სხვათა შორის, ეს მავთულხლართებიც მავთულხლართებად დარჩება. 50 წელია, დიპლომატიას ვსწავლობ, თინა ხიდაშელს იმდენი თმა არ აქვს თავზე, რამდენი წიგნიც მე წამიკითხავს, საერთოდ არ გამიგია, სახელმწიფო პოლიტიკა იგებოდეს უცხო ქვეყნის რომელიმე მინისტრის განცხადებებზე.

**— ბატონო სოსო, ჩვენ საკუთარი სექსუალური ორიენტაციაც კი არ გაგვაჩნია, რა გიკვირთ?**

– გეკითხები, ეშტონ კარტერის განცხადება სიახლეა? ეს ადამიანი რატომ არ წერს, რომ რუსეთის აგრესიას უნდა ვუპასუხოთ ამით და ამითო?

**— არა, იქვე წერს: თუმცა არ**

**„ამ დღეებში გამოქვეყნდა გელაპის ინსტიტუტის კვლევა, ბედნიერ ქვეყნებს შორის ჩვენ ვართ 126-ე ადგილზე. იცი, რუსეთი რომელ ადგილზეა? 54-ე ადგილზე. ჩვენ ეკონომიკას უნდა მივხედოთ და შემოსავლებს, ბედნიერება იზომება ფულადი შემოსავლებით და არა სექსით“**

**გვინდა, რუსეთი ჩვენი მტერი იყოსო. თან რუსეთს კოჭს უგორებენ.**

– აგაშენა ღმერთმა, მეც სწორედ მაგას ვამბობ. ამაზე კამათით და ლაპარაკით უკვე ყბა მომექცა. კი, ამერიკელები ამბობენ, რუსი ჩათლახია, გოთვერანია, ოკუპაცია მოახდინა, მაგრამ რუსეთი მაინც არ არის ჩვენი მტერიო. ამით გასაგებად გეუბნება, შენი გულისთვის ამ ქვეყანას არ ვეომებიო. ეს ვერ შეიგნო ჩვენმა პოლიტელიტამ.

**— ბარაკ ობამამ პირდაპირ არ თქვა, უკრაინის გულისთვის ომს ვერ დავიწყებთო?**

– ობამამ ეს უკვე მილიონჯერ თქვა... რა, ევროპელებმა არ თქვეს? იგივე სტოლტენბერგმა არ თქვა? ნატოს ყველა გენმდივანი ამას არ ამბობდა? რუსეთთან ომი გამორიცხულია! როდესაც კონფრონტაცია იქცევა დიპლომატიური ტაქტიკის მეთოდად, ეს უკვე ტრაგედიაა! ერთი ფაქტი მახსენდება: თავის დროზე ჩინეთი და რუსეთი ერთმანეთს წაეჩხუბნენ, ხრუშჩოვმა მაო ძედუნს პირდაპირ მიახალა, მე კუნძულ ტაივანის დაბრუნებისთვის ამერიკელებთან ბირთვულ ომს არ დავიწყებო. ეს მოხდა 1959 წელს. ახლა ჩვენ რა გვინდა, ვინმე აფხაზეთისა და ოსეთის გამო ბირთვულ ომს დაიწყებს რუსეთთან? ჩვენ ვერ გავცდით სექსუალურ ურთიერთობებზე მსჯელობას. სასაცილოა, გამოდის საგარეჯოში დანიშნული დეპუტატი თამარ ხიდაშელი და იძახის, კარასინი სრულიად თავხედიაო. შვილო, შენ ვინ გკითხავს? ერთი ანეკდოტია: გურული გლეხი ვიღაცას სიგარეტს სთხოვს, გააბოლებს, მერე ადგება, შარვალი ტრაკთან გამოხეული აქვს და იმ ვიღაცას ეკითხება,

– ძამა, ერთი მითხარი, რას შვრება მათხოვარი ამერიკა? ბიჭო, შენ ტრაკი გამოხეული გაქვს და რუსეთზე იძახი, მათხოვარი და თავხედიო? ამ პატარა გოგოს საქმე ისეა: აგიაშვილსა ნიკასო, არ ჰყვარებია პიკასო, ეს რომ გაიგო პიკასომ, რა მოვუხერხო ნიკასო? ახლა კარასინმა რომ თამარ ხიდაშელის ნათქვამი გაიგოს, ხომ ჩაექცევა სისხლი? აი, ეს არის უბედურება, ამ ხალხს წიგნი წაკითხული არ აქვს – გასაგებია, დიპლომატიის აზრზე არავინ არის – ესეც გასაგებია, მაგრამ ელემენტარული აზროვნება ხომ უნდა გქონდეს? საერთოდ, ჩვენთან საგარეო საქმეთა სამინისტრო არსებობს თუ

ლი და გაბედული, ძალიან ფრთხილი და მორიდებულია, არ უყვარს ხმაური და დისკუსიები. რასაც აქ დაავალებენ, ჩავა და ეტყვის კარასინს. რასაც კარასინს ლავროვი დაავალებს, ეუბნება ზურას. ახლა კარასინმა კი არა, პუტინმა გაგვაფრთხილა. ჩვენთან იმდენად დაბალ დონეზეა აზროვნება, იმასაც კი ამბობენ, კარასინის განცხადების შემდეგ ჩვენს პარლამენტში პრორუსული ძალები დიდი უმრავლესობით მოვლენო. ესეც ბოდვაა! მე ვერ ვხედავ დღეს გამოკვეთილ პრორუსულ ძალებს. მე ერთი რამე ვიცი კარგად, არ შეიძლება, 150-მილიონიან ქვეყანასთან ცხოვრობდე ქრონიკულად

დო ბაზას კარგავენ, იდეოლოგიურად კოტრდებიან. ეგენი უკვე ფანატიკოსებად იქცნენ. მე ძალიან მეცოდება ის ხალხი, ვისაც ჰგონია, რომ აფხაზეთი და ოსეთი ამერიკის ან ევროპის დახმარებით დაბრუნდება.

**— „ნაციონალები“ ერთ „გენიოსურ“ იდეასაც ავითარებენ: მოვითმინოთ კიდევ 15-20 წელი და საქართველოში მოვა ის თაობა, რომელსაც საერთოდ არ ეცოდინება, რა არის რუსეთიო. არადა, სწორედ მაშინ გვეტირება ყოფა, როცა საქართველოში აღარ ეცოდინებათ, რა არის რუსეთი.**

– ჯერ ერთი, ეგ არასოდეს მოხდება, აგერ არის რუსეთი ყურისძირში და მეორეც – ეს

### ››› რა გვილოცა?

**ითაც იზომება ბედნიერება. სექსი იქით იყოს და თქვენ როგორ ფიქრობთ, ქვეყნის შიგნით როგორ ლაგდება სიტუაცია? არ გეჩვენებათ, რომ, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, დაიწყო შუას გაკრეფა და ახლა ეს „შუა“ თავად კრეფს საკუთარ თავს?**

– დღეს ქართულ პოლიტიკაში არ არის ძალა, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი მაინც ენდობა. ახლა პარტიების უმრავლესობა იმაზე ფიქრობს, როგორმე პარლამენტში შეყოს თავი. ყველაზე დიდი მიღწევა ზოგისთვის ის იქნება, თუ ფრაქციას შექმნის. ეს უკვე ნიშნავს

# ავსებაში და რა შეიძლება დაგვატეხოს თავს გაავებულმა რუსეთმა?

# რატომ არ იღებს ხმას?“





**„ამაზე კამათით და ლაპარაკით უკვე ყბა მომექცა. კი, ამერიკელები ამბობენ, რუსი ჩათლახია, გოთვერანია, ოკუპაცია მოახდინა, მაგრამ რუსეთი მაინც არ არის ჩვენი მტერიო. ამით გასაგებად გეუბნება, შენი გულისთვის ამ ქვეყანას არ ვეომებიო. ეს ვერ შეიგნო ჩვენმა პოლიტელიტამ“**

ალარ არსებობს?

**— რა ვიცი, არსებობს? რომც არსებობდეს, რაში გვჭირდება?**

– თუ ისეთი მინისტრები გვეყოლებიან, როგორებიც ფანჯიკიძე და ბერუჩაშვილი იყვნენ, მაშინ არ გვჭირდება, შეგვიძლია, შევუერთოთ ან რუსთაველის თეატრს, ან ოპერას, ან კიდევ ცირკს. სადაც სამართალია, კარასინის გამონათქვამებზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა გაეკეთებინა განცხადება. ეს ზურა აბაშიძე კიდევ ჩემი ახლობელია, ვერ გავიგე, თვითონ ვერ ხვდება, რომ უკვე დააჩმორეს? ზურა მართლა პროფესიონალი დიპლომატია და კურიერად აქციეს.

**— ესე იგი, ჩვენი საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში მინდობილი აქვს მხოლოდ ამ ერთ კაცს?**

– არ აქვს მინდობილი, ნეტა ჰქონდეს, რაღაცა პროგრესი იქნებოდა. ახლა თვითონ ზურაც არ არის ბარიკადებზე ამსვლელი და გაბედული, ძალიან

კონფრონტაციის რეჟიმში.

**— თვითონ ზურაბ აბაშიძე ამბობს, თუ ჭკვიანად ვიქნებით, საფრთხე არ გვემუქრებაო.**

– სწორს ამბობს, როგორც სკამზე ამოშვერილი ლურსმანი, დღეს რუსეთს ისე უნდა საქართველოსთან კონფრონტაცია. იმიტომ კი არა, რომ ვუყვარვართ, რუსეთს დღეს უამრავი პრობლემა აქვს და აღარ უნდა ზედმეტი თავის ტკივილი. ხომ შეიძლება, ჩვენ ეს მაინც გამოვიყენოთ? დავადოთ ცოტა დიდი ფასი ჩვენს პოზიციებს. ამის ნიშნები როგორც კი გამოჩნდება ხოლმე, ეს აცოფებთ „ნაციონალებს“, თუ ურთიერთობა დარეგულირდება, სამოქმე-

იქნება უბედურება, მაშინ წამოვა თაობა აფხაზეთშიც, რომელსაც არ ეცოდინება, რა არის საქართველო. ისიც არ ეცოდინებათ, რომ ოდესღაც ერთად ვცხოვრობდით. ჩვენ 30 წელია, ვიცდით, რა მოვიგეთ? კიდევ 20 წელი მოვიცადოთ, რის იმედზე? ამ დღეებში გამოქვეყნდა გელაპის ინსტიტუტის კვლევა, ბედნიერ ქვეყნებს შორის ჩვენ ვართ 126-ე ადგილზე. იცი, რუსეთი რომელ ადგილზეა? 54-ე ადგილზე. ჩვენ ეკონომიკას უნდა მივხედოთ და შემოსავლებს, ბედნიერება იზომება ფულადი შემოსავლებით და არა სექსით.

**— თქვენ სექსს ასე აგდებულად ნუ უყურებთ, ჩვენში მაგ-**

კარგი ცხოვრების გარანტიას. გარდა ამისა, ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ ბევრი რამეა გაურკვეველი... კი, ბატონო, სექსი არ არის პრობლემა, მაგრამ, თუ შენ გაშანტაჟებენ, მაშინ უნდა გაეცალო მაღალ თანამდებობას. არ შეიძლება, პოლიტიკოსი შანტაჟის ობიექტი იყოს და შიშის ქვეშ ცხოვრობდეს, ვიღაც გათახსირებულმა რაღაცა არ გამომიქვეყნოსო. ამათ უნდათ, თან ჩვენნაირად იცხოვრონ, რაც უნდათ, ის აკეთონ და თან მაღალ თანამდებობებსაც ებღაუჭებიან, რათა გამოვიდნენ და ხმამაღლა ილაპარაკონ მორალზე, ოჯახზე, სიწმინდესა და პატიოსნებაზე. დღისით უნდა გვმოძღვრონ, ღამით კიდევ კაზინოებსა და ბორდელებში იგრიალონ. ყველაფერი ერთად უნდათ, ასე არ გამოდის. ამიტომ, არჩევნებამდე ჯერ კიდევ ბევრი რამე გაირკვევა და შეიცვლება, შენ რა გგონია, ბიძინა ივანიშვილი რატომ არ იღებს ხმას?

**— ჩემი ინფორმაციით, მოვლენებს აკვირდება ჭოგრიტით.**

– რაც უფრო დიდხანს დუმს ივანიშვილი, მით მეტ ცვლილებებს უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში.

**„კი, ბატონო, სექსი არ არის პრობლემა, მაგრამ, თუ შენ გაშანტაჟებენ, მაშინ უნდა გაეცალო მაღალ თანამდებობას. არ შეიძლება, პოლიტიკოსი შანტაჟის ობიექტი იყოს და შიშის ქვეშ ცხოვრობდეს, ვიღაც გათახსირებულმა რაღაც არ გამომიქვეყნოსო“**

## ბერძენიშვილი: ფარული ჩანაწერების საქმის გამოძიება შესაძლებელია, რადგან ეს კენედის მკვლელობა არ არის



პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, ინტერნეტში გავრცელებულ პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიებაა ჩასატარებელი, ხალხია საპოვნელი და დასასჯელი.

როგორც ბერძენიშვილი აცხადებს, ამ ქმედებების განხორციელების შემდეგ შესაბამისი კანონის გამკაცრებაზეც შეიძლება საუბარი.

– ახლა კანონის გამკაცრებაზე საუბარი, მგონია, რომ პრობლემისგან გაქცევაა. არსებული კანონები საკმარისია იმისთვის, რომ სათანადოდ დაისაჯოს ის, ვინც ეს გააკეთა. ეს სისტემური დანაშაულია და არ არის ერთი კაცის, ან ხუთი კაცის აკვიატება.

ეს საქართველოს სახელმწიფოს კატასტროფული მდგომარეობაა, როდესაც ვიღაცას ჰგონია, რომ შეგვიძლია, ასე ვიცხოვროთ და ერთმანეთი ტერორში ვამყოფოთ. ამ ყველაფერს ვინ ამზადებდა, ხომ ვიცით? საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, ის ორგანიზაცია სახელებითა და გვარებით ვიცით, რომელიც ამ სიბინძურით იყვნენ დაკავებული. ამ ყველაფერს ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო უნდა მოეღოს. ამის გამოძიება შესაძლებელია, რადგან ეს კენედის მკვლელობა არ არის, – დასძინა ბერძენიშვილმა. (ინფო9)

## ლევან გაჩეჩილაძის ადვოკატის თქმით, ტექნიკის მითვისებას კიკაბიძე და გადაბაძე აპირებენ

„მაესტროს“ გენერალური დირექტორის ადვოკატის განცხადებით, ყოფილი დირექტორის ბაია გადაბაძის განცხადება, რომ გაჩეჩილაძე ტექნიკის ძალისმიერი მეთოდებით მითვისებას გეგმავს, სიმართლეს არ შეესაბამება. ირაკლი კორძახიას თქმით, ტექნიკა ისედაც ლევან გაჩეჩილაძეს ეკუთვნის და ის მხოლოდ სამართლებრივი მეთოდებით ბრძოლას აპირებს.

– ტექნიკა ისედაც „მაესტროს“ საკუთრებაა, ინახება იჯარით აღებულ შენობაში, შესაბამისად, არსად წაღების აუცილებლობა არ არის. რაც შენია, იმას ვერ მიითვისებ. ამ შემთხვევაში, სხვა რაღაც ხდება. კიკაბიძე და გადაბაძე აპირებენ ტექნიკის მითვისებას და ამის გამოყენებით უნდათ მაუწყებლობის განხორციელება, – აცხადებს ირაკლი კორძახია. (pia.ge)

## „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში შესაძლოა, ცვლილებები შევიდეს



ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკის განცხადებით, საუბარია გამონაკლისის შესაძლებლობაზე, რათა რუსეთის დელეგაციას, რომელიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე დასასწრებად საქართველოში ჩამოსვლას აპირებს, პრობლემა არ შეექმნას.

შესაბამისი თხოვნით, გიორგი ვოლსკის თქმით, საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა მიმართეს.

– ჩვენი მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები, დელეგაცია, ისევე როგორც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია და საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი, მოგვმართავს თხოვნით, რომ შევქმნათ პირობები იმისთვის, რათა თბილისში 1-5 ივლისს დაგეგმილ ძალიან ფართომასშტაბიან ფორუმზე რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლას პრობლემა არ შეექმნას. ეს არის საკითხი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ. თუ ამისთვის კანონში შესატანი იქნება დეტალი იმის თაობაზე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თუ არის ნამყოფი ადამიანი და ის ამავე დროს რომელიმე ქვეყნის დელეგაციაში საერთაშორისო ორგანიზაციიდან მოვლენილი, შეიძლება განვიხილოთ მისი დაშვების საკითხი, თუ ეს სახელმწიფოს ინტერესებშია, – განაცხადა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, ანალოგიური პრობლემა საქართველოს 2 წლის წინაც შეექმნა, როდესაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრს, რომელსაც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი ჰქონდა დარღვეული, ქვეყანაში შემოსვლაზე უარი ეთქვა. ამ მიზეზით, ევროპის საბჭომ საქართველოს უმნიშვნელო, თუმცა პოლიტიკურად არასასიამოვნო სანქცია დაუწესა.

– საერთაშორისო ფორუმის რეგლამენტი საქართველოში არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი. თუკი საერთაშორისო ფორუმი და საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოგვმართავს თხოვნით, რომ განვიხილოთ გამონაკლისის დაშვება, საქართველოს უნდა ჰქონდეს მექანიზმი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის ასეთი თხოვნა შეასრულოს. ამ მექანიზმის შემოტანაზეა საუბარი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში“, – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

ამასთანავე, დეპუტატის განმარტებით, ეს ცვლილება 2013 წელსაც იყო ინიცირებული, როცა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი პარლამენტში გაჩერდა.

რაც შეეხება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას, რომ „უკეთესი იქნება, თუ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს საერთოდ გააუქმებენ, ვოლსკის თქმით, ეს არ განიხილება. (ინტერპრესნიუსი)

---

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



## ვინ გვასწავლის ჭკუას?!

2009 წლის 4 დეკემბერი. ქართული ჟურნალისტიკის „გაბრწყინების“ დღე – საქართველოში დაფუძნდა „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“, რომლის მისიაა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით, მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება. ამონარიდი „ქარტიის“ წესდებიდან:

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტია საკუთარი მისიის ფარგლებში იღებს და იხილავს ჟურნალისტების მხრიდან პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტებს ქარტიაში შესული ერთისთვის. „ქარტიის“ დამფინანსებლები არიან „იუსაიდი“ „ირექსი“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. ამჯერად „ქარტიის“ საქმიანობის შესახებ აღარ გავაგრძელებ, ეს უკვე ცალკე თემაა, უბრალოდ, წარმოგიდგენთ ბოლო დღეებში გამოცემულ ე.წ. სახელმძღვანელოს, რომელსაც ჰქვია „ჟურნალისტის ინტერესთა კონფლიქტი“ და რომელშიც ცოტა უცნაური რაღაცები წერია, აღარ ვამბობ, სისულელეებიმეთქი. ცნობისთვის: ამჟამად „ქარტიას“ ჰყავს 274 წევრი და განხილული აქვს 75 საქმე. „ალია“ და მისი არც ერთი ჟურნალისტი არ გახლავთ ამ არასამთავრობოს წევრი და შესაბამისად, არც მისი „დირექტივების“ შესრულება გვევალებელი. თუ ჟურნალისტს აქვს ნათესაური ან სხვა სახის კავშირი საკუთარ წყაროებთან, შესაძლებელია, აუდიტორიას უარყოფითი რეაქცია ჰქონდეს, ვინაიდან ეჭვქვეშ დადგეს ჟურნალისტის მიუკერძოებლობა. როდესაც ოჯახის წევრი ან მასთან სასიყვარულო ურთიერთობაში მყოფი პირი პოლიტიკაში აქტიურად ერთვება, ჟურნალისტმა უნდა შეაფასოს ის უხერხულობა, რაც შეიძლება შეიქმნას ამ თემაზე მუშაობისას და ამის შესახებ აცნობოს ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ მენეჯმენტი იღებს გადაწყვეტილებას – ჩამოაშოროს ჟურნალისტი მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული ამბის გაშუქებას, მთლიანად თემას თუ გადაიყვანოს სხვა პოზიციაზე“.

ესენი ან ციდან ჩამოფრენილი ანგელოზები არიან, ან კიდევ გვატყუებენ. მე უფრო მეორე მგონია: ჯერ ერთი, დედამიწის ზურგზე არ არსებობს მედიასაშუალება, რომელსაც არ ჰყავს მეპატრონე და არ გააჩნია თუნდაც კერძო ინტერესები. შეიძლება ტელევიზია, სააგენტო თუ გაზეთი იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ ვისგან? რა თქმა უნდა, ხელისუფლებისგან, მაგრამ ვერ იქნება გიჟივით თავისუფალი, რადგან მედიასფერო ცოტა განსხვავებული, მაგრამ მაინც ბიზნესია და აქ ასევე ჩადებულია ფინანსური ინტერესებიც. ბუნებრივია, აქ არ ვგულისხმობ შავ ფულსა და ბინძურ ხერხებს. მაგალითად, ჩვენში „საზოგადოებრივი მაუწყებელიც“ კი, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება 20 მილიონი ლარით, მაინც უშვებს ეთერში სარეკლამო რგოლებს და იღებს დამატებით შემოსავლებს. როგორ ფიქრობთ, ეს ტელევიზია დამოუკიდებელია და ამ შემთხვევაში არ აქვს ადგილი ინტერესთა კონფლიქტს? რა, ეჭვი გეპარებათ, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იმ კომპანიებს არასოდეს დაარტყამს, რომლებსაც სარეკლამო თანხები მიაქვთ? არადა, ჩვენ იმიტომ ვაფინანსებთ ჩვენი ჯიბეებიდან ამ ტელევიზიას, რომ დამოუკიდებელი იყოს. იქნებ „ქარტიას“ გადაეხედა ბრიტანული „ბი-ბი-სი“-ს მუშაობისთვის, სადაც სარეკლამო რგოლები არ გადის? არა, ამას არ გააკეთებენ, უბრალოდ, ჩვენ უნდა გვიკითხონ თავიანთებური „სახარება“, რათა დაფინანსება მიიღონ. კი, მაგრამ თვითონვე აღიარებენ, თუ ჟურნალისტის ოჯახის წევრი, ან საყვარელი პოლიტიკაშია, მისი საქმიანობა უნდა შეიზღუდოსო და ამ დროს ერთი გნიასი ატეხეს, რავა იკადრეს, ეკა მიშველაძე რატომ გამოუშვეს „საზმაუწყებლიდან“, ეს ხომ ადამიანის უფლებების შელახვააო? გამოდის, ხან ისეა და ხან ასე, ჩემო მანასე? ან კი რომელ მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზეა საუბარი, როცა ერთი ტელევიზია რუსული ფულით ფინანსდება, ხოლო მეორე – ხან კეზერაშვილისგან, ხან სააკაშვილისგან, ხან კიდევ კაცმა არ იცის, ვისგან და ამ დროს ხელისუფლება მუდმივად პატიობს მილიონობით გადასახადს. მე პირადად მაგრად ვხალისობ, როცა ასეთი ტელევიზიების ჟურნალისტები გამოდიან და ამტკიცებენ, დამოუკიდებლები ვართ, სიტყვის თავისუფლებას ვიცავთო. რაც შეეხება წყაროებთან ნათესაურ კავშირს, აქ უკვე დიდ სისულელეს ღაღადებს პატივცემული „ქარტია“, რადგან, თუ ინფორმაცია სანდოა, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მომაწვდის, ნათესავი, მეზობელი თუ პაპაჩემი კიკოლა. გარდა ამისა, მე მაქვს უფლება, სამარის კარამდე არ გავამხილო წყაროს ვინაობა და ბუნებრივია, ვერავინ ვერასოდეს გაიგებს, ვინ მომაწოდა ინფორმაცია. „ქარტია“ ამბობს, რომ ინტერესთა კონფლიქტის საკითხი დგება მაშინაც, როდესაც ჟურნალისტი პარალელურად სხვა ორგანიზაციაში მუშაობს:

„ეს ნიშნავს იმას, რომ აუდიტორიას შესაძლოა, გაუჩნდეს კითხვა, რამდენად მიუკერძოებლად გააშუქებს ის არა თუ იმ ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციას, არამედ ზოგადად იმ სფეროში მიმდინარე მოვლენებს, სადაც მისი ორგანიზაცია მუშაობს. მედიის პარალელურად სხვადასხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის პრესსამსახურში მუშაობა ქმნის ინტერესთა კონფლიქტს. ჩნდება მოლოდინი, რომ ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით, სხვა ჟურნალისტებთან შედარებით მას უპირატესობა აქვს და არათანაბარი სამუშაო პირობები იქმნება“.

კი, ბატონო, ეს სიმართლეა, როდესაც ჟურნალისტი საჯარო სამსახურშიც მუშაობს, აუცილებლად იქმნება ინტერესთა კონფლიქტი. ეს უკვე დამქირავებლის ნებაზეა დამოკიდებული, რამდენად აწყობს ასეთი ჟურნალისტი. თუმცა დღეს ძალიან ბევრი მოდებუ-

**თვითონვე აღიარებენ, თუ ჟურნალისტის ოჯახის წევრი, ან საყვარელი პოლიტიკაშია, მისი საქმიანობა უნდა შეიზღუდოსო და ამ დროს ერთი გნიასი ატეხეს, რავა იკადრეს, ეკა მიშველაძე რატომ გამოუშვეს „საზმაუწყებლიდან“, ეს ხომ ადამიანის უფლებების შელახვააო?!**

**„შპს „ალია ჰოლდინგი“ ორ გაზეთს – „ალიასა“ და „კვირის ქრონიკას“ – გამოსცემს, რომლებიც პერიოდულად ქსენოფობიური და ჰომოფობიური პუბლიკაციებით გამოირჩევა. „ალია“ კვირაში ოთხჯერ გამოდის, ხოლო მისი პარტნიორი „კვირის ქრონიკა“ – კვირაში ერთხელ. „ალია ჰოლდინგის“ სრული მფლობელია გიორგი ბრეგვაძე, რომელსაც სხვა კომპანიებში აქციები არ გააჩნია“**






განცხადებების საფუძველზე; ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის ასამაღლებლად; ხელს უწყობს ჟურნალისტური ეთიკის ნორმების პოპულარიზაციას და მათ მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას; ატარებს მედიის მონიტორინგს, კვლევებს და გამოსცემს პროფესიულ პუბლიკაციებს“.

მოკლედ, უფრო მარტივად რომ გითხრათ, 2009-ში ზვიად ქორიძემ, თამარ კორძაიამ და სხვებმა მოილაპარაკეს, ერთი ისეთი არასამთავრობო შევქმნათ, რომელიც კაი გრანტებს „დაგვათრევინებსო“ და შექმნეს კიდეც. რაც მთავარია, ამ ადამიანებმა იმთავითვე გააკეთეს მავანთა გასაბრიყვებელი განაცხადი: თუ ვინმეს ქართულ მედიასთან პრეტენზიები გექნებათ, ჩვენთან უჩივლეთ, დავსხდებით, განვიხილავთ და საბოლოო ვერდიქტსაც გამოვიტანთო. კი, ბატონო, ვილაცებმა იჩივლეს, მავანთა მიმართ პრეტენზიებიც წარუდგინეს, ესენი დასხდნენ, განიხილეს, დასკვნებიც დაწერეს, მაგრამ მერე რა? არაფერი, თვითონვე წერენ, თვითონვე კითხულობენ, თვითონვე უხარიათ. თუმცა „სიხარული“ გასაგებია, ამ ყველაფერს მოაქვს გრანტები და კეთილდღეობა მხოლოდ ზოგიბა, მაგრამ ისეთი სახელმძღვანელო შეუქმნიათ, წესით, ვინც იქ არის, ისინიც უნდა გამორბოდნენ. მაშ ასე, რას ნიშნავს ჟურნალისტის ინტერესთა კონფლიქტი? „ქარტიის“ მესვეურთა მტკიცებით:

„ჟურნალისტის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტი უმთავრესად მის მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას აყენებს ეჭვქვეშ. კონფლიქტი ინტერესებს შორის შეიძლება წარმოიქმნას რამდენიმე მხრიდან, მათ შორისაა – ოჯახი, პირადი ურთიერთობები, ფინანსები, ბიზნესი, სამოქალაქო აქტიურობა. საჭიროა, ჟურნალისტმა გადახედოს საკუთარ ურთიერთობებს და დაფიქრდეს, როგორ უკავშირდებიან ისინი მის პროფესიულ საქმიანობას“.

კი, ბატონო, გადავხედოთ, გადმოვხედოთ და დავფიქრდეთ... რა მიზანი აქვს ამ ყველაფერს? ზოგადი პრინციპები ასეთია:

„აუდიტორია უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკა თავისუფალია კერძო, ფინანსური, პოლიტიკური თუ სხვა ტიპის გავლენებისგან. ჟურნალისტი არ უნდა იყოს არც პოლიტიკური გაერთიანებების შემომწირველი და არც სხვადასხვა აქტივობების დამფინლია რამდენიმე ადგილას იმის გამო, რომ უფრო მეტი შემოსავალი ჰქონდეს. „ქარტია“ მომდევნო თავში ერთ საინტერესო რამეს ამბობს:

„ჟურნალისტებსა და რედაქტორებს არ უნდა ჰქონდეთ ბიზნესინტერესები რომელიმე კომპანიაში, რომლის საქმიანობასაც აშუქებენ“.

ამ თემით დავინტერესდი და ძალიან საინტერესო ფაქტები „ამოვყარე“: ცოტა ხნის წინ ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც „ალიას“ შესახებ ასეთ რამეს ვკითხულობთ:

„შპს „ალია ჰოლდინგი“ ორ გაზეთს – „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ – გამოსცემს, რომლებიც პერიოდულად ქსენოფობიური და ჰომოფობიური პუბლიკაციებით გამოირჩევა. „ალია“ კვირაში ოთხჯერ გამოდის, ხოლო მისი პარტნიორი „კვირის ქრონიკა“ – კვირაში ერთხელ. „ალია ჰოლდინგის“ სრული მფლობელია გიორგი ბრეგვაძე, რომელსაც სხვა კომპანიებში აქციები არ გააჩნია“.

აი, ახლა რომ წამოვახვავოთ ინფორმაცია იმის შესახებ, მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს სად და როგორ აქვთ ბიზნესინტერესები, ცუდი გოგო-ბიჭები ვიქნებით? კარგი, მაშინ არ დავასახელებ!

შიმშილით კლავენ!

# რა ხდება უმწეოთა პროგრამის ირგვლივ?

**თურმე უმწეოთა პროგრამის როტაცია ხდება, ანუ ერთი გაჭირვებული ადამიანის შიმშილის ხარჯზე დახმარებას მეორე ადამიანს აძლევენ!**

ეთერ ბალაძე
593 15-64-47

საგაზაფხულოდ უმწეოთა პროგრამიდან სოციალურად დაუცველი ადამიანების „გაცხრილვა“ დაიწყო. ასეულობით ადამიანი, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, უმწეოთა პროგრამიდან ამოაგდეს. სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ბევრი ადამიანი ლუკმაპურის გარეშე დარჩა. მათ ფულადი დახმარება შეუჩერეს. სოციალური მომსახურების სააგენტო თავს იმართლებს და უმწეოთა დახმარების შეჩერებას ხელახალი გადამოწმების მიზეზით ხსნის. ხელახალი გადამოწმებისას კი დაუცველი ადამიანების 50%-ს პროგრამაში აღარ აბრუნებენ.

„ალია“ უმწეოთა პროგრამიდან ამოღებულ სოციალურად დაუცველ ადამიანებს ესაუბრა.

**ნანი კბილაშვილი:**

– საგაზაფხულო შემოწმების შედეგად უმწეოთა დახმარება შემიჩერდა. ერთ დანგრეულ ოთხში ვცხოვრობ, შვილთან ერთად. ჩემი შვილი სწავლობს, მე კი უმუშევარი ვარ, გამგეობაში მივედი, რომ უფასო სასადილოში ჩავეწერე, მაგრამ აქაც რიგია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საკვებს ვერ მივიღებთ. გუშინ ბოთლები შევაგროვე და იმდენი თანხა ავიღე, რომ ერთი სადილი გავაკეთე, ხვალ რა იქნება, არ ვიცი... ჯანდაცვის სამინისტროს მივმართე განცხადებით, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიმიღია. მოვითხოვ, აღმიდგინონ დახმარება.



**თალიკო ბაღაშვილი:**

– შარშან ამ დროს სოციალური დახმარება შემიჩერეს, მარტოხელა ვარ, პენსიონერი. მეუბნებიან, პენსიას ხომ იღებო? პენსია წამლებშიც არ მყოფნის, ერთი თვეა, ჯანდაცვის სამინისტროში დავდივარ, მაგრამ პასუხი არ მაღირსეს. ინსულტი გადავიტანე, ძლივს დავდივარ, თუ მე არ მომცემენ დახმარებას, აბა, ვის უნდა მისცენ? მარტოხელა ვარ, არ შემიძლია გადაადგილება, დახმარების ნაცვლად, რაც მაქვს, იმასაც მართმევენ?

**ნათია შონია:**

– სოცაგენტი მოვიდა და თვითნებურად შეავსო დეკლარაცია. ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი მყავს მოსავლელი, ჩემი შვილი სამუშაოდ უცხოეთში წავიდა, მაგრამ იქაც უმუშევარია. ხან სად ვითხოვ დახმარებას, ხან – სად. ბავშვებს მშიერს ხომ ვერ დავტოვებ? არადა, ცარიელ ჩაისა და პურს ძლივს ვაწვდი. თუ ბავშვმა კალორიული საკვები არ მიიღო, როგორ გაიზრდებიან, უმწეობის თანხას იმდენს ვიღებდით, რომ ზოგჯერ, ბავშვებს ხორციან სადილსაც ვუკეთებდი, ახლა, ესეც შეგვიჩერეს. რა გავაკეთო? არც პენსია მაქვს და არც სხვა რაიმე სამსახური. ნათესავებსაც აღარ სურთ ჩემი დახმარება და ტელეფონს მითიშავენ. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ვთხოვო ხელისუფლებას, რომ დაგვეხმაროს. ჯანდაცვის სამინისტრომ შემწეობის დახმარება აღგვიდგინოს.

**გურამ ფანჯარაძე:**

– ჩვენი ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ოჯახში 5 წევრი ვართ, მათგან არც ერთი არ მუშაობს, იანვარში სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოვიდნენ, გადაგვამოწმეს და ფულადი დახმარება შეგვიჩერეს. როცა მიზეზი ვიკითხეთ, გვიპასუხეს, რომ ჩემი ძმა ვაკეში ერთოთახიან ბინას ფლობს. ერთოთახიანი ბინა ფუფუნებაა? თანაც, ამ ბინაში ჩემი ძმა ცხოვრობს. ასე თითიდან გამოწოვილი მიზეზით პროგრამიდან ამოგვაგდეს. გარდა ამისა, გაგვიუქმდა დაზღვევაც, რომელიც ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. პირადად მე, მუდმივად ვმკურნალობ, დედაჩემი საოპერაციოა. თვალზე სასწრაფო ოპერაცია სჭირდება. სახელმწიფო მხოლოდ 70%-ს აფინანსებს, 30% ჩვენ უნდა გადავიხადოთ და საიდან მივიტანოთ? არადა, უმძიმესი მდგომარეობა გვაქვს. უმწეოთა პროგრამაში დავრჩით, მაგრამ, რად გინდა ასეთი დარჩენა? საჭმელი უფასო სასადილოდან მოგვაქვს, ისიც, არაფერია, ერთ კაცს 200 გრამი პური და წიწიბურა ეყოფა, ან წყალწყალა სუპი? სასადილოში გვეუბნებიან, მადლობა თქვით, რომ ამასაც გაძლევთო... რისთვის ვთქვათ მადლობა, შემწეობა რომ შეგვიჩერეს? იმისთვის ხომ არა, რომ უფულობისა და შიმშილისგან დავავადდი? მით უმეტეს, სოციალური მომსახურების სააგენტომ კარგად იცოდა ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ მაინც შეგვიჩერა დახმარება. ჩვენნაირ მდგომარეობაში ბევრია, ხელისუფლებამ ადამიანები ბედის ანაბარა მიატოვა... პირადად, მე ჯანმრთელობა მაქვს შერყეული. წამლისა და საკვების გარეშე როგორ ვიცოცხლებ? მივმართავ, სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომ ჩემნაირ ადამიანებს მაინც ნუ გასწირავს და აღგვიდგინოს ფულადი დახმარება, რომელიც ჩვენი ოჯახის გადარჩენის ერთადერთი წყაროა.

და მაინც, რა ხდება უმწეოთა პროგრამის ირგვლივ? როგორც გაირკვა, უმწეოთა პროგრამის როტაცია ხდება, ანუ ერთი გაჭირვებული ადამიანის შიმშილის ხარჯზე დახმარებას მეორე ადამიანს აძლევენ. რას ნიშნავს ეს? თანხების დაზოგვას? ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების განყოფილების თანამშრომელი ტატა გამყრელიძე „ალიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ განსაკუთრებით უპირატესობა ეძლევა მრავალშვილიან ბენეფიციარებს და ასევე, იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობისანი არიან. სხვა დანარჩენი უმწეოთა კატეგორია როტაციის პრინციპით იღებს დახმარებას. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ შარშან გეხმარებოდა სახელმწიფო, წელს უკვე ველარ დაგეხმარება. ამავე წესით ახლა სხვას შეიყვანენ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფების მონაცემთა ბაზაში...





**„მარტოხელა ვარ, არ შემიძლია გადაადგილება, დახმარების ნაცვლად, რაც მაქვს, იმასაც მართმევენ?“**

**„გუშინ ბოთლები შევაგროვე და იმდენი თანხა ავიღე, რომ ერთი სადილი გავაკეთე, ხვალ რა იქნება, არ ვიცი...“**

**„რა გავაკეთო? არც პენსია მაქვს და არც სხვა რაიმე სამსახური. ნათესავებსაც აღარ სურთ ჩემი დახმარება და ტელეფონს მითიშავენ. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ვთხოვო ხელისუფლებას, რომ დაგვეხმაროს“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნუ შეგვჭამეთ, ბატონო, ნურც თქვენი მარადქალწულობით და ნურც სრული დატვირთვით დღნაურით!“



პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ბოლო დროს გახმაურებულ სკანდალს ეხმიანება, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებას ეხება.

– უნახავმა რა ნახაო, ისეა, რა, ჩვენი საქმე...

ადრე ჩემს ბავშვობაში გოგო სიგარეტს თუ ეწეოდა, მაგარი გოიმებისთვის კაი ტიპი იყო. მახსოვს, ერთმა თავის შეყვარებულზე როგორ მითხრა, აუ, ირა, მაგარი გოგოა, თან რამდენს ეწევა, იციო?

ეხლა ამ სექსზე გადეირია ყველა.

ერთნაირი მარაზმია, მე რომ მკითხო, სექსის არქონით ან ქონით ტრაბახი!

ნუ შეგვჭამეთ, ბატონო, ნურც თქვენი მარადქალწულობით და ნურც სრული დატვირთვით დღნაურით!

ვისაც არ გაქვთ, მოგეცეთ და ვისაც გაქვთ, ჩვენ გარეშე რო ისიამოვნოთ, ხო შეიძლება?

სტატუსი ამაღლებულია, – წერს სარიშვილი სოციალურ ქსელში. (daijesti.pia.ge)

## ინგა გრიგოლია იმედოვნებს, რომ პროკურატურა გამოძიებას ბოლომდე მიიყვანს



დაკითხვის შემდეგ ინგა გრიგოლია აცხადებს, რომ მან საგამოძიებო ორგანოს მიერ დასმულ ყველა კითხვას უპასუხა.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ინგა გრიგოლია ვერ საუბრობს ყველა იმ კითხვის შესახებ, რაც მას საგამოძიებო უწყების თანამშრომლებმა დაუსვეს.

ჟურნალისტი იმედოვნებს, რომ გამოძიება დროულად დასრულდება.

– თუ პროკურატურა გამოძიებას ბოლომდე არ მიიყვანს და არ დავრწმუნდებით, რომ ყველა დამნაშავე დაისაჯა, მე უფლებას დავიტოვებ, სრულიად სხვა ვერსია გამიჩნდეს, რომელზე საუბრისგანაც ახლა თავს შევიკავებ, – აღნიშნა ინგა გრიგოლიამ.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალისტის განცხადებით, მას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნებით ემუქრებიან. (pia.ge)

ჩვენ, პოეტები საქართველოსი!



# რა წერია „ბოზების მანიფესტში“?

**თავის დროზე გალაკტიონსაც უთქვამს: „რვა მარტი მოდის აურზაურით და შეხვდით ტ...ნაურ-ტ...ნაურით“-ო**








გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ვაი, ვაი, ეს ხალხი სულ გადავიდა ჭკუიდან: სექსი სამარცხვინო არ არისო... რა ქნას ქალმა, თუ ქმარსა და ოჯახს უღალატა, იქნებ მეგობარი კაცი უყვარს, რა ქნას, არ მისცესო? ჩვენმა „პრეზო“ მარგველაშვილმაც მაგარი „რეჩი“ დაარტყა, მე მდიდრული სექსი ადრეც მქონია, ახლაც მაქვს და მომავალშიც მექნება, მიდით, ქალებო, აიხსენით ალვირი, ყველას დაგიცავთ ავი ქმრებისგან და ვიდეოების გამავრცელებლებისგანო. „მდიდარი სექსი“ – ეს გახლავთ წინა კვირის ყველაზე სულელური და ფრთიანი ფრაზა. როდესაც ვინმე თავის სექსუალურობას ამტკიცებს, გინდა, არ გინდა, უნებლიეთ წარმოიდგენ, როგორ კოტრიალობს, როგორ გადადის ყირაზე ეს ვინმე და იცინი, ხითხითებ, იატაკზე ხოხავ, მუცელი ხელით გიჭირავს... არადა, ამის დედაც, სულაც არ გვაქვს საქმე საცინრად და სახითხითოდ – ამ ქვეყანაში, პრეზიდენტით დაწყებული, ყველა გამოსულია მწყობრიდან. აი, მე კი ბოლო კვირის განმავლობაში იოსებ გრიშაშვილის ერთი ლექსი ამეკვიატა:

**„შენ გაირყვნები... აშკარა არი...**
**ვგრძნობ შენს დაცემას წინასწარულად.**
**შენი სხეული ნაქანდაკარი,**
**ხელიდან ხელში წავა ფარულად.**
**შენ გაირყვნები, როგორც ბიანკა,**
**მე ასე ვფიქრობ... მე ასე მჯერა...“.**

რეზო ამაშუკელს პრეზიდენტისთვის დაურქმევია „სექსმუშაკი გამოძახებით“, ანუ მომსახურება მხოლოდ მათთვის, ვისაც სურს, რომ შეიგრძნოს მდიდარი სექსუალური გამოცდილება! კარგი, რა, ბატონო რეზო, მარგველაშვილის „ცელქობაზე“ მე პირადად ბრეჟნევის დროინდელი ერთი ამბავი მახსენდება: ლეონიდ ილიჩთან ერთი ქალბატონი მისულა და უთქვამს:

– მანქანა და ბინა მეკუთვნის, უნდა მომცეთ!

– რატომ, რა დამსახურებისთვის? – უკითხავს ბრეჟნევს.

– ჩვენ ერთად გვეძინა, ლეონიდ ილიჩ!

გაუცია ბრძანება გენმდივანს, ეგრევე მიუციათ ქალისთვის ბინაც და მანქანაც. საბუთებზე ხელი რომ მოუწერია, უკითხავს:

– ისე მაინც ნუ წახვალთ, რომ არ მითხრათ, როდის და სად გვეძინა ერთად? რაღაც ვერ გიხსენებთ.

– 27-ე ყრილობაზე, ლეონიდ ილიჩ!

სხვათა შორის, თავის დროზე გალაკტიონსაც უთქვამს: „რვა მარტი მოდის აურზაურით და შეხვდით ტ...ნაურ-ტ...ნაურით“-ო, მაგრამ როგორც ერთი ჩემი მეგობარი ამბობს, მთლად ასე გაიბანძეთ თავებიო, არ უთქვამს. როგორც ჩანს, მარტი მხოლოდ კატების სექსუალური თვე არ არის. მოკლედ, პოეტმა რომანოზა კოხრეიძემ უყურა ჩვენს გაუსაძლის სექსუალურ ყოფას და „ბოზების მანიფესტი“ გამოაცხო:

**„ეჰ, რა კარგი ქვეყანა გვაქვს,**
**რა მშვიდი და თანაც კარგი!**
**თუმცა ამ ჩვენს პარლამენტართ**
**აუხურდათ ეხლა ტრაკი!**
**ზოგი სკამზე დანებდა და**
**ზოგმაც მისცა სადღაც ტყეში!**
**პარლამენტარს სექსი ქე აქვს!**
**ბოზები ვართ ძან ცუდ დღეში!**
**ბიუჯეტის ფულებით კი**
**გადაიმხეს თავზე ყველა,**
**ისეთს ანდეს ქვეყნის ბედი,**
**ვისაც თავად უნდა შველა!**
**საქმე საქმედ რომ დადგება,**
**გადმოაგდებს ყველა ენას!**
**პარლამენტარებს კი გირჩევთ,**
**სირცხვილია ყ...ზე კბენა“!**

არ დაიჯერებთ... ამ დღეებში „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელმა, ლადო სადღობელაშვილმა ისეთი რამე თქვა, თუ ეს სიმართლე აღმოჩნდა, ჩვენი უმწიკვლო საზოგადოების თავზე უარესი უბედურება დატრიალდება:

„გავიგეთ, რომ სექსი კომპრომატი არ არის, გავიგეთ, რომ პრეზიდენტს მდიდარი სექსი ჰქონია, გავიგეთ, რომ გრიგოლიას შეყვარებულიც ჰყავს და სექსიც აქვს, გავიგეთ, რომ ალასანიას გუნდის „ინწელექტუალ“ წევრებს ახალგაზრდობაში მეტსახელად „პანტერას“ ეძახდნენ, ისიც ცხადი გახდა, რომ შეიძლება ესწრებოდე პარლამენტში სესიას და შენს სექსუალურ ფანტაზიებს მთელი სოციალური ქსელი ადევნებდეს თვალს. ისიც გავიგეთ, რომ პრევენციის მიზნით ქალი ქმრის გამო უთავმოყვარეო განცხადებებს აკეთებდეს, მაგრამ ეს ზოოფილია თუ ასეთი აქტუალური იქნებოდა, მართლა არ მეგონა. ვგულისხმობ შველებთან, ნუკრებთან, მანგუსტებთან და სხვა ცხოველებთან სექსუალურ კავშირს... არა, ყველაფერს აიტანს საზოგადოება, ოღონდ ამას – არა! ქალბატონო X, არ გრცხვენიათ“?!

ბიჯოს, შვლის ნუკრებთან, მანგუსტებთან და სხვა ცხოველებთან სექსიო? ამის გამო დავურეკე სადღობელაშვილს და ვუთხარი: მოვკვდი ინტერესით, რა ხდება, ამიხსენი-მეთქი. რა ხდება და ერთ-ერთ თანამდებობის პირს თავის ძაღლთან ჰქონდა სექსი და მიშას ბიჭებს ვიდეოც გადაუღიათ, მე თავად მოვკარი თვალი, პიროვნებაც ამოვიცანიო. ნუ, ახლა, რას ჰგავს ეს? ამ სიტუაციას ყოფილი პარლამენტარი, ნუგზარ კაკიაშვილი ასე აღწერს:

**„ვუცქერ „ფეისბუკს“ —**
**უქმრო ქალებსაც,**
**სექსი ჰქონიათ**
**მრავალნაირი,**
**ნაირნაირი —**
**სექსი — მდიდრული,**
**სექსი — ნარნარი,**
**გადაფურჩქნული,**
**როგორც ბაღნარი,**
**ხან ტახტი იყო,**
**ხან კი ჯაგნარი,**
**იყო ძვრა მიწის,**
**იყო დგანდგარი,**
**და კიდევ იყო**
**პოზა მრავალი...**
**აი, ასეთი,**
**აი, ასეთი,**
**აი, ასეთი**
**მესმის და მომწონს**
**ქალი მაგარი,**
**აი, ასეთი**
**„დედა“ მრავალი“!**

ჩემო ძვირფასო და უმწიკვლო საზოგადოებავ, მიუხედავად იმისა, რომ შინაურულად ნეხვში ვგორაობთ, მაინც არ უნდა მოიწყინო... როგორც მაცნობეს, საქართველო ბედნიერების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს 156 ქვეყანას შორის 126-ე ადგილზეა. დიახ, ასე წერია ანგარიშში, რომელიც გაეროს „მდგრადი განვითარების გადაწყვეტის ქსელმა“ გამოაქვეყნა. შარშან 130-ზე ვყოფილვართ, წელს 4 პუნქტით უფრო გავბედნიერდით. მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა დანიაა. მეორე ადგილი შვეიცარიამ დაიკავა. ხუთეულში, ასევე, შევიდნენ ისლანდია, ნორვეგია და ფინეთი. ათეულში კი კანადა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ავსტრალია და შვედეთი. ყველაზე უბედური ქვეყანა ბურუნდი აღმოჩნდა, მას მოჰყვება სირია. ჩვენ უახლოეს მომავალში კიდევ გავიუმჯობესებთ პოზიციებს, რადგან უკვე გვაქვს მდიდარი და მრავალფეროვანი სექსი, რაც ბედნიერების საწინდარია. მერე რა, რომ რეალურად ნეხვში ვგორაობთ?!





საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## განსაზღვრულია თუ არა ნამდვილი მეგობრების რაოდენობა „ფეისბუკზე“?




ფსიქოლოგ რობინა დანბარის ხელმძღვანელობით, დიდ ბრიტანეთში ფრიად საინტერესო და საჭირო კვლევა ჩაატარეს იმის შესახებ, მაქსიმუმ, რამდენი მეგობარი შეიძლება ჰყავდეს ადამიანს.

დანბარი 1990-იან წლებში, სხვა ფსიქოლოგების მიერ ჩატარებულ კვლევებსაც ითვალისწინებდა. ძველი კვლევების თანახმად, ადამიანს, საშუალოდ, 100-230 ადამიანთან შეუძლია ურთიერთობის ქონა.

სპეციალისტებმა ასეთი შედეგი პრიმატების ქცევასა და მათი ტვინის მოქმედებაზე დაკვირვებით მიიღეს.

ახალი კვლევით კი აღმოჩნდა, რომ ადრე მიღებული შედეგები ახლაც, სოციალური ქსელებით ურთიერთობის ეპოქაშიც ამართლებს. ადამიანს შეუძლია, მაქსიმუმ 5 უახლოესი მეგობარი და 150 ისეთი ადამიანი ჰყავდეს, რომელთანაც მეტ-ნაკლებად ახლო დამოკიდებულება აქვს. დანარჩენი ადამიანები „ფეისბუკზე“ მხოლოდ ნაცნობები არიან.

კვლევაში 3.3 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. ისინი ორ ჯგუფად გაანაწილეს. პირველ ჯგუფში ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც, საშუალოდ, 155 მეგობარი ჰყავდა „ფეისბუკზე“. მეორე ჯგუფის წევრების მეგობრების რაოდენობა კი დაახლოებით 183 იყო. ორივე ჯგუფის წევრებს 4 ნამდვილი მეგობარი აღმოაჩნდათ. თანაგრძნობის გამომხატველი, მაგრამ არა რეალურად მხარდამჭერი ადამიანების რაოდენობა კი 14 იყო. სხვა დანარჩენების სტატუსი გაურკვეველი დარჩა, ანუ მხოლოდ ნაცნობობა აკავშირებდათ.

„ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით, რომ კვლევაში „ფეისბუკის“ პროფესიონალ მომხმარებლებს არ მიეღოთ მონაწილეობა. მაგალითად, ჯასტინ ბიბერს, ჟურნალისტებს, კონგრესმენებს, მომღერლებს, პოეტებსა და ისეთ ადამიანებს, რომლებიც „ფეისბუკს“ ფან-კლუბის შესაქმნელად იყენებენ“, – აღნიშნა კვლევის ავტორმა, რობინა დანბარმა.

აღნიშნულ ხალხთა გამოკლებით კი აღმოჩნდა, რომ 150 და 300 მეგობარი მითია და სოციალური ქსელი ვერ დაგვეხმარება ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ხორცსა და რძეზე უარის თქმას დეპრესიამდე მივყავართ



არჩევანი თქვენზეა – ჭარბი წონა (რომელიც შესაძლოა, სულაც არ იყოს ჭარბი) და ჯანსაღი ემოციური მდგომარეობა, თუ დიეტა და გაფუჭებული ნერვები, ცუდი მადა, დარღვეული ძილის გრაფიკი და მთელი რიგი გართულებების ჩამონათვალი.

ადამიანის განწყობა პირდაპირ არის დაკავშირებული იმ საკვებთან, რომელსაც მიირთმევს. საკვებზე დამოკიდებულია ტვინში მიმდინარე ქიმიური პროცესები და ე.წ. ნეიროგადამცემების მუშაობა, რომლებზეც სეროტონინია დამოკიდებული. ანტიდეპრესანტები კი ტვინში სეროტონინის დონეს ამაღლებს.

სეროტონინი გავლენას ახდენს ბედნიერების შეგრძნებაზე, დეპრესიის რისკზე, სოციალურ ქცევაზე, მადაზე, ძილზე, მეხსიერებასა და სექსუალურ სურვილებზე.

ტრიპტოფანი უცნობი ამინომჟავაა. სხეულს არ შეუძლია, თავისთავად გამოიმუშაოს ტრიპტოფანი, ამიტომ ის საკვებიდან უნდა მივიღოთ. ტრიპტოფანს ხორცი, რძის პროდუქტი და ხილი შეიცავს.

მართალია, რაციონიდან ტრიპტოფანის ამოღება სეროტონინის დონეს დიდად არ აამაღლებს, მაგრამ უკმარისობის განცდა მარტივად დააგდებს სეროტონინის დონეს. საბოლოოდ კი, ადამიანი აგრესიული გაღიზიანებული გახდება და მეხსიერებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნება.

სხვათა შორის, არც ისე დიდი ხნის წინ დაამტკიცეს, რომ ჭარბი რაოდენობის შაქრისა და ცხიმისგან შემდგარი რაციონიც ახდენს ფსიქიკაზე გავლენას. ასეთი რაციონი კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას ცვლის, რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირ მოქმედებს განწყობაზე. ასე რომ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტატის დროს ცოცხალი ბაქტერიები იწოვენ ტრიპტოფას. ასეთი ბაქტერიების რაოდენობის გაზრდა, ტრიპტოფანის სერიოზულ უკმარისობას გამოიწვევს.

***rosbalt.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფეხბურთელმა ქალმა პაემანზე დაპატიჟების გამო მსაჯი სექსიზმში დაადანაშაულა




მსოფლიო მასშტაბით, როგორც წესი, პროფესიები ორ ნაწილად იყოფა – ქალური პროფესია და კაცური პროფესია. ღმერთმა არ ქნას და თუ ქალმა „კაცური“ პროფესიის არჩევა გადაწყვიტა, იქვე იწყება პრობლემების სერია – ჯერ ოჯახთან უნდა გადაიტანო ბრძოლები იმისთვის, რომ როგორმე დააჯერო – არჩეული პროფესია შენი მოწოდებაა. მერე იწყება გარშემომყოფი, ნაცნობი ხალხის საუბრებისა და ჭორების გადახარშვა. როგორც იქნება, მიხვალ დანიშნულების ადგილამდე, გგონია, აი, აქ გაგიგებენ და სერიოზულად მოეკიდებიან შენს არჩევანს და ბახ... იქაც „გეკაიფებიან“.

ჰოდა, სწორედ „არასწორად“ შერეული პროფესიის პრობლემა აწუხებს რუმინელ ფეხბურთელ ელენ პაველს, რომელიც ესპანეთის გუნდ „ჰუელვაში“ თამაშობს. თურმე, მსაჯი, სანტიაგო კიხადა ალკონი მას მთელი მატჩის მიმდინარეობისას ეფლირტავებოდა.

„ლამაზო, სიამოვნებით დავლევდი დღეს შენთან ერთად ყავას“, – ასე გამოთქვამდა თავის მოწონებას მსაჯი სანტიაგო ფეხბურთელ ელენასადმი.

საპასუხოდ კი, ფეხბურთელმა მსაჯი სექსიზმში დაადანაშაულა და სასამართლოზე მისი ქმედება ასე შეაფასა:

„ჩემს პროვოცირებას ცდილობდა. აღარ მჯერა ფეხბურთის, როგორც მართალი თამაშის“, – განაცხადა შეურაცხყოფილმა ფეხბურთელმა.

ქალი მსაჯს მოწინააღმდეგე გუნდისთვის აშკარა უპირატესობის მინიჭებაშიც ადანაშაულებდა და ამბობდა, რომ მის გუნდს ორი წითელი ბარათი უჩვენა და პენალტის დარტყმის უფლება არ მისცა.

ეტყობა, ეს სანტიაგო სკოლის მოსწავლეებივით გამოხატავს მოწონებას, თმაზე რომ ქაჩავენ და თავში წიგნებს ურტყამენ.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი თავისი ფეხბურთით მსოფლიოშია ცნობილი, ქალთა გუნდების განვითარების დონე მაინც ნულის დონეზეა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დედა გარდაიცვალა



პერუში 83 წლის ასაკში ლინე მედინე გარდაიცვალა. მედინე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დედა იყო.

მის შესახებ მსოფლიომ ჯერ კიდევ 1939 წელს შეიტყო, როცა მან 5 წლის ასაკში ბავშვი გააჩინა. ეს მოვლენა ახლაც შოკში აგდებს ექიმებს. ჩვილი, რომელიც 5 წლის ბავშვმა გააჩინა, სრულიად ჯანმრთელი იყო და სხვა ბავშვებისგან არაფრით განსხვავდებოდა.

გოგონას პირველი თვიური 8 თვის ასაკში მოუვიდა, 5 წლისას კი უკვე ჩამოყალიბებული მკერდი ჰქონდა. მედინა ბავშვობის ასაკში გაჩენილი შვილის გარდაცვალებასაც მოესწრო. მედინას შვილი 40 წლის ასაკში გარდაიცვალა. მშობლებმა ლინე საავადმყოფოში მიიყვანეს, რადგან 5 წლის გოგონას უცნაურად ეზრდებოდა მუცელი. ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ 5 თვის გოგონა 7 თვის ორსული იყო.

ექიმმა ხერარდომ დარწმუნების მიზნით პაციენტი დედაქალაქში გაწერა.

ამ ფაქტიდან ერთი თვის შემდეგ, 1939 წლის 14 მაისს, მან ბიჭი გააჩინა. იქიდან გამომდინარე, რომ მას მენჯის ძვალი საკმარისად განვითარებული ჯერ არ ჰქონდა, ბავშვი საკეისრო კვეთის შედეგად გაჩნდა. სამედიცინო დასკვნაში წერია, რომ მედინას 4 წლის ასაკში სარძევე ჯირკვლები უკვე სრულად განვითარებული ჰქონდა. ახალშობილი 2.7 კილოგრამს იწონიდა. მას ექიმის პატივსაცემად მისი სახელი – ხერარდო დაარქვეს. ბიჭი ისე იზრდებოდა, რომ მედინა თავისი და ეგონა. მან სიმართლე მხოლოდ ათი წლის ასაკში შეიტყო.

ბიჭი სრულიად ჯანმრთელი გაიზარდა, თუმცა 40 წლის ასაკში ძვლის ტვინის დაავადებით გარდაიცვალა.

არავინ იცის, როგორ დაფეხმძიმდა ლინე. მას არასოდეს დაუსახელებია არც ბავშვის მამა და არც იმ გარემოებების შესახებ მოუყოლია, რის შედეგადაც დაორსულდა. ეჭვი მედინას მამაზე მიიტანეს და გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს კიდეც, მაგრამ მტკიცებულებების არარსებობის გამო ისევ გამოუშვეს. ლინე 1972 წელს რაულ ხურგადოს გაჰყვა ცოლად და მეორე ვაჟი გააჩინა.

***plus.kvira.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ეჭვიანმა ქმარმა ცოლი აიძულა, ქუჩაში შიშველიევლო



რა შეიძლება მოაფიქრდეს სამაგიეროს გადასახდელად ეჭვიანობის ნიადაგზე გაღიზიანებულ ქმარს? ნიუ-იორკში მცხოვრები მამაკაცი დიდად არ დაფიქრებულა და არც ფანტაზია დაუძაბავს – ადგა და ცოლი შუა ქუჩაში გააშიშვლა.

როგორც ირკვევა, ცოლი მამაკაცებისთვის განკუთვნილ საიტზე საკუთარი შიშველი ფოტოების განთავსებაზე იყო ეჭვმიტანილი. თუმცა, მხოლოდ ეჭვმიტანილი და ქმარს არ ჰქონდა ფაქტები, რითიც თავის ეჭვს დაადასტურებდა.

ყველა სიკეთესთან ერთად, ქმარი ვიდეოს იღებდა და ქუჩაში მიმავალ პირსახოცშემოხვეულ ცოლს ლანძღავდა – „გაიხადე ეგეც, ყველამ უნდა ნახოს შენი სირცხვილი“. მერე ის პირსახოციც წაართვა და შიშველი ქალი ამაოდ ცდილობდა, მანქანებს ამოფარებოდა.

ვიდეოს 270 ათასზე მეტი მნახველი ჰყავს. კომენტარების უმრავლესობაში ქმარს უაზრო და სასტიკი საქციელის გამო ადანაშაულებენ.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ საეკლესიო საკმეველი კიბოს მკურნალია



ამერიკელი მეცნიერ-იმუნოლოგი მაჰმუდ სუჰალი მიიჩნევს, რომ საეკლესიო საკმეველი ონკოლოგიაში დიდი სარგებლობის მომტანია.

თვითონ სუჰალი ერაყში დაიბადა, კარგად იცნობს კეთილსურნელებასა და ნელსაცხებლებს, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა დაახლოებით ათასი წელია არა მარტო რელიგიური, არამედ სამედიცინო მიზნებისთვისაც იყენებს.

საკმევლის ხე ომანის მთებში იზრდება, მისი ზოგი ნაირსახეობა კი – იემენში, ეთიოპიასა და ინდოეთში. საკმევლის კვამლი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ანტიდეპრესანტია.

საკმევლის ფისი გამოიყენება პარფიუმერიულ და ჰომეოპათიურ ნაწარმში, მისი ზეთი კი – არომათერაპიაში. ამჟამად სუჰალის კვლევის საგანია საკმევლის ფისიდან მიღებული აქტიური ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. მიღებულ ხსნარს ჯერ ცხოველებზე ცდიან.

***gurianews.com***

## 7-13 მარტის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული –** მიმდინარე კვირაში მატერიალური ხასიათის საკითხების გადაწყვეტა მოგიწევთ და მნიშვნელოვანია, რომ ახლობელი და საყვარელი ხალხი არ დაივიწყოთ. სულ მცირე საჩუქრებითაც კი საყვარელ ადამიანს გაახარებთ და რაც მთავარია, ურთიერთობას რომანტიკის ნაზი ტონებით გააფერადებთ. შეიძლება ითქვას, ახლა ის დროა, როცა საჭიროა სახსრების ინვესტირება არა მხოლოდ ბიზნესში, არამედ სიყვარულშიც. სასურველ შედეგსაც უმალ მიიღებთ.

სამსახური – გამოიყენეთ მომენტი ფინანსური საკითხების მოგვარებისთვის, ახალი კონტრაქტების ხელმოწერისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 26, 27 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 მარტი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული –** თქვენი ცხოვრებისეული ენერგია წლის სწორედ ამ პერიოდში აღწევს მაქსიმუმს და გახლავთ წარმატების გარანტია როგორც სიყვარულში, ისე ნებისმიერ შემოქმედებით ინიციატივაში. დიდი წამოწყებებისა და აღმოჩენების დრო დგება. კვირა სასიამოვნო ნაცნობობას გაჩუქებთ, რაც სავსებით შესაძლებელია, ძალიან სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. მთავარია, საქმეები დროულად მოაგვაროთ და მიუძღვნათ დრო დასვენებას, მოგზაურობას და პირად ცხოვრებას.

სამსახური – გაითვალისწინეთ, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აქტიური მუშაობა, არამედ საკუთარი თავის გარეკლამებაც!

**სასიკეთო დღეები:** 21, 25 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 მარტი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული –** სამწუხაროდ, არც ისე საუკეთესო დროა ახალი ურთიერთობის წამოწყებისთვის და საკუთარი პერსონის მიმართ ყურადღების მიპყრობისთვის. უმჯობესია, მცირე ხნით ჩრდილში გადაინაცვლოთ და თვითანალიზით დაკავდეთ. ამ პერიოდში სჯობს, დაასრულოთ ყველაფერი (მათ შორის ურთიერთობაც, თუ თავის თავი ამოწურა), ვიდრე ახალი რომანი გააბათ. თქვენი პრობლემების გამო ნუ დაადანაშაულებთ გარშემომყოფებს, შეეცადეთ, საკუთარ თავში გაერკვეთ. სულ მალე სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება და თქვენი პირადი ცხოვრება კვლავ დალაგდება.

სამსახური – არ ღირს ახალი პროექტების წამოწყება.

**სასიკეთო დღეები:** 26, 27 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 21 მარტი.

## ანომალია





**მაია იასეშვილი**

599 94-64-58

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი მაია ძიძიშვილი ერთ-ერთი პოპულარული ქართველია უკრაინაში. უკვე მეშვიდე წელია, ქალბატონი მაია ტელეკომპანია „სტბ“-ს სატელევიზიო პროექტის „ექსტრასენსთა ბრძოლების“ უცვლელი მონაწილე და გამარჯვებულია. გარდა ამისა, ჩართულია თითქმის ყველა ეზოთერულ პროექტში, რაც ზემოხსენებული მაუწყებლობით გადაიცემა. მას თითქმის მთელი მსოფლიო იცნობს სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებიდან, ამიტომაც იშვიათად არის საქართველოში. მისი პოპულარობა და ფენომენალური**



# რატომ არ შეიძლება თმის შეჭრა საკუთარი ხელით?

**შესაძლებლობის ამოქმედება ერთმა არცთუ სასიამოვნო შემთხვევამ განაპირობა. ავარიის შემდეგ მაია ძიძიშვილი ზემგრძნობიარე ადამიანად იქცა.**

– ახლახან ჩამოვედი უკრაინიდან, სადაც მივიღე მონაწილეობა ტელეკომპანია „სტბ“-ს სატელევიზიო პროექტში, რასაც ჰქვია „ყველაფერი კარგად იქნება“. პროექტი ეხება ეზოთერული ცნობიერების ამაღლებას და კოსმიურ კანონზომიერებებს ადამიანებთან მიმართებაში. ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ ცხოვრების შეცვლა ბედის სასიკეთო ცვლილებებისთვის იმიჯის შეცვლითაც შესაძლებელია. ამას გარკვეული რიტუალური ცოდნა სჭირდება. მაგალითად, თმის შეჭრა საკუთარი ხელით დაუშვებელია ეზოთერული თვალსაზრისით, რაც არ უნდა კარგად გეხერხებოდეს. საქმე ისაა, რომ თმის ბოლოებში დალექილია ნეგატიური ენერგია. ამიტომაც რეკომენდებულია, თვეში ერთხელ მაინც, ახალმთვარეობისას თმის თუნდაც ერთი სანტიმეტრით შეჭრა, მაგრამ არამც და არამც, საკუთარი ხელით, რადგან სარკე, რომელშიც შეჭრის პროცესში იყურებით, ინფორმაციის შემნახველია, ხოლო თმის ბოლო – ნეგატიური ენერგიის მატარებელი. ამიტომ სარკეს უნდა მოვერიდოთ. სალონში ვიზიტის დროს, როცა ნეგატივისგან თავისუფლდებით თმის შეჭრით, გუნებაში თქვით, რომ თქვენ ეთხოვებით წარსულიდან ყველაფერს, რაც უსიამოვნო მოგონებებთან გაკავშირებთ. არ შეიძლება მოჭრილი თმის ნაგავში გადაყრა, მაგრამ, თუ რიტუალი ჩატარებული გაქვთ, მაშინ მისი მგრძნობელობა ნეიტრალდება. თმა კოსმიური ანტენაა ადამიანისთვის, მკვდარი და „ფენის“ ან საღებავისგან დამწვარი თმა არ არის გამტარი კოსმიური ენერგიის მიმღები და უამრავ უსიამოვნებას იწვევს. უსიცოცხლო თმა ბედს ნეგატიური მოვლენებით გივსებთ. ძალიან ცოტა ადამიანმა თუ იცის ამის შესახებ. ზემოხსენებული გადაცემა „ყველაფერი კარგად იქნება“, სწორედ ასეთი საკითხების განხილვას მოიცავს. 7 აპრილს, ხარების დღესასწაულისთვის გადაცემა წინასწარ ჩავწერე. აქ ვსაუბრობთ, როგორ შევეგებოთ „ხარებას“, იღბალი და წარმატება რომ მოვიზიდოთ, რასაც სიამოვნებით ვუმხელ ქართველ მკითხველსაც, როგორ შევინარჩუნოთ სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა, რისი ცოდნა და გათვალისწინება გვმართებს იმისთვის, რომ მეუღლეთა და ოჯახის წევრთა შორის არასოდეს დაირღვას ჰარმონია და თუ არსებობს დაძაბული ურთიერთობა, როგორ განვმუხტოთ. მოგეხსენებათ, „ხარება“ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, ამ დღეს მორწმუნენი ოჯახშიც აღნიშნავენ და რასაკვირველია, ეკლესიაშიც. ხარება დღეს მიუღებელია საოჯახო საქმეების კეთება და ხელსაქმე. ეს დღესასწაული დიდ მარხვას ემთხვევა და თევზით ხსნილია. ხარება დღეს უნდა დაიმუხტოს ყველა ოჯახში ხორბალი, სიმდიდრისა და ბარაქის მოსაზიდად.

**— რიტუალი ექსტრასენსებმა უნდა ჩაატარონ, თუ რიგით ადამიანებს ყველას შეგვიძლია, ოჯახური კეთილდღეობისა და ბარაქისთვის, საგანგებო რიტუალის ჩატარება?**

– რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება და ნებადართულია ზემოხსენებული რიტუალის ჩატარება, მაგრამ მაღალეფექტური მაშინ იქნება, თუ ადამიანი თვითონ არის ენერგიით სუფთა და დადებითი ენერგიით დამუხტავს. თუ ადამიანი უარყოფითი ენერგიით არის სავსე და დეპრესიაშია, მაშინ არა აქვს აზრი, მისი ხელით ნებისმიერი რიტუალის ჩატარებას. ასეთ შემთხვევაში ექსტრასენსები და ფსიქოლოგები ვეხმარებით მათ მდგომარეობიდან გამოსვლაში. მაგრამ თუ ადამიანი თავს მშვიდად, გაწონასწორებულად, მხნედ და ხალისიანად გრძნობს და მის ცხოვრებაში ყველაფერი რიგზეა, ვურჩევ, თავის ენერგიით დატვირთოს ბარაქისა და სიმშვიდის სიმბოლო – ხორბალი. შეგიძლიათ, ეკლესიაში მიბრძანდეთ და ეკლესიის მსახურმა გიკურთხოთ ბარაქისა და სიმშვიდის სიმბოლო. ხარება დღე უძლიერესი ენერგეტიკული მაჩვენებლებით გამოირჩევა და სასურველია, ამ დღეს სუფთა აურით და ბიოველით შევხვდეთ, რომ რიტუალი ძალმოსილი აღმოჩნდეს და ხალისიანი, იღბლიანი და წარმატებული პერიოდი გაგიხანგრძლივდეთ.

**— საერთაშორისო კონკურსებზე მსოფლიოში წარმატებული ექსტრასენსები ეჯიბრებით ერთმანეთს. თუ გქონიათ შემთხვევები, როცა ერთმანეთს რამე უწინასწარმეტყველეთ, კონკურენციის გამო ერთმანეთი ჩაკეტეთ ან პრობლემების მოგვარებაში დაეხმარეთ?**

– სხვათა ჩაკეტვისგან შორს ვარ და ვერც ვერავინ ჩამკეტავს, რადგან საუკეთესოდ ვიცი, თავი როგორ დავიცვა. ჩემს ფიქრებში, აზრსა ძალაში დარწმუნებული ვარ და ვიცი, ჩემი უნარი მხოლოდ სასიკეთოდ უნდა გამოვიყენო და ასეც ვიქცევი, ყველას ვეხმარები აურის, ჯადოსა და უარყოფითი ენერგიის მოშორებაში, ბიზნესის აყვავებასა და პირად ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ექსტრასენსები ზემგრძნობიარე ადამიანები ვართ, ერთმანეთის თანადგომა ყველას გვჭირდება. ჩემს კოლეგა უკრაინელ ექსტრასენსს, რომელსაც არ ჰყავდა შვილი, პირადად მე დავეხმარე, შვილი შესძენოდა. გადაცემაზე, როცა პირველად ვნახე, ვუთხარი, რომ შვილი არ ჰყავდა და ისიც დავაყოლე, რომ აუცილებლად ეყოლებოდა. მას ჰქონდა ენერგეტიკული ჩაკეტილობა, რაზეც ვიმუშავე. მას პირველი ქორწინებიდანაც არ ჰყავდა შვილი, მეორე ქორწინებაში კი უკვე რვაწლიანი თანაცხოვრება ჰქონდა. ის სკეპტიკურად განეწყო ჩემი წინასწარმეტყველების მიმართ, მაგრამ, როგორც კი ენერგეტიკული ჩაკრები გავუხსენი, იმ თვეშივე დაორსულდა და დღეს ჰყავს ულამაზესი ბიჭი. ასეთი შემთხვევები მქონდა, უშვილო წყვილები ბევრჯერ გამიხარებია და მეც ვყოფილვარ მათი სიხარულის თანამონაწილე.

> **„თმა კოსმიური ანტენაა ადამიანისთვის, მკვდარი და „ფენის“ ან საღებავისგან დამწვარი თმა არ არის გამტარი კოსმიური ენერგიის მიმღები და უამრავ უსიამოვნებას იწვევს. უსიცოცხლო თმა ბედს ნეგატიური მოვლენებით გივსებთ“**

**— თვითონ არ შეეძლო საკუთარი პრობლემების მოგვარება?**

– რომ შესძლებოდა, ჩემი ჩარევა აღარ დასჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ექსტრასენსად ითვლება, თუმცა არაჩვეულებრივ შედეგებს დებდა გადაცემაში „ექსტრასენსები იკვლევენ“. ამ გადაცემაში ჩვენ ვეხმარებოდით გამოძიებას მკვლელობაში, დაკარგულთა კვალის პოვნასა და სხვადასხვა კრიმინალურ გამოძიებებში. სამწუხაროდ, ზოგჯერ უდანაშაულო ადამიანებიც იხდიან სასჯელს არასწორად წაყვანილი გამოძიების გამო. ექსტრასენსები ვამხელთ ასეთ შემთხვევებს და გამოძიება იძულებული ხდება, ჩვენს არგუმენტირებულ ხედვას დაეყრდნოს. წეღან ჩემს კოლეგაზე მკითხეთ, რატომ ვერ შეძლო საკუთარი თავის დახმარებაო? ექსტრასენსი ზემგრძნობიარე ადამიანია, მაგრამ არა ყოვლისშემძლე. ყოვლისშემძლე მხოლოდ ღმერთია, მე მგონია, ეკლესიური რომ არ ვიყო და მოძღვრიდან არ მქონდეს კურთხევა ჩემს საქმიანობაზე, ბევრს, ალბათ, ვერ მივაღწევდი.

**— ქალბატონო მაია, თქვენი პრაქტიკული საქმიანობა ნათელხილვას ეყრდნობა, თუ ექსტრასენსორიკას, ენერგიით მკურნალობას?**

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა მქვია, ნათელმხილველი, ექსტრასენსი თუ ბიოენერგეტიკოსი, თუმცა მას შემდეგ, რაც უჩვეულო ენერგია აღმომაჩნდა, ავიღე ამერიკა-კანადის სერტიფიკატი ბიოთერაპევტის. ავარიამდე ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, თუმცა ტელეპატია არც მაშინ იყო ჩემთვის უცხო. პროფესიით ექიმი ვარ, მაგრამ ენერგიით მკურნალი თუ გავხდებოდი, ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. საკუთარ უჩვეულო შესაძლებლობებში იმ სატელევიზიო პროექტებმაც დამარწმუნა, რასაც უკვე შვიდი წელია, ხედავს მაყურებელი. განმიკურნავს უამრავი რთული დაავადება, მაგრამ ვინაიდან საქართველოში ხანმოკლე დროს ვატარებ, აურის გასუფთავებას, ჩაკრების გახსნასა და ბიოველის ფიზიკურ და სულიერ კოსმიურ გასუფთავებას ვემსახურები, რის შედეგადაც ადამიანი თავისუფლდება მძიმე კარმისგან, ჯადოსგან, გათვალვისა და სხვა ნეგატიური პროგრამებისგან, რის შემდეგაც ადამიანის ცხოვრება მყისიერად იცვლება სასიკეთოდ. გარდა ამისა, ვსვამ დიაგნოზს, ადამიანის ესა თუ ის მდგომარეობა რისგან არის გამოწვეული და სწორად დასმული დიაგნოზი სწორად წარმართული სამკურნალო პროცესის გარანტია. ნათელხილვის ნიჭი კი საშუალებას მაძლევს, ადამიანს მისთვის საჭირო და არა ზოგადი რეცეპტი მივცე, რადგან ზოგადი რეცეპტები ყველა ინდივიდს არ გამოადგება.

**— ასეთ პროექტებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა, სადაც ექსტრასენსები ანომალიურ მოვლენებს იკვლევენ, ეძებენ მოხეტიალე სულებს, პორტერგეისტსა და მათგან გამოწვეულ ანომალიებს?**

– მრავალი სატელევიზიო პროექტი, სადაც მე ვმონაწილეობ, სწორედ ასეთი ანომალიური მოვლენების კვლევა-ძიებას ემსახურება, ხშირად სახლში რჩებიან გარდაცვლილთა სულები, რომელიც მათთვის საჭირო განზომილებაში ვერ გადადიან, ასეთ დროს ექსტრასენსთა ჩარევა და საგანგებო რიტუალების ჩატარებაა საჭირო. ასეთი სულები უამრავ ანომალიურ მოვლენას იწვევენ და თავზარს სცემენ ამ სახლში მცხოვრებ ადამიანებს. ამიტომაც მათთვის აუცილებელია ჩვენი დახმარება. ჩვენი ჩარევის შემდეგ კი ყველაფერი სასიკეთოდ იცვლება. პირადად მე ხშირად მიწევს ოჯახების, სახლებისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა, ბინის ან ოფისის შეძენის დროს აუცილებელია შენობის ბიოველის შემოწმება, რადგან უარყოფითი ენერგიის განეიტრალება ყოველთვის ვერ ხერხდება, გაწმენდის შედეგად კი იცვლება ასეთ „მკვლელ“ სახლებში ან ოფისებში მომუშავეთა ბედისწერა. ამიტომაც მნიშვნელოვანია ექსტრასენსთა ვიზიტი იმის გამოსაკვლევად და დასადგენად, რისი ცოდნა და გათვალისწინებაც გვმართებს მშვიდი და ბედნიერი ცხოვრებისთვის.

## 7-13 მარტის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული –** არ ღირს გათელილი გზით სიარული, ეძებეთ არასტანდარტული მიდგომა, შეეცადეთ, პარტნიორი გააოცოთ. მოულოდნელი საჩუქრები და შეხვედრები ახალ ადგილებში თქვენს ურთიერთობას განაახლებს, დაგეხმარებათ დაიბრუნოთ დაკარგულ-მინავლული რომანტიკა. კვირა ბრწყინვალეა მეგობრებთან ერთად დასვენებისთვის. თუ საყვარელი ადამიანი ჯერ ისევ არ გყავთ, ასეთი ადამიანი შეიძლება სწორედ ახლა გამოჩნდეს. არ გაუშვათ შანსი!

სამსახური – სჯობს, დაისვენოთ, შვებულება აიღოთ, რათა საქმეებს აღდგენილი ძალებით დაუბრუნდეთ.

**სასიკეთო დღეები:** 21, 24 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 მარტი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული –** არ არის გამორიცხული, პარტნიორთან ურთიერთობა დაგეძაბოთ და მან საკმაოდ მძიმე ბრალდებებიც კი წაგიყენოთ. ნუ მიიტანთ ამ ყველაფერს გულთან ახლოს. თუ პარტნიორი შეეცდება, თქვენზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს, წაუყრუეთ, ნუ უპასუხებთ იმავე მეთოდით, თორემ სერიოზულ კონფლიქტს ვერ ასცდებით. იქნებ დაფიქრდეთ და ცოტა ხნით ერთმანეთისგან დაისვენოთ, რათა ურთიერთობა მივიწყებული ემოციებით შეივსოთ?

სამსახური – პერიოდი ხელსაყრელია თქვენი კარიერული და პროფესიული წინსვლისთვის. შრომა ფუჭად არ ჩაივლის.

**სასიკეთო დღეები:** 21 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 მარტი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული –** საზღვარგარეთ გამგზავრება რომანტიკული შინაარსით – აი, ის, რაც თქვენ ახლა ყველაზე მეტად გჭირდებათ. თუ ქვეყნის გარეთ ვერ გააღწიეთ, აქაც მშვენიერი სიურპრიზები გელით – სულაც არ არის გამორიცხული, „ის ერთადერთი“ იპოვოთ. დაწყვილებული და დაოჯახებული პარტნიორებისთვის ეს პერიოდი, ასევე, შესანიშნავია. მოკლედ, ეს კვირა მშვენიერია სიყვარულისა და რომანტიკისთვის და დატკბით ცხოვრებით.

სამსახური – მშვენიერი დროა ჯგუფური, კოლექტიური შრომისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 25 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 21 მარტი.

## 7-13 მარტის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული –** თქვენი მერყევი ხასიათი შესაძლოა, მთელი თავისი სიმძაფრით გამოვლინდეს და პირველ რიგში, ეს პირად ცხოვრებას შეეხება. დიდი ალბათობით, თავგადასავლებში გადაეშვებით, რაშიც ცუდი სულაც არაფერია, თუ თავისუფალი ხართ და პარტნიორს ეძებთ. აი, დაქორწინებულ სასწორებს ამ პერიოდში საკმაოდ გაუჭირდებათ, შეიკავონ თავი, რომ ცხოვრების თანამგზავრს არ უღალატონ.

სამსახური – ბიზნესში შედეგების მიღება საკმაოდ გაგიჭირდებათ. მოგიწევთ სარისკო ნაბიჯების გადადგმა. ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ!..

**სასიკეთო დღეები:** 26, 27 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 მარტი.

### ღრიანკალი 23.10-21.11



**სიყვარული –** პირად ცხოვრებაში მთავარი ახლა ის არის, ბუჩქებში არ დაიმალოთ და ყველაფერი საყვარელ ადამიანს არ გადააბრალოთ. არცთუ ისე კარგი მომენტია ურთიერთობების გასარკვევად. შეეცადეთ, იპოვოთ მიზეზი შერიგებისთვის და დაკარგული ურთიერთგაგების აღდგენისთვის. ვიღაცას დათმობა მოუწევს და თუ ეს ვიღაც თქვენ იქნებით, მშვენიერ შედეგს მიიღებთ. საერთო ჯამში, სიტუაცია დაძაბულია, თუმცა არა კრიტიკული.

სამსახური – არც ისე კარგი დროა პროფესიული ზრდისთვის. კოლეგებისგან და შეფისგან განსხვავებული აზრები გაგიჩნდებათ, რასაც თქვენს ცხოვრებაში დამატებითი დაძაბულობის გაჩენა შეუძლია.

**სასიკეთო დღეები:** 25 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 მარტი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული –** ახალი ადამიანების გაცნობისთვის არც ისე ხელსაყრელი დროა. ოჯახი წარსულში გადაუჭრელი პრობლემების მოგვარებას მოგთხოვთ და ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საკითხები კვლავ პირველ პლანზე გადაინაცვლებს. გარდა ამისა, საქმე ჯანმრთელობის მხრივაც არც ისე კარგადაა. მოკლედ, ამ კვირაში სიყვარულისთვის არც ისე დიდი დრო დაგრჩებათ.

სამსახური – მოგიწევთ, იზრუნოთ არა იმდენად შემოსავალზე, არამედ ვალების გადახდაზე, შეცდომების გამოსწორებაზე.

**სასიკეთო დღეები:** 26, 27 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 21 მარტი.

კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი...

# როგორ გადაარჩინა მფარველმა ანგელოზმა სიკვდილს რუსთაველის თეატრის მსახიობი?





მაია იასეშვილი
599 94-64-58

**ჩვენი რუბრიკის სტუმარია რუსთაველის თეატრის მსახიობი ბაჩო ჩაჩიბაია.**

**— ბაჩო, ვინც კარგად გიცნობთ, ყველა ამბობს თქვენზე, მეორედ დაიბადაო. არა მგონია, თქვენს ხელახლა დაბადებაში რეინკარნაციას გულისხმობდნენ, კლინიკური სიკვდილი გამოსცადეთ?**

– რამდენიმე წლის წინათ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიყავი და უფლის წყალობით გადავრჩი, ნამდვილად ხელახლა დავიბადე. მოულოდნელად ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, საკმაოდ გვიან რომ გავაცნობიერე. იმ წელიწადს, როცა ეს ამბავი შემემთხვა, მე და ჩემი მეუღლე (ახლა უკვე ყოფილი მეუღლე) ქობულეთში ჩავედით, სადაც ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში ვისვენებდით. არაჩვეულებრივ ოჯახში ვიყავით და თავს კარგად ვგრძნობდით. ერთ დღესაც მეგობრები შემხვდნენ ზღვაზე, მათთან ჯერ ვითამაშე და მერე ზღვაში შევედი. ძალიან შემცივდა და ასე შეციებული მეგობრებთან ერთად შევედი „კარაოკეში“. ვიცეკვეთ, ვიმღერეთ, ვიქეიფეთ და დილით რომ გავიღვიძე, თავი ველარ ავწიე, ოთახმა მოძრაობა დაიწყო, რამდენჯერმე გავიღვიძე და დავიძინე, როცა ბოლოს გამეღვიძა, თავზე თეთრხალათიანები მედგნენ. მივხვდი, სასწრაფოთი იყვნენ მოსულები. შემეკითხნენ, რა დაგემართაო, მოვინდომე ახსნა, მაგრამ ვგრძნობ, სიტყვას ვერ ვამბობ. სახის ერთი ნაწილი ერთ მხარეს წავიდა, მეორე კი – მეორე მხარეს. ვიგრძენი, რომ ძალიან ცუდად ვარ. გავხედე ექიმს, რომელიც შენელებული კადრივით გამორბის ჩემკენ. ექთანი ნემსით წამოვიდა, გამიკეთა და ყველაფერი დაწყნარდა. მერე აღარ მახსოვს, რა მოხდა. როცა გავიღვიძე, ბათუმის საავადმყოფოში ვიყავი. რაც მახსოვს, ის არის, რომ დედაჩემმა მითხრა, ხვალ თბილისში წავალთ და ყველაფერი კარგად იქნებაო. საკუთარი ოჯახის წევრების სახელებს ვერ ვიხსენებდი. ერთ-ერთი გაღვიძების დროს ჩემს თავთან იდგა პატარა ბიჭი, მოძღვარი და ლოცულობდა. როცა გავიღვიძე, სხვა მამაო და ეს ბიჭი ისევ ლოცულობდნენ. პალატაში ვიღაც ქალი შემოვიდა და თქვა, ახლა ილია შემოვაო და გავიდა. ნამდვილად არ მახსოვს, ეს მართლა მოხდა თუ ხილვა იყო. შვიდი ადამიანი შემოვიდა ჩემს პალატაში, მაგრამ მხოლოდ ერთადერთის სახელი გავიხსენე, ეს იყო უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, დამამშვიდა, ყველაფერი კარგად იქნებაო, ლოცვანი მაჩუქა და მითხრა, მე წავალ და შენთვის ვილოცებო. ოთახიდან რომ გადიოდა, მადლობა გადავუხადე. იმ დღიდან ყველაფრის გააზრება დავიწყე, ყველას სახელი გამახსენდა. ერთ დღესაც ვხედავ, წინ თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მიდის, მაგრამ ვერც მისი სახელი და გვარი გავიხსენე. ამ მოვლენიდან ერთი წლის შემდეგ კიევში ექიმთან ჩავედი და ვანახე ჩემი თავის ტვინის ტომოგრაფია, გაოცებულმა მკითხა, ეს ნამდვილად თქვენიაო? ასეთი მძიმე მდგომარეობის სამ თვეში გაუმჯობესება ყოვლად შეუძლებელი ყოფილა და თქვა, მსგავსი ცვლილებები ჩემს პრაქტიკაში არ დაფიქსირებულაო. ამის შემდეგ სულ სხვანაირად დავიწყე ცხოვრება, უსულო საგნებსაც კი პატივისცემით ვეპყრობოდი. ყველაფერს ცოცხლად აღვიქვამდი იმ პერიოდში.

**— ავადმყოფობის განვითარების რაიმე წინაპირობა ხომ არ გქონიათ?**

– თქვეს, მენინგიტიაო, მაგრამ ბოლომდე ვერ ადასტურებდნენ. ეჭვი ჰქონდათ, რომ რაღაცამ მიკბინა ან გამეჭრა, მაგრამ არც ნაკბენი და არც გაჭრილი არ მქონია, მხოლოდ წყალში შევედი, შემცივდა და მეტი არაფერი.

**— მიღმიერი სამყაროც ხომ არ გინახავთ?**

– მიღმიერი სამყარო არ მინახავს, მაგრამ იმ ქვეყნად რომ არსებობს რაღაც, ამაში დავრწმუნდი ჩემი უცნაური თავგადასავლის გამო, რის შემდეგაც მეორედ დავიბადე. უწმინდესს რომ შევხვდი, რამდენიმე ადამიანთან მოვყევი და შემპირდნენ, კვლავ შემახვედრებდნენ პატრიარქთან, ჩემით მისვლა მეუხერხულებოდა. ერთხელაც მოხდა ისე, რომ ერთ-ერთმა ახლობელმა მიმიყვანა პატრიარქთან, მივედი და მუხლებზე დავიჩოქე. მან ხელი დამადო და დამლოცა. მე ვუთხარი, ის ადამიანი ვარ, რომელსაც ხუთ პროცენტს აძლევდნენ გადარჩენის იმედს და თქვენ რომ მოხვედით, იმ დღიდან გამოვჯანმრთელდი, დღეს კი ცოცხალი ვარ და მინდა დიდი მადლობა გითხრათ-მეთქი. ამაზე უწმინდესმა ისეთი პასუხი გამცა, რომ კიდევ უფრო დიდი სასწაულის მომსწრე გამხადა. მან მითხრა, ის მე არ ვიყავი, ჩემი სახით შენთან მფარველი ანგელოზი იყო მოსულიო. ვერ მივხვდი, რა მეთქვა, ახლა ცრემლი მომდის ამ ამბის გახსენებაზე. როცა მეორედ დავქორწინდი, ჯვარი სამებაში დავიწერეთ, უწმინდესმა ხატი გვაჩუქა.

**— მიღმიერი სამყაროს არსებობის თუ გჯერათ?**

– რასაკვირველია, მჯერა. ისე უნდა ვიცხოვროთ ამ ქვეყანაში, რომ „იქ“ შესასვლელი გვქონდეს. რატომღაც მგონია, „იქ“ სასწაულები ხდება, „იქ“ წყდება ის, რის მიხედვითაც რომელ სასწაულში უნდა წახვიდე – ზესთასოფელში თუ იქ სადაც ყოფნასაც არავის ვუსურვებთ. აქ კი ყველაფრის შანსი გვაქვს, იქ როგორ დავმკვიდრდებით.

**— უცხო ცივილიზაციის არსებობაზე რას ფიქრობთ?**

– მაგაზე არ მიფიქრია, თუმცა არ გამიკვირდება, რომ არსებობდეს, არც რაიმე საშიშს ვხედავ ამაში. შეიძლება, არსებობდეს სხვა პლანეტა, სადაც სიცოცხლეა, მაგრამ მე ჩემს ქვეყანაში მირჩევნია (იცინის). როცა სასწაულებზე საუბრობენ, ჩემს თავგადასავალთან ყველაფერი მეპატარავება. არ მახსოვდა არაფერი, ერთადერთი, ვინც არ დამვიწყებია და სახეზეც ვიცანი, იყო პატრიარქი, რომელმაც დამლოცა. ამის შემდეგ გამეხსნა გონება და მივხვდი, ვინ ვინ იყო. ყველაფერი თავიდან ვისწავლე, თეატრში თამამად მივედი, რადგან თეატრის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. მას შემდეგ, რაც თავიდან დავიბადე, რამდენიმე სპექტაკლში ვითამაშე, მაგრამ, როცა მესამე წელი დაიწყო, ახლობლებმა მითხრეს, ისევ ის ბაჩო ჩაჩიბაია ხარო და მივხვდი, რომ მთელი ის პერიოდი სხვა პლანეტაზე ვიყავი და ჩემს ცხოვრებას დავუბრუნდი.





**„შესთავაზა, ჩემთან წამოდიო და გოგონაც დაეთანხმა. მეორე დღეს გამოგვიტყდა, თავის მოკვლას ვაპირებდი და თქვენ გადამარჩინეთო“**

**— უწმინდესის გარდა, სხვა დროსაც ხომ არ გიგრძვნიათ მფარველი ანგელოზის ძალა თქვენს ცხოვრებაში?**

– ღმერთი ხშირად გვაძლევს ისეთ შესაძლებლობას მფარველი ანგელოზის დახმარებით, რომ გადავდგათ ის ნაბიჯი, რაზეც არ გვიფიქრია. ერთ შემთხვევას გავიხსენებ. როცა მე და ჩემი მეუღლე შეყვარებულები ვიყავით, მეგობრებთან ერთად სანაპიროზე ვქეიფობდით და იქიდან წამოსულებს აზრად მოგვივიდა პატარა არყის ბოთლი გვეყიდა და თითო ჭიქა დაგველია. მოშორებით დავინახეთ ბიჭი და გოგო, რომლებსაც პოლიციელი ელაპარაკებოდათ. ვიფიქრე, იჩხუბეს და პოლიციელი ამშვიდებდათ. უცებ ჩემმა მეუღლემ თქვა, ამ გოგოს ვეტყვი, ჩემთან წამოვიდესო. მართლაც შესთავაზა, ჩემთან წამოდიო და გოგონაც დაეთანხმა. მეორე დღეს გამოგვიტყდა, თავის მოკვლას ვაპირებდი და თქვენ გადამარჩინეთო. პირადი პრობლემები ჰქონია, ტელეფონი დაუჯდა, აღარც ფულიც ჰქონდა სახლში წასასვლელად და სიკვდილის გარდა, აღარაფერი უნდოდა. მჯერა, რომ მისმა მფარველმა ანგელოზმა შთაგვაგონა მისი დახმარება. ასეთ სიტუაციაში ბევრჯერ ვყოფილვარ, მოვხვედრილვარ მაინცდამაინც იმ ადგილას, სადაც საჭირო ვიყავი და მერე ვაფიქსირებ, რომ იქ მფარველმა ანგელოზმა მიმიყვანა.

კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი...

## 7-13 მარტის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული –** დადგა დრო, განახორციელოთ დიდი ხნის წინათ დასახული გეგმები. ფორტუნა თქვენკენაა და პირად ცხოვრებაში ძალიან ბედნიერი პერიოდი დგება. თუ შემოქმედებითად აქტიური ხართ, ტალანტი მაქსიმალურად გამოავლინეთ, რადგან ეს ძალიან დიდ და დადებით როლს ითამაშებს საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში.

სამსახური – შეეცადეთ, მაქსიმალურად გაარეკლამოთ თქვენი ბიზნესი, საქმე, რათა კიდევ უფრო დადებითი შედეგები მიიღოთ.

**სასიკეთო დღეები:** 21, 23 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 მარტი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული –** დიდი ალბათობით, სიყვარული დროებით დაგავიწყდებათ. ოჯახში წარმოქმნილი პრობლემები მთელ დროს წაგართმევთ. კარგი იქნება, თუ ეს შეეხება სახლის მშენებლობას ან ბინის რემონტს. ბევრად ცუდია, თუ თქვენს მშობლებს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნებათ, რაც სავსებით მოსალოდნელია. ნაცნობობისთვის ეს პერიოდი არც ისე ხელსაყრელია.

სამსახური – კარგს იზამთ, თუ საკუთარი საქმის გაფართოებაზე იზრუნებთ. ამით მოგებული დარჩებით.

**სასიკეთო დღეები:** 21 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 მარტი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული –** ეს კვირა მისწრებაა ხანმოკლე ნაცნობობისთვის, მსუბუქი ფლირტისთვის, ცოცხალი ურთიერთობისთვის და მიმოწერისთვის. სერიოზული ურთიერთობა არც ერთ ნაცნობობას არ მოჰყვება, თუმცა, საერთო ჯამში, თავს გადასარევად იგრძნობთ.

ჰო, გაითვალისწინეთ, რომ მარტოობა ახლა თქვენთვის უკიდურესად არასასურველია. შეეცადეთ, აქტიური იყოთ და მოლოდინის რეჟიმში არ გადახვიდეთ. მოძრაობა და ურთიერთობა – აი, რა გჭირდებათ ახლა!

სამსახური – დიდ დროს დაუთმობთ მოლაპარაკებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გაგიმართლებთ.

**სასიკეთო დღეები:** 25 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 23 მარტი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მონაკოს ერთ-ერთი რაიონი
2. მომღერალი ... ნოულსი
3. მსახიობი გრეტა ...
4. ენათმეცნიერი ვახუშტი ...
5. ზღაპრის გმირი, მეთულუხჩე, ცნობილი იყო ქოშებით
6. ქალაქი ესპანეთში
7. მსახიობი ... ნიკოლსონი
8. პოეტი პაბლო ...
9. მდინარე სამხ. ამერიკაში
10. არგენტინული ცეკვა
11. თხელი ხმელი ნამცხვარი
12. რეჟისორი ანჯეი ...
13. დოსტოევსკის რომანი
14. ივნისის ხალხური სახელწ.
15. ძალიან ტკბილი ნივთიერება
16. მწერალი ასტრიდ ...
17. მსახიობი ჩარლი ...
18. ახალი წელი გურიაში
19. ჰუნების ბელადი
20. რუსული ხის თოჯინები
21. სახიდან თმის მოცილება
22. მონღოლი დიდებული
23. მწვრთნელი ჯოზეპ (პეპ) ...
24. რომეოსა და ჯულიეტას ქალაქი
25. მისი დედაქალაქია ტოკიო
26. კამბოჯის დედაქალაქი
27. რეჟისორი ... იოსელიანი
28. თამაში: ...-პონგი
29. ფუტკრის ნები, დინდგელი
30. მწერალი ჟიულ ...
31. მდინარე აღმ. საქართ.
32. ბიბლიური მოსეს ძმა
33. ნადულის სანელებელი
34. კუნძული ოხოტის ზღვაში
35. ძვ. ქართ. თამაში ქამრებით
36. ლუდხანა ინგლისში
37. აპრილის ძველი სახელწ.
38. ბეწვიანი ტყავის ქუდი
39. კომპოზიტორი ანტონიო ...
40. ყვავილების კონა
41. ის, ვინც წერილებს არიგებს
42. მ/ფ „... ქალაქში“
43. წელზე შემოწყობილი ხელები
44. ძალიან მცირე, პატარა მანძილი
45. ცხენებშებმული ტრანსპორტი
46. საფირმო ნიშანი
47. მისალმება მუხლის მოდრეკვით
48. ტყავის თხელი ფენა ბატის ფეხზე
49. ერთ-ერთი თითი
50. ... ძიდუნი
51. კუბის დედაქალაქი
52. მსახიობი ... მუტი
53. პოეტი ... იაშვილი
54. გემის ტუალეტი
55. ...-ქრისტიან ანდერსენი
56. მომღერალი ... ჯორხაძე
57. სამაგიდო თამაში
58. მ/ფ „... მზე“
59. მამალი ცხვარი
60. კილოგრამის მეათასედი
61. ფილოსოფოსი ფრიდრიხ ...
62. მსახიობი ია ...
63. მსახიობი მერილინ ...
64. სემი, ქამი და ...
65. თბილი დინება ატლანტის ოკეანეში
66. ანკესის დეტალი
67. ქალაქი როსტოვის ოლქში
68. თევზის ჯიში
69. ქურციკი
70. სოფელი რაჭაში
71. ბავშვის კბილი
72. იაპონური თეატრი
73. ჭავჭავაძე. „... ქვრივი“
74. სინი
75. ებრაული სალოცავი ტაძარი
76. განმუხტვა ღრუბლებში
77. მდინარე ინდოეთში
78. თურქეთის დედაქალაქი
79. სავარცხლიანი ფრინველი
80. მოზაიკის კერამიკის ნატეხი
81. ებრაული რიტუალ. ხმიადი
82. თვალის ფერადი გარსის ანთება
83. გედის ყელის ბუმბული
84. ტკბილი კარტოფილი
85. მთა აფრიკაში
86. მომღერალი ალანის ...
87. მსახიობი ვიაჩესლავ ...
88. მხედველობის ორგანო
89. მსახიობი ... ფაროუ
90. კავშირი, გაერთიანება
91. ნაჭუჭიანი ნაყოფი
92. ცურვის სტილი
93. არჩილ სულაკაური. „... თავგადასავალი“
94. ხერხემლის ძვალი
95. ქალის შიდა სამოსი
96. მათემატიკის ნაწილი
97. მ/ფ „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის ...“
98. რეჟისორი ელდარ ...
99. კვახი
100. სასიმინდე
101. ვაქცინაცია
102. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში
103. შენი ... და ჩემი კისერი
104. ჭკვიანური, ანუ ...
105. რაგბიში დადებული გოლი
106. ზღვა იტალიასთან
107. აბატი ფარიას ციხე
108. ავსული არაბულ ზღაპრებში
109. მხატვარი ედუარდ ...
110. ხასიათი
111. სოფელი ხაშურთან
112. პერსონა ...-გრატა
113. სპირალურად დახვეული მავთული
114. ლარნაკი
115. ქართ. ფილმი „... კუნძული“
116. ტყის მასივი, სადაც ხარობს ჟენშენი
117. რეჟისორი ... პარკერი
118. კლინტ ისტვუდი ფილმში „კარგი, „ცუდი, ...
119. მუხის ნაყოფი
120. ექიმი. აკეთებს ოპერაციებს
121. მზის ღმერთი ეგვიპტეში
122. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
123. მსახიობი ... ჰაიეკი
124. ქალაქი ...-ანჯელესი
125. ... ბურთი და ... მოედანი
126. ხის კენგურუ
127. მსახიობი ... უილისი
128. ტბა თბილისში
129. დასარტყამი საკრავი
130. ბისტი თვალზე
131. მომღერალი ... სებისკვერაძე
132. ვერცხლისწყლის ნაერთი
133. დიდი საოკეანო გემი
134. მსახ. სილვესტერ ...
135. ნაცია
136. მოედანი ძველ ათენში
137. ბერძნ. ანბანის პირველი ასო

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მეფედ კურთხევა
2. პირის გასაპარსი დანა
3. ქალაქი ყირიმზე
4. ოქროს თხელი ფენა ნაკეთობაზე
5. მოვლენა: ჩრდილოეთის ...
6. ჭადრაკის ფიგურა
7. მამათა დიდი მონასტერი
8. ახალი ზელანდიის ფრინველი მკვიდრი
9. საკვები, ანუ ...
10. იაპონური ალუბალი
11. უძველესი სახელმწ. წინა აზიაში
12. მწერალი ერიხ მარია ...
13. მზის სხივი
14. მტაცებელი ფრინველის ფრენა
15. სინდიოფალა
16. რძის პროდუქტი
17. მუზეუმი მადრიდში
18. მანქანა-ციბრუტი
19. ლატვიის დედაქალაქი
20. მომღერალი ... მარლი
21. მდ. სანკტ-პეტერბურგში
22. პოეტი დავით ...
23. მწერალი ლიონ ...
24. სია
25. ნორვეგიის სანაპირო ყურე
26. თბილისის უბანი
27. ჭამის სურვილი
28. პოეტების საკრებულო მთა
29. მსახიობი ... დანაუეი
30. ბოჭკოვანი მცენარე
31. მღრღნელი ცხოველი
32. სამხედრო გემი
33. საოპერო პარტია
34. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
35. „ვეფხისტყაოსანი" პერსონაჟი
36. კლავიშებიანი ინსტრუმენტი
37. სმენის ორგანო
38. ღირებულება
39. ფრანგი მხატვარი
40. სახელმწიფო სკანდინავიის ნახევარკუნძულზე
41. თეფში
42. ფრანგი კომპოზიტორი
43. თივის გროვა
44. მსახიობი სიუზენ ...
45. მტაცებელი თევზი ამაზონში
46. მომღერალი ... ლავინი
47. რადიოლოკატორი
48. ტაძარი კახეთში
49. წყლის ტრანსპორტი
50. ფსიქოლოგი ზიგმუნდ ...
51. ფეხბურთელი შოთა ...
52. სასვენი ნიშანი
53. „... ნუკრის ნაამბობი"
54. ტყავის ზოლი ფეხსაცმელზე
55. უპირველესი საქმე
56. ბუჩქი ყვითელი ყვავილებით
57. მოჭადრაკე ნონა ...
58. მსახიობი ... ეკბერგი
59. მისი დედაქალაქია ჰანოი
60. ავსტრიის დედაქალაქი
61. ფრინველის სამყვედავი
62. სათლი
63. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის შვილი
64. მსახიობი ... ჟირარდო
65. მაიმუნის სახეობა
66. ექსპრეზიდენტი ჯიმი ...
67. მწერალი ... ტოლსტოი
68. ვერდის ოპერა
69. რეჟისორი ... ჩოხელი
70. ბოსფორი, დარდანელი
71. მსახიობი ... ლიოტა
72. წიაღისეული
73. ზანგი, ანუ ...
74. მდინარე ინდოეთში
75. ... ულენშპიგელი
76. ძვირფასი ქვა
77. რეჟისორი ფრანკო ...
78. დახეული ნაჭრები
79. მწერალი ჟიულ ...
80. ნამუსი
81. მსახიობი ... დე ფიუნესი
82. მწერალი ... პრუსტი
83. მსახიობი არკადი ...
84. წახალისება
85. მომღერალი ეკა ...
86. მხ/ფ „... სასიძო"
87. რიცხვი ექვსი ნულით
88. მოდელი ... კროუფორდი
89. ხასიათები: ფლეგმატიკი, ქოლერიკი, სანგვინიკი და ...
90. მსახიობი დანიელ ...
91. უბედურების სიგნალი
92. მახრჩობელა გველი
93. მდინარე ზემო იმერეთში
94. ანტიკური საბერძნეთი
95. იტალიური მაკარონი
96. ლაშქარი
96ა. ბილიარდის ჯოხი
97. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
98. ნიავი
99. მეზღვაურის დამხმარე ბიჭი
100. ავტორბოლა
101. მონადირე ფოტოგრაფი
102. ერთაოზის მამა
103. იაპონური თეატრი
104. მომღერალი ... დოლინა
105. მსახიობი ლეა ...
106. ქალაქი დას. საქართ.
107. ინდური კაბა
108. მხ/ფ „ჩვენი ეზო" ჭიაურელი
109. თეთრი ვეშაპი: ... დიკი
110. ჟამი
111. ტროპიკული ნაყოფი
112. მსახიობი ... პაპასი
113. მგლის სირბილი
114. მსახიობი ... ელიავა
115. „ბერნარდა ... სახლი"
116. გამაგრილებელი სასმელი
117. ინფექციური დაავადება
118. მხ/ფ „... და მისი ძმები"
119. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
120. კიანუ რივზი ფილმში
121. თმის საშრობი ხელსაწყო
122. სპორტის სახეობა
123. დიზაინერი ჯორჯო ...
124. მეფის ვაჟი
125. ხელის საგრილებელი
126. სამიანი ნარდში
127. დაბა დუშეთის რაიონში
128. მდინარე საფრანგეთში
129. მსახიობი ... დელონი
130. მალაიზიის დედაქალაქი ...-ლუმპური
131. ... მორჩილაძე
132. ცელქი
133. აბატი ფარიას ციხე
134. მხატვარი კამილ ...
135. ინის საპირისპირო
136. ჰიპოკრატეს ...
137. სახელმწიფო აზიაში
138. შინაური ცხოველი
139. ბავშვის კბილი
140. სხვა ... არ ესვა მეფესა მართ ოდენ მარტო ასული
141. მსახიობი ვივიენ ...
142. საგალობელი ...-მარია
143. მანათობელი მწერი
144. ..., ესაო, მაგრამ არაო
145. ზადი, ხინჯი

პასუხები: 1. კორონაცია; 2. სამართებელი; 3. სევასტოპოლი; 4. ვარაყი; 5. ციალი; 6. პაიკი; 7. ლავრა; 8. მაორი; 9. სანოვაგე; 10. საკურა; 11. ურარტუ; 12. რემარკი; 13. ათინათი; 14. ირაო; 15. თრითინა; 16. დო; 17. პრადო; 18. ცენტრიფუგა; 19. რიგა; 20. ბობ; 21. ნევა; 22. გურამიშვილი; 23. ფოიხტვანგერი; 24. რეესტრი; 25. ფიორდი; 26. ელია; 27. მადა; 28. პარნასი; 29. ფეი; 30. ბამბა; 31. თაგვი; 32. კრეისერი; 33. არია; 34. ტატამი; 35. ტარიელი; 36. პიანინო; 37. ყური; 38. ფასი; 39. მილე; 40. ნორვეგია; 41. საინი; 42. ბიზე; 43. ზვინი; 44. სარანდონი; 45. პირანია; 46. ავრილ; 47. რადარი; 48. ალავერდი; 49. ნავი; 50. ფროიდი; 51. იამანიძე; 52. ტირე; 53. შვლის; 54. რანტი; 55. პრიორიტეტი; 56. იელი; 57. გაფრინდაშვილი; 58. ანიტა; 59. ვიეტნამი; 60. ვენა; 61. გალია; 62. ვედრო; 63. კრეოლი; 64. ანი; 65. გორილა; 66. კარტერი; 67. ლევ; 68. „რიგოლეტო"; 69. გოდერძი; 70. სრუტე; 71. რეი; 72. მადანი; 73. აფრო-ამერიკელი; 74. განგი; 75. ტილ; 76. იასპი; 77. ძეფირელი; 78. ძონძი; 79. ვერნი; 80. სინდისი; 81. ლუი; 82. მარსელ; 83. რაიკინი; 84. სტიმული; 85. მამალაძე; 86. უდიპლომო; 87. მილიონი; 88. სინდი; 89. მელანქოლიკი; 90. დარიე; 91. სოს; 92. ბოა; 93. ძირულა; 94. ელადა; 95. სპაგეტი; 96. სპა; 96ა. კიი; 97. მაკ; 98. სიო; 99. იუნგა; 100. რალი; 101. პაპარაცი; 102. მიზანა; 103. ნო; 104. ლარისა; 105. მასარი; 106. ზესტაფონი; 107. სარი; 108. ციცინო; 109. მობი; 110. დრო; 111. ბანანი; 112. ირენ; 113. ძუნძული; 114. ლია; 115. ალბას; 116. ბურახი; 117. გრიპი; 118. როკო; 119. მო; 120. „მატრიცა"; 121. ფენი; 122. ფრენბურთი; 123. არმანი; 124. პრინცი; 125. მარაო; 126. სე; 127. ფასანაური; 128. სენა; 129. ალენ; 130. კუალა; 131. აკა; 132. ანცი; 133. იფი; 134. კორო; 135. იანი; 136. ფიცი; 137. ლაოსი; 138. თხა; 139. კიჟი; 140. ძე; 141. ლი; 142. ავე; 143. ციცინათელა; 144. ისაო; 143. ნაკლი. იკითხება: ნარიყალა.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## კაცი, რომელიც 2749 წელში მოხვდა და უკან დაბრუნდა



ალ ბილეკი, რომელიც 1943 წელს ლეგენდარული ფილადელფიური ექსპერიმენტის მონაწილე გახლდათ, დროში საკუთარი მოგზაურობის შესახებ ყვება. ამერიკელის თქმით, მან 2137 წელს ექვსი კვირა იცხოვრა, ხოლო ორი წლით 2749 წელში მოხვდა.

მამაკაცმა 1943 წელს აღწერა მომავლის მოვლენები, რომლებიც დღეს უკვე რეალობად იქცა. ბილეკი ირწმუნება, რომ რვა ასწლეულის შემდეგ პლანეტაზე სოციალისტური წესრიგი დამყარდება სახელმწიფოს გარეშე, კლიმატურ ცვლილებებს კი კატასტროფული შედეგი ექნება.

1943 წლის 30 აგვისტოს ალი გემზე იმყოფებოდა, რომელიც იმავე დღეს გაქრა. მას შემდეგ, რაც ამერიკელმა სამხედროებმა ხომალდის მაგნიტიზმის შემცირება დაიწყეს, ბილეკმა გონება დაკარგა და 2137 წელს გაიღვიძა. იქ ექიმები მიღებული რადიაციისგან კურნავდნენ. ექიმები სინათლის ვიბრირებად ხელსაწყოს იყენებდნენ, რომელმაც პაციენტი სრულად გამოაჯანმრთელა.

აღმოჩნდა, რომ გლობალური კლიმატური ცვლილებები 2025 წელს დაიწყო და ჩვენი პლანეტა ამოუცნობ მდგომარეობამდე გარდაქმნა. მსოფლიო ოკეანის დონე იმდენად აიწია, ამერიკის შტატი ფლორიდა მთლიანად დაიტბორა. მდინარეები შეერთდნენ. ამერიკის ინფრასტრუქტურა განადგურდა.

2137 წელს, ბილეკის თქმით, ამჟამინდელი ამერიკის ტერიტორიაზე ლოკალური საომარი მდგომარეობაა, ამასთანავე, ამერიკის ცენტრალური მმართველობა აღარ იარსებებს.

ადამიანები შეძლებენ, ხელოვნური პოლუსის სტრუქტურა შექმნან, რომელიც შერეული მაგნიტური პოლუსების კატასტროფას აღმოფხვრის. კატაკლიზმების, მესამე მსოფლიო ომის და ახალი დაავადებების გამო პლანეტის მოსახლეობა 300 მილიონ ადამიანამდე შემცირდება.

მალე მესამე მსოფლიო ომი დაიწყება, სადაც რუსეთი და ჩინეთი ამერიკისა და ევროპის წინააღმდეგ იბრძვის. ეს უკანასკნელნი დამარცხდებიან, განსაკუთრებით ცუდ დღეში ამერიკა ჩავარდება, შტატები არსებობას შეწყვეტს. ამ ომში ბირთვულ იარაღს გამოიყენებენ, თუმცა ინოვაციური ტექნოლოგიები დედამიწის რადიაციისგან განთავისუფლებას მოახერხებენ.

ამერიკელი ირწმუნება, რომ შემდეგ 2749 წელში მოხვდა, სადაც მსოფლიო ოკეანეზე გადაადგილებადი ქალაქები ნახა. მსოფლიოს მართავდა კომპიუტერი, რომლის ინტელექტუალურმა შესაძლებლობებმაც მთელი კაცობრიობის ჯამურ ინტელექტს გადააჭარბა. განვითარდა ტელეპათია. სახელმწიფოები გაქრნენ, ხოლო ადამიანებმა, რომლებმაც განვითარების ახალ საფეხურს მიაღწიეს, ერთად ცხოვრება მოახერხეს. მსოფლიოს მოწყობის სტრუქტურა სოციალისტურია – ყველა ადამიანს ყველაფერი ჰქონდა, რაც სჭირდებოდა.

ალ ბილეკმა არ იცის, როგორ მოხვდა მომავალში და არც ის, როგორ მოახერხა უკან დაბრუნება. ბილეკის მონათხრობს ბევრი ცინიკურად უყურებს, თუმცა ის ყველას აფრთხილებს, რომ მომავლის შეცვლა შესაძლებელია, საჭიროა თავიდან ავირიდოთ გლობალური კონფლიქტები და მოვუფრთხილდეთ პლანეტას.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელმა შემთხვევით ცოლის 400-ათასიანი ბეჭედი გადააგდო



ზოგი განძს ეძებს და ზოგმა სად წაიღოს, არ იცის. ბერნი სკატერმა კი თავისი ცოლის 400 ათას დოლარად შეფასებული საქორწილო ბეჭედი ნაგავს გააყოლა.

გარემოს დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები თურმე ბერნის სახლთან ახლოს, თავის საქმე აკეთებდნენ, ბერნმაც შენიშნა და თავისთან მიიხმო, რათა კონტეინერში ქაღალდის ხელსახოცები ჩაეყარა. ერთ-ერთ ხელსახოცში კი 12.5-კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი აღმოჩნდა.

თურმე, ცოლმა ბეჭედი მოიხსნა და იქვე, სამზარეულოს მაგიდაზე დადო. რას იფიქრებდა, თუ ეს ბრდღვიალა ბეჭედი თავის ქმარს ნაგავში აერეოდა.

მოგვიანებით, წყვილმა იგრძნო, რომ რაღაც სახლში არასაკმარისი სინათლე იყო და აღმოაჩინეს, რომ ქალის ხელიდან ბრილიანტი აღარ ანათებდა. დაედევნენ ნაგვის მანქანას და ჰოი საოცრებავ, 25-წუთიანი ძებნის შემდეგ წყვილმა მოძულებული განძი დაიბრუნა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ არის სხვისი ცოლი უფრო ტკბილი?



დიდი ხნის წინ, ღმერთმა ათი ადამი გამოძერწა. ერთ-ერთი მათგანი მიწას ამუშავებდა, მეორე ცხვრებს მწყემსავდა, მესამე თევზაობდა.... ერთხელ, ათივე ადამი შემოქმედთან მივიდა თხოვნით:

– ღმერთო, თითქოს ყველაფერი გვაქვს, მაგრამ რაღაც გვაკლია. მოვიწყინეთ.

ღმერთმა მათ ცომი მისცა და უთხრა:

– თითოეულმა თქვენგანმა გამოძერწოს თავისი გემოვნების ქალი, ვისაც როგორი მოსწონს, ისეთი: სრული, გამხდარი, მაღალი, დაბალი... მე კი მათ სიცოცხლეს შთავბერავ.

ამის შემდეგ ღმერთმა გამოიტანა თასით შაქარი და თქვა:

- აქ შაქრის 10 ნატეხია. თითოეულმა აიღეთ თითო და აჭამეთ თქვენს ცოლს, რათა მათთან თქვენი ცხოვრება ტკბილი იყოს.

მართლაც ასე მოიქცნენ.

უცებ ღმერთი შეიჭმუხნა:

– თქვენ შორის ვიღაც მატყუარაა, რადგან თასზე შაქრის 11 ნატეხი იდო. ვინ აიღო ზედმეტი?

ყველა დადუმდა.

ღმერთმა წაართვა მათ ცოლები, ერთმანეთში აურია, შემდეგ კი ათივე ადამს არეულად დაურიგა.

მას შემდეგ ათიდან ცხრა მამაკაცი ფიქრობს, რომ სხვისი ცოლი უფრო ტკბილია,...რადგან რომელიღაცამ შაქრის ზედმეტი ნატეხი შეჭამა...და მხოლოდ ერთმა ადამმა იცის, რომ ყველა ქალი ერთნაირია, რადგან შაქრის ზედმეტი ნაჭერი თავად შეჭამა.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## „არ გაზარდოთ სწავლული ურჩხულები და ჭკვიანი ფსიქოპათები“ — ომგამოვლილი პედაგოგის დამაფიქრებელი წერილი კოლეგებს



ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ყველა მასწავლებელს, ვისაც სამსახურში იღებდა, ერთნაირ წერილს სწერდა. მართალია, წერილები მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან რამდენიმე წელიწადში დაიწერა, მაგრამ მათი შინაარსი დღესაც გასათვალისწინებელია ყველა ადამიანისთვის, ვისაც მომავალი თაობის აღზრდა ევალება. გთავაზობთ ამ წერილს:

„ძვირფასო მასწავლებელო!

მე საკონცენტრაციო ბანაკი გამოვიარე და ისეთი რამ ვნახე, რაც ადამიანის თვალს არ უნდა ენახა.

– ვნახე, როგორ აგებდნენ უნიჭიერესი ინჟინრები გაზის კამერებს.

– ვნახე, როგორ წამლავდნენ კვალიფიციური ექიმები ბავშვებს.

– ვნახე, დახელოვნებული მედდები როგორ ხოცავდნენ ახალშობილებს.

– ვნახე, როგორ ხვრეტდნენ და წვავდნენ უნივერსიტეტების წარჩინებული კურსდამთავრებულები ქალებსა და ბავშვებს.

ამიტომაც არ ვენდობი მხოლოდ განათლებულობას და გთხოვთ: დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. თქვენმა ძალისხმევამ სწავლული ურჩხულები, განათლებული ფსიქოპათები და ჭკვიანი მანიაკები არ უნდა წარმოშვას.

კითხვა, წერა, არითმეტიკა მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა ბავშვებს უფრო გაადამიანურებაში ეხმარება“.

*mshoblebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## საუდის არაბეთის მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ქალები... ძუძუმწოვრები არიან



ჯერ კიდევ გუშინ ამ ქვეყანაში ქალებს საყოფაცხოვრებო ნივთად აღიქვამდნენ, დღეს ისინი „დააწინაურეს“ და იმდენი უფლებები მისცეს, რომლებიც სხვა ქვეყნებში ცხოველებს აქვთ. საუდის არაბეთის მეცნიერთა კოლეგია საოცარ გადაწყვეტილებამდე მივიდა. მათ გადაწყვიტეს, რომ ქალი ძუძუმწოვართა რიცხვს განეკუთვნება და ამიტომაც იგივე უფლებები უნდა ჰქონდეს, როგორიც, მაგალითად, აქლემს ან თხას აქვს. „საუდის არაბეთის ამ „ანთროპოლოგიურ“ აღმოჩენას მთელ მსოფლიოში დასცინიან“, – წერს ფრანგული ჟურნალი. უფლებადამცველთა თქმით, ცოტა უფრო მეტი დროა საჭირო და ქალები, რაც მათ ეკუთვნით, ყველა უფლებას მიიღებენ.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 7 შვილის დაკარგვის შემდეგ, ამერიკელმა წყვილმა 5 ახალი გააჩინა



წყვილმა, რომელსაც 2011 წელს ხანძრის გამო 8 შვილიდან 7 დაკარგა, 2016 წლისთვის შვილების წინანდელი რაოდენობა თითქმის აღადგინა.

ჯანელ და ტედ კლუზებს ტრაგედიის შემდეგ 4 ბავშვი გაუჩნდათ და მეხუთეს ელოდებიან.

2011 წელს კლუზები თავიანთ ფერმაში მუშაობდნენ, როცა მოულოდნელად სახლს ცეცხლი გაუჩნდა და სახლში მყოფი ბავშვები კვამლით გაიგუდნენ. ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამოღწევა მხოლოდ 3 წლის ლეამ მოახერხა და მშობლებსაც ტრაგედიის შესახებ სწორედ მან გააგებინა.

„ასეთ შემთხვევას ვერასოდეს დაივიწყებ, მაგრამ წინსვლა უნდა გააგრძელო“, – განაცხადა ჯანელ კლუზმა. ჯანელი კითხვაზე, რამდენი ბავშვი ჰყავს, ყოველთვის პასუხობს, რომ 12.

ფერმერები ძველ საცხოვრებელ ადგილას დარჩნენ და შვილების ძველი რაოდენობის სრულად აღდგენას აპირებენ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ტყუპი დები, რომლებსაც საერთო ბოიფრენდი ჰყავთ




ტყუპი დები, 30 წლის ანა და ლუსი დეკინქუები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან, უყვართ ყველაფერი ერთნაირი და ეს სიყვარული იმდენად მძაფრია, რომ გოგონებს ბოიფრენდიც კი საერთო ჰყავთ.

„ჩვენ ადრეც გაგვინაწილებია ბოიფრენდები, მაგრამ წინა ბიჭებს ჩვენი სიახლოვის არ ესმოდათ. ბენი კი სულ სხვანაირია, ისიც ტყუპისცალია და ხვდება ჩვენს გრძნობებსა და სურვილებს“, – განაცხადეს ტყუპებმა ერთ-ერთ ავსტრალიურ ტელეშოუში.

ახლა ბენი გოგონებთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობს ტყუპების დედის სახლში და სამივენი ძალიან ბედნიერები არიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ გოგონებმა პლასტიკური ოპერაციებიც კი ზუსტად ერთნაირი გაიკეთეს.

*dorni.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩვენი პლანეტის ტემპერატურამ კრიტიკულ მაჩვენებლებს მიაღწია



მონაცემების მიხედვით, რომელიც „ნასამ“ დაადასტურა, 2016 წლის თებერვალი ყველაზე თბილი თვე იყო, რაც ოდესმე დაფიქსირებულა.

იანვართან შედარებით, რომელიც აქამდე ყველაზე თბილ თვედ იყო აღიარებული, თებერვალში ტემპერატურა ჩვეულ ტემპერატურაზე 0.2 გრადუსით მეტი იყო.

თებერვალში უჩვეულოდ თბილი ამინდები ძირითადად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და არქტიკაში იყო. ამ ტერიტორიებზე ბოლო ათასწლეულების განმავლობაში ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა.

2016 წლის თებერვალი 1,15-დან 1,4 გრადუსით უფრო თბილი იყო, ვიდრე საშუალო ამინდი თებერვალში.

ინდუსტრიული ერიდან, ანუ 1981 წლიდან, წინა წლის ოქტომბრამდე ტემპერატურა სულ 1 გრადუსით გაიზარდა, ხოლო ოქტომბრიდან დღემდე, ანუ სულ რაღაც ხუთი თვის განმავლობაში – უკვე 0,4 გრადუსით.

ეს მაჩვენებელი პლანეტის ბევრი რეგიონისთვის სავალალო შედეგების მომტანი იქნება. მაგალითად, არქტიკის ზოგიერთ ნაწილში ტემპერატურა ჩვეულებრივ მაჩვენებელზე 16 გრადუსით მაღალი იყო. პლანეტის ამ ნაწილში თებერვალი ყველაზე ცივი თვეა, მხოლოდ 2016 წელს ტემპერატურა 0-ზე ოდნავ მაღალი იყო. ტემპერატურის მსგავსი მაჩვენებლები ყინულის დნობასა და ოკეანეში წყლის დონის აწევას გამოიწვევს.

ტემპერატურის ამ ტემპებით ზრდა სხვადასხვა მიზეზების გამო ხდება. რა თქმა უნდა, ეს საუკუნეების განმავლობაში და ყველაზე მეტად მეოცე საუკუნეში ადამიანის მიერ მიყენებული ზიანის გამოვლინებაა. ბოლო ათწლეულებში დაგროვილი გლობალური დათბობის შედეგები ერთიანად იჩენს თავს და სწრაფ დათბობას იწვევს.

ამ მონაცემების გაანალიზებით საეჭვო ხდება გასული წლის დეკემბერში, პარიზის შეხვედრაზე შეთანხმებული კლიმატის ნორმები. პატარა კუნძულოვანმა ქვეყნებმა 2100 წლისთვის ტემპერატურის მატების მიზნად 1.5 გრადუსი დაისახეს, ხოლო თებერვლის მონაცემებით ამ ზღვარს 2016 წლის ბოლოსთვის მივაღწევთ.

მსგავსი სისწრაფით ტემპერატურის მატება, წარმოუდგენელი შედეგების მომტანი იქნება ადამიანისთვისაც და ბუნებისთვისაც. უკვე ყველა ერთხმად თანხმდება, რომ გლობალური საზოგადოების მთელი ყურადღება კლიმატის ცვლილებების შემცირებისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალური დათბობის კრიზისული მომენტი იმაზე ადრე დადგება, ვიდრე ნავარაუდევი იყო.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფსიქოლოგების ახალი დასკვნა — „ფეისბუკი“ შემეცნებით და მორალურ დაკნინებას იწვევს




„ჩატაობამ“ და სოციალური მედიის გამოყენებამ შესაძლოა, „შემეცნებითი და მორალური დაკნინება“ გამოიწვიოს, – ამტკიცებენ ახალი კვლევის ავტორები.

მკვლევარებმა აღმოაჩნეს, რომ ის ხალხი, ვინც ხშირად ჩატაობს ან სოციალურ მედიას იყენებს, ნაკლებად „მოაზროვნეა“ და „ნაკლებ მნიშვნელოვანი მორალური მიზნები“ აქვს ცხოვრებაში.

ტექნოლოგიური მწერალი ნიკოლას კარი პულიცერის პრემიაზე ნომინირებულ წიგნში „ზერელე ადამიანები“, განიხილავს შესაძლებლობას, რომ ინტერნეტი ცვლის „ჩვენი ფიქრის, კითხვისა და დამახსოვრების გზებს“.

მწერალს მიაჩნია, რომ ინტერნეტმა შეამცირა ადამიანის აზროვნება, რისი მიზეზიც ინტერნეტ-კომუნიკაციებისთვის დამახასიათებელი სისწრაფეა, რაც გამოიხატება მოკლე კომენტარებში, წერილებსა და პოსტებში, რაც დიდ დროს არ მოითხოვს.

„ზერელეობის ჰიპოთეზა“ ამტკიცებს, რომ „ინტერნეტთან მუდამ წვდომამ, მუდამ თან მქონე პორტატულმა მოწყობილობებმა და მათი საშუალებით სოციალურ მედიასთან წვდომამ დრამატულად შეამცირა ჩვენი ყოველდღიური აზროვნება“.

იდეა იმაში მდგომარეობს, რომ, რაც უფრო მეტად ვიყენებთ მოკლე და სწრაფ კომუნიკაციებს, მით უფრო ცოტას და სწრაფად ვფიქრობთ, რაც, თავის მხრივ, აზროვნების დაქვეითებას იწვევს.

უისკონსინის უნივერსიტეტის მიერ 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ 2 314 სტუდენტიდან, რომლებიც კვლევაში მონაწილეობდნენ, მათ, ვინც უფრო ხშირად ჩატაობდნენ, „ჰქონდათ ისეთი თვისებები, მიზნები და დამოკიდებულებები, რომლებიც ნაკლებ ინტერესიანი და ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი“.

კიდევ ერთმა სხვა კვლევამ აჩვენა, რომ ჩატაობა და სოციალური მედია მორალურ და კოგნიტურ დაკნინებას განაპირობებს.

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ ის ადამიანები, რომლებიც მეტად იყენებენ სოციალურ მედიას, უფრო ნაკლებად გონიერნი იყვნენ იმ პირებთან შედარებით, რომლებიც მას შედარებით იშვიათად იყენებენ.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## იაპონიაში ნინძის პოსტზე კონკურსი გამოცხადდა



თუ ბავშვობაში მულტფილმი „კუ ნინძები“ მოგწონდათ, იაპონიაში, აიტის პრეფექტურა შანს გაძლევთ, ოცნება აიხდინოთ და ნინძა გახდეთ.

2020 წელს ოლიმპიური თამაშები იაპონიაში ტარდება, ჰოდა, ადამიანი ნინძაც სწორედ ამისთვის სჭირდებათ, თანაც ქვეყანას არ ზღუდავენ და ნებისმიერ მსურველს, 18 წლიდან შეუძლია, ბედი სცადოს.

ნინძობის მსურველმა უნდა იცოდეს ინგლისური ენა, იაპონიის კულტურა და ისტორია, ფლობდეს საბრძოლო ხელოვნებას და იცოდეს იაპონური იარაღის, სიურიკენის მოხმარება, ცოტა აკრობატიკაშიც უნდა ერკვეოდეს, საცეკვაო ნაბიჯების აზრზე უნდა იყოს და ტურისტებთან ფოტოები უნდა გადაიღოს, სულ ესაა.

სამაგიეროდ, ყოველ თვე ხელფასის სახით 1600 დოლარს მიიღებს. დაფიქრდით ნინძობაზე, მეოცნებენო, ყირაზე დგომა და 1600 დოლარი თქვენია.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## უსახლკაროს პოლიციის დახმარებისთვის დააჯილდოებენ



პოლიციის დახმარებისთვის ბომჟი 100 ათას აშშ დოლარს მიიღებს.

უცხოური პრესის ინფორმაციით, კალიფორნიის ოლქ ორინჯის ხელისუფლება? სან-ფრანცისკოელ ბომჟ მეთიუ ჰეი-ჩაპმენს პოლიციისთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებისთვის, 100 ათას დოლარს გადაუხდის.

სწორედ ბომჟის ინფორმაციის საშუალებით მოხერხდა ციხიდან გაქცეული ორი პატიმრის დაკავება.

ინფორმაციის თანახმად, მეთიუ ჰეი-ჩაპმენმა ტელევიზიით ნანახი თეთრი ფურგონი, რომელშიც გაქცეული პატიმრები მოძრაობდნენ, ქუჩაში დაინახა და პოლიციას აცნობა. ამის შემდეგ, ფურგონს დაედევნა და პოლიციამ გაქცეული ბოროტმოქმედები დააკავა.

ორენჯის ოლქის ქალაქ სანტა ანას ცენტრალური ციხიდან სამი პატიმარი 22 იანვარს გაიქცა. ერთ კვირის შემდეგ პოლიციას ერთ-ერთ პატიმარი ჩაბარდა, ხოლო ორი პატიმარი ბომჟის ინფორმაციის შემდეგ დააკავეს.

სახელმწიფო ჯილდოს გატაცებული ფურგონის მეპატრონე და სუპერმარკეტის ორი თანამშრომელიც მიიღებენ, რომლებმაც პოლიციას გაქცეული პატიმრების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციისთვის ინფორმატორები 50 ათას დოლარს გაინაწილებენ.

საქმეში ტაქსის მძღოლიც ფიგურირებს, რომელიც პატიმრებს მძევლად 1 კვირა ჰყავდათ აყვანილი. თუმცა, ტაქსის მძღოლი არც კომპენსაციას მიიღებს და არც სახელმწიფო ჯილდოს.

*info9.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელმა მამაკაცმა მართვის მოწმობისთვის უჩვეულო ფორმაში ფოტოს გადაღების უფლება მოიპოვა




ჩემი ფოტო და მე, მინდა მელას დავემსგავსები და მინდა ჰიპოპოტამსო, ბრძანა ამერიკელმა ბიშოლმა და მტყუან-მართალის გარჩევის მიზნით სასამართლოს მიმართა.

საქმე ისაა, რომ ბიშოლი ამერიკელი ინდიელების ერთ-ერთი აღმსარებლობის მიმდევარია, რომლის თანახმადაც, ყველა ადამიანში რომელიმე ცხოველი ცხოვრობს და ამ ცხოველის გამოსახულებიანი ნივთიც უნდა ატაროს. ბიშოლის მეორე სახე კი მელა აღმოჩნდა. ჰოდა, მელას გამოსახულებიან ქუდს ატარებს.

როცა მართვის მოწმობის ფოტოს გადასაღებად მივიდა, არასერიოზული ქუდით ფოტოს გადაღების უფლება არ მისცეს. ბიშოლი აღშფოთდა, ადრე არსად შემქმნია პრობლემები, როცა მეკითხებოდნენ, ვუხსნიდი და ისინიც იგებდნენ, თანაც წინა მართვის მოწმობისთვის ამავე ქუდით გადავიღე ფოტო და ახლა რამ გადაგრიათო.

ავტოსატრანსპორტო ინსპექციამ, თავის მხრივ, თავი გაიგიჟა, ჩვენი სისტემის გამართული მუშაობისთვის აუცილებელია, რომ ხალხმა ფოტო ყოველგვარი ქუდების, სათვალეებისა და გვირგვინების გარეშე გადაიღონო.

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ეგრე არ უნდაო და ბიშოპმა სასამართლოს მიმართა. ცხრათვიანი სასამართლო პროცესის შემდეგ, ადამიან-მელას ქუდით ფოტოს გადაღების ნება დართეს.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## თურმე ადამიანი ხორცის დამსახურებით გახდა უფრო ჭკვიანი



ვეგეტარიანელებს დიდად არ მოეწონებათ ეს სიახლე, მაგრამ ხმა ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხმა სიმართლისაო – ძველებს უთქვამთ...

ჰოდა, ამ სიმართლის მღაღადებელმა პირებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანის ინტელექტის დონის გაუმჯობესება ხორცის დამსახურება ყოფილა.

თურმე ხორცი ტვინისთვის ერთობ სასარგებლო პროდუქტია და მეცნიერებისვე თქმით, ვეგეტარიანელები მასზე უარის თქმით, ბევრს კარგავენ. გარდა ამისა, ღმერთმა უწყის ხორცზე გადაჭრით უარის თქმა რას მოგვიტანსო.

ახლა თავად გაარკვიეთ ჭეშმარიტ დასკვნასთან გვაქვს საქმე, თუ ხორცის მწარმოებელი ქარხნების დაკვეთასთან.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რომელია მსოფლიოში ყველაზე უბედური ქვეყანა?



თურმე, მსოფლიოში ყველაზე უბედური ქვეყანა ბურუნდი ყოფილა, ყველაზე ბედნიერი კი – დანია.

დანიამ პირველობა შვეიცარიას ჩამოართვა, რის გამოც შვეიცარიამ მეორეზე გადაინაცვლა. ბედნიერი ქვეყნების ათეულში ისლანდია, ნორვეგია, ფინეთი, კანადა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ავსტრალია და შვეცია შევიდა.

ბურუნდი უკანასკნელ, 157 ადგილზე გავიდა, 156 და 153 ადგილებზე კი სირია და ავღანეთი იბრძვიან ბედნიერებისთვის.

ქვეყნების ბედნიერების ხარისხი ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნების მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველასთვის ყოველთვის ერთი დარი არ იქნება და როგორც შვეიცარიამ დაუთმო დანიას პირველობა, ისე შეუძლია სხვა ქვეყნებსაც მოწინავე ადგილებისთვის ასპარეზობა.

უცნობია, რომელ ადგილზეა საქართველო, მაგრამ ბურუნდის, სირიასა და ავღანეთს რომ უსწრებს, დიდი ნუგეშია.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძემ 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მხ/ფ „... ჭაბუკი“
2. მონწული ჭურჭელი
3. მწერალი ... ჭავჭავაძე
4. სავანის ბინადარი ცხოველი
5. ინდიელის ფეხსაცმელი
6. ბალეტის დასი სცენაზე
7. სამიანი ნარდში
8. მონეტების შემგროვებელი
9. ქრისტიანთა წმინდა თასი
10. მხატვარი კლოდ ...
11. მსახიობი ... ჰოფმანი
12. ისტორიიდან: მურვან ...
13. კავშირებითი სიტყვა
14. „მთვარის მოტაცება“ კაც ზვამბაიას ვაჟი ... ზვამბაია
15. სამაგიდო თამაში
16. მეტყველების ორგანო
17. ისტორიიდან: ლავრენტი ...
18. მიმდინარეობა მხატვრობაში
19. მისთვის ააშენეს ბაბილონის ბაღები
20. ის, ვინც სისხლს გასცემს
21. შტატი აშშ-ში
22. მსახ. ... ჯიგარხანიანი
23. ხმადაბალი ჟღერადობა
24. მაჯისცემა
25. მომღერალი ფრენკ ...
26. აცტეკების ბელადი
27. მხატვრის ფუნჯი
28. სასამართლოში ... მსაჯული
29. ცვარი
30. კარგი ქცევა, თავაზიანობა
31. ვერდის ოპერა
32. მართკუთხედში გავლებული ხაზი
33. მსახიობი ... შარიფი
34. ექსპრეზიდენტი რიჩარდ ...
35. თიხის ჭურჭელი სითხისთვის
36. კუნძული აფრიკასთან
37. ედუარდო დე ფილიპო. „... მარტურანო“
38. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
39. ყვავილი
40. ვაქცინაცია
41. მსახიობი კიანუ ...
42. ტბა უნგრეთში
43. ტბა პერუში
44. შენობა. ინახავენ ფულს
45. შენი ხმალი და ჩემი ...
46. მსახიობი ... რაიანი
47. რომის საფეხბ. კლუბი
48. თბილისის უბანი
49. ნივრების ასხმა
50. ძვ. სამგზავრო ეტლი
51. თეატრის კოლექტივი
52. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
53. მსახიობი ... მარტინი
54. კათოლიკური სასულიერო პირი
55. ესპანელი მხატვარი
56. ქალაქი ესპანეთში
57. ჩეხოვი. „... ვანია“
58. ხერხემლის ძვალი
59. მხ/ფ „... ღამეები“
60. „პერესტროიკის“ ავტორი
61. პოეტი მუხრან ...
62. იტალიელი მხატვარი
63. დათვის ნაშიერი
64. ავტომობილი „...-როისი“
65. მსახ. ... კალატოზიშვილი
66. იაპონელი თვითმკვლელი
67. გეომეტრიული ფიგურა
68. ნაცია
69. ტყის ფრინველი
70. ფიზიკოსი მაიკლ ...
71. ქართ. ხალხური სიმებ. საკრავი
72. გემის სახყობი
73. მედიკამენტი, ანუ ...
74. მსახიობი ... დევისი
75. ოპერის შესავალი ნაწილი
76. ლენონის ქვრივი
77. მწერი
78. ცხენების სადგომი
79. მწერალი ასტრიდ ...
80. სკოტი. „როб ...“
81. ქვეყნის მთავარი ქალაქი
82. წანაზარდი, განშტოება
83. ანბანი, ანუ ...
84. სასწავლო დაწესებულება
85. მწერალი ... კიზი
86. ნიშნავს ახალს
87. მერკურის ძველი სახელწ.
88. მსახიობი ... დავოლი
89. მოქანდაკე ოგიუსტ ...
90. მომღერალი ... კაკულია
91. მეტეოროლოგიური მოვლენა
92. გადაშენებული სპილო
93. მსახიობი ... სარალიძე
94. ლოტოს მსგავსი თამაში
95. მსახიობი ... ბუაძე
96. „გრაფი ...-კრისტო“
97. იაპონური თაიგული
98. ესპანელი დიდებული
99. მგალობელი ფრინველი
100. ათასი მილიარდი
101. აღორძინების პერიოდის ფერმწერი რაფაელ ...
102. პროფესორი ... მეტრეველი
103. ძვლების დაავადება
104. ფუტკრების სახლი
105. ხორცის ნაჭერი
106. ველური ცხენი
107. არგენტინული ჩაი
108. პარკოსანი მცენარე
109. დადგენილი მდგომარეობა
110. მსახიობი ... როტი
111. ტყის ფრინველი
112. მხატვარი ანრი ტულუზ-...
113. დასტინ ჰოფმანი ფილმში
114. თმის შეჭრის ფორმა
115. დღის დასაწყისი
116. მსახიობი ოდრი ...
117. „სწავლობს გიგლა ...“
118. იგავი
119. „დედოფალი მარგო“ ავტორი
120. დიდი სამხედრო შენაერთი
121. ბარდი ... ოკუჯავა
122. ასტრონომიის მუზა
123. დიდი ჩაქუჩი
124. მდინარე იტალიაში
125. რეჟისორი ... სკოტი
126. ვიეტნამის დედაქალაქი
127. უქონლობა თუთიყუში
128. ალბანეთის დედაქალაქი
129. ... კუზანოვი
130. ფაშვის წვნიანი
131. ისრაელის დედაქალაქი
132. მწყემსის მოსასხამი
133. მზის ღმერთი ეგვიპტეში
134. მსახიობი ... ოლდმენი
135. ბულგაკოვი. „ძაღლის გული“ პერსონაჟი
136. კედლის შანდალი
137. მტაცებელი ცხოველი სავანაში
138. მსახიობი მიკი ...
139. ანწლი
140. ხის კენგურუ
141. გემის ეკიპაჟის მეთაური

პასუხები: 1. საბუდარელი; 2. გოდორი; 3. ილია; 4. მარტორქა; 5. მოკასინი; 6. კორდებალეტი; 7. სე; 8. ნუმიზმატი; 9. გრაალი; 10. მონე; 11. დასტინ; 12. ყრუ; 13. რომ; 14. არზაყან; 15. ნარდი; 16. ენა; 17. ბერია; 18. იმპრესიონიზმი; 19. სემირამიდა; 20. დონორი; 21. ნევადა; 22. არმენ; 23. პიანო; 24. პულსი; 25. სინატრა; 26. მონტესუმა; 27. ყალამი; 28. ნაფიცი; 29. ნამი; 30. ზრდილობა; 31. „აიდა“; 32. დიაგონალი; 33. ომარ; 34. ნიქსონი; 35. დოქი; 36. მადაგასკარი; 37. ფილუმენა; 38. პან; 39. ჟასმინი; 40. აცრა; 41. რივზი; 42. ბალატონი; 43. ტიტიკაკა; 44. ბანკი; 45. კისერი; 46. მეგ; 47. „რომა“; 48. ავლაბარი; 49. გალა; 50. დილიჟანსი; 51. დასი; 52. გაბროვო; 53. სტივ; 54. მესა; 55. გოია; 56. ბარსელონა; 57. ძია; 58. მალა; 59. კაბირიას; 60. გორბაჩოვი; 61. მაჭავარიანი; 62. ტინტორეტო; 63. ბელი; 64. როლს; 65. ნანკა; 66. კამიკაძე; 67. წრეწირი; 68. ერი; 69. როჭო; 70. ფარადეი; 71. ფანდური; 72. ტრიუმი; 73. წამალი; 74. ჯინა; 75. უვერტიურა; 76. ონო; 77. ობობა; 78. თავლა; 79. ლინდგრენი; 80. როი; 81. დედაქალაქი; 82. მორჩი; 83. ანაბანა; 84. ინსტიტუტი; 85. კენ; 86. ნეო; 87. ოტარიდი; 88. ნინეტო; 89. როდენი; 90. ეთერ; 91. წვიმა; 92. მამონტი; 93. ტრისტან; 94. ბინგო; 95. ამირან; 96. მონტე; 97. იკებანა; 98. იდალგო; 99. იადონი; 100. ტრილიონი; 101. სანტი; 102. როინ; 103. რაქიტი; 104. სკა; 105. არტალა; 106. მონტე; 107. მატე; 108. მუხუდო; 109. სტატუსი; 110. ტიმ; 111. კოდალა; 112. ლოტრეკი; 113. „ტუტსი“; 114. კარე; 115. დილა; 116. ტოტუ; 117. ტიტინა; 118. არაკი; 119. დიუმა; 120. არმია; 121. ბულატ; 122. ურანია; 123. ურო; 124. პო; 125. რიდლი; 126. ჰანოი; 127. არა; 128. ტირანა; 129. ივა; 130. ხაში; 131. იერუსალიმი; 132. ნაბადი; 133. რა; 134. ჰარი; 135. შარიკოვი; 136. ბრა; 137. ლომი; 138. რურკი; 139. ავი; 140. ვალაბი; 141. კაპიტანი. იკითხება: ბარბრა სტრეიზანდი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



იმას გაუხმეს ხელი ვინც „ენთერს“ თითი დააჭირა და ეს კადრები ინტერნეტში ატვირთაო-ერთხმად გაიძახოდნენ საგანგებო „ტუსოვკაზე“ შეკრებილი ჟურნალისტები, თუმცა გულში სულ სხვა რამ აწუხებდათ: -ვითომ ის რით არის ჩემზე უკეთესი, რომ მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გამოამზეურეს და ჩემი არაო. ბოლოს და ბოლოს

1. ფაშისტური სიმბოლიკა; 2. რეჟისორი ალფონსო ...; 3. ფინური აბანო; 4. „მე ... ქართველი ვარ“; 5. ახალი ზელანდიის კვიდრი; 6. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში; 7. „... ვხედავ მზეს“; 8. მსახ. კრისტოფერ ...; 9. მუხის ნაყოფი; 10. ... სულაკაური; დამხვეცებულიო-ფიქრობდა ერთი; 11. პოეტი ... ბარტო; 12. მულტფილმი „... დამაცადე“; 13. მსახიობი როუენ ...; 14. მახრჩობელა გველი ამაზონში; 15. ურჩხული ჩინურ ზღაპრებში; 16. პატარა დამხმარე გემი; 17. ... კურდღლის მადევარი; 18. პერსონა ...-გრატა; 19. ექს-პრეზიდენტი რიჩარდ ...; 20. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი; 21. გემის მზარეული; 22. მსახიობი ... პეკი; 23. მხ/ფ „... სრული სვლით“; 24. მსახიობი ... აფლეკი; 25. „... ჩამოვიდნენ მთიდან“; 26. ... დედალამაზიშვილი; 27. ვიწრო გზა ტყეში;

-ეგ უგემოვნო, ეგ! განახათ ერთი რა ლიფჩიკი ეცვა. ალბათ



28. ... კუზანოვი; 29. „... ქუჩისაგან“;

ნაქონი იყო. ვიღას აცვია დღეს ეგ დენიკინის დროინდელი ლიფჩიკი. მე, გენაცვალე, ვიქტორია სიკრეტის მოდელებზე ნაკლები საცვლები არ მაცვია. მარტო ჩემი ქვედა საცვლის ყურება ღირს ერთ სიამოვნებად სხვა სიამოვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვა.- ფიქრობდა მეორე.

30. მსახ. ... სარაჯიშვილი; 31. საქრახისი რამ; 32. ვენეციელი მენავეების სიმღერა; 33. საოპერო პარტია; 34. ქიმიური ჭურჭელი; 35. სამშენებლო მასალა; 36. თვითმფრინავების სადგომი; 37. ძვირფასი ბეწვის ქვა;



-ფუჰ, ეს მოპარული ფრაზები მელოდრამიდან: „ჩემო კარგო, რა

38. რწყილი, ტკიპა, ბაცილინები; 39. დროშა; 40. მწერალი მაქსიმ ...; 41. პოეტი ... წერეთელი; 42. მსახიობი ნინო ... მოურავი;

-რა ბანძობაა!- ფიქრობდა მესამე

43. სახის ნაწილი; 44. ზრდადაუსრულებელი ქალიშვილი; 45. ნეჭყვიანი ნაყოფი; 46. ცივი იარაღი; 47. რუსი მხატვარი; 48. მდინარე გერმანიაში; 49. ტიგი „... ტიკი“; 50. სახოტბო ლექსი; 51. რიცხვი ექვსი ნულით; 52. ... ცვლები კარგად გვის; 53. ბალერი ული; 54. თეატრალების ქუჩა ნიუ-იორკში; 55. ... პუგაჩოვა; 56. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი; 57. რაფაელ ...; 58. მხარე საქართველოში; 59. იაზონის გემი; 60. ჰომეროსის პოემა; 61. მსახიობი ... პარიო;

ფრჩხილები აქვს. ზოგს როგორ დაუმსახურებლად გაუმართლებს ბედი. აბა, ჩემი ფრჩხილების ნახვა ერთ ფარულ ჩანაწერად ღირს.- ფიქრობდა მეოთხე

-შეხე-დე, რა



62. მწერალი არტურ კონან ...; 63. დასახლება ბათუმში; 64. რიცხვი 3,14; 65. მთითა სისტემა ... შანი; 66. სიმსივნის ფორმა; 67. მდინარე ჩრდ. ამერიკაში; 68. მსახიობი ... დე ფიუნესი; 69. მონზაის ნაჭები; 70. ქადრაკის ფიგურა; 71. რეჟისორი ... კუვალერიძე; 72. მსახიობი ... ჰარისი; 73. მხატვარი ... თოიძე; 74. ცნაბელი მხატვარი; 75. ბედი; 76. ფაშვის წვნიანი;



-ამის იქით

გარეშე ლოგინში არ ჩავწვები. რა იცი როდის გადაგიღებენ.- ფიქრობდა მეხუთე

77. ფრინველი თიდიურის ლეგენ-დიდან; 78. ვიოლინის ჯვარი; 79. კვამლი; 80. შენობის ჩონჩხი; 81. მდინარე კახეთში; 82. ხერხემლის ძვალი; 83. მსახიობი ერიკ ...; 84. კომპოზიტორი ... კალმანი; 85. რას აგროვებს ფილატელისტი; 86. ... პოპინსი; 87. მეგობიოლოგი ვანესა ...; 88. ზამბახი; 89. ევკადიპტის დედაქალაქი;

-რა უპასუხისმგებლობა, გამოდის რომ საწოლი გარნიტურის



90. შხამიანი გველი; 91. „...-დე-ჟანეირო“; 92. რეპტილია;

უფასოდ გავაკეთე?- ფიქრობდა მეექვსე

93. ... ცეცხლის ფუა; 94. სცოტი „... როი“; 95. მოკრივე კასიუს ...; 96. ღრმული წყნარ ოკეანეში; 97. ჯარა; 98. ბანდიროლი; 99. წყლის სამგზავრო ჭურჭელი;



ამ დროს კი ერთი კაცი ლუდის ბოთლებს იყო ამოფარებული და თავისთვის ფიქრობდა: -იმ კაცის ხელმა იხაროს, ვინც „ენთერს“ თითი დააჭირა და ეს კადრები ინტერნეტში ატვირთა, ცოტა ხანი მაინც აღარ ვიქნები პროგრამაში და ჩემს

100. ერნესტო ... გევარა; 101. ხელის საგრილებელი; 102. ერთუჯრედიანი ორგანიზმი; 103. ღამის ფრინველი; 104. კუბის დედაქალაქი; 105. საყვავილე; 106. ქართ. ანბანის ბოლო ასო; 107. ცხვრის ბარტყი; 108. დღესასწაული, ... ზეიმი; 109. ხასიათი; 110. ტური; არ იქილიკებენო

პასუხები: 1. სვასტიკა; 2. არაუ; 3. საუნა; 4. პატარა; 5. მაორი; 6. მემ; 7. მე; 8. რივი; 9. რკო; 10. ზაალ; 11. აგნია; 12. აბა; 13. ატკინსონი; 14. ანაკონდა; 15. დრაკონი; 16. ბარკასი; 17. ორი; 18. ნონ; 19. ნიქსონი; 20. ლილუ; 21. კოკი; 22. გრეგორი; 23. „ორერა“; 24. ბენ; 25. ისინი; 26. გიგი; 27. ბილიკი; 28. ივა; 29. ვაი; 30. ნანული; 31. აუგი; 32. ბარკაროლა; 33. არია; 34. კოლბა; 35. კირი; 36. ანგარი; 37. აყიყი; 38. პარაზიტი; 39. ალამი; 40. გორკი; 41. აკაკი; 42. თარხან; 43. ყბა; 44. ვარია; 45. თხილი; 46. ხმალი; 47. რერიხი; 48. რაინი; 49. კონ; 50. ოდა; 51. მილიონი; 52. ახალი; 53. საზამთრო; 54. ბროდვეი; 55. ალა; 56. ახალუხი; 57. სანტი; 58. სვანეთი; 59. „არგო“; 60. „ილიადა“; 61. ან; 62. დოილი; 63. გონიო; 65. პი; 65. ტიან; 66. კისტა; 67. მისისიპი; 69. ლუი; 69. სმალტა; 70. პაიკი; 71. ეჟი; 72. ედ; 73. მოსე; 74. გოია; 75. სვე; 76. ხაში; 77. ხოხობი; 78. ხემი; 79. ბოლი; 80. კარკასი; 81. იორი; 82. მალა; 83. ბანა; 84. იმრე; 85. მარკა; 86. მერი; 87. მეი; 88. ირისი; 89. კიტო; 90. კობრა; 91. რიო; 92. კუ; 93. ორ; 94. რობ; 95. კლეი; 96. მარიანი; 97. ჩარხი; 98. ამანათი; 99. მათარა; 100. ჩე; 101. მარაო; 102. ამება; 103. ბუ; 104. ჰავანა; 105. ვაზა; 106. ჰაე; 107. ბახალა; 108. ზარ; 109. ზნე; 110. ბაგე. იკითხება: „კამა-სუტრა“. ბებიამისის. მაგარი იყავი. დაკვნეტილი. მაკიაჟის. რეკლამა. გამონათქვამებზე.



– მე მგონი, მალე პატარა ბავშვი გვეყოლება.

– რას ამბობ, ქალო? რაღა დროს შენი ბავშვია.

– მე რას მიყურებ, აგე ჩვენს 20 წლის გოგოს შეხედე.

*****

– კოტე, არაყს დალევ?

– არაყს მარტო დღესასწაულზე ვსვამ.

– რომელ დღესასწაულზე?

– როცა არაყს ვიშოვი, მაშინ მაქ დღესასწაული.

*****



– ქალი მესიზმრება ერთი კვირა, ტანი მსხალივით გამოყვანილი აქვს, მკერდი ნესვივით, თვალები მაყვალივით შავი, ტუჩები მარწყვივით. რას უნდა ნიშნავდეს? ალბათ, სიყვარული თუ მეწვია...

– სიყვარული კი არა, ავიტამინოზი გექნება, წადი, ხილი და ბოსტნეული მიირთვი ყოველდღე და გაგივლის.

*****

– ჯემალ, წამო სათევზაოდ წავიდეთ.

– აზრი არ აქვს დღეს თევზაობას.

– რატომ?

– რატომ და ჰოროსკოპში ეწერა, თევზებისთვის იღბლიანი დღე იქნებაო.

*****



გუშინ მე და ჩემმა პატარა გოგომ კატა დავხატეთ, დილით ასეთივე კატა ვნახეთ სახლის კარების წინ, დღეს ვფიქრობ, დიდ სახლს დავხატავ ზღვასთან ახლოს და გვერდით ახალ მანქანას მივუხატავ.

*****

– ბავშვებო, დღეს გვექნება საკონტროლო წერა.

– მასწავლებელო, შეიძლება კალკულატორის გამოყენება?

– კი, შეიძლება.

– სახაზავის?

– კი, ბატონო, თუ გნებავთ, ფარგალიც გამოიყენეთ.

– თემა რა გვექნება?

– რა და ‘ვეფხისტყაოსანი“, ავთანდილის ანდერძი.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინეთში, ოჯახური ფასეულობებისთვის ზიანის მიყენების გამო, სერიალების ჩვენება აიკრძალა



სერიალები და პროგრამები, რომლებიც ტელევიზიით გადის, არ უნდა შეიცავდეს სცენებსა და სიუჟეტებს, რომლებიც დაკავშირებულია შემთხვევით და ქორწინების გარეშე ნებისმიერ ურთიერთობებთან.

ასევე ერთსქესიან „ურთიერთობებთან“ და მოზარდებს შორის სექსუალურ ურთიერთობებთან – ნათქვამია ჩინეთის სატელევიზიო კომიტეტის მიერ, რომელიც რადიო, კინო და მაუწყებლობას და ასევე, ტელე-დადგმების ინდუსტრიის სატელევიზიო ასოციაციას აერთიანებს.

ამ ინსტრუქციის მიხედვით, სატელევიზიო გადაცემებში არ უნდა ფიგურირებდეს „არატრადიციული სქესობრივი ურთიერთობები და სექსუალური ქცევები“. – იუწყება ShanghaiDaily.com. ასევე, იკრძალება ქორწინების გარეშე ურთიერთობების დემონსტრირება. „ოჯახური ფასეულობებისთვის ზიანის მიყენება“ დაუშვებელია. დოკუმენტი მოიცავს, ასევე, იმ სიუჟეტების აკრძალვასაც, რომელიც ჯადოქრობასთან და რეინკარნაციის იდეებთანაა დაკავშირებული.

სასტიკი დანაშაულის სცენების ამსახველი კადრების ჩვენება და, ასევე, სიუჟეტების, რომლებიც აღწერენ დეტალურ კრიმინალურ გამოძიებას, დაუშვებელია, როგორც დანაშაულის მაპროვოცირებელი კადრები.

ინსტრუქციის თანახმად, ასევე, იკრძალება ტელევიზიით ისეთი ქცევითი მოდელების დემონსტრირება, რომლებსაც შეუძლიათ არასრულწლოვნებისთვის ზიანის მიყენება – როგორიცაა „სასიყვარულო“ სცენები მოზარდებს შორის, მოწევა, ალკოჰოლის გამოყენება, ჩხუბი და სხვა....ეს ინსტრუქცია ვრცელდება, ასევე, ონლაინ-მაუწყებლობაზეც, რომლიც 24 საათის განმავლობაში უფრო მკაცრად გაკონტროლდება.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...



## აი, რატომ ვკრთებით მოულოდნელად ჩაძინების დროს

ზოგჯერ, როდესაც ტკბილად ჩაგვეძინება, ჩვენი სხეული მოულოდნელად კრთება და გვეღვიძება. დაფიქრებულხართ, რატომ ხდება ეს?

ეს თითქმის ყველა ადამიანს გამოუცდია. მისი ერთმნიშვნელოვნად ახსნა რთულია, მეცნიერები ჯერ კიდევ ცდილობენ ამ მოვლენის ბოლომდე ახსნას. ამ ფენომენს ჰიპნაგოგიური მდგომარეობა ეწოდება.

ხშირად ამის მიზეზი შემდეგია: როდესაც ძალიან გადაღლილს ძალიან სწრაფად ღრმად გვეძინება.

ძილის დროს ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო მოქმედებები ნელდება, სისხლის წნევა ეცემა და მთელი ძილის განმავლობაში დაბალ მაჩვენებელზე რჩება.

ორგანიზმი ვერ ახერხებს შემზადებას სხეულში სწრაფი ცვლილებებისთვის, ამიტომ სწრაფ ჩაძინებას და პროცესების შენელებას სხეული ზოგჯერ „სიკვდილად“ თვლის.

სასიცოცხლო მაჩვენებლების შემცირება უბიძგებს თავის ტვინს, რომ რეაგირება მოახდინოს ამ ყველაფერზე, რეალურად გონება მიიჩნევს, რომ რომელიმე ორგანომ შეწყვიტა ფუნქციონირება.

თუმცა, ეს ამ მდგომარეობის ერთ-ერთი ახსნაა, ზოგჯერ მიზეზი ეს სულაც არაა. ჰიპნაგოგიურ მდგომარეობაში სხეული სხვა შემთხვევებშიც ვარდება. მაგალითად, ცუდი და საშიში სიზმრის დროს.

ჰიპნაგოგიური მდგომარეობის მიზეზი შეიძლება ძილის ნაკლებობა, სტრესი და ქრონიკული უძილობა გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ საშიში ამაში არაფერია, უბრალოდ, ზოგჯერ საჭიროა ჩვენი სხეულის სიგნალებს ყურადღება მივაქციოთ და მათ გამომწვევ მიზეზებს ჩავუღრმავდეთ.

***aww.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ უღებენ ფოტოს საკუთარ საკვებს ადამიანები?



ალბათ, სხვადასხვა სოციალურ ქსელში ხშირად გინახავთ, რომ ადამიანები საკუთარი ხელით მომზადებული საკვების ფოტოებს აქვეყნებენ. აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტი, მხოლოდ ამ ადამიანების უსაქმურობით არ აიხსნება.

თურმე, ფოტოს წყალობით საკვები უფრო გემრიელი ჩანს და ავტორიც უფრო მადიანად სადილობს.

გამოკითხულთა 90-მა პროცენტმა დაადასტურა, რომ ფოტოს წყალობით უფრო მოდიოდნენ მადაზე.

მეცნიერების თქმით, აღნიშნული ფაქტი იმის დამსახურებაა, რომ ადამიანს ვიზუალით ტკბობის უნარი აქვს, რაც, ბუნებრივია, სადილის გემოზეც მოქმედებს.

ასე რომ, ფოტოს გადაღება ადამიანს პოზიტივს ჩუქნის და ნუ დაგეზარებათ საკუთარი ნახელავის აფიშირება.

***myjane.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## მეცნიერები: წყალი კვებაზე დიდ გავლენას ახდენს



– რა გავლენას ახდენს წყალი და ბოსტნეული ადამიანის კვების რაციონზე? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის მოძიება სცადეს ამერიკელმა მეცნიერებმა და საკმაოდ საინტერესო შედეგებიც მიიღეს.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკის ადამიანებმა: 3-5 წლის ბავშვებმა, 19-23 წლის ახალგაზრდებმა და პენსიონერებმა. რამდენიმე დღის მანძილზე მოხალისეებს სხვადასხვა მენიუს სთავაზობდნენ, რომელშიც ბოსტნეული და სასმელები შედიოდა.

ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლამდელი ბავშვები, რომლებიც სტაფილოსა და ტკბილ წიწაკას მიირთმევდნენ, უპირატესობას ანიჭებდნენ ჩვეულებრივ წყალს, ვიდრე ტკბილ სასმელებს. მათზე უფროსებისთვის კი სასმელი წყალი ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა.

ყველაზე მთავარი დასკვნა, რომელიც მეცნიერებმა ამ კვლევიდან გამოიტანეს, არის ის, რომ კალორიული საკვებისა და ტკბილი სასმელების რეგულარული მიღება ადამიანის ორგანიზმის გაუწყლოებას და როგორც შედეგი, გასუქებას, შაქრიან დიაბეტსა და შესაბამისად, ძალიან დიდ პრობლემებს იწვევს. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, მიჩიგანის უნივერსიტეტის სპეციალისტები აპირებენ, ჩვეულებრივი სასმელი წყლის პროპაგანდის არნახული მასშტაბების მქონე კამპანია წამოიწყონ.

***wordscience.org***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მილიარდერი, რომელიც ფულის დაზოგვის მიზნით, მეორად ტანსაცმელს იცვამს და თმას იშვიათად იჭრის



მულტინაციონალური კონცერნის Ikea-ს დამფუძნებელი, ინგვარ კამპრადი ამბობს, რომ იგი ფულის დაზოგვის მიზნით, მეორად ტანსაცმელს ყიდულობს.

90 წლის მილიარდერის თქმით, სწორედ მისი ხელმომჭირნეობის დამსახურებაა ის, რომ Ikea დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ბრენდია.

„არ მგონია, რამე ისეთ ტანსაცმელს ვიცვამდე, რაც ძველმანების ბაზრობაზე არ მიყიდია. ამით მინდა, რომ კარგი მაგალითი ვიყო სხვებისთვის“, – აღნიშნა კამპრადმა.

ამასთანავე, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი ამბობს, რომ ის არც თმის შეჭრაში იხდის ბევრს:

„ძირითადად, ვცდილობ, თმა მაშინ შევიჭრა, როდესაც განვითარებად ქვეყანაში ვარ. მაგალითად, ბოლოს ვიეტნამში ვიყავი, სადაც თმა შევიჭერი“, – აღნიშნა კამპრადმა წლების წინათ ერთ-ერთ შვედურ გამოცემასთან ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ იმის გამო, რომ შვედეთში მაღალი გადასახადები თავიდან აეცილებინა, 40 წელი შვეიცარიაში ცხოვრობდა.

კამპრადი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში მე-9 ადგილს იკავებს. მისი ქონება 41.2 მილიარდ დოლარს შეადგენს.

***bpn.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ბოსტნეულს... ლაპარაკი შეუძლია



მთლად ტელეფონებით რომ ურთიერთობდნენ, არა, მაგრამ ერთმანეთში საუბარი, თურმე, არც ბოსტნეულისთვის ყოფილა უცხო.

ბრიტანელმა ბიოლოგებმა ექსპერიმენტი კომბოსტოზე ჩაატარეს. კერძოდ, მათ ლაბორატორიის ტერიტორიაზე დარგულ ბოსტნეულს პატარა ნაწილი გაუჭრეს, რის შემდეგაც კომბოსტომ გაზი გაუშვა და ამით დაუზიანებელი ნაწილები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გააფრთხილა. თავის მხრივ, მათაც აამუშავეს შიდა მექანიზმები: ბიოქიმიურ ბალანსში სასწრაფოდ ტოქსიკური ნივთიერებების კონცენტრაცია გაზარდეს, რომლებითაც ჩვეულებრივ, მავნებლების მოგერიება ხდება.

ექსპერიმენტის ხელმძღვანელის განმარტებით, სწორედ ეს გაზია მცენარეების „სასაუბრო ენა“, რადგან სწორედ მისი დახმარებით ხდება გარშემომყოფი „მოძმეების“ გაფრთხილება.

***pronovosti.ru***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მშობლებს სთხოვეს, ბავშვებს ტუჩებში არ აკოცონ!



ბავშვთა ფსიქოლოგი შარლოტა რეზნიკი მიიჩნევს, რომ ბავშვებისთვის ტუჩებში კოცნა არც ერთ ასაკში არ ღირს, რადგან ამან შესაძლოა, ბავშვის ადრეული სექსუალიზაცია გამოიწვიოს.

„თუ თქვენ ბავშვს ტუჩებში კოცნით, როდის გეგმავთ ამის შეწყვეტას? როდესაც ის გახდება ოთხის, ხუთის, ექვსი წლის? როდესაც დაიწყება სექსუალურობის გამოვლინება და ტუჩებში კოცნამ შეიძლება ზედმეტად გაამძაფროს ეს გრძნობა?

იმისთვის, რომ თქვენი სიყვარული შეიგრძნოს, ლოყაზე ან შუბლზე კოცნა საკმარისია. ტუჩები – ეს სულ სხვაა, მასში ბევრი ნერვული დაბოლოებაა და ისინი ძალიან მგრძნობიარეა. არ დაივიწყოთ, რომ ტუჩები ეროგენული ზონაა და კოცნის დროს თავის ტვინში „ბედნიერების ჰორმონი“ გადმოიფრქვევა – სეროტონინი და ოქსიტოცინი – რაც აგზნებასთანაა დაკავშირებული. მართალია, პატარები ამას ვერ ხვდებიან, მაგრამ მოზარდებში ამ ყველაფრის სტიმულირება ხდება, – აღნიშნავს რეზნიკი და დასძენს: ასეც რომ არ მოხდეს, ბავშვზე რაღაც კვალს მაინც ტოვებს. როცა დედა კოცნის მამას ტუჩებში და პირიქით, ეს ბავშვებს ყურადღების მიღმა არ დარჩებათ. როცა თავად მათ კოცნიან, გარკვეულ პარალელებს ავლებენ სასიყვარულო მომენტებთან, რომლებსაც ტელევიზორშიც ხშირად ხედავენ“.

ზოგიერთი ფსიქოლოგი არ ეთანხმება უცხოელი კოლეგების მოსაზრებას:

„ბავშვის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელია მშობლების მხრიდან სითბო და სიყვარული. ღიმილი, ჩახუტება, კოცნა – ბავშვისთვის მნიშვნელოვანია. გაიხსენეთ, ბავშვობაში როდესაც რაიმე გვეტკინებოდა, დედა კოცნიდა იმ ადგილს და თითქოს ტკივილი მაშინვე ქრებოდა. რაც შეეხება ტუჩებში კოცნას, ამაზე ნერვიულობა არ ღირს. დიახ, ბავშვს აქვს ეროგენული ზონები, მაგრამ თქვენი კოცნა ნამდვილად არ აღაგზნებს მას დროზე ადრე. მოიქეცით ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ. თქვენ ხომ მისი მშობელი ხართ. ნებისმიერ შემთხვევაში თქვენი სითბო, ჩახუტება და კოცნა ბავშვისთვის აუცილებელია. ამიტომ არ შეშინდეთ, მოეფერეთ ჩაკოცნეთ და ჩაეხუტეთ თქვენს შვილებს“. – აცხადებენ ოპონენტები.

*mshoblebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ადამიანი საკვების მიღებიდან 3 საათში სუქდება



როგორც აღმოჩნდა, არცთუ დიდი დროა იმისთვის საჭირო, რომ ადამიანმა ზედმეტი კილოგრამები აკრიფოს.

სპეციალისტების განმარტებით, ადამიანის ცხიმოვანი ფენების ცვლილება საკვების მიღებიდან 3 საათში იწყება.

კვლევებმა აჩვენა, რომ პირველ რიგში, ცხიმები წელის მიდამოებში გროვდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი აგრძელებს დიდი რაოდენობით საკვების მიღებას, ცხიმები უკვე სხეულის სხვა ნაწილებშიც ინაცვლებს.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ცხიმი სისხლის ნაკადში საკვების მიღებიდან უკვე ერთ საათში ხვდება და მისი უდიდესი ნაწილი ცხიმოვან ქსოვილებს ემატება.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ წელი – ცხიმების შენახვის დროებითი ადგილია და იქიდან მისი მოშორება გაცილებით ადვილია, ვიდრე თეძოებიდან ან ბარძაყებიდან.

*kazakh-zerno.kz*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## პინგვინს ყოველ წელს 8000 კილომეტრის გადაცურვა უხდება, რომ ადამიანს შეხვდეს



პინგვინები რომ მგრძნობიარე ფრინველები არიან, ცნობილია. აღმოჩნდა, რომ მადლიერების გამოხატვაც განსაკუთრებულად შეძლებიათ.

პინგვინის მადლიერების მოწმე და ადრესატია ბრაზილიელი ჟოაო პერეირა სოუზი, რომელმაც 2011 წელს, რიო-დე-ჟანეიროში, სანაპიროზე პატარა, მომაკვდავი პინგვინი ნახა. ჟოაომ ფრინველი გამოკვება, უმკურნალა და ერთი კვირის შემდეგ, როცა პინგვინი მომჯობინდა მისი ზღვაში გაშვება გადაწყვიტა, მაგრამ ფრინველი არ წავიდა და 11 თვე თავის განმავლობაში გადამრჩენელთან იცხოვრა. მოგვიანებით, მოულოდნელად პინგვინი, რომელსაც ჟოაომ დინდიმი დაარქვა, გაქრა. ყველა ამბობდა, რომ აღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა და სანაპიროსგან მოშორებით მდგარ ჟოაოსკენ წავიდა.

მას შემდეგ, დინდიმს ყოველ წელს 8000 კილომეტრის გადაცურვა უხდება, რომ გადამრჩენელს შეხვდეს.

„მიყვარს დინდიმი, როგორც საკუთარი შვილი და მივიჩნევ, რომ მასაც ვუყვარვარ. ყველა ამბობდა, რომ არ დაბრუნდებოდა, მაგრამ დაბრუნდა. ივნისში მოდის და ყოველ წელს უფრო თბილი და ბედნიერიც კი მეჩვენება“, – აღნიშნა ჟოაომ.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მამაკაცები ოფისების ბაქტერიებით „მომმარაგებლებად“ გამოაცხადეს



ალბათ, რამდენი ქალი აიწევს წარბს და მედიდურად იტყვის – აი, ხომ ვამბობდი, კაცები აბინძურებენ ჩვენს სამუშაო ადგილებსო.

რას ვიზამთ, მეცნიერებიც მათ მხარეზე არიან და ამტკიცებენ, რომ სწორედ ძლიერი სქესის „ფუნქციაა“ ოფისების ბაქტერიებით გაჯერება, რადგან მამაკაცებს სისუფთავის დაცვა, უბრალოდ, არ შეუძლიათო.

სულ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, „მამაკაცურ“ ოფისებში კატასტროფული რაოდენობით ბაქტერიები იქნა აღმოჩენილი.

კერძოდ, სპეციალისტებმა ამერიკის სამი ქალაქის 90 ოფისში 500-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას მიაკვლიეს. სინჯების აღება მოხდა სამუშაო მაგიდებიდან, კლავიატურებიდან, კომპიუტერის მაუსებიდან, ტელეფონებიდან და სკამებიდან.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით, ბაქტერიები სკამებსა და ტელეფონებზე იმალება.

რაც შეეხებათ ქალებს, მათ შემთხვევაში, ნაპოვნია 200-მდე ბაქტერია, რომელიც „კაცურ ბაქტერიებთან“ შედარებით ნაკლებად საშიში აღმოჩნდა.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ბრიტანულმა ეკლესიამ სმარტფონით შესაწირის გაღების პროგრამა აკურთხა



თუ მთელი გულით გინდათ შესაწირის ყუთში თანხის ჩაგდება, მაგრამ ნაღდი ფული არ გაქვთ და სიკეთის კეთების წყურვილი გკლავთ, ის დროა, ინგლისისკენ მიმავალ ბილეთს ყიდულობდეთ. იქ არ დაიტანჯებით სიკეთის ვერქმნის სურვილით – ეკლესიას ფულს პირდაპირ... სმარტფონით გადაურიცხავთ.

ინგლისში ძალიანაც პოპულარულია ნაკურთხი აპლიკაციით ეკლესიის ანგარიშზე თანხის გადარიცხვა. აპლიკაცია უკვე 100-მა მორწმუნემ გადმოწერა და ღმერთის წინაშე ვალის მოხდაც გაიმარტივა.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დღის რომელ მონაკვეთშია უკეთესი წამლების მიღება?



ეჰ, რას ვიზამთ, წამლების ყლაპვის გარეშე არ გამოდის ხოლმე ხანდახან ცხოვრება, ყველაზე საშინელი კი ის არის, ზოგ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ სჭირდება მედიკამენტოზური მკურნალობა. მოკლედ, საკითხი საკმაოდ აქტუალურია და ვფიქრობთ, ეს სიახლე დაგაინტერესებთ.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როდის მიიღებს ადამიანი წამალს. აქედან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ, როგორ გამოვიყენოთ მედიკამენტები უფრო ეფექტურად.

კავშირს წამლის დალევასა და დღის მონაკვეთს შორის შემდეგნაირად ხსნიან: მათი განმარტებით, ჩვენი ორგანიზმი ბიოლოგიური საათებით ცხოვრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხდება თავის ტვინის გარკვეული მონაკვეთების კონტროლი. ასევე, კონტროლდება იმუნური სისტემა, სხეულის ტემპერატურა, წნევა, ჰორმონების გამომუშავება და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, წამალი უფრო ეფექტურად კონკრეტულ დროს მოქმედებს.

ასე მაგალითად, გულის პრეპარატების მიღება უმჯობესია დილას, რადგან დღის სხვა მონაკვეთში მათი ეფექტურობა დაიწევს. ჰიპერტონიის, ინსულტისა და სისხლის წნევის კონტროლის საშუალებები ადამიანმა უნდა დალიოს საღამოს ან ღამით. გარდა ამისა, მათი ეფექტურობა მატულობს მაშინ, როცა აბების მიღება დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ხდება. მედიკოსები ამ ყველაფრის გათვალისწინებას გვირჩევენ, რათა საკუთარ თავს უკეთესი და უფრო ეფექტური დახმარება აღმოვუჩინოთ.

*medkarta.com*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძემ 593 19-85-99



– ხუთი წელია, ჩემი ცოლი ალკოჰოლიზმით იტანჯება, მეცოდება.

– ყოველდღე სვამს?

– არა, მე ვსვამ და ის იტანჯება.

*****

გუშინ ნერვებმა მიმტყუნა, ქაღალდის ნაგლეჯზე დავწერე ‘მორჩა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, გტოვებთ და მივდივარ“.

წერილი მაგიდაზე დავაგდე და სახლის კარი გამოვიჯახუნე... გზაში გამახსენდა, მარტო ვცხოვრობ... ყურებჩამოყრილი სახლში დავბრუნდი.

*****

– კოტე, გაციებული ვარ, თავიც მტკივა ნუ მიყვირიხარ, თორემ ავად გახდები.

– რა, გრიპით?

– არა, ყბის მოტეხილობით და თვალების ჩალურჯებით.

*****



– ერთხელ ჩემს ძაღლს ლუდი გავასინჯე და მას მერე ყოველდღე ლუდს ითხოვს, გალოთდა საწყალი.

– შენც ნუღარ დაალევინებ.

– რას ამბობ, თუ არ დავალევინებ, იკბინება.

*****

ორი მედდა საუბრობს:

– ეს ვისი ტირილის ხმა ისმის, იმ ქალის ხომ არა, გუშინ ხუთი ტყუპი რომ გააჩინა?

– არა, ქმარია...

*****

ყველაზე კარგი ვარჯიში ადამიანისთვის არის ფულის თვლა – ხსნის დაძაბულობას, არეგულირებს წნევას, აქრობს თავის ტკივილებს, აუმჯობესებს მხედველობას, მადას და საყოფაცხოვრებო პრობლემებს აგვარებს მომენტალურად.

*****



იცით თუ არა, რომ, თუ გეპარდი მშიერია, ადამიანს შეუძლია, საათში 70 კილომეტრი სიჩქარე განავითაროს.

*****

გეოგრაფიის გაკვეთილზე:

– აბა, ბავშვებო, მითხარით, სად მოვხვდები ჩრდილოეთ პოლუსიდან დედამიწის გახვრეტას თუ მოვინდომებ?

– საგიჟეთში, მასწ.

***მოამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

### შალვა გობეჯიშვილი



23 მარტი შენი დაბადების დღეა. 4 თვეა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. 30 ოქტომბერს გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი **შალვა ერმილეს ძე გობეჯიშვილი**. მოხალისედ წასული შალვას მესამე ჭრილობა საბედისწერო აღმოჩნდა, გერმანელი ფაშისტების ტყვიამ მარჯვენა ხელი იმსხვერპლა. იმ დღიდან, ცალად დარჩენილი მარცხენა ხელით ეწეოდა ამ ცხოვრების მძიმე ჭაპანს. წინააღმდეგობებით განვლილმა მომენტებმა, ვერ შეარყია შალვას ცხოვრებისეული პოზიცია, ის ბოლომდე დარჩა დადებითი პიროვნული თვისებების მატარებელი.

მადლიერმა ქართველმა ერმა ღირსეულად დააფასა მისი სამშობლოსადმი სიყვარული, ერთგულება და თავგანწირვა. დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშიზმთან შეუდრეკელი ბრძოლისთვის დაჯილდოებული იყო ორდენით, მედლებით, მათ შორისაა ღირსების მედალი და მრავალი საპატიო სიგელი. იგი იყო თბილისის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის ბიუროს წევრი. შთამომავლობას სამაგალითოდ დარჩება ის უანგარო სამსახური, როგორც ბრძოლის, სამშობლოსადმი სიყვარულის, ასევე, თავდაუზოგავი შრომისადმი, რაც მთავარი და ყურადსაღებია, მისი მაღალი კრისტალური, მოქალაქეობრივი პატიოსნება. მის მრავალმხრივ ნიჭიერებასთან ერთად, ხალასი იუმორით დაჯილდოებული, თუნდაც მცირე ხნით, ირგვლივ ყველას და ყველაფრის დამამშვენებელი იყო.

მშვიდობით, ჩვენო ვალმოხდილო, მადლითა და ღვაწლით მოსილო ადამიანო. თქვენისთანა ღირსეულ პიროვნებებს დავიწყება არ უწერიათ.

*შენი მეუღლე*

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## ინფარქტის დროს ქალები ხშირად ტკივილს ვერ გრძნობენ



სტატისტიკის მიხედვით, ხუთიდან ორი ქალი ინფარქტის დროს ტკივილს ვერ გრძნობს და მის ნაცვლად შესაძლოა, სხვა სიმპტომები გამოვლინდეს, რომელთაც მშვენიერი სქესი, სამწუხაროდ, შესაბამის ყურადღებას არ აქცევს. ამდენად, დიდია ალბათობა, რომ შედეგი სავალალო აღმოჩნდეს.

ექიმების განმარტებით, ინფარქტის დროს, შესაძლოა, გულის მაგივრად, ტკივილები ქალმა იგრძნოს ყბებში, კისერში, მხრებში, გაუჩნდეს დისკომფორტის შეგრძნება მუცელში და სუნთქვასთან დაკავშირებული უეცარი პრობლემები.

ფლორიდის გულის ცენტრის სპეციალისტებმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მასშტაბური კვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ყველა ჩამოთვლილ სიმპტომს სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს. ამასთანავე, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს კატეგორიამ, რომელსაც აქვს: ჭარბი წონა, დიაბეტი, მაღალი არტერიული წნევა და ასე შემდეგ.

კვლევაში 1,1 მილიონი პაციენტი იყო ჩართული, რომლებმაც ინფარქტის დიაგნოზით კლინიკებს 1994-დან 2006 წლის ჩათვლით მიაკითხეს.

აღმოჩნდა, რომ პაციენტების 35 პროცენტის (თითქმის ყოველი მესამის) ჩივილები გულის ტკივილს საერთოდ არ უკავშირდებოდა.

აღნიშნული ტენდენცია შეიმჩნევა მამაკაცებშიც, თუმცა უფრო ხშირად, მაინც ქალებში იჩენს თავს.

გარდა ამისა, დადგინდა ისიც, რომ ინფარქტი ტკივილის გარეშე უფრო ხშირად ფატალური შედეგით მთავრდება. მიზეზი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ადამიანები მსუბუქი სიმპტომების ფონზე ექიმებთან მისვლას აგვიანებენ.

**medkarta.com**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 435 553

რედაქტორი მანანა გიორგაძე

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773

## დაავადებების დიაგნოსტირებით ცოცხალი მიკრორობოტი დაკავდება



მეცნიერები რობოტის ციცქნა პროტოტიპს ქმნიან, რომელიც განვითარდება და იფუნქციონირებს, როგორც ცოცხალი არსება და ერთ მშვენიერ დღესაც ადამიანისთვის ზუსტი დიაგნოზის დასმას შეძლებს. მოწყობილობის თუ არსების სახელწოდება „კიბერპლაზმი“ გახლავთ, რომელიც თავის თავში აერთიანებს მიკროელექტრონიკას ბიომიმიკრიის (ტექნოლოგია, რომელიც ბუნებისგანაა შთაგონებული) უკანასკნელი მიღწევებით. მთავარი თავისებურება ის გახლავთ, რომ „კიბერპლაზმს“ ექნება ელექტრონული ნერვული სისტემა, „თვალები“ და „ცხვირი“, რომლებიც ძუძუმწოვართა უჯრედებისგანაა მიღებული. ასევე, მის არსენალში შევა: ხელოვნური კუნთები, რომელიც რობოტის მოძრაობაში მოყვანისთვის გლუკოზას გამოიყენებს. „კიბერპლაზმზე“ მომუშავე მეცნიერების მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დაპროექტდეს და მოხდეს ინტეგრირება რობოტის ისეთი კომპონენტების, რომლებსაც სინათლესა და ქიმიურ ნივთიერებებზე ისეთივე რეაქცია ექნებათ, როგორიც ბიოლოგიურ სისტემებს.

„კიბერპლაზმზე“ მუშაობა უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს და მას დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის სამეცნიერო სტრუქტურები აფინანსებენ. წინასწარი ინფორმაციით, „ექიმი-რობოტის“ ფართოდ გამოყენება უკვე 5 წელიწადში იქნება შესაძლებელი.

**wordscience.org**

## პომიდვრის ახალი ჯიში ანტიასაკობრივ კოსმეტიკას შეცვლის

სიახლის ავტორები იტალიელი მეცნიერები არიან, რომლებმაც პომიდვრის ახალი ჯიში გამოიყვანეს და ამტკიცებენ, ჩვენი პროდუქტი ნაოჭების საწინააღმდეგო საშუალებებს სულ ბდღვირს აადენს და უპრობლემოდ დაჯაბნისო. როგორც ირკვევა, პომიდვრის ახლად მიღებული ჯიში მდიდარია ანტიოქსიდანტ ლიკოპინებით, რომელიც კანს და, ზოგადად, ორგანიზმს დაბერებისგან იცავს. სიახლის ავტორების ინფორმაციით, პომიდორი არა მხოლოდ აჯანმრთელებს კანს და იცავს უჯრედებს დაბერების ბუნებრივი პროცესისგან, არამედ ავთვისებიანი სიმსივნეებისა და გულის დაავადებების გაჩენასაც ეწინააღმდეგება.

რაც მთავარია, თუმცა ცოტათი დაუჯერებელი, პროდუქტის მოყვანისთვის არ გამოიყენება გენეტიკურად მოდიფიცირებული ნივთიერებები, ანუ იტალიელების ახალი ჯიშის პომიდორი სრულიად ნატურალური და სასარგებლოა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**mujane.ru**



ბიჭი შეუხედავ გოგოსთან ერთად ლიფტში შევიდა. გოგომ გააფრთხილა:

– კოცნას თუ დამიპირებ, იციდე, ვიკივლებ.

– მეც!!!

*****

ორი მძარცველი საუბრობს:

– მეთორმეტე სართულია, აივნიდან აივანზე ვერ გადავძვრები, მეშინია ჩამოვარდნის, კლაუსტროფობია მჭირს.

– ნუ მატყუებ, კლაუსტროფობია დახურული სივრცისადმი შიშია, სად ხედავ აქ დახურულ სივრცეს?

– სად და კუბოში.

*****

მიხომ ცოლი მოიყვანა. პირველი ღამეა.

– მაყვალ, ჩემამდე თუ გყოლია კაცი?

– როდის, ქა, დღეეს?

*****



მიხო ექიმთან მივიდა გასასინჯად, ექიმმა შეხედა და უთხრა:

– მიხო, რაღაც არ მომწონხარ.

– მე ხო გულზე მეხატები რაა...

*****

კოტე აფთიაქში შევიდა და დახლზე თითებს აკაკუნებს:

– კოტე, შენ რა, ხელის კრემი გინდა?

– არა, საღამოს 4 ქალს ველოდები სახლში და ვიაგრა მინდა.

მეორე დღეს ისევ მივიდა აფთიაქში:

– კოტეს გაუმარჯოს! დღესაც ვიაგრა გინდა?

– არა! ხელის კრემი მომეცი, გადამაგდეს იმ კახპებმა!..

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 1.49

სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.